The paper will devote a huge part analyzing to the concept of personal data, the legal mechanisms of its protection and the forms of how this data is being used by mobile applications. Based on the goals of the research, the essence, specificity and problematic aspects of the mentioned issue will be fully conveyed with the help of theoretical analysis. This paper will discuss the legal relationship of personal data with social networks. Based on the international practice, the approaches of the owners of specific social networks will be discussed for a better understanding.

All of the above will help us to discuss what problems personal data protection law is facing and what legal regulations and levers are needed to eliminate them.

შესავალი

სამყაროს განვითარებასთან ერთად დღითიდღე იხვეწება და სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება თანამედროვე ტექნოლოგიები და მათი გამოყენების ფორმები. სწორედ ციფრული პროგრესის დამსახურებაა, რომ უწინ ერთი შეხედვით წარმოუდგენელი მრავალი კონცეფცია დღეს უკვე ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ციფრულმა ეპოქამ მოიცვა ინდივიდთა პროფესიული საქმიანობა, პირადი და სოციალური ცხოვრება. ბიზნესის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად იქცა სოციალურ და მკვიდრებული ურთიერთობების გამარტივება მომხმარებელთა კომფორტის უზრუნველყოფის მიზნით. ტექნოლოგიის საშუალებით ადამიანები ერთმანეთთან ამყარებენ კომუნიკაციას, ეცნობიან მნიშვნელოვან ინფორმაციას, ეძლევათ თვითრეალიზაციის, თვითგამოხატვისა და თავიანთი ყოველდღიურობის სამყაროსათვის გაზიარების შესაძლებლობა.

მიუხედავად უამრავი სარგებლისა, ციფრულმა განვითარებამ წარმოშვა უამრავი პრობლემა სამართლებრივი თვალსაზრისით. ერთ-ერთი გამორჩეულად პრობლემური ასპექტი არის ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა და მასთან დაკავშირებული სირთულეები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტექნოლოგია, განსაკუთრებით კი სოციალური ქსელები, კომუნიკაციის დამყარების და თვითგამოხატვის ეფექტური საშუალებაა. შეიძლება ითქვას, რომ ხშირ შემთხვევაში ამა თუ იმ აპლიკაციის მომხმარებლები ნებაყოფლობით აზიარებენ გარკვეულ ინფორმაციას სასურველი მიზნის მისაღწევად. ასეთი ცნობები შესაძლოა შეიცავდეს ინდივიდის ადგილსამყოფელს, ფაქტობრივ მისამართს, ფოტო ან ვიდეო მასალას, საბანკო ანგარიშების ნომერს, ოჯახური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას და სხვა. თანამედროვე მობილური აპლიკაციების აბსოლუტურ უმრავლესობაში ჩაშენებულია ციფრული ალგორითმები, რომლებიც მომხმარებელთა გამოცდილების გაუმჯობესებასა და აპლიკაციის ეფექტიანობის ხელშეწყობას ემსახურება. აღნიშნული სისტემები სრულყოფილი ოპერირებისათვის საჭიროებენ წვდომას დიდი რაოდენობით ინფორმაციაზე, რამეთუ სწორედ დაგროვილი ინფორმაციული ბაზის განახლებით ვითარდება ალგორითმის შესაძლებლობები. საინტერესოა, რამდენად და რა დოზით სჭირდება მობილურ აპლიკაციებს პერსონალურ მონაცემებზე წვდომა? ხდება თუ არა ამ მონაცემების სათანადო და მართლზომიერი გზებით მიწოდება, დამუშავება და გამოყენება?

ნაშრომში დიდი ადგილი დაეთმობა პერსონალური მონაცემების ცნებას, მათი დაცვის სამართლებრივ მექანიზმებსა და მობილური აპლიკაციების მიერ ამ მონაცემების გამოყენების ფორმებს. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, თეორიული ანალიზის დახმარებით სრულფასოვნად გადმოცემული იქნება აღნიშნული საკითხის არსი, სპეციფიკა და მისი პრობლემური ასპექტები. წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება პერსონალურ მონაცემთა სამართლებრივი ურთიერთმიმართება სოციალურ ქსელებთან. საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით თვალნათლივ და მკაფიოდ წარმოჩინდება კონკრეტული სოციალური ქსელებისა და აპლიკაციათა მფლობელების მიდგომები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ყოველივე ზემოაღნიშნული დაგვიხმარება

ვიმსჯელოთ იმაზე, თუ რა პრობლემების წინაშე დგას პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი და რა სამართლებრივი რეგულაციები და ბერკეტებია საჭირო მათ აღმოსაფხვრელად.

მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა თვისობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით, რომლის ფოკუსჯგუფი არიან ადამიანები, რომლებიც აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელებს და შესაბამისად, ხდება მათი პერსონალური მონაცემების აქტიური დამუშავება. კვლევის ტიპებიდან გამოყენებულია აღწერითი ტიპი, რომელიც ეფუძნება საერთაშორისოდ აღიარებული და მეცნიერულად შემუშავებული წყაროების ანალიზს. ამასთან ერთად, ნაშრომისთვის ვიყენებთ შესაბამის ლიტერატურას, კვლევებს, სტატისტიკას, სტატიებს, რაც ერთგვარი მონაცემთა შეგროვების ტექნიკაა. ზემოაღნიშნული მეთოდების გამოყენების შედეგსა და სხვადასხვა წყაროთა სინთეზის გავცნობით ნაშრომის მომდევნო ეტაპებზე, რაც განხილულ პრობლემას დაგვანახებს ფართო თვალსაწიერიდან.

პერსონალური მონაცემის ცნება

ევროპული კავშირისა და ევროპის საბჭოს კანონმდებლობის თანახმად, „პერსონალური მონაცემი“ განმარტებულია, როგორც ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. („პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“) მაშასადამე პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება. პერსონალური მონაცემი პიროვნების შეცნობის საშუალებას წარმოადგენს და ადამიანის ვინაობის დადგენას ემსახურება. როგორც ნაშრომის წინარე ეტაპზე აღინიშნა, ასეთი მონაცემი შეიძლება იყოს მაგალითად ინდივიდის სახელი და გვარი, პირადი ნომერი, ფოტო ან ვიდეო მასალა, საბანკო ანგარიშების ნომერი, სოციალური ქსელის ანგარიში, პირადი მიმოწერა, ინფორმაცია პირის სამუშაო ადგილის, შემოსავლების, ოჯახური მდგომარეობის შესახებ და სხვა. (სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური - „რა არის ჩემი პერსონალური მონაცემი?“, 2021) პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით. (საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“)

პერსონალურ მონაცემთა „ხელშეუხებლობა არის ინდივიდის ავტონომიურობის, დამოუკიდებელი განვითარების, მისი ღირსების დაცვის წინაპირობა“, („საქართველოს მოქალაქეები-დავითსართანიადაალექსანდრემაჭარაშვილისაქართველოსპარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“, 2009) შესაბამისად მათი დაცვა

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე ინფორმაციის დამუშავებისას, ვინაიდან პერსონალური ინფორმაციის არაკანონიერი და ბოროტი მიზნით გამჟღავნებამ შესაძლოა კონკრეტული პიროვნებისათვის სავალალო შედეგები გამოიწვიოს, მაგალითად დაბრკოლებები შეუქმნას დასაქმების, ოჯახის შექმნის ან თუნდაც გარესამყაროსთან ურთიერთობის კუთხით. (არჩუაძე, 2016)

პერსონალური მონაცემების შესახებ დავები მოქალაქეებს, კომპანიებსა და სახელმწიფოებს შორის წესრიგდება „privacy“ („ფრაივესი“ ინგლ. Privacy - საიდუმლო, განმარტობა, პირადი ცხოვრება) კონცეფციის ფარგლებში. ეს უკანასკნელი ემყარება დასავლურ ტრადიციას და თავდაპირველად მხოლოდ ტერიტორიულ, სივრცით და ფიზიკურ ნიშნებს ატარებდა, რაშიც ძირითადად იგულისხმებოდა ინდივიდის კუთვნილი უძრავი ქონება ან მის მიერ დროებით დაკავებული სივრცე, მაშინდელი გაგებით, როგორც პრივატულობის სფეროს აუცილებელი პირობა. კონცეფციის სწორედ ამგვარი გაგებით ხელმძღვანელობდა ჯერ კიდევ 60-იან წლებში აშშ-ის უმაღლესი სასამართლო, რომ ინდივიდის კერძო ცხოვრებას, მის პრივატულობას წარმოადგენდა მხოლოდ ის, რაც ხდებოდა მისი საცხოვრისის კედლებში. (სხირტლაძე, 2017) მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაწყებულმა ინფორმაციულმა ერამ სულ უფრო გაართულა პრივატულობის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პირადი მონაცემების დაცვა, შესაბამისად, დროთა განმავლობაში ზემოხსენებული კონცეფცია უფრო და უფრო განვითარდა და მოიცვა მეტი ასპექტი.

ამერიკული მოდელისგან განსხვავებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ქართული მოდელი ევროპული ანალოგის მსგავსია, სადაც შიდა სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო რეგულაციები ითვალისწინებენ ე.წ. „ქოლგის“ ტიპის, ყველა სექტორზე გავრცელებად კანონთა ფუნქციონირებას. (გოშაძე, 2017) ეს გასაკვირი სულაც არ არის, რამეთუ ევროპის საბჭოს კონვენცია „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“, რომელიც პირველ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტს წარმოადგენს, რატიფიცირებულ იქნა საქართველოს მიერ 2005 წლის 28 ოქტომბერს.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ციფრული ეპოქა საკუთარი განვითარების ზენიტშია და მრავალ სასიკეთო მახასიათებელთან ერთად, სამართალი დადგა უამრავი გამოწვევის წინაშე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ჭრილში, რაც საჭიროებს დამატებით კვლევებსა და შეფასებას. პერსონალურ მონაცემთა დაცვა ადამიანის კონსტიტუციით უზრუნველყოფილი უფლებაა. ამ უფლების დაცვისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ამ ინფორმაციაზე წვდომის დარეგულირება, არამედ მათი მართლზომიერად დამუშავების უზრუნველყოფაც. საერთაშორისო კვლევების თანახმად, ერთი ადამიანის პერსონალური მონაცემები საშუალოდ 250-დან 1000-მდე ბაზაშია რეგისტრირებული, (Company, 2020) რაც რასაკვირველია, ზრდის ამ მონაცემების მართლსაწინააღმდეგოდ გამოყენებისა და დამუშავების რისკებს. ამერიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ლუის ბრანდეისი

(Louis Brandeis - Former Associate Justice of the Supreme Court of the United States 1856-1941) პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გარანტირებასა და დაცვას ჯერ კიდევ 1928 წელს აღწერს როგორც „ყველაზე აღმატებულ და ღირებულ უფლებად ცივილიზებული ადამიანისთვის“, (არჩუაძე, 2016) დღეს კი პერსონალურ მონაცემთა ხელშეუხებლობა, თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და მეტად დაცვის ღირსია.

აღნიშნულ სიტუაციას განსაკუთრებით ართულებს საზოგადოებაში ინფორმირებისა და ცნობიერების საკმაოდ დაბალი მაჩვენებელი პირადი მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით. მეტიც, მომხმარებელთა უდიდესმა ნაწილმა არცკი იცის პოტენციურ დანაშაულთა მრავალფეროვნების შესახებ. პერსონალურ მონაცემთა არამართლობიერი დამუშავების ყველაზე აშკარა გამოსატყულებაა პირის თანხმობის გარეშე ამ ცნობების მოპოვება. თუმცა ხშირად ჩვენს პირად მონაცემებზე წვდომას თავად, სრულიად გაუაზრებელი და ფორმალური თანხმობის გზით გავცემთ.

საკითხის უკეთ გასააზრებლად საყურადღებოა პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით მსოფლიო კანონების ისტორია. ამ საკითხთან დაკავშირებით პირველი კანონი ამოქმედდა ჰესსეში, გერმანიაში, 1970 წელს (First Data Protection Act, German state of Hesse, 1970), (GDPR) შემდგომ შვედეთში, 1973 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, 1974 წელს, საფრანგეთსა და ნორვეგიაში, 1978 წელს. დღესდღეობით, როგორც მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვან ქვეყანას, ისე საქართველოსაც გააჩნია საკუთარი რეგულირება პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით. საქართველოში პერსონალურ მონაცემთა განმარტება და მისი მოცულობის განსაზღვრა სპეციალური კანონის მიღებამდე ხორციელდებოდა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მეშვეობით, თუმცა ევროპისაკენ სწრაფვის პოლიტიკამ განაპირობა ცალკე საკანონმდებლო აქტით ამ საკითხის მოწესრიგების აუცილებლობა, შედეგად, დღეს პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგება ხდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა 2011 წლის 28 დეკემბერს და რომლის მიზანსაც წარმოადგენს პერსონალური მონაცემის დამუშავებისას უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა. (საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“)

შესაბამისად, ყოველი კანონი იცავს პერსონალურ მონაცემთა სუბიექტს, რომელიც არის ფიზიკური პირი, რომლის შესახებაც მუშავდება მონაცემები. ამასთან, მას უფლება აქვს მოითხოვოს დამუშავებლისგან ინფორმაციის მიწოდება მონაცემთა დამუშავების მიზნების, ობიექტის, შეგროვების გზების, სამართლებრივი საფუძვლების, კონკრეტულ პირზე ან ორგანიზაციაზე გაცემული ინფორმაციის და სხვათა თაობაზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მის შესახებ არსებულ მონაცემთა გასწორების, განახლების, დამატების ან სხვა ოპერაციის მოთხოვნის უფლებაც აქვს. კანონით დადგენილ შემთხვევებში, როდესაც მონაცემთა დამუშავება მოითხოვს მონაცემთა სუბიექტის თანხმობას, სუბიექტს

უფლება აქვს გასცეს ის, ან გაცემულ თანხმობაზე უარი განაცხადოს. მსგავს შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტი არამარტო მიღებულ გადაწყვეტილებაზე იღებს პასუხისმგებლობას, არამედ მის შედეგებზეც. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პირი სრულად აცნობიერებდეს გადაწყვეტილების მართებულობას.

ხშირ შემთხვევაში, როდესაც მონაცემთა დამუშავებას, შეგროვებასა თუ მოპოვებას ითხოვს მობილური აპლიკაცია თუ სხვა ნებისმიერი კომპიუტერული ტექნიკა, სუბიექტის მიერ თანხმობა შესაძლებელია გაიცეს სრულიად დაუფიქრებლად, შემთხვევით, პირობებისა და წესების გაცნობის გარეშე. მაგალითად, როდესაც ნებისმიერი ვებ-გვერდის ე.წ. „ჭუჭი“ (cookie) ფაილების მიღებას ვთანხმდებით, რაც ინტერნეტ ბრაუზერის საშუალებით მოწყობილობის ოპერაციულ სისტემაში ინახება. („პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხები - ესეების კრებული“) მართალია მომხმარებლებს ძირითადად აქვთ საშუალება გაეცნონ საკუთარ უფლებებს და მხოლოდ მას შემდეგ დათანხმდნენ წამოყენებულ პირობებს, თუმცა ამას მხოლოდ მცირედი ნაწილი აკეთებს. მთავარ პრობლემასაც სწორედ ეს ზემოხსენებული ფაქტორი წარმოადგენს, ძირითად შემთხვევებში, ასეთი თანხმობის ან თანხმობაზე უარისას აპლიკაციების მიერ გათვალისწინებული არ არის ინდივიდის რეალური ასაკი, მისი ქმედუნარიანობა და სხვა კრიტერიუმები. ეს იწვევს კონკრეტულ შემთხვევებში პირის მიერ უნებლიედ, მისი რეალური თანხმობისა და გააზრების გარეშე საკუთარი პერსონალური მონაცემების გადაცემას, რაც, შესაძლოა, სამომავლოდ მისთვის პრობლემური გახდეს.

ზემოხსენებულის პრევენციისათვის, აუცილებელია, ყველამ იცოდეს, თუ რას ნიშნავს პერსონალური მონაცემების დამუშავება. მონაცემთა დამუშავება არის ნებისმიერი ქმედება, რომელიც პერსონალური მონაცემების მიმართ ხორციელდება: შეგროვება, ჩაწერა, შენახვა, გამოყენება, გამჟღავნება, ფოტოზე აღბეჭდვა, მესამე პირისთვის გადაცემა, გავრცელება, წაშლა, განადგურება და სხვა. მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ:

არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა - პირის ნებაყოფლობითი, ინფორმირებული და მკაფიოდ გამოსატული თანხმობა მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე. მაგალითად, დათანხმება ვებ-გვერდზე განთავსებულ კონფიდენციალურობის პოლიტიკაზე, ან ხელმოწერა ხელშეკრულებაზე, რომელშიც განმარტებულია რა მონაცემებს გროვდება რა მიზნებით და სხვ. მონაცემთა დამუშავება შესაძლოა საჭირო გახდეს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებიდან გამომდინარე, აგრეთვე ინფორმაციის სუბიექტის ინტერესების დასაცავად - მაგალითად საგანგებო სიტუაციის დროს, როდესაც ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება და მის გადასარჩენად აუცილებელია ადგილმდებარეობის დადგენა. მონაცემები ექვემდებარება დამუშავებას, თუ ეს აუცილებელია მონაცემთა დამმუშავებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი. მონაცემთა დამუშავება ხდება კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად - მაგალითად დანაშაულის პრევენცია, საკუთრების ან არასრულწლოვნების მავნე ზეგავლენისაგან დაცვის მიზნით, აგრეთვე

თუკი ასეთი ქმედება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად ან მისთვის მომსახურების გასაწევად. (სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური „რას ნიშნავს პერსონალური მონაცემების დამუშავება?“)

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ყოველივე ეს საკმარისი არ არის, პერსონალურ მონაცემთა შეგროვებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას მონაცემთა დამუშავების პრინციპები, როგორებიცაა სამართლიანობა და კანონიერება. აუცილებელია, რომ ნებისმიერი ინფორმაცია დამუშავდეს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და არ გამოიწვიოს ადამიანის ღირსების უფლების შელახვა. საჭიროა კანონიერი მიზნის არსებობა, რომელიც მკაფიოდაა განსაზღვრული და იგი არ უნდა ატარებდეს ზოგად-აბსტრაქტულ ხასიათს, არამედ უნდა ემსახუროდეს კონკრეტულ მიზნებს. მონაცემთა დამუშავება მოითხოვს თანაზომიერების პრინციპის დაცვას, არ უნდა დაირღვეს პროპორციულობა და ადეკვატურობა, რაც გულისხმობს იმას, რომ ცნობები უნდა დამუშავდეს შესაბამისი მიზნის მისაღწევად რაც შეიძლება მინიმალური რაოდენობით. სამართლიანობის გარანტიისათვის მნიშვნელოვანია მონაცემთა ნამდვილობისა და სიზუსტის გადამოწმება.

შესაბამისად, იმისათვის, რომ ინდივიდის პირადი მონაცემების დამუშავებისას კანონი არ დაირღვეს, აუცილებელია, რომ ობიექტის, მონაცემთა მიმღების, უფლებამოსილი პირის მიერ დაცული იყოს შესაბამისი ქვეყნის კანონით გათვალისწინებული პრინციპები და საფუძვლები, რაც, დღესდღეობით რიგ შემთხვევებში გათვალისწინებული არ არის და ეს ყოველივე, თავისმხრივ მჭიდრო კავშირშია სამყაროს ციფრულ განვითარებასთან, რადგან არასანქციურად მიღებული ინდივიდის პერსონალური მონაცემების მოპოვება, სწორედ ამ ხერხით ხდება ყველაზე ხშირად. ნაშრომის შემდეგ ნაწილებში განხილული იქნება კონკრეტულ შემთხვევები და ზემოაღნიშნული საკითხის შესახებ მსოფლიო პრაქტიკა.

რა ინფორმაციას აგროვებს აპლიკაცია ჩვენს შესახებ?

მობილური აპლიკაცია (შემდგომ - „აპლიკაცია“) არის კომპიუტერული პროგრამა, რომელიც ტელეფონის ფუნქციონირებისთვის გამოიყენება. („პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხები - ესეების კრებული“) აპლიკაციის სრული ფუნქციონალის გამოყენებისთვის აუცილებელია მომხმარებლის რეგისტრაცია. აპლიკაციაში რეგისტრაციისას მომხმარებელი გასცემს შემდეგი სახის პერსონალურ მონაცემებს: სახელი, დაბადების თარიღი, ელექტრონული ფოსტის მისამართი ან/და ტელეფონის ნომერი. აპლიკაცია მისი გამოყენების დროს მოითხოვს ქვემოთ ჩამოთვლილ რამდენიმე მონაცემზე და მოწყობილობების ფუნქციებზე წვდომას, ესენია:

- მოწყობილობის და აპლიკაციის ისტორია - ინფორმაცია მოწყობილობაში ჩაწერილი და მიმიდინარედ გააქტიურებული აპლიკაციების/პროგრამების შესახებ.
- მიკროფონი - აუდიო ჩაწერა - ინტეგრირებული მიკროფონის გამოყენებით ნებისმიერ დროს ხმის ჩაწერა, დამატებითი თანხმობის გარეშე. მიკროფონის

პირველი გამოყენების დროს, აპლიკაცია ითხოვს ნებართვას მოწყობილობის მიკროფონის გამოყენების ფუნქციაზე წვდომის მიღების შესახებ.

- ტელეფონის მეხსიერება - წვდომა მოწყობილობის მეხსიერებაში ჩაწერილ მონაცემებთან, რის შემდგომაც მას შეუძლია მათი წაკითხვა ან დათვალიერება, ჩაწერა, წაშლა, რედაქტირება.
- კამერა - ფოტო და ვიდეო გადაღება - მოცემული წვდომით აპლიკაციას შეუძლია ნებისმიერ დროს გამოიყენოს კამერა დამატებითი დადასტურების გარეშე. მაგალითად, TikTok-ის აპლიკაციას შეუძლია მოწყობილობის კამერის საშუალებით ვიდეო ან ფოტო გამოსახულება ჩაიწეროს, მაშინაც კი, როდესაც აპლიკაციას არ იყენებთ. აღსანიშნავია, რომ აპლიკაცია თქვენი მოწყობილობის კამერით გადაღების ფუნქციაზე წვდომის მისაღებად დამატებით შეგუივითებათ აპლიკაციის საშუალებით ვიდეო ან ფოტო გამოსახულების პირველი გადაღების დროს. მაგალითად, როდესაც პირველად გადაწყვეტთ ამ აპლიკაციის საშუალებით ვიდეოს ჩაწერას, აპლიკაცია მოგთხოვთ მოწყობილობის კამერისა და მიკროფონის გამოყენების უფლებას. („რამდენად უსაფრთხოა თქვენი საყვარელი აპლიკაცია?», 2021)

კონფიდენციალურობის პოლიტიკის თანახმად, აპლიკაციის მიერ მომხმარებელთან დაკავშირებით შეგროვებული მონაცემების შენახვა შესაძლოა განხორციელდეს სინგაპურში ან ამერიკის შეერთებულ შტატებში განთავსებულ სერვერებზე. („რამდენად უსაფრთხოა თქვენი საყვარელი აპლიკაცია?», 2021) მონაცემები შეინახება იქამდე, სანამ მომხმარებელი იყენებს აპლიკაციას ან იქამდე სანამ კომპანიას აქვს ლეგიტიმური ბიზნეს ინტერესი. მომხმარებლის შესახებ შეგროვებული მონაცემების გამოყენება შესაძლოა მოხდეს სხვადასხვა მიზნით. მაგალითად, აპლიკაციის ეფექტიანი ფუნქციონირების, მათ შორის, მისი გაუმჯობესების, განვითარების და პოპულარობის ხელშეწყობის, მომხმარებლის ინტერესებზე მორგებული სერვისის/რეკლამის შეთავაზების მიზნით. („რამდენად უსაფრთხოა თქვენი საყვარელი აპლიკაცია?», 2021) თუ მომხმარებელს უჩნდება ეჭვი, რომ მის პერსონალურ მონაცემები დაცული არ არის, ყოველი ზემოაღნიშნული ფუნქციის გათიშვა შეიძლება ტელეფონის პარამეტრებიდან.

სოციალური ქსელები

მიუხედავად მისი ფართო გამოყენებისა, ტერმინი სოციალური ქსელი არც ისე დიდი ხანია არსებობს ადამიანის ყოველდღიურობაში. მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ამერიკელი სოციოლოგები ადამიანებს შორის არსებულ ურთიერთკავშირებს სწავლობდნენ, ასეთ კავშირებს სოციოგრამების, ანუ ერთგვარი დიაგრამების სახით გამოსახავდნენ, რომლებშიც ცლაკული პიროვნებები წერტილებით იყვნენ აღნიშნულნი, მათ შორის კავშირები კი ხაზებით. ამ სახით ვიზუალიზებულ ადამიანთა საზოგადოებას, ანუ ურთიერთგადამკვეთ ხაზთა რთულ სისტემას, სოციალური ქსელი დაარქვეს. (ხონელიძე, 2014) ტერმინმა

– „სოციალური ქსელი“ მოგვიანებით სოციოლოგიიდან ინტერნეტში გადაინაცვლა. ინტერნეტში იგი ისეთ ვებგვერდებს ან სერვისებს აღნიშნავს, რომელსაც თვითონ მომხმარებლები ამდიდრებენ. ასეთი საიტები ერთგვარ სოციალურ გარემოს წარმოადგენენ, რომელიც საერთო ინტერესებით დაკავშირებულ მომხმარებლებს ერთმანეთთან ურთიერთობის, ინფორმაციის და გამოსახულებების გაცვლის შესაძლებლობას აძლევს. (ხონელიძე, 2014)

დღესდღეობით სოციალური ქსელები ფართოდაა გავრცელებული მთელ მსოფლიოში. ისინი კომუნიკაციის დამყარების საუკეთესო საშუალებად ითვლება. მათი საშუალებით მსოფლიოს ერთი ბოლოდან მეორეში ძალიან მარტივად ხდება დაკავშირება. თამამად შეძლება ითქვას რომ სოციალურმა ქსელებმა რადიკალურად შეცვალა ადამიანთა ცხოვრება. მაგრამ შეცვალა სასიკეთოდ თუ საუბედუროდ ეს საკითხი სადაოა და ადამიანთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. სოციალური ქსელებს მაგალითად „Facebook“, „Twitter“, „Instagram“, „LinkedIn“, „Tik-Tok“ და სხვა, ყოველდღიურად მილიონობით ადამიანი იყენებს. ნებისმიერი სახის სოციალური ქსელში მომხმარებელი კარგავს კონტროლს მის მიერ გაზიარებულ ინფორმაციაზე, რაც საფრთხეს უქმნის პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობასა და პირად ცხოვრებას.

სოციალურ ქსელში ინფორმაციის გამჟღავნებამდე სასურველია, რომ მომხმარებელი ყურადღებით მოეკიდოს შემდეგ გარემოებებს:

- მონაცემების გასაჯაროების ფარგლები, რომლის დახმარებითაც მომხმარებელს შეუძლია, გააკონტროლოს ვის უზიარებს მის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციას. მაგალითად, პარამეტრების გამოყენებით შესაძლებელია ფოტოს გაზიარება მხოლოდ პირთა ვიწრო წრისთვის.
- თაღლითური სქემები, თაღლითები ხშირად იყენებენ სოციალურ ქსელებში ხელმისაწვდომ ინფორმაციას. ამიტომ მომხმარებელმა მაქსიმალურად უნდა შეიკავოს თავი სოციალურ ქსელში ისეთი ინფორმაციის განთავსებისგან, როგორცაა პირადი ნომერი, საბანკო მონაცემები, პასპორტი და ა.შ
- საეჭვო ჯგუფებში გაწევრიანება.
- მესამე პირთა ინფორმაციის გამჟღავნება მათი თანხმობის გარეშე.

სოციალურ ქსელებს კონფიდენციალურობის და პერსონალური მონაცემების დაცვის განსხვავებული ფუნქციები და შესაძლებლობები აქვთ, რაც მოცემულია თითოეული საიტის ე.წ „Privacy Policy“-ში. (პერსონალურ მონაცემთა დაცვის აპარატი - „რეკომენდაციები ინტერნეტ სივრცეში მონაცემთა დაცვის შესახებ“) მიუხედავად ამისა, სოციალური ქსელები მაინც ითვლება ინდივიდის პერსონალური მონაცემებისათვის სახიფათო სივრცედ.

„ფეისბუქი“ (Facebook) და პერსონალური მონაცემები

როგორც მთელ მსოფლიოში, ისე საქართველოში, აპლიკაცია „ფეისბუქი“ (Facebook) საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელია. ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში 2 მილიონზე მეტი „ფეისბუქი“ ანგარიშია დარეგისტრირებული, ხოლო სოციალური ქსელების მომხმარებელთა 79% სულ მცირე კვირაში ერთხელ მაინც ამოწმებს აღნიშნულ სოც. ქსელს. (IDFI - „როგორ დავიცვათ პირადი უსაფრთხოება Facebook-ში?“, 2017) „ფეისბუქის“ მოხმარებას, სარგებლის გარდა, თან ახლავს გარკვეული რისკებიც, რომლებიც ფართოდ შეეხება პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოებასაც.

ბოლო მონაცემებით, არსებობს 83 მილიონი ყალბი „Facebook“ ანგარიში. (IDFI - „როგორ დავიცვათ პირადი უსაფრთხოება Facebook-ში?“, 2017) ისინი ხშირ შემთხვევაში იდენტობის დაფარვის ან ინფორმაციის ანონიმურად გავრცელების მიზნებით გამოიყენება. მათი არსებობა სოციალური ქსელის გამოყენების რისკს ზრდის და უმეტესწილად ნეგატიურად შეეხება ადამიანთა ყველაზე მოწყვლად ჯგუფებს. ყალბი ანგარიშების არსებობა დამატებით საფრთხეს ქმნის არასრულწლოვნებისთვის, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან გათვინობიერებულნი სოციალური ქსელების პოტენციურ რისკებში. ყალბი ანგარიშის მფლობელს შეუძლია მიითვისოს სხვისი იდენტობა და ამის დახმარებით ინდივიდის პირადი ინფორმაცია გამოითხოვოს, გამოაგზავნოს საეჭვო, ეწვირუსული ბმულები, რომელზე გადასვლითაც მათ ეხსნებათ წვდომა პერსონალური მონაცემებთან. საბედნიეროდ, რისკების ზრდამ და დანაშაულთა მრავალფეროვნებამ აპლიკაციის მფლობელი კომპანიები აიძულა შეემუშავებინათ დამატებითი რეგულაციები სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. „Facebook“ აძლევს მომხმარებელს არაერთ საშუალებას, აკონტროლოს საკუთარი უსაფრთხოების პარამეტრები. მაგალითად, „Facebook“ მომხმარებლებს შეუძლიათ რეგისტრაციისას შეზღუდონ მათი პროფილის ხილვადობა, აკონტროლონ პროფილის ძებნა, შეზღუდონ მასთან დაკავშირების/დამეგობრების მსურველთა წრე, შეზღუდონ მისაღები შეტყობინებების წრე, მათ მიერ გამოქვეყნებული ფოტოებისა და პოსტების მნახველთა წრე, საძიებო სისტემაში პროფილის ხელმისაწვდომობა, აკონტროლონ აპლიკაცია/საიტი იყენებს თუ არა ლოკაციას, ამასთან, „ფეისბუქი“ მომხმარებლებს აძლევს პერსონალური მონაცემების გამოთხოვისა და წაშლის საშუალებას. (პერსონალურ მონაცემთა დაცვის აპარატი - „რეკომენდაციები ინტერნეტ სივრცეში მონაცემთა დაცვის შესახებ“) ერთი შეხედვით, აღნიშნული სოციალური ქსელი საკმაოდ მაღალი უსაფრთხოების ხარისხით გამოირჩევა, მაგრამ, ის მაინც ვერ გვაძლევს პერსონალური მონაცემების დაცვის 100%-იან გარანტიას.

მოქმედი კანონმდებლობით, მომხმარებელს უფლება აქვს მიმართოს ნებისმიერ კომერციულ კომპანიას და მოსთხოვოს მას თავის შესახებ სრული ინფორმაცია, რომელიც მას გააჩნია. როდესაც 2011 წელს „Facebook“-ს მსგავსი რამ მოსთხოვა ავსტრიელმა აქტივისტმა მაკს შრემსმა, მას პასუხად გადასცეს CD, რომელზეც 1200 ფაილი იყო ჩაწერილი. ასე გაარკვია მან, რომ სოც. ქსელი ინახავდა ინფორმაციას ყველა იმ მოწყობილობის IP-მისამართზე, საიდანაც ის ოდესმე შესულა „ფეისბუქის“ მიმოწერის მთელ არქივს და გადაადგილების

სრულ ისტორიას, მათ შორის ინფორმაციას, რომელიც თავად წაშლილი მიაჩნდა. (Noyb, 2021) პირადი მონაცემების უსაფრთხოების საკითხი ქსელში კვლავ აქტუალური გახდა კომპანია „Cambridge Analytica“-სთან დაკავშირებული სკანდალის შემდეგ, (ImedineWS, 2018) სოციალური ქსელის „ფეისბუქის“ მომხმარებელთა, დაახლოებით 87 მილიონი ადამიანის პირადი მონაცემები, ბრიტანულმა კომპანიამ „კემბრიჯ ანალიტიკა“ მათი ნებართვის გარეშე მოიპოვა და ეს ინფორმაცია შემდეგ პოლიტიკური მიზნებით გამოიყენა. „კემბრიჯ ანალიტიკის“ ერთ-ერთმა თანამშრომელმა, საბჭოთა კავშირში დაბადებულმა ალექსანდრე კოგანმა „ვაშინგტონ პოსტის“ გადმოცემით, იმ ინფორმაციით თუ რა მოსწონდათ „ფეისბუქის“ მომხმარებლებს, შექმნა მონაცემთა ბაზა. ე.წ. „ნიუსფიდში“ განთავსებული ტესტები, რომლებიც მომხმარებლებს ინტელექტის კოეფიციენტის შემოწმებას ან საკუთარი თავის ცნობილ ვარსკვლავებთან შედარებას სთავაზობს, გამოყენებულ იქნა მნიშვნელოვან ინდიკატორად კვლევაში. სწორედ ერთ-ერთი ასეთი ტესტის მეშვეობით შეგროვდა ინფორმაცია „ფეისბუქის“ მილიონობით მომხმარებელზე. (ImedineWS, 2018) მომხმარებელთა მეგობრების და მეგობართა მეგობრების საშუალებით, კოგანმა 87 მილიონიანი ქსელი შექმნა, რომლის მეშვეობითაც საარჩევნო კამპანიების დროს მომხმარებლების მიზნობრივ პოლიტიკურ მანიპულირებას ცდილობდა. (Lanza, 2020) ეს მეთოდი „ფსიქოგრაფიკული“ დამიზნების და მოდელირების სახელითაც არის ცნობილი.

მართალია, აღნიშნული სკანდალი ძირითადად შეერთებული შტატების მოსახლეობას და „ფეისბუქის“ ადგილობრივ მომხმარებლებს შეეხო, მაგრამ, ეჭვგარეშეა, რომ მსგავსი რამ შესაძლოა მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მოხდეს და მსგავს სიტუაციაში შესაძლოა ნებისმიერი ჩვენგანი მოხვდეს. მაგალითად, 2019 წელს, მაშინ, როდესაც „ფეისბუქს“ ხარვეზები ჰქონდა, ჰაკერებმა სულ 106 ქვეყნის მოქალაქის პირადი ინფორმაცია მოიპოვეს. (Waite, 2020) საქმე ეხებოდა სოციალური ქსელის მომხმარებლების ბიოგრაფიებს, დაბადების თარიღებს, მობილური ტელეფონის ნომრებს, ელექტრონული ფოსტის მისამართებსა და „ფეისბუქის“ მიმოწერის აპლიკაცია „Messenger“-ში არსებული მომხმარებელთა პირად მიმოწერებს. აღსანიშნავია, რომ 106 ქვეყანას შორის საქართველოც მოხვდა და ინტერნეტში უამრავი მოქალაქის პირადი მონაცემი გავრცელდა.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ცდილობს იზრუნოს მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების დაცვაზე, მათი ხელშეუხებლობის აბსოლუტური გარანტია მაინც არ არსებობს და რიგი საკითხები მოწესრიგებულია მხოლოდ ზედაპირულ დონეზე.

„ტიკ-ტოკი“ (Tik-Tok) და პერსონალური მონაცემები

სოციალური ქსელი „Tik-Tok“-ი მოკლე ვიდეოების გაზიარების მიზნით შექმნილი პლატფორმაა, რომელიც 2017 წელს პეკინში რეგისტრირებულმა ჩინურმა კომპანია „ByteDance“-მა შექმნა. ამერიკის შეერთებულ შტატებში იგი 2018 წლის აგვისტოდან გამოჩნდა, როცა აპლიკაცია ადგილობრივ ანალოგთან - „musical.ly“-სთან გაერთიანდა. (სულმანიძე, 2020) აპლიკაცია მომხმარებლებს საშუალებას აძლევს 3 წამიდან 3 წუთამდე ხანგრძლივობის

მუსიკალური ვიდეოები შექმნან და გააზიარონ. აღნიშნული სოციალური ქსელის მზარდ პოპულარობაში დიდი წვლილი მიუძღვის პანდემიას და მსოფლიოს მასშტაბით ახალი მარკეტინგისა და ბიზნეს კულტურის ჩამოყალიბებას. „ტიკ-ტოკი“ გარდა მისი კრეატიული და შემოქმედებითი ნაწილისა, მნიშვნელოვან კავშირშია კონსუმერიზმთან და მის წახალისებასთან. კონსუმერიზმი დგას სოციალურ და ეკონომიკურ წესრიგზე, რომელიც მომხმარებელს სულ უფრო მეტი რაოდენობის პროდუქციის შეძენისკენ უბიძგებს. კონსუმერიზმის ფარგლებში მომხმარებლის თავისუფალი არჩევანი უნდა იყოს ძლიერი ორიენტირი მწარმოებლისთვის იმის გადაწყვეტაში, თუ რისი და რა სახის წარმოება უნდა მოხდეს, რაც თავის მხრივ საზოგადოების ეკონომიკური ორგანიზების ორიენტირი ხდება. (“Consumerism”. Britannica Concise Encyclopedia Online, 2008)

შესაბამისად, ფაქტობრივად წარმოუდგენელია „ტიკ-ტოკი“, რომელშიც დღის განმავლობაში მილიონობით პროდუქტი და სერვისი იყიდება, არ საჭიროებდეს წვდომას მომხმარებელთა ინფორმაციაზე როგორც უსაფრთხოებისთვის, აგრეთვე კომერციული მიზნებისთვის. 2019 წელს აშშ-ის ფედერალურმა სავაჭრო კომისიამ „ტიკ-ტოკი“ 13 წლამდე ბავშვების პირადი მონაცემების უკანონო შეგროვების გამო 5.7 მილიონი აშშ დოლარით დააჯარიმა. (Alexander, 2019) ამდენად, აპლიკაციის წარმატების ზრდის პარალელურად, აქტუალური გახდა კითხვა, რამდენად უსაფრთხოდაა დაცული მომხმარებელთა პირადი ინფორმაცია და რა ხარვეზები აქვს აპლიკაციას ამ მხრივ.

Tik-Tok-ის კონფიდენციალურობის პოლიტიკის თანახმად, (TikTok Privacy Policy, 2024) მომხმარებლის რეგისტრაციის შემდეგ მას წვდომა აქვს თქვენს: ვიდეოებზე, მდებარეობაზე (ლოკაციაზე), აპლიკაციით გაგზავნილ პირად შეტყობინებებზე. აპლიკაციისთვის უფლების მინიჭების შემთხვევაში: საკრედიტო ბარათის დეტალებზე, მობილურში არსებულ კონტაქტებზე. აპლიკაცია ავტომატურად აგროვებს მომხმარებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მათ შორის: IP მისამართს, მომხმარებლის მოწყობილობის ტიპს (მობილური ტელეფონი, კომპიუტერი, სხვა) მობილური ოპერატორის ტიპს, ოპერაციული სისტემის დასახელებას და ა.შ. (სულმანიძე, 2020)

იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული აპლიკაციის მომხმარებლების უმეტეს ნაწილს ბავშვები და მოზარდები შეადგენენ, მონაცემების გაცემაზე თანხმობაც ხშირად გაუაზრებლად ხდება. „ტიკ-ტოკ“-ის პოპულარიზაციის უეცარმა ზრდამ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები საგრძნობლად დააფიქრა მოსალოდნელი რისკების შესახებ, რომელიც, ცხადია ეხება მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების დაცვას, ამასთან, რამდენიმე აღნიშნულის პრევენცია ვერ შეძლო და საკმაოდ დიდი მასშტაბის პრობლემებიც შეიქმნა. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

- 1) ამერიკის შეერთებული შტატები - აპლიკაციის კომპანია 5.7 მილიონი დოლარით დაჯარიმდა ფედერალური სავაჭრო კომისიის მიერ 13 წლის და უფრო პატარა ასაკის მქონე პირთა პერსონალური ინფორმაციის დამუშავების გამო. („რამდენად უსაფრთხოა თქვენი საყვარელი აპლიკაცია?», 2021) კომპანიას დაევალა 13 წლის

ასაკამდე ბავშვთა ვერიფიკაციის ადეკვატური ღონისძიებების დანერგვა, რომელიც გამორიცხავდა მათ მიერ აპლიკაციით სარგებლობას (რადგან აპლიკაციით სარგებლობისთვის შესაძლოა, ბავშვები ცრუ ინფორმაციას უთითებდნენ საკუთარ ასაკთან დაკავშირებით).

პრობლემა შეიქმნა იმ კუთხითაც, რომ „Tik-Tok“-მა საბჭოს მოთხოვნების მხედველობაში მიღებისა და ახალი პროფილის შექმნისას ასაკის ვერიფიკაციას ფუნქციის დამატების მიუხედავად, არ გაითვალისწინა ასეთი ვერიფიკაცია უკვე არსებული პროფილების მქონე პირების შემთხვევაში, კერძოდ, 2017 წლის ივლისიდან „Tik-Tok“ ითხოვდა ასაკის ვერიფიკაციას ახალი მომხმარებლებისგან, თუმცა არ განახორციელა ასეთი ვერიფიკაცია იქამდე არსებულ 56 მილიონამდე მომხმარებლებთან მიმართებით. შესაბამისად, უკვე დარეგისტრირებულ მომხმარებლებს ცვლილებები არ შეეხოთ. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ კომპანიამ წაშალა ძველი მომხმარებლის პროფილი, მას არ წაუშლია ის მასალა, რაც ამ მომხმარებლების მიერ უკვე იყო ატვირთული აპლიკაციაში (ამასთან დაკავშირებით სამასამდე მშობელმა გამოთქვა პროტესტი ჯერ კიდევ 2016 წლის სექტემბრისთვის). („რამდენად უსაფრთხოა თქვენი საყვარელი აპლიკაცია?», 2021)

ვინაიდან მსგავს აპლიკაციებს ხშირად წვდომა აქვთ იმაზე მეტ ინფორმაციაზე, ვიდრე ამის შესახებ თანხმობას აძლევს მომხმარებელი, აშშ-ში დაიწყო საუბარი იმაზეც, ხომ არ იყენებს აპლიკაციით შეგროვებულ ინფორმაციას ჩინეთი. მითუმეტეს, რომ Tik-Tok-ის ამერიკაში მცხოვრებ პირთათვის განკუთვნილი უსაფრთხოების პოლიტიკის თანახმად, აპლიკაცია ავტომატურად აგროვებს სხვადასხვა ინფორმაციას - IP მისამართები, გეოლოკაცია, უნიკალური მადენტიფიცირებლები (“unique device identifiers”), ინტერნეტ ბრაუზერისა და ძებნის ისტორია (ასევე ის ინფორმაცია, რაც მომხმარებელმა ნახა პლატფორმის მეშვეობით) და “Cookies” ფაილები. ვინაიდან გაჩნდა ეჭვი ჩინეთის მიერ ზემოაღნიშნული მონაცემების სადაზვერვო მიზნებისთვის გამოყენების შესახებ, აშშ-ში ოფიციალურ დონეზე დაიწყო საუბარი იმაზე, რომ სახელმწიფო მოხელეებს მიეცეთ პირდაპირი მითითება, არ გამოიყენონ აპლიკაცია. („რამდენად უსაფრთხოა თქვენი საყვარელი აპლიკაცია?», 2021)

- 2) დიდი ბრიტანეთი - აპლიკაციას ასევე სწავლობს დიდი ბრიტანეთის პერსონალურ მონაცემთა საზედამხედველო ორგანო, რომლის განცხადებითაც „ტიკ-ტოკი“ დიდი ალბათობით შესაძლოა არღვევდეს GDPR-ს, რომელიც კომპანიებისაგან მოითხოვს სხვადასხვა სერვისს და დაცვის ღონისძიებას ბავშვებისთვის. ბრიტანეთის საზედამხედველო ორგანო დაინტერესდა იმითაც, არის თუ არა შესაძლებელი, უცხო პირი მიერ არასრულწლო-ვნებთან პირდაპირ კონტაქტზე გასვლა და მიმოწერა, რაც შესაძლოა გარკვეული საფრთხეების შემცველი იყოს. („რამდენად უსაფრთხოა თქვენი საყვარელი აპლიკაცია?», 2021)

მამასამადე, მომხმარებელთა დიდი რაოდენობისდა მიუხედავად, რომლის უდიდეს ნაწილს არასრულწლოვნები შეადგენენ, აპლიკაციის სამართლებრივი რეგულაციები სრულყოფილად ვერ პასუხობს ყველა გამოწვევას. მიუხედავად იმისა, რომ გლობალური

პანდემია დასრულდა, „ტიკ-ტოკის“ პოპულარობა დღითიდღე იზრდება და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის აქტუალურ პრობლემად რჩება. აუცილებელია, ქვეყნებმა გაიზიარონ უკვე არსებული საერთაშორისო პრაქტიკა და აჩვენონ მზადყოფნა თავიანთი მოქალაქეების ინტერესების დასაცავად. მოწოდება აპლიკაციის გამოყენების შეჩერების თაობაზე არ უნდა ჩაითვალოს საკითხისადმი სწორ მიდგომად, რამეთუ ციფრულ ეპოქაში სოციალური ქსელებისაგან სრული იზოლაცია ფაქტობრივად შეუძლებელია.

დასკვნა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, (European Convention on Human Rights, 1950) პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლება ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლისა და მიმოწერის პატივისცემის უფლების ნაწილია. ევროკავშირის კანონმდებლობის თანახმად, მონაცემთა დაცვა აღიარებულია დამოუკიდებელ ფუნდამენტურ უფლებად და მას განამტკიცებს ხელშეკრულება ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ (ასოცირების ხელშეკრულება) და ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტია. ეს უკანასკნელი არა მხოლოდ განამტკიცებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებას, არამედ განსაზღვრავს მასთან დაკავშირებულ ძირითად ღირებულებებსაც. ქარტიის თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დამუშავება უნდა იყოს სამართლიანი, ხორციელდებოდეს კონკრეტული მიზნებით, შესაბამისი პირის თანხმობით ან ლეგიტიმური საფუძვლით, რომელსაც ადგენს კანონმდებლობა. ადამიანებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ თავიანთ პერსონალურ მონაცემებზე და ჰქონდეთ მათი გასწორების შესაძლებლობა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებასთან შესაბამისობას კი აკონტროლებდეს დამოუკიდებელი ორგანო. („მონაცემთა დაცვის ევროპული სასამართლოს სახელმძღვანელო», 2018)

მსოფლიო საზოგადოება სულ უფრო და უფრო მეტად ხდება დამოკიდებული ციფრულ სამყაროზე. ასეთი ცვლილებების ფონზე, ტექნოლოგიური განვითარების ტემპი და პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ფორმები თითოეულ ჩვენგანზე ყოველდღიურად ახდენს გავლენას სხვადასხვა სახით. 21-ე საუკუნეში არსებულმა ტექნოლოგიურმა პიკმა, მნიშვნელოვანი გახდა მომხმარებელთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და კონფიდენციალობის უფლების დაცვა. უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, ელექტრონული კომუნიკაციების ოპერატორებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პერსონალურ მონაცემებზე წვდომა ჰქონდეთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს და მიიღონ ზომები ამგვარ მონაცემთა განადგურების, დაკარგვის ან შემთხვევით დაზიანების თავიდან ასაცილებლად (დირექტივა პირადი ცხოვრებისა და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ). განსაკუთრებული რისკი, საზოგადოებრივი კომუნიკაციის ქსელის უსაფრთხოების დარღვევის მხრივ, ოპერატორებმა მომხმარებლებს უნდა შეატყობინონ (დირექტივა პირადი ცხოვრებისა და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ). თუ გატარებული უსაფრთხოების ზომების მიუხედავად მაინც დაირღვევა მონაცემთა უსაფრთხოება, ოპერატორებმა ეს უნდა აცნობონ

უფლებამოსილ ადგილობრივ ორგანოებს, რომელთაც ევალებათ დირექტივის დანერგვა და აღსრულება. ამასთან ერთად, აუცილებელია, რომ ნებისმიერი ციფრული ტექნიკისა თუ ინტერნეტ პლათფორმის გამოყენებისას, მომხმარებელი გაეცნოს აპლიკაციის/ტექნიკის წესებსა და პირობებს, Privacy Policy-ს გაიაზროს, თუ რა ზიანი შეიძლება მოუტანოს მათ მიერ მისი პერსონალური მონაცემების გამოყენებამ, ეჭვის შეტანისას კი დაუყოვნებლივ წაშალოს აპლიკაცია/პირადი მონაცემები, მისწეროს ადმინისტრაციას ან დახმარებისათვის მიმართოს უფლებამოსილ ადგილობრივ ორგანოს.

გამოყენებული ლიტერატურა

საქართველოს კანონი „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“.

ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის (15/11/2023)

დირექტივა პირადი ცხოვრებისა და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ

მონაცემთა დაცვის ევროპული სასამართლოს სახელმძღვანელო (2018)

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური - „რა არის ჩემი პერსონალური მონაცემი?“

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური - „რამდენად უსაფრთხოა თქვენი საყვარელი აპლიკაცია?“

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური - „რას ნიშნავს პერსონალური მონაცემების დამუშავება?“

„პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“.

არჩუაძე, თ., „პერსონალურ მონაცემთა დაცვის გარანტიები, მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე ინფორმაციის დამუშავებისას“, 2016.

სხირტლაძე, ნ., „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლებრივი ასპექტები“ თბ., 2017, გამომცემლობა „GIZ“.

გოშაძე, კ., „პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და დამუშავების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიები“, სადისერტაციო ნაშრომი, 2017, გვ. 94

ევროპის საბჭო, European Convention on Human Rights, CETS No. 005, 1950

Solove, D., Conceptualizing Privacy, ჟ. California Law Review, 2002, Issue 4, გვერდი 1093

პერსონალური მონაცემები და მისი დამუშავების სამართლებრივი საფუძვლები, 22/06/2020

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ელჩების პროექტი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხები - ესეების კრებული“

ხონელიძე, მ., „სოციალური ქსელების გავლენა ადამიანის ფსიქიკაზე“, (14/02/2014)

პერსონალურ მონაცემთა დაცვის აპარატი - „რეკომენდაციები ინტერნეტ სივრცეში მონაცემთა დაცვის შესახებ“

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) - „როგორ დავიცვათ პირადი უსაფრთხოება Facebook-ში?“ <https://idfi.ge/ge/guide/view/cybersecurity> ივლისი, 2017.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის აპარატი - რეკომენდაციები ინტერნეტ სივრცეში მონაცემთა დაცვის შესახებ, www.personaldata.ge

როგორ დავიცვა ჩემი პირადი მონაცემები სოციალურ ქსელში? ინსტრუქცია როგორ დავიცვა ჩემი პირადი მონაცემები სოციალურ ქსელში? ინსტრუქცია | imedinews (21/03/2018)

სულმანიძე, მ., „ყველაფერი, რაც TikTok- ის შესახებ უნდა იცოდეთ“, (22/05/2020)

TikTok: the Italian DPA calls for an EU taskforce (24/01/20) <https://www.garanteprivacy.it/web/guest/home/docweb/-/docweb-display/docweb/9249681>

TikTok Privacy Policy (22/03/2024) <https://www.tiktok.com/legal/page/row/privacy-policy/en>

Austrian OGH asks CJEU if Facebook “undermines” GDPR since 2018 BREAKING: Austrian OGH asks CJEU if Facebook “undermines” GDPR since 2018 (noyb.eu) (20/07/2021)

Alexander, J., TikTok will pay \$5.7 million over alleged children’s privacy law violations, (27/02/2019)

Lanza, F., The Cambridge Analytica Scandal (explained), (04/06/2020)

Waite, S., Facebook and Cambridge Analytica Data Scandal: Online Privacy is a Shared Responsibility, (26/04/2020)

“Consumerism”. Britannica Concise Encyclopedia Online. 2008

GDPR Hub - Data Protection In Germany https://gdprhub.eu/Data_Protection_in_Germany

Barrera, E., - Data Protection In the USA <https://www.alliuris.org/data-protection-in-the-usa/>

GDPR Hub – Data Protection In France https://gdprhub.eu/Data_Protection_in_France,

Data Protection In Sweden https://gdprhub.eu/Data_Protection_in_Sweden

GDPR Hub – Data Protection In Sweden https://gdprhub.eu/Data_Protection_in_Sweden

უღირს მემკვიდრესთან დაკავშირებული ბუნდოვანი საკანონმდებლო რეგულაციები ქართულ საოჯახო და მემკვიდრეობით სამართალში

ქეთევან გუგუშვილი, გვანცა კვაჭაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

კანონმდებლობა იმ პირებთან ერთად, რომლებსაც აქვთ მემკვიდრეობის უფლება, ასევე განსაზღვრავს იმ სუბიექტთა წრესაც, რომლებიც არც კანონით და არც ანდერძით შეიძლება იყვნენ მემკვიდრეები. ამგვარი სუბიექტები მემკვიდრეობით სამართალში უღირს მემკვიდრეებად მიიჩნევიან. აქედან გამომდინარე, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი იცნობს უღირსი მემკვიდრის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის ცნებას და ყურადღებას ამახვილებს იმ ასპექტებზე, რომლებიც მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის წინაპირობას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ უღირსი მემკვიდრისთვის უფლების შეზღუდვა, თავის მხრივ, მამკვიდრებელს თავისუფალი ნების გამოხატვისა და საკუთარი შეხედულებისამებრ მოქმედების შესაძლებლობას აძლევს. მამკვიდრებლის უფლების დაცვა და თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობის მინიჭება კანონმდებლობის ერთ-ერთი მთავარი პრეროგატივაა. სამწუხაროდ, დღევანდელ რეალობაში ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც პირი საკუთარი ქმედებით ირიბად თუ პირდაპირ ზემოქმედებს მამკვიდრებელზე, მის ნება-სურვილზე, ჩადის განზრახ დანაშაულს. ამის მიუხედავად, ზოგჯერ ზუსტად ვერ დგინდება, ჩადენილი ქმედებიდან გამომდინარე, უნდა ჩამოერთვას თუ არა პირს მემკვიდრეობის უფლება, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსში ბუნდოვნად არის მოწესრიგებული უღირს მემკვიდრედ აღიარების საფუძვლები. სტატიის მიზანია წარმოაჩინოს ჩვენ მიერ განსახილველ საკითხთან დაკავშირებული საკანონმდებლო პრობლემები და თავისებურებანი, გამოკვეთოს სუბიექტის უღირს მემკვიდრედ აღიარების წინაპირობები, განმარტოს და შეაფასოს მოცემული ინსტიტუტის სამართლებრივი რეგულირება. შესაბამისად, სტატიაში სხვადასხვა წყაროებსა და სასამართლო გადაწყვეტილებებზე მსჯელობით განხილულია ის რელევანტური საკითხები, რომლებიც ძირეულად იკვლევენ უღირს მემკვიდრედ აღიარების სპეციფიკას და მასთან დაკავშირებულ თანმდევ პროცესებს.

საკვანძო სიტყვები: მემკვიდრე, ანდერძი, მამკვიდრებელი, უფლება.

Abstract

The law recognizes the rights of those who possess property and also delineates the individuals who cannot acquire ownership, either through legal means or otherwise. These individuals are acknowledged

as having interests in property matters. Consequently, family and property law acknowledge the property interests of unworthy heirs and emphasize the legal system's focus on defining the precedence of such interests. It's important to recognize that restricting property rights for unworthy heirs allows testator the right and opportunity to exercise their freedom of choice and personal discretion in decision-making. safeguarding the testator's rights and facilitating their free decision-making are fundamental aspects of legal practice. Unfortunately, there are instances in contemporary reality where individuals, through their action or directly, place undue burdens on the testator. Determining whether such actions constitute negligence can be challenging. The aim of this article is to address the legal issues and relationships pertinent to our discussed topic, to examine the priorities of unworthy heirs' property interests, and to analyze and assess the regulatory framework of the relevant institution. Through this lens, the article explores various sources and court rulings on relevant matters, providing an extensive examination of the legal aspects of unworthy heirs and the associated processes.

Keywords: Testator, Will, Heir, Right.

შესავალი

კაცობრიობის განვითარებისა და საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესმა დააჩქარა მემკვიდრეობის ინსტიტუტის განვითარება. დღევანდელ რეალობაში მემკვიდრედ ყოფნის უფლება თავისი არსით კონსტიტუციითა უზრუნველყოფილი, თუმცა იგი არ არის შეუზღუდავი. ქართული საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი მემკვიდრეობის ორ სახეს იცნობს - კანონით და ანდერძით მემკვიდრეობას. ამის მიუხედავად არსებობენ ისეთი პირები, რომლებიც მათ მიერ ჩადენილი ქმედებიდან გამომდინარე ვერ გახდებიან მემკვიდრეები. საოჯახო სამართალი მათ უღირს მემკვიდრეთა სახელით იცნობს და სამოქალაქო კოდექსში ჩამოთვლის პირის უღირსად აღიარების წინაპირობებს. წინამდებარე ნაშრომის მიზანია პრაქტიკულ მაგალითებსა და სასამართლო გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით ნათლად წარმოაჩინოს სსკ-ს 1310-ე მუხლთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები, განმარტოს და სათითაოდ განიხილოს უღირს მემკვიდრედ აღიარების საფუძვლები, ცალკე გამოყოს განზრახი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მემკვიდრის უფლებრივი მდგომარეობის ასპექტები, სხვა ქვეყნების საკანონმდებლო მოწესრიგებაზე დაკვირვებით ხაზგასმით გამოკვეთოს ის ბუნდოვანი საკითხები, რომლებიც ნორმის არასწორი ინტერპრეტირების პირობებზე გვეკვლინებიან და დაადგინოს რა მიზნით მოქმედებდა კანონმდებელი ნორმის ბუნდოვნად ჩამოყალიბებისას - სურდა განზრახი დანაშაულის ჩადენის მიუხედავად დაეცვა მემკვიდრის უფლებები თუ უბრალოდ ვერ მოახერხა ნორმის მკაფიოდ, გასაგებად ჩამოყალიბება და კონკრეტული მუხლი კანონმდებლობის ხარვეზად უნდა იქნას მიჩნეული. ეს ის საკითხებია, რომლებზეც ერთგვაროვანი პასუხი არ არსებობს და უღირსი მემკვიდრედ აღიარების საფუძვლები ხშირად დავის საგანსაც წარმოადგენს, თუმცა ჩვენ მიერ განხილულ რეფერატში შევეცდებით არგუმენტირებულ მსჯელობაზე დაყრდნობით გავაანალიზოთ თითოეული

საკვანძო საკითხი და წარმოვაჩინოთ ჩვენეული ხედვა აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით.

ლიტერატურის მიმოხილვა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საქართველოს პარლამენტმა 1997 წლის 26 ივნისს მიიღო. დღევანდელი რედაქციით კოდექსი 6 წიგნისგან შედგება და მემკვიდრეობით სამართალს სწორედ მეექვსე წიგნი აწესრიგებს. კერძოდ 1310-ე მუხლი განსაზღვრავს უღირს მემკვიდრედ გახდომის საფუძვლებს.

შალვა ჩიკვაშვილის „მემკვიდრეობის სამართალი“ ყურადღებას ამახვილებს მემკვიდრეობის სამართლის პრობლემატურ საკითხებზე და წარმოადგენს ამ საკითხთა ფუნდამენტალურ ანალიზს. მასში გადმოცემულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა: ზოგადად მემკვიდრეობის ცნება, მემკვიდრეობის სუბიექტები და ობიექტები, მემკვიდრეობის სახეები, სავალდებულო წილი და ა.შ. თუმცა ასევე ჩვენ მიერ გამოყენებულ წყაროში ცალკეა გამოყოფილი უღირს მემკვიდრესთან დაკავშირებული საკანონმდებლო საკითხები და კარგადაა განხილული მასთან დაკავშირებული თითოეული პრობლემა.

პროფესორი ზ. ახვლედიანი „მემკვიდრეობის სამართალში“ არგუმენტირებული მსჯელობის საფუძვლზე განიხილავს მემკვიდრეობით სამართალთან დაკავშირებულ სამართლებრივ რეგულირებას, ყურადღებას ამახვილებს სსკ-ს 1310-ე მუხლზე და აღნიშნავს, რომ კანონში პირდაპირ არის მითითებული, თუ როდის შესაძლოა პირს ჩამოერთვას მემკვიდრეობის უფლება. ნაშრომში გადმოცემულია ავტორისეული ხედვა მემკვიდრეობის ჩამორთმევასთან დაკავშირებით და იგი განხილულია სამართლებრივ ჭრილში.

ნინო ძნელაძის „უღირსი მემკვიდრეები“- ჩვენ მიერ წყაროდ გამოყენებული ნაშრომი აგებულია უღირსი მემკვიდრის ინსტიტუტთან დაკავშირებულ საკითხებზე, მასში დეტალურადაა განხილული მემკვიდრეობის ჩამორთმევასთან დაკავშირებული საკითხები, განზრახ მკვლევობასთან დაკავშირებული ქართული სამართლებრივი რეგულირება და სხვ.

დავით აბესაძის „სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, მემკვიდრეობის ჩამორთმევასთან დაკავშირებული ბუნდოვანი საკანონმდებლო ლიტერატურა“

გამოცემულია 2011 წელს და მისი მიზანია სტუდენტთა იურიდიული განათლების გაუმჯობესება, პრობლემური საკითხების ძირეული გამოკვლევა და ანალიზი. ჟურნალში ყურადღება გამახვილებულია ისეთ აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც საკითხის სხვადასხვა კუთხით დანახვისა და პრობლემის გადაჭრის რამდენიმე გზის განხილვის შესაძლებლობას იძლევა. დავით აბესაძე კონკრეტულად ამახვილებს ყურადღებას უღირს მემკვიდრესთან დაკავშირებული ბუნდოვანი საკანონმდებლო რეგულაციებზე ქართულ

მემკვიდრეობით სამართალში და უღირს მემკვიდრედ აღიარების საფუძვლებზე მისეულ ხედვას გვთავაზობს.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი 3.2339- ქართული სამართლის სისტემა გერმანული სამართლის დებულებებს იზიარებს, თუმცა არსებობს მათ შორის განსხვავებები. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 2339-ე პარაგრაფი ზუსტად ჩამოთვლის საფუძვლებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში პირი უღირს მემკვიდრედ იქნება აღიარებული, რაც ამარტივებს იმის დადგენას, უნდა გამოცხადდეს თუ არა სამკვიდროს მიმღები უღირსად. გერმანული სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი პარაგრაფის შედარება სსკს-1310-ე მუხლთან შესაძლებლობას გვაძლევს გამოვკეთოთ ქართული სამართლის სისტემაში არსებული საკანონმდებლო ხარვეზები.

BVerfGE, Urteil vom 15. Januar 1958, Band 7, 215 - სტატიაში ყურადღება გამახვილებულია განზრახვისა და ამორალურობის ცნების შესახებ და აღნიშნულია, რომ ამორალურობის ცნება ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვაგვარად იყო აღქმული, ამიტომ ამორალურ ქმედებად სხვადასხვა სახის მოქმედება თუ უმოქმედობა შესაძლოა იყოს განხილული.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარის მეხუთე წიგნის მიზანს წარმოადგენს კოდექსის მუხლების სტრუქტურული განხილვა იურუდიული ლიტერატურისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განხილვის საფუძველზე. ნაშრომში ასახულია სამოქალაქო კოდექსის მუხლების ფუნდამენტური განხილვა არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე, რაც აადვილებს მუხლის შინაარსის გაგებასა და სწორად აღქმას მკითხველის მიერ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლი - აღნიშნული მუხლი ყურადღებას ამახვილებს განზრახვაზე, კერძოდ კი განმარტავს პირდაპირი და

არაპირდაპირ განზრახვას. განზრახვის დადგენა აუცილებელია, რათა გაირკვეს მემკვიდრე აღიარებული უნდა იქნას თუ არა უღირსად.

Гачрижчяпнгген лрапе, Апяерчкдм кеввнкядп- მოცემულ ნაშრომში განხილულია რუსეთის ფედერაციის მიდგომა მემკვიდრეობის ჩამორთმევასთან დაკავშირებით და აღარებულია ის შეხედულება, რომ განზრახი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მემკვიდრე აუცილებლად უნდა გამოცხადდეს უღირსად.

Сергеев А. П., Толстой Ю. К., Гражданское право, М-წყაროდ გამოყენებული ნაშრომში ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ პირებზე, რომლებიც განზრახი, ამორალური ქმედების ჩადენის მიუხედავად არ ჩაითვლებიან უღირს მემკვიდრეებად. ესენი არიან: 14 წელს მიუღწეველი პირები და მხარდაჭერის მიმღებნი.

„უღირს მემკვიდრედ აღიარება და მემკვიდრეობითსამართლებრივი სანქციები სავალდებულო წილის მემკვიდრის მიმართ, დბერეკაშვილი“ - ნაშრომში ავტორი საუბრობს მემკვიდრეობის ჩამორთმევის საფუძვლებზე და ყურადღებას ამახვილებს

განზრახ ჩადენილ ქმედებაზე , ავტორისეული ხედვით პირი,რომელიც ჩადის განზრახ დანაშაულს მამკვიდრებლის მიმართ აღიარებული უნდა იქნას უღირსდ მიუხედავად მისი მიზნისა თუ მოტივისა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო, და სხვა კატეგორის საქმეებზე 2010წ, #7 - გადაწყვეტილებები ეხება მემკვიდრეობით სამართალთან დაკავშირებულ სასამართლო პრაქტიკასა და მიღებულ გადაწყვეტილებებს.

ე. შენგელია. და რ. შენგელია - მემკვიდრეობის სამართალი ,გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი ,2007-ახალმა კანონმდებლობამ აუცილებელი გახადა მემკვიდრეობითი სამართლის საკითხების ახლებურად გადაწყვეტა და განხილვა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება რომან და ეკატერინე შენგელიების წიგნი. ნაშრომში მთლიანად ეფუძნება მემკვიდრეობი სასამართლის საკითხების განხილვას და მათ სამართლებრივ ჭრილში მოწესრიგებას. წიგნში იურიდიულ ლიტერატურაზე დაყრდნობით ზუსტადაა გადმოცემული ქართულ მემკვიდრეობით სამართალთან დაკავშირებული ყველა ძირითადი სამართლებრივი საკითხი. მას თან ერთვის კაზუსები, ნიმუშები, რომლებიც ადვილებენ საკითხის აღქმას. ნაშრომში დანართების სიმრავლე განაპირობა მემკვიდრეობის წვრილმანი საკითხების ჩვენების სურვილმა.

I თავი ანდერძის ცნება

სიტყვა „ანდერძი“ სპარსული ენიდან წარმოიშობა და პირის უკანასნელ ნებას ნიშნავს შესაბამისად ანდერძი მამკვიდრებლის უკანასკნელი ნების გამოვლენის ყველაზე ოპტიმალური საშუალებაა, ვინაიდან მისი საშუალებით დგინდება თურაში გამოიხატებოდა მოანდერძის საბოლოო სურვილი. აქედან გამომდინარე ლოგიკურია, რომ მამკვიდრებელს არ შეუძლია სხვას მიანდოს მემკვიდრის დასახელება, რადგან ამ შემთხვევაში ანდერძის არსი გაუფასურდება. ვინაიდან და რადგანაც სწორედ მამკვიდრებლის ნებაზეა დამოკიდებული ვის უნდა ერგოს მისი ქონება, გასაკვირი არაა, რომ მოანდერძესვე შეუძლია მემკვიდრეობა ჩამოართვას კანონით მემკვიდრეებს. იგი არ არის ანდერძში მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც მემკვიდრეობის ჩამორთმევის საფუძველი გახდა. შესაბამისად კანონი იმ პირებთან ერთად რომლებსაც აქვთ მემკვიდრეობის უფლება ასახელებს იმ პირთა წრესაც, რომლებსაც არ შეუძლიათ ამ უფლებით სარგებლობა (შენგელია და შენგელია 2007, გვ.51-52).

1.1 უღირს მემკვიდრედ აღიარების წინაპირობები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1310-ე მუხლიდან გამომდინარე „არც კანონით და არც მემკვიდრე არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც განზრახ ხელს უშლიდა მამკვიდრებელს მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში და ამით ხელს უწყობდა თავისი ან მისი ახლობელი პირების მოწვევას მემკვიდრეებად ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდას, ანდა ჩაიდინა განზრახი დანაშაული ან სხვა ამორალური საქციელი მოანდერძის მიერ ანდერძში

გამოთქმული უკანასკნელი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ, თუ ეს გარემოებანი დადასტურებული იქნება სასამართლოს მიერ.” (სამოქალაქო კოდექსი).

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვყოთ უღირს მემკვიდრედ აღიარების საფუძვლები:
1. მემკვიდრის მიერ განზრახ ხელის შეშლა მამკვიდრებლის მიერ მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში; 2. განზრახი დანაშაულის ჩადენა ან სხვა ამორალური ქმედება, რომელიც მიმართულია მამკვიდრებლის ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ; (სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, მემკვიდრეობის ჩამორთმევასთან დაკავშირებული ბუნდოვანისაკანონმდებლო რეგულაციები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით 2014, დავით აბესაძე, გვ-8).

„განზრახ ხელის შეშლა“ შესაძლოა სხვადასხვა ალტერნატიული ქმედებით გამოიხატოს, კერძოდ, მნიშვნელოვანი ფაქტების დამალვით, რომელსაც შეეძლო გავლენა ჰქონოდა მამკვიდრებლის ნება-სურვილზე, ან თუნდაც უშუალოდ ანდერძის შედგენაში ხელის შეშლით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბილისი, 2000, 366-367). ამ შემთხვევაში პირი უნდა აცნობიერებდეს ქმედების სიმძიმეს მოსალოდნელი შედეგის მიმართ, თუმცა, საკითხის პრობლემურობა გამომდინარეობს იქიდან, რომ ხშირად გაუგებარია რა იგულისხმება სხვა ამორალურ საქციელსა თუ განზრახ დანაშაულში მამკვიდრებლის ნება-სურვილის წინააღმდეგ. ამორალურ ქმედებად ცივილიზაციის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული მოქმედებები ითვლებოდა, ამიტომ დღევანდელ რეალობაში შესაძლებელია „ამორალურობის“ სხვადასხვაგვარი ინტერპრიტირება. (BVerfGE, Urteil vom 15. №208>, [12.03.2019]).

იმისათვის, რომ უფრო გასაგები გახდეს თუ რა შემთხვევაში შეიძლება პირი უღირს მემკვიდრედ იქნეს აღიარებული, აუცილებელია თითოეულ წინაპირობათა სამართლებრივ ჭრილში განხილვა და ანალიზი:

პირველ რიგში სახეზე უნდა იყოს განზრახი დანაშაული- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად: „განზრახ დანაშაულად ითვლება ქმედება, რომელიც ჩადენილია პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით.“ (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მე-9 მუხლი). ამ მუხლის ანალიზიდან გამომდინარე ვასკვნით, რომ გაუფრთხილებლად ჩადენილი ქმედების მიუხედავად, რომელმაც თუნდაც მონადერძის გარდაცვალება გამოიწვია, მემკვიდრე მაინც მიიღებს სამკვიდროს (ჩიკვაშვილი, 2011, გვ. 24). რაც შეეხება განზრახ დანაშაულს, მაგალითად მკვლელობას, ჩადენილს მამკვიდრებლის მიმართ, სხვადასხვა გამოსმაურება მოჰყვა ქართულ სამართლებრივ პრაქტიკაში, რომელზეც საუბარი უფრო ვრცლად ქვევით გვექნება.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უღირს მემკვიდრედ არ ჩაითვლებიან 14 წელს მიუღწეველი და ასევე მხარდაჭერის მიმღები პირები, ვინაიდან, მათ მიუხედავად მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისა, მოცემულ მომენტში არ შეეძლოთ გაეცნობიერებინათ ქმედების სიმძიმე. (Сергеев А. П., Толстой Ю. К., М., 2006, 641.). ჩვენი აზრით, მოცემული დანაწესი სამართლიანია, ვინაიდან ზემოთხსენებული პირებს შეუძლებელია

პასუხისმგებლობა დავაკისროთ იმ ქმედებისთვის, რომელიც ფსიქოლოგიურად არც კი ჰქონდათ გააზრებული და ვერ აცნობიერებენ მათი ქმედებიდან გამოწვეულ თანმდევ მძიმე შედეგებს.

საინტერესოა, რომ 1310-ე მუხლში საუბარია უშაუალოდ განზრახ დანაშაულზე, აქედან გამომდინარე უღირსად არ ითვლება ის მემკვიდრე, რომლის გაუფრთხილებლობით ჩადენილი ავტოავარიის შედეგად გარდაიცვლება მამკვიდრებელი, თუმცა, რა თქმა უნდა, თუკი პირი განზრახ მოქმედებდა იგი დამნაშავედ იქნება აღიარებული და ჩამორთმეული ექნება მემკვიდრედ ყოფნის უფლება. მემკვიდრეობის ჩამორთმევის საკითხზე გადაწყვეტილებას მხოლოდ სასამართლო იღებს და გადაწყვეტილებაში იმ გარემოებებზე უთითებს, რომელიც მემკვიდრეობის ჩამორთმევის საფუძველი გახდა. აქვე აღსანიშნავია, რომ სასამართლო ასეთ საკითხებს განიხილავს არა ნებისმიერი, არამედ მხოლოდ იმ პირის საფუძველზე, რომლისთვისაც უღირსი მემკვიდრისთვის მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა კონკრეტულ ქონებრივ შედეგებს იწვევს. რაც შეეხება სარჩელის წარდგენის ვადებს, იგი დაინტერესებულ პირთა მიერ ხუთი წლის განმავლობაში უნდა იქნეს წარდგენილი იმ მომენტიდან, როცა ეს პირი შეუდგა სამკვიდროს ფლობას. აქვე, არ არის იშვიათი ისეთი შემთხვევები, როდესაც მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის საკითხი დღის წესრიგში დგება მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღების შემდეგ. ამ დროს იგი ვალდებულია მიღებული ქონება უკან დააბრუნოს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ვალდებულია განხორციელდეს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. თუმცა, სსკს- 1313-ე მუხლის შინაარსიდანაც ჩანს, თუ როგორი ჰუმანურია კანონმდებლობა უღირსი მემკვიდრის მიმართ, ვინაიდან კანონი უღირსი მემკვიდრისადმი პატიების საშუალებას იძლევა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იგი პირს შეცდომის გამოსწორებისა და მემკვიდრე ყოფნის უფლებას ანიჭებს მას (ჩიკვაშვილი, 2000).

გასაკვირი არაა, რომ ქმედება მართლსაწინააღმდეგო ხასიათის უნდა იყოს, რათა პირი აღიარებულ იქნას უღირს მემკვიდრედ. აგრეთვე სუბიექტის მოქმედებები უნდა ეწინააღმდეგებოდეს მამკვიდრებლის ნება-სურვილს, კერძოდ, შესაძლოა ქმედება გამოიხატოს მამკვიდრებლის იძულებაში, რაც გამოიხატება პირის სასარბებლოდ ანდერძის შედგენაში, იმ ფაქტების დამახინჯება-შეცვლაში, რომელსაც შეუძლია ზეგავლენა იქონიოს მამკვიდრებლის ნება-სურვილზე, ნამდვილი ანდერძის დამალვაში და ა.შ. აგრეთვე აღსანიშნავია ისიც, რომ სუბიექტის ქმედება ხელს უნდა უწყობდეს თავისი ან მისთვის სასურველი პირების მემკვიდრეობად მოწვევას ან თუნდაც წილის გაზრდას სამკვიდროში (უღირს მემკვიდრედ აღიარება და მემკვიდრეობისამართლებრივი სანქციები სავალდებულო წილის მემკვიდრის მიმართ (ბერეკაშვილი, 2019, გვ.22- 23).

1.2. განზრახი მკვლელობა, როგორც უღირს მემკვიდრედ აღიარების საფუძველი

ქართულ სამართალში სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული იმასთან მიმართებით, უნდა ჩამოერთვას თუ არა მემკვიდრეობის უფლება პირს მამკვიდრებლის განზრახ მკვლელობისთვის. ერთი შეხედვით საკითხი მარტივია - 1310-ე მუხლი თითქოს

ამომწურავად განმარტავს, რომ განზრახი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პირს უნდა ჩამოერთვას მემკვიდრეობის უფლება თუკი იგი მამკვიდრებლის უკანასკნელი ნების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა, თუმცა, საინტერესოა, როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი მაშინ, როდესაც პირი დანაშაულს ჩადის არა სამკვიდროს მიღების განზრახვით, არამედ, მაგალითად, შურისძიების მოტივით? როგორია სამართლებრივი რეგულირება იმ დროს, როდესაც პირი არ მოქმედებს ანგარებით. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია დადგინდეს რა მიზნით მოქმედებს მემკვიდრე მკვლელობის ჩადენისას.

ამ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებას გამოთქვამს პროფესორი ზ. ახვლედიანი, რომლის აზრით, კანონი ზუსტად განსაზღვრავს, რომ განზრახი მოქმედება აუცილებლად ჩადენილი უნდა იყოს მიზნით და არა მის გარეშე (ახვლედიანი, 1997. გვ 3.). ჩვენი შეხედულებით, ეს მოსაზრება შესაძლოა მხოლოდ მაშინ იქნება მართებული როდესაც, მაგალითად ანდერძის დამალვას ეხება საკითხი, თუმცა განზრახ მკვლელობა მძიმე დანაშაულია. ამ დროს სხვა უფლებებთან ერთად ხელყოფილია მთავარი- სიცოცხლის უფლება და ვფიქრობთ, რომ არ აქვს მნიშვნელობა ამგვარი მძიმე დანაშაულის ჩადენისას პირი მოქმედებდა სამკვიდროს მიღების მოტივით, თუ რაიმე სხვა მაპროვიცირებელი მოტივი იყო მისი ქმედების განმსაზღვრელი ძალა.

ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთი საინტერესო გადაწყვეტილება არსებობს ქართულ სასამართლო პრაქტიკაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიხედვით პირი განზრახი მკვლელობის ჩადენის მიუხედავად არ იქნა აღიარებული უღირსს მემკვიდრედ, რადგან დანაშაულის ჩადენისას მის მიზანი იყო შურისძიება დაზარალებულთა მიერ დამნაშავის პირადი ნივთების განადგურების გამო. აქედან გამომდინარე, ვინაიდან პირი მკვლელობის ჩადენის მომენტში მოქმედებდა შურისძიების მოტივით და არა სამკვიდროს მიღების მიზნით, რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით არ არსებობდა უღირს მემკვიდრედ აღიარების სამართლებრივი საფუძვლები. რაიონული სასამართლს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოს მიერ იქნა გაზიარებული (საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო, და სხვა კატეგორიის საქმეებზე, #7 (2010)).

აქედან გამომდინარე, თუ ქართულ სასამართლო გადაწყვეტილებებსა და კანონის ზუსტი განმარტების შესაბამისად ვიმსჯელებთ აღმოჩნდება, რომ თუნდაც განზრახი მკვლელობის ჩადენის შემთხვევაში, თუკი მკვლელობა ჩადენილი არ იყო ანგარების მოტივით, მაშინ მემკვიდრეს შეუძლია ისარგებლოს მემკვიდრეობის უფლებით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სასამართლო ასეთ შემთხვევებში საკუთარ გადაწყვეტილებას ანალოგიით, სსკ-ს 98-ე II მუხლით ასაბუთებს, რომელიც ერთგვარად კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარეობს. კერძოდ 98-ე II მუხლით დადგენილია, რომ „თუ პირობის დადგომას არაკეთილსინდისიერად შეუწყო ხელი მხარემ, რომლისთვისაც პირობის დადგომა ხელსაყრელია, პირობა დამდგარად არ ჩაითვლება“. მართალია ეს ნორმა ფართოდ

მოქმედების საშუალებას იძლევა, თუმცა მოსამართლემ შესაძლოა არ გამოიყენოს ანალოგია და უშუალოდ სამართლის ნორმით ხელმძღვანელოს (ბერეკაშვილი).

მოსამართლეს 1310-ე მუხლი ლავირების საშუალებას აძლევს, ვინაიდან აღნიშნული ნორმის ბუნდოვანებიდან გამომდინარე ზუსტად ვერ დგინდება განზრახი დანაშაულის ჩადენისას რა მოტივით უნდა მოძრაობდეს მემკვიდრე უღირსად რომ იყოს მიჩნეული. კანონმდებლის მიერ ნორმის ბუნდოვნად ჩამოყალიბება ართულებს ერთი შეხედვით მარტივი საკითხის გადაწყვეტასა და ჩამოყალიბებას. ჩვენი აზრით, უსამართლობა განზრახი მკვლელობის ჩადენისას დამნაშავის უღირსად აღიარება უშუალოდ მის ქმედების მოტივზე დაყრდნობით. ზნეობრივდამორალურ პრინციპებზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ მარტივი მისახვედრია, რომ დიდი ალბათობით, უშუალოდ გარდაცვლილი ნების საწინააღდეგო იქნებოდა მისივე მკვლელის მემკვიდრედ მოწვევა. თუმცა, ზემოთქმულის მიუხედავად მაინც მიგვაჩნია, რომ საგამონაკლისო შემთხვევებში თუკი დამნაშავემ მკვლელობა ჩაიდინა ბრალის შემამსუბუქებელი გარემოებების არსებობისას, მაგალითად მკვლელობა ჩაიდინა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით (სსკ-113-ე მუხლი) დანაშაულის ჩადენის მიუხედავად შესაძლოა მოწვეული იქნეს მემკვიდრედ და არა იმ დროს, როდესაც მართალია სამკვიდროს მიღების მოტივით არ მოქმედებდა, თუნდაც შურისძიების ან მაგალითად ხულიგნური ქვენაგრძობის მოტივით იმსხვერპლა მამკვიდრებელი.

აქედან გამომდინარე, ჩვენი შეხედულებით, ის აღიარებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, თუკი დამნაშავეს მკვლელობა ანგარების მოტივით არ ჩაუდენია და ამ მიზეზით მიიღებს სამკვიდროს, არის გაუმართლებელი, ვინაიდან მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავე სამკვიდროს მიღების მოტივით არ მოქმედებს, მას კარგად აქვს გააზრებული მის მიერ განხორციელებული ქმედების მიერ გამოწვეული შედეგის სიმძიმე და აცნობიერებს, რომ მამკვიდრებლის გარდაცვალება მისი მემკვიდრედ მოწვევის პირდაპირპროპორციულია.

საინტერესოა თუ როგორ რეგულირდება განსახილველი საკითხი სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივ სისტემებში. განვიხილოთ უღირსი მემკვიდრის სამართლებრივი ანალიზი გერმანულ სამართლებრივ ჭრილში. ყურადსაღებია გერმანული სამოქალაქო კოდექსის 2339-ე პარაგრაფის 1-ელი ნაწილი, რომლის მიხედვით, უღირს მემკვიდრედ აღიარების საფუძველია მემკვიდრის მიერ მამკვიდრებლის მიმართ განზრახი და მართლსაწინააღდეგო ქმედება, ან ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც უუნაროს ხდის მამკვიდრებელს და მას არ შეუძლია ამგვარ მდგომარეობაში გადაწყვეტილების მიღება, საკუთარი სურვილისამებრ მოქმედება. (გერმანული სამოქალაქო კოდექსი) ყველაზე ნათლად უღირსი მემკვიდრეობის თემატიკა გერმანულ სამართალშია მოწესრიგებული. გერმანულ ლიტერატურაში არსებობს ერთი ანდაზა „Blutige hand nimmt krin erbe“- რომლის თანახმად ის ხელები, რომელიც სისხლში არის გასვრილი ვერ მიიღებს მემკვიდრეობას. ზოგ სახელმწიფოს კანონმდებლობაზე დაყრდნობითა და დაკვირვებით შესაძლოა ითქვას, შეიძლება ითქვას, რომ ამ ანდაზას არაერთი ქვეყანა აღიარებს. (ძნელაძე, სამართალი #3, 2002, გვ. 19)

რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის ზუსტად განსაზღვრავს უღირს მემკვიდრედ აღიარების საფუძვლებს და ასაბუთებს, რომ ნებისმიერი მოტივის მიუხედავად, იქნება ეს ანგარება თუ შურისძიება, პირი ნებისმიერ შემთხვევაში მიჩნეული უნდა იყოს უღირსად (Гачрнжчяпннген лрапе, Апяерчкдм кеввнкядп, чя.16-11).

შესაბამისად იკვეთება, რომ სხვა ქვეყნების კანონმდებლობა ჩამოყალიბებულად და ნათლად განსაზღვრავს უღირს მემკვიდრედ აღიარების საფუძვლებს, მაშინ როცა ქართულ სამოქალაქო კოდექსში 1310-ე მუხლი ბუნდოვნადაა მოწესრიგებული. ერთი მხრივ, ყოველივე ეს შესაძლოა კანონმდებლის მიერ ნორმის არასრულყოფილად ჩამოყალიბებას დაკაბრალოთ, ან შესაძლოა მივიჩნიოთ, რომ ნორმა სპეციალურად იქნა ვიწროდ მოწესრიგებული, რათა მოსამართლემ შეძლოს საკუთარი შეხედულებისამებრ კანონის ინტერპრეტირება (რა თქმა უნდა, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე) და შესაძლებელი გახდეს დამნაშავეს ინტერესების გათვალისწინება.

დასკვნა

არგუმენტირებულ მსჯელობაზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ იურიდიულ დოქტრინაში სხვადასხვა მოსაზრება არსებობს უღირს მემკვიდრედ აღიარების საფუძვლებთან დაკავშირებით. ერთნი ამტკიცებენ, რომ განზრახი დანაშაულის ჩადენა არ გამორიცხავს პირის მემკვიდრედ მოწვევას, ხოლო სხვების მოსაზრებით არ აქვს მნიშვნელობა მოტივს - შურისძიების მიზნით ჩადენილი განზრახი მკვლელობა უნდა გამორიცხავდეს სამკვიდროს მიღების შესაძლებლობას. ქართულ სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით უღირს მემკვიდრედ აღიარების საფუძვლებთან დაკავშირებით არსებული, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებული აღნიშნული ნორმა ბუნდოვნადაა მოწესრიგებული მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნებში პირის უღირსად აღიარება მამკვიდრებლის უფლების დაცვის უმნიშვნელოვანესი მექანიზმია. ამ ნორმის მიზანია დამნაშავეს უფლების შეზღუდვით ხელი შეუწყოს მამკვიდრებელს ნება-სურვილის თავისუფლად, დაუბრკოლებლად ჩამოყალიბებასა და შემდგომში მის განხორციელებაში. თუმცა, სამწუხაროდ, ნორმა, რომელიც მამკვიდრებლის უფლების დაცვისკენ უნდა იყოს მიმართული, შესაძლებელს ხდის მოანდერძის მიმართ ჩადენილი განზრახი დანაშაულის მიუხედავად პირის მემკვიდრის მოწვევას, რაც, ჩვენი აზრით, დაუშვებელი და მიუღებელია. საქართველომ უნდა გაიზიაროს უცხოური (მაგალითად: გერმანული) საკანონმდებლო პრაქტიკა და მასზე დაყრდნობით შექმნას მამკვიდრებლის დაცვის ჩამოყალიბებული, სამართლიანი, საყოველთაოდ აღიარებული და მიღებული მექანიზმი. ჩვენ მიერ მომზადებულ ნაშრომში შევეცადეთ მაქსიმალურად დაგვეფიქსირებინა საკუთარი აზრი თითოეულ საკვანძო საკითხთან დაკავშირებით, საფუძვლიანად განგვეხილა უღირს მემკვიდრესთან დაკავშირებული ბუნდოვანი საკანონმდებლო რეგულაციები ქართულ მემკვიდრეობით სამართალში და საერთო ჯამში მკაფიოდ დაგვეფიქსირებინა ჩვენი შეხედულება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1310-ე მუხლით გათვალისწინებულ ნორმასთან დაკავშირებით

გამოყენებული ლიტერატურა

- აბესაძე, დ. (2014) სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, მემკვიდრეობის ჩამორთმევასთან დაკავშირებული ბუნდოვანი საკანონმდებლო ლიტერატურა.
- ახვლედიანი, ზ. (1997). მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი
- ბერეკაშვილი, დ. (2019). უღირს მემკვიდრედ აღიარება და მემკვიდრეობის სამართლებრივი სანქციები სავალდებულო წილის მემკვიდრის მიმართ, თბილისი
- გერმანული სამოქალაქო კოდექსი 2399-ე პარაგრაფი
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი - მუხლი 1310
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი - მუხლი 98 II
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო, და სხვა კატეგორიის საქმეებზე, #7 (2010)
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მე-8 მუხლი
- შენგელია. ე და შენგელია. რ (2007). მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი
- ჩიკვაშვილი შ., მემკვიდრეობის სამართალი, თბ., (2011)24
- ძნელაძე, ნ. (2002) უღირსი მემკვიდრეები, სამართალი #3
- ჭანტურია. ლ. (2000) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბილისი
- BVerfGE, Urteil vom 15. Januar 1958, Band 7, 215
- Сергеев А. П., Толстой Ю. К., Гражданское право, М., (2006) 641
- Гачрнжчяпнгген лрапе, Апяерчкдм кеввнкядп, чя.16-11

ტრადიციული მედიის ტრანსფორმაცია ციფრულ ეპოქაში (საქართველოს მაგალითი)

გურამ აბაშიძე

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ჩვენს ეპოქაში ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ მნიშვნელოვნად გაამარტივა კომუნიკაცია, ისევე როგორც სხვა სფეროებში, მედიასივრცეშიც ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა და მასზედ მორგება უმნიშვნელოვანეს ატრიბუტად იქცა, ვინაიდან ციფრული ტექნოლოგიების მომხმარებელთა რიცხვი ძალიან დიდია და ეს რაოდენობა დღითიდღე უფრო მატულობს. შესაბამისად ტრადიციული მედიის ციფრულ ეპოქაზე მორგება დიდ მნიშვნელობას იძენს.

ამ ნაშრომში განხილულია ტრადიციული მედიის ციფრულ ეპოქაში ტრანსფორმაციის პროცესი, ტენდენციები და გამოწვევები, გამოკვლეულია პროცესის მიმდინარეობა და შედეგები.

კვლევის მიზანს წარმოადგენს ტრადიციული მედია ორგანოების ციფრულ სივრცეში ტრანსფორმაციის მნიშვნელობის განსაზღვრა და იმ შედეგების შესწავლა, რაც შეიძლება გამოიწვიოს ამ პროცესზე ჩამორჩენამ. ასევე კვლევის მიზანია ციფრულ ეპოქაზე მორგებული თუ ვერ მორგებული ტრადიციული მედია ორგანოების შედარებითი ანალიზი, გავლენების ასახვა მათ რეიტინგზე და მედია სივრცეში აუდიტორიის მოზიდვაში აღნიშნული პროცესის როლის განსაზღვრა. ამ ყველაფრისთვის ჩავატარეთ თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევა წინასწარ განსაზღვრულ აუდიტორიაზე, რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ჩავატარეთ ელექტრონული ფორმის კითხვარი (გამოვიკითხეთ 300-ამდე 16 წლის ზემოთ, ადამიანი) საიდანაც დავადგინეთ ციფრული და ტრადიციული მედიის გამოყენების, ნდობისა და უპირატესობების სტატისტიკა. თვისებრივი კვლევის მეთოდით გამოვიკითხეთ ტრადიციული მედია ორგანოების ხელმძღვანელები და წარმომადგენლები (ჟურნალისტები). აღნიშნული კვლევების შედეგად გამოიკვეთა საკმაოდ საინტერესო სურათი, რაც ნაშრომში დეტალურადაა წარმოდგენილი.

ეს ნაშრომი ტრადიციული მედიის ციფრულ ეპოქაში ტრანსფორმაციის პროცესში, თავისი შედეგებით გვისახავს, საქართველოში არსებულ საერთო სურათს, რაც თავის წვლილს შეიტანს აღნიშნული პროცესის მნიშვნელობის აღქმის საკითხში და ტრადიციული მედია ორგანოებსა და მათ წარმომადგენლებს მოუწოდებს ამ პროცესის დაჩქარების აუცილებლობისაკენ, რადგან ეს პროცესი გარდაუვალია და დაგვიანებამ შეიძლება

სავალალო შედეგები მოუტანოს ტრადიციულ მედია ორგანოებს.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ეპოქა, ტრადიციული მედია, მედიის ტრანსფორმაცია, სოციალური მედია, მულტიმედია, გაციფრულება.

Abstract

In our era, the development of digital technologies has greatly simplified communication, as well as in other areas, the introduction of digital technologies in the media space and adapting to it has become an important attribute, since the number of users of digital technologies is very large and this number is increasing day by day. Accordingly, adaptation of traditional media to the digital age is gaining great importance.

This paper discusses the process, trends and challenges of traditional media transformation in the digital age, investigates the progress and results of the process.

The purpose of the study is to determine the importance of the transformation of traditional media organizations in the digital space and to study the consequences that can be caused by lagging behind this process. Also, the aim of the study is a comparative analysis of traditional media organizations that have adapted or failed to adapt to the digital age, reflecting the influences on their rating and determining the role of the mentioned process in attracting the audience in the media space. For all this, we conducted qualitative and quantitative research on a predetermined audience, within the framework of quantitative research, we conducted an electronic form questionnaire (we interviewed up to 300 people over 16 years old) from which we determined the statistics of digital and traditional media use, trust and preferences. We interviewed the heads and representatives (journalists) of traditional media organizations using the qualitative research method. As a result of these studies, a rather interesting picture emerged, which is presented in detail in the paper.

In the process of transformation of traditional media in the digital age, this work shows us the general picture in Georgia with its results, which contributes to the perception of the importance of the mentioned process and calls on traditional media bodies and their representatives to the need to speed up this process, because this process is inevitable and delay can bring disastrous results. traditional media bodies.

keywords: Digital age, traditional media, media transformation, social media, multimedia, digitization.

შესავალი

ეპოქა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ მკაფიოდ გამორჩეული და განსხვავებულია წარსული საუკუნეებისაგან, ეს განსხვავება და გამორჩეულობა მკვეთრად შეიმჩნევა ტექნოლოგიური განვითარების თვალსაზრისით. მე-20 საუკუნის დასასრულსა და 21-ე საუკუნის

დასაწყისში ტექნოლოგიური განვითარება თვალშისაცემი სისწრაფით მიიწვედა და მიიწვევს წინ, რამაც სხვა სფეროებთან ერთად უდიდესი როლი ითამაშა მედია სფეროშიც და უმნიშვნელოვანეს ცვლილებებს დაუდო საფუძველი. მაშინ როდესაც სულ რაღაც ორი საუკუნის წინ კომუნიკაციის თვალსაზრისით კაცობრიობას თითქმის არავითარი საშუალება არ გვქონდა გარდა ბეჭდური კომუნიკაციისა, დღეისათვის კომუნიკაცია უმაღლეს საფეხურზეა და გვაქვს კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებები, ბეჭდვითი, რადიო, ტელევიზია და ციფრული (PARLAK, 2018)

21-ე საუკუნეში ჩვეულებრივი მობილური კავშირგაბმულობის საშუალებების ციფრულ ტექნოლოგიებად გარდასახვის შედეგად, კომუნიკაცია საგრძნობლად გამარტივდა და ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა, ზემოთ ხსენებული ცვლილებების შესაბამისად ტექნოლოგიების აღზევა და გაციფრულება (Zaliha İnci Karabacak, Ayşe Aslı Sezgin Büyükalaca, 2019)

გამომდინარე იქედან, რომ ეს განვითარებისა და გაციფრულების პროცესი აქტუალურად მიმდინარეობს დღესაც, ჩვენს თემას ის უდავოდ აქტუალურს და საინტერესოს ხდის. არსებული რეალობიდან გამომდინარე ციფრულ ეპოქაში, მედია საშუალებები, კერძოდ ტრადიციული მედია, როგორც რადიო და ტელევიზია ასევე ბეჭდური მედია დადგა იმ აუცილებლობის წინაშე, რასაც ციფრულ ეპოქაში ტრანსფორმაციის აუცილებლობა ჰქვია, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ეს პროცესი დაწყებულია და დიდი სისწრაფით მიმდინარეობს. რასაკვირველია, არც საქართველო არ ჩამორჩენია ამ პროცესს, თუმცა რა ტემპით მიმდინარეობს, ეს სადისკუსიო თემაა (ბაჯელიძის, 2017).

ამ ნაშრომში საკითხს განვიხილავ, მხოლოდ საქართველოს მაგალითზე და შევეცდები, გამოვიკვლიო თუ როგორ მიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაში ტრადიციული მედიის ტრანსფორმაცია ციფრულ ეპოქაში.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ინფორმაცია და კვლევები ძალიან მწირია იქედან გამომდინარე, რომ აღნიშნული პროცესი არც თუ ისე დიდი ხანია რაც დაიწყო და ეს მიმდინარე პროცესია. მე შევეცდები გამოვიკვლიო ამ დროისათვის რა ეტაპზეა ეს პროცესი, როგორ მიმდინარეობს და რომელი მედიასაშუალებები ახერხებენ ამ პროცესზე ფეხის აწყობას და რომელი ვერა, ასევე რა სირთულეებთანაა დაკავშირებული ტრანსფორმაციის პროცესი, რა შედეგები მოაქვს ამ პროცესში წარმატებას თუ წარუმატებლობას და რა მდგომარეობა გვაქვს დღეისათვის საქართველოში ამ თემასთან დაკავშირებით.

ლიტერატურის მიმოხილვა

საკვლევ თემასთან დაკავშირებული ლიტერატურა, როგორც ქართულ ასევე უცხოურ წყაროებში არც თუ ისე ბევრი მოიპოვება, ვინაიდან ციფრული ტრანსფორმაციის პროცესი არც თუ ისე დიდი ხანია, რაც დაიწყო და ჯერ არ დასრულებულა. ქართულ წყაროებში მოპოვებული ლიტერატურა გარკვეული ნაწილებით არის საკვლევ თემასთან კავშირში.

შესაბამისად ვრცლად მიმოსახილველი მასალა არ მოიპოვებოდა, რაც შეეხება უცხოურ ლიტერატურას, შედარებით უფრო მეტი მასალაა, როგორც თურქულ ასევე ინგლისურ ენაზე.

ინფორმაცია და ინფორმატორები

ადამიანს ოდითგანვე ჰქონდა ახალი ამბების მიმართ ინტერესი და მოთხოვნილება, ინფორმაციის საზოგადოებაზე მიწოდების ფორმები და გზები ყოველთვის ერთი და იგივე არ ყოფილა რა საკვირველია, დროის ცვლილებასთან და განვითარებასთან ერთად, შესაძლებლობების შესაბამისად იხვეწებოდა ინფორმაციის გადაცემის ხერხები თუ არხები, ინფორმაციის მიწოდების საკითხს კი ყველაზე კარგად ჟურნალისტიკა ახორციელებს, ინფორმაციის მიწოდების არხებისა და საშუალებების ცვლილების მიუხედავად ახალი ამბავი ჟურნალისტიკის ერთ ერთი მთავარი ფუნდამენტია, რაც როგორც ჩანს, ასევე დარჩება (Bayram, 2022).

მოდით განვიხილოთ, რა არის ახალი ამბავი და მისი მნიშვნელობა მედიაში. სიახლე და ზოგადად, ახალი ამბავი არის მიმდინარე მოვლენების თუ საგნების შესახებ ინფორმაცია, რომელიც საზოგადოების დიდ ნაწილის ინტერესს წარმოადგენს და საზოგადოებას საჯაროდ გადაეცემა. ყველა სიახლე შეიძლება ახალ ამბად მივიჩნიოთ და ეს ასეც არის, თუმცა ყველა სიახლით, რა თქმა უნდა მედია არ ინტერესდება, მედიის ობიექტივში მხოლოდ ის სიახლეები უნდა ხდებოდეს, რომელიც საზოგადოების ინტერესში შედის და მთელ ნაწილს თუ არა, საზოგადოების გარკვეულ ჯგუფებს მაინც უნდა უკმაყოფილებდეს ინტერესის გრძნობას, ამასთანავე ჟურნალისტიკის ობიექტივში შეიძლება მოხდეს ისეთი სიახლე, რომელიც უჩვეულოა და საზოგადოების ინტერესის გამოწვევის ალბათობა დიდია. ჟურნალისტიკა მეტად საპასუხისმგებლო და რთული პროფესიაა იმ თვალსაზრისით, რომ აქვს ვალდებულება ზღვა მასალიდან ამოარჩიოს, გაცხრილოს, გაანალიზოს და საზოგადოებას სწორი დაბალანსებული და ობიექტური ინფორმაცია მიაწოდოს. ჟურნალისტიკის ანუ მედიის მთავარ მისიას .საზოგადოების ინფორმაციით უზრუნველყოფა წარმოადგენს (Albadri, 2023).

ინფორმაციის როლი საზოგადოებაში ძალიან დიდია და მისი ზეგავლენა საზოგადოებაზე შეუფასებელია. ცნობილი ეკონომისტი და მკვლევარი რალოფ ჰარისი ამბობს, რომ „მედია არა მარტო „მაგიური ფანჯარაა“, რომლის მეშვეობითაც ჩვენ ვუყურებთ სამყაროს, არამედ „კარები“, რომლის მეშვეობითაც იდეები აღწევენ ჩვენს აზროვნებაში“ (თინიკაშვილი, 2019 გვ 10).

მსოფლიოში ინფორმაცია, როგორც პროდუქტი, ყველაზე ძვირადღირებულია და მასზედ კოლოსალური მოთხოვნილებაა. ინფორმაციას და ინფორმირებულობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ინფორმაციის მოსაპოვებლად ჟურნალისტების საკუთარ სიცოცხლესაც კი საფრთხეში იგდებენ და ზოგჯერ სწირავენ კიდევ თავს. მნიშვნელოვანია მედია

საშუალებებმა ინფორმაცია მიუკერძოებლად ობიექტურად მიაწოდონ საზოგადოებას, რადგან არ მოხდეს საზოგადოებრივი აზრის ფორმირება და შეგნებულად დამახინჯება, რაც ჟურნალისტიკაში დანაშაულია (თინიკაშვილი, 2019).

ადამიანთა ურთიერთობების მთავარი საფუძველი კომუნიკაციაა, სწორედაც ინფორმაციის ფლობისა და გაცვლის საფუძველზე ყალიბდება ადამიანური ურთიერთობები. ჟურნალისტიკა მსოფლიოში არსებული ზღვა ინფორმაციის მარეგულირებელი და გამავრცელებელია, ხოლო ჟურნალისტი კი მასობრივი ინფრასტრუქტურის მთავარ სუბიექტს წარმოადგენს, ჟურნალისტის მთავარი ფუნქციაა ინფორმაციის მოძიება, მიღება და გავრცელება (თინიკაშვილი, 2019).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დღეისათვის ონლაინ სივრცე მედიისთვის უმნიშვნელოვანესი წყაროა და ციფრული სივრცის გარეშე თანამედროვე ჟურნალისტიკის არსებობა შეიძლება ითქვას წარმოუდგენელია. ინტერნეტი ჟურნალისტებისათვის არა მარტო ინფორმაციის გავრცელებისა და გადაცემის საშუალებაა არამედ წარმოადგენს უდიდეს რესურსს, სადაც ინფორმაციის მოძიება ხდება, ასევე აუდიტორიასთან უკუკავშირი, კავშირი რესპონდენტებთან, კავშირი პოლიტიკურ სამყაროსთან, ბიზნესწრებთან და ასევე რაღა თქმა უნდა პიარის წარმომადგენლებთან (თინიკაშვილი, 2019).

ციფრული ეპოქა

ტექნოლოგიების მკვეთრმა განვითარებამ და ციფრული ტექნოლოგიების გავრცელებამ, ხელი შეუწყო და შეიძლება ითქვას უბიძგა კიდევ ჟურნალისტიკის და ზოგადად მედიასივრცის ციფრულ სივრცეზე ადაპტაციას. ციფრული ეპოქის საზოგადოებას, რა თქმა უნდა შესაბამისი მედიაპროდუქტის შექმნა და მიწოდება სჭირდება, სწორედ ამ შესაბამისი მედიაპროდუქტის შექმნის აუცილებლობამ საგრძნობლად შეცვალა ჟურნალისტიკის ყველა ის სპეციფიკა, რაც ციფრულ ეპოქამდე იყო ამ სფეროში (Pavlik, 2008).

განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა უკუკავშირის (feedback) შესაძლებლობის წარმოქმნამ, აუდიტორია მიღებული ინფორმაციის ხარისხის შესახებ კომენტარის სახით აკეთებს უკუკავშირს მედიაპროდუქტის შემქმნელის მიმართ, რაც იძლევა საშუალებას მედიაპროდუქტის მიმწოდებელმა შეაფასოს მომხმარებლის ამ შემთხვევაში აუდიტორიის კმაყოფილება ან უკმაყოფილება მედიაპროდუქტის მიმართ და შესაბამისად დახვეწოს თავისი პროდუქტი (Albadri, 2023).

ამ ყველაფერმა და არა მარტო, შეცვალა მუშაობის სტანდარტები, ჟურნალისტური ეთიკა და მუშაობის სტილიც. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ციფრულ ეპოქაში მედიაპროდუქტის შექმნა გაცილებით მარტივია და ფინანსური თვალსაზრისითაც ხელსაყრელია, ამ ყველაფერმა კი გამოიწვია მედიის დეცენტრალიზაცია, რის შედეგადაც ინტერნეტში უამრავის მედიასაშუალება გვხვდება (ინტერნეტ გაზეთი, ინტერნეტ ჟურნალი, ინტერნეტ რადიო, ინტერნეტ ტელევიზია და ა. შ.), რაც განსხვავებული აზრების სიმრავლეს ანუ

მედიაპლურალიზმს უწყობს ხელს და მედიაპლურალიზმი, თავისთავად დემოკრატიის განვითარების ერთ ერთი მთავარი გარანტი და საყრდენია (აფროსიძე, 2017).

ასევე ციფრულ სამყაროში შესაძლებელი გახდა მცირე ჯგუფებსაც (რელიგიური, ეთნიკური, პოლიტიკური და სხვა) განეთავსებინათ ინტერნეტის საშუალებით თავიანთი მოსაზრებები და შეხედულებები ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით და მიეწოდებინათ თავიანთი ხმა ფართო საზოგადოებისათვის, ამ უნიკალური შესაძლებლობით განსაკუთრებით ციფრულ ეპოქაში სარგებლობს პოლიტიკური უმცირესობები, კერძოდ სოციალური მედიის საშუალებით პოლიტიკურ პარტიებსა თუ კანდიდატებს აქვთ შესაძლებლობა მიაწვდინონ ხმა ამომრჩეველთა მცირე ან ფართო ჯგუფებს და გავლენა მოახდინონ მათ გადაწყვეტილებაზე თავიანთ სასარგებლოდ, რადგანაც სოციალური მედიის საშუალებით გვეძლევა ინფორმაციის ვირუსულად სწრაფად გავრცელების შესაძლებლობა ძალიან მოკლე დროში (ბაჯელიძის, 2017).

ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ბეჭდური მედიის შემთხვევაში საქმე ცოტა სხვაგვარადაა, ბეჭდურიდან გაზეთების ციფრულ სივრცეში ტრანსფორმაცია არის მსოფლიო ტენდენცია, თუმცა ამ პროცესმა შედეგად შეამცირა გაზეთების ტირაჟები, რადგანაც აუდიტორია განსაკუთრებით ახალგაზრდებს ურჩევნიათ ელექტრონული ვერსია წაიკითხონ თავიანთ სმარტფონებზე, პლანშეტებსა თუ კომპიუტერებზე. ზოგიერთმა ფართო ტირაჟის მქონე გაზეთმა, როგორებიცაა ბრიტანული გაზეთი „Independent“-ი და ამერიკული „News world report“-ი, შეწყვიტეს ბეჭდური ვერსიის გამოქვეყნება და მთლიანად გადავიდნენ ელექტრონულ ვერსიაზე. თუმცა, ამ ფაქტმა გამოიწვია რეკლამების კლება, რაც ბეჭდური მედიისთვის ეს სერიოზული გამოწვევაა, რადგანაც რეკლამა მათი მთავარი შემოსავლის წყაროა. სადისკუსიო თემაა ამ შემთხვევაში უნდა დაუბრუნდნენ ბეჭდურ ვერსიას, თუ გააგრძელონ როგორც ბეჭდური ასევე ელექტრონული ვერსიის წარმოება ანუ ჰიბრიდულ რეჟიმში, მაგრამ საინტერესოა ეს ლოგიკა, როგორ იმუშავებს ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორც საქართველო და გაზეთებს ისედაც დიდი ტირაჟი არ აქვთ, ანუ მთავარი შემოსავლის წყარო რეკლამები არ არის? ამრიგად, გაზეთების ინდუსტრიის მომავალი არის თანამედროვე მასობრივი კომუნიკაციების ერთ ერთი გლობალური გამოწვევა მთელ მსოფლიოში, რადგანაც მედიის კონვერგენციის ეპოქაში, გაზეთები და ზოგადად ბეჭდური მედია განიცდის სწრაფ ტრანსფორმაციას ციფრულ ეპოქაში, დიგიტალიზაციის პროცესი ცვლის გაზეთების ინდუსტრიას, აუდიტორიის მოზიდვისა და მოცვის მიზნით ბეჭდური მედიის უმეტესობას აქვს თავისი ვებგვერდი (ოსეფაშვილი, 2019).

ბეჭდური მედიის ბედი განსაკუთრებით საქართველოს მსგავს პატარა ქვეყნებში კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, შეწყვეტენ არსებობას თუ ჩაანაცვლებენ ციფრული ვერსიით? ეს კითხვები დროდადრო აქტუალური და დისკუსიის საგანი ხდება, ეს ზოგადად გლობალური გამოწვევაა, მაგრამ განსაკუთრებით საფრთხეს უქმნის პატარა ქვეყნებს, სადაც ბეჭდური მედიის ტირაჟები არც თუ ისე მაღალია. კონვერგენციის ახალი ამბების პროდუქტები ბეჭდური მედიის უმეტესობაში, ბეჭდური მედიის ციფრულ ვერსიაში, გვხვდება არა მარტო ფოტოები და ტექსტები, არამედ ვიდეო და აუდიო ფორმატის მასალებიც. ბეჭდური

და ონლაინ მედიის ჟურნალისტების მიერ საქართველოში მულტიმედიური ფორმების გამოყენება დღითიდღე იზრდება. ქართული გაზეთებს და საინფორმაციო სააგენტოებს თითქმის ყველას აქვს ვებსაიტები და ისინი იყენებენ მულტიმედიურ ფორმებს ახალი ამბების გავრცელებისას. ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება ასევე იწვევს ჟურნალისტური პრაქტიკის ცვლილებებს და ესეც კიდევ ერთი გლობალური გამოწვევის მიზეზი ხდება (ოსეფაშვილი, 2019).

მომავლის განჭვრეტა შეუძლებელია, თუმცა არსებული მონაცემებისა და გათვლების შეზავებით, შეგვიძლია ვიმსჯელოთ: რა იქნება ციფრული ეპოქის ყველაზე ცხელი თემები? რომელ ციფრულ პლატფორმებს აქვს ტრენდად ქცევის ყველაზე დიდი პოტენციალი? როგორ შეიცვლება შეიცვალოს მომხმარებლების ქცევა? იმის თქმა დანამდვილებით შეგვიძლია, რომ ციფრულ მედიაზე გავლენას ისეთი მოვლენებიც მოახდენს, როგორცაა: მსოფლიოში მიმდინარე კონფლიქტები, პარიზის ზაფხულის ოლიმპიური თამაშები და 60-ზე მეტ ქვეყანაში ჩასატარებელი არჩევნები (მათ შორის: აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნები). როგორც გასულ 2023 წელს, 2024-შიც კვლავ აქტუალური იქნება წარმოსახვითი რეალობის (AR) და ვირტუალური რეალობის (VR) კონცეფციები, შესაბამისი გაჯეტები და Web3 – იდეა ინტერნეტის მომავლის შესახებ (დეცენტრალიზებული, ბლოკჩეინზე დაფუძნებული სისტემის შექმნა) (ნადარაია, 2024).

პირველრიგში, მასობრივი ინფორმაცია და მისი გავრცელების საშუალებები, XXI საუკუნეში, ტექნოლოგიების განვითარებასა და მის პროგრესულობას უნდა დავუკავშიროთ. ზოგადად, მედია სივრცე მოიცავს ნებისმიერ მეთოდს რაიმეს გავრცელებისა, თუმცა ამ შემთხვევაში განიხილება მხოლოდ ტელევიზია, როგორც მისი ყველაზე პოპულარული და რეიტინგული წყარო, იგივე ტრადიციული მედია. ტელევიზიას საზოგადოების წინაშე, დაეკისრა მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ფუნქციები, რაც მის ოპერატიულობასა და უტყუარობაში გამოიხატება, თუმცა უტყუარობის საკითხი პირობითია და გააჩნია რომელ ტელე მაუწყებელზეა საუბარი, ობიექტურობის თემაში შესვლა კი ძალიან შორს წაგვიყვანს და არ ღირს აქ ამის გარკვევა. მნიშვნელოვანია, ტელე მაუწყებლობა ინფორმაციული დონის ამაღლებაზე და საზოგადოების ფორმირებასა ზემოქმედებს (ძიძიშვილი, 2020).

ტექნოლოგიური გარდაქმნები მოიცავდა ფართო ტრანსფორმაციის პროცესებს ტრადიციულ მედიასა და მოწინავე თანამედროვე ტექნოლოგიებს შორის. ეს ორ სხვადასხვა თაობას შორის საზღვრების წაშლის მცდელობაა, კერძოდ ტრადიციული მედიის შინაარსის ციფრულ სივრცეში ინტეგრირება და შერწყმა, რის საფუძველზეც წარმოიშვა მულტიმედია ანუ ახალი მედია. ინსტიტუტების, ორგანოების და პიროვნებების ტრანსფორმაცია ციფრულ საკომუნიკაციო გარემოში. ტრადიციული მედიის ტრანსფორმაცია გულისხმობს ტექნოლოგიების, პროდუქტებისა და პერსონალის შერწყმას ტრადიციულ და ციფრულ მედიას შორის. ფაქტიურად ეს ძალიან განსხვავებული გარემოა, რაც გავლენას მოახდენს, როგორც ახალი ამბების შინაარსზე, ასევე ჟურნალისტურ პრაქტიკაზეც, ვინიდან ეს სივრცე მოითხოვს ჟურნალისტებისაგან გარკვეული უნარ-ჩვევების და ახალი ციფრული მოწყობილობების გამოყენების უნარების ქონას (Albadri, 2023).

ერთერთი ფენომენია, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ტრადიციული მედია კონტენტის და კომპიუტერული ქსელების ურთიერთდაკავშირება. ის აერთიანებს სამ მთავრ კომპონენტს; გამოთვლას, კომუნიკაციას და შინაარსს - და არის მედიის შინაარსის ციფრულ სივრცეში ტრანსფორმაციისა და ინტერნეტ პოპულარობის პირდაპირი შედეგი. მედიის დაახლოება გარდაქმნის დამკვიდრებულ ინდუსტრიებს, სერვისებსა და სამუშაო პრაქტიკებს, რაც საშუალებას იძლევა წარმოქმნას შინაარსის სრულიად ახალი ფორმები. კონკრეტული მოწყობილობებით მულტიმედია ანაცვლებს გრძელვადიან მედია ინდუსტრიას და კონტენტის „სილოსებს“ და სულ უფრო მეტად აშორებს კონტენტს რაც მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნის საჯარო პოლიტიკასა და რეგულაციას. მედიის კონვერგენციის ხუთი ძირითადი კომპონენტია სოციალური, ინდუსტრიული, ტექნოლოგიური, პოლიტიკური და ტექსტური. ასევე, ტრანსფორმაცია გულისხმობს ინტერნეტის მეშვეობით ტრადიციული მედიის ტექნოლოგიებისა და პლატფორმების შერწყმას ციფრულ სივრცეზე. მედიის კონვერგენცია ასევე არის ბიზნეს სტრატეგია, რომლის დროსაც საკომუნიკაციო კომპანიები აერთიანებენ თავიანთ საკუთრებას სხვადასხვა მედია საკუთრებაზე (Albadri, 2023).

ციფრული მედია მიეკუთვნებოდა ახალ ციფრულ ტექნოლოგიებზე ბაზირებულ კომუნიკაციის საშუალებებსა და ფორმებს. ტერმინი „ციფრული სივრცე“ ხდება გასაგები მასში ინტერნეტისა და მსოფლიო ქსელის, ვიდეო თამაშების, ინტერაქტიური მედიებისა და მულტიმედიების სხვა ფორმების ჩართვისას, რომლებიც პოპულარული გახდა 1990-იან წლებიდან. ტექსტები გაზეთისთვის, ვებსაიტისა და მობილური ტელეფონებისთვის იქმნება სხვადასხვაგვარად, ქართველ ჟურნალისტებს კარგად ესმით ახალი ამბების შეტყობინებისთვის კომუნიკაციის ბეჭდვით და ციფრულ არხებს შორის სხვაობა, რეპორტიორმა შეიძლება დაწეროს გრძელი შეტყობინება, სხვა შემთხვევაში კი - იგივე საინფორმაციო საბაბით იმავე გამოცემაში გაჩნდება მხოლოდ პატარა შენიშვნა, რომელიც ჰგავს უფრო განცხადებას. გარდა ამისა, გადმოცემის ტონი, სტილი და კომუნიკაციური სტრატეგიები განასხვავებენ მედიების ერთ ნაწილს მეორისგან. წარსულში და არა მხოლოდ წარსულში დღეისათვისაც არის მოსაზრება, რომ ახალი ციფრული მედია საშუალებები ჩაანაცვლებენ ტრადიციულ მედია საშუალებებს, თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ძველი მედიების განვითარების პროცესში ხდებოდა მათი შესაძლებლობების გაფართოება, რამაც მოგვიყვანა ციფრული მედიასივრცის შექმნამდე. საზღვრები ტრადიციულ მედიასა და ციფრულ სივრცეს შორის ზოგჯერ იშლება, ადამიანებს უკვე ესმით, რომ ტრადიციულ და ახალ მედიებს შეუძლიათ თანაარსებობა და ერთმანეთთან ურთიერთქმედება. ახალი მედიები ქმნიან წინაპირობებს იმისა, რომ ინფორმაცია შეიძლება გავრცელდეს სხვადასხვა არხებით და მიაღწიოს სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებს, ამრიგად მომხმარებლის ყურადღების გამახვილება ხდება შეტყობინების შესაბამისად. რადგან ძველი მედიების შინაარსი, მცირე ცვლილებების გარდა, „ტრანსფორმირებული იქნა“ ციფრულ ფორმატში, ამიტომ ტრადიციული მედიების მწარმოებლებმა შინაარსი გახადეს ისეთი, რომ მიმართული ყოფილიყო ციფრული მედიების აუდიტორიისადმი. ტრადიციული მედია ორგანოები, რომლებმაც შეძლეს ციფრულ სივრცეში ტრანსფორმაციის პროცესზე მორგება

ისინი არ გამქრალან, პირიქით სწრაფად განვითარდნენ და რეიტინგიც გაეზარდათ (ძიძიშვილი, 2020).

ციფრულ ეპოქაში ტრანსფორმაცია

ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების ფონზე, ბეჭდურმა და სოციალურმა მედიამ განახორციელეს შერწყმა და ახალი ამბების კონვერგენცია გამოყენება და ახალი ვიდეო ფორმატების დამატება ხალი ამბების გასავრცელებლად, თუმცა ეს გაზეთების ინდუსტრიის დასასრულს ნამდვილად არ ნიშნავს, ეს გლობალური გამოწვევა და ეტაპობრივად გარდაქმნის ტრადიციულ მედიას ონლაინ მედიად (ოსეფაშვილი, 2019).

მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციული მედია შეიცავს იმ საშუალებებს, რომლებიც ციფრულ ეპოქამდე არსებობდნენ, ციფრული მედია მოიცავს ყველა ონლაინ პლატფორმას, მათ შორის ელფოსტას, სოციალურ მედიას, ვებსაიტებს და ვიდეო ნაკადს. სოციალური მედიის მომხმარებელთა რიცხვი მნიშვნელოვნად იზრდება, რაც მას მარკეტინგული ტექნიკის დანერგვის ეფექტურ ადგილად აქცევს. სოციალურ მედიაში კომპანიებს შეუძლიათ პირდაპირ ისაუბრონ თავიანთ მიმდევრებთან. ორგანული კონტენტი, რომელიც მოიცავს სოციალურ ქსელში შექმნილ ნებისმიერ წერილობით, გრაფიკულ ან ვიდეო პოსტს მედია ფასიანი რეკლამის გარეშე, აქვს პოტენციური მიაღწიოს ადამიანთა მნიშვნელოვან რაოდენობას. ბიზნესებს ასევე შეუძლიათ გამოიყენონ ფასიანი რეკლამა სამიზნე აუდიტორიისთვის რამდენიმე მახასიათებლის საფუძველზე, როგორცაა მდებარეობა, სქესი, ინტერესები ან თუნდაც სამუშაოს დასახელება (Albadri, 2023).

მედიის ანალიტიკოსების უმეტესობა ამტკიცებს, რომ სოციალური მედიის პოპულარობის მიუხედავად, ტრადიციული მედია კვლავ მნიშვნელოვან როლს თამაშობს, მეტწილად უფროსი ასაკის ადამიანებისათვის, ტრადიციული მედია ჯერ კიდევ იკავებს ახალი ამბების მიღების მთავარი წყაროს ადგილს. მსგავსი სურათი არის განსაკუთრებით ნაკლებად განვითარებულ და განვითარების ნელი ტემპით მოსიარულე ქვეყნებში, სადაც მობილური და ციფრული ტექნოლოგიები შედარებით ნელი ტემპით იკიდებს ფეხს. ტექნოლოგიურ მიღწევებთან ერთად, განვითარდა მასობრივი კომუნიკაცია, ტრადიციული მედია განსაკუთრებით კი ბეჭდური მედია ნელ-ნელა იშლება და მას ენაცვლება სოციალური მედია, რომელიც ძალიან სწრაფად ითვისებს აუდიტორიას იკავებს ტრადიციული მედიის ადგილს და ხდება ინფორმაციის მიღების ძირითადი საშუალება (Albadri, 2023).

ტელე მაუწყებლობა გამოგონების დღიდან მოყოლებული, იყო და რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს ის ვერაფერმა ვერ ჩაანაცვლა ბოლომდე, მაშინ როდესაც სოციალური მედია არ არსებობდა ტელევიზია და ტელემაუწყებლობა ზოგადად ყველაზე პოპულარული და დიდი აუდიტორიის მომცველი იყო ვიდრე ბეჭდური და რადიო მაუწყებლობა, იმის მიუხედავად, რომ ბეჭდური და რადიო მაუწყებლობა გაცილებით დიდი ხნის ისტორიის მატარებელი არის ვიდრე ტელევიზია, აუდიტორიის თვალსაზრისით და ინფორმაციის თვალსაზრისით ყველა სხვა მედია მაუწყებელს უსწრებდა ტელე მაუწყებლობა და

დღეისათვის, როდესაც სოციალური მედია ძალიან სწრაფად განვითარებადი და დიდი აუდიტორიის მომცველია, ტელევიზია მაინც რჩება მთავარ ინფორმაციის წყაროდ. ამის მიზეზი ის არის რომ ვიდეოებს განსაკუთრებული როლი აქვთ, რადგან ერთის მხრივ უფრო სანდოა მედია აუდიტორიისთვის, მაყურებლები იღებენ ინფორმაციას რომელსაც სხვები არ წარმოადგენენ და შეუძლიათ მათი თვლით დაინახონ რა როგორ მოხდა. მეორეს მხრივ მთავარი მიზეზი რის გამოც ტელევიზია ისევ რჩება ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროდ ის არის, რომ ვიდეოს ყურებისას ინფორმაციის მიღება უფრო მარტივი და უტყუარია. ამრიგად ვიდეოს ყურებას და ინფორმაციის მიღებას შედარებით ნაკლები დრო სჭირდება, ვიდრე გაზეტებსა და ჟურნალებში სტატიებს კითხვას, მით უმეტეს, რომ ჟურნალ გაზეტები ტელევიზიასთან შედარებით უფრო მეტი დრო სჭირდება აუდიტორიამდე მიღწევისათვის. ყოველივე ამ და სხვა მიზეზების გამო ტელევიზია იმთავითვე იყო და ჯერ ჯერობით ისევ რჩება ყველაზე დიდი აუდიტორიის მქონედ და ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროდ. თუმცა თუ დავაკვირდებით სოციალური მედიის განვითარების სისწრაფეს არ არის გამორიცხული რომ ეს რეალობა უახლოეს მომავალში შეიცვალოს და სოციალურმა მედიამ გადაწონოს ეს ყველაფერი (ოსეფაშვილი, 2019).

ტექნოლოგიური ციფრული გარემოს განვითარებით, ინტერნეტი იქცა რადიოსადგურების მიწოდების მნიშვნელოვან დამატებით პლატფორმად, რომლის მეშვეობითაც ხდება ციფრული სამაუწყებლო პროგრამების პრეზენტაცია. სტანდარტული მიწისზედა მაუწყებლობის გარდა, ხელმისაწვდომი გახდა სახმელეთო რადიო, ინტერნეტი და ვებ რადიოების მიღება დაიწყო პორტატულ მოწყობილობებზე, როგორცაა მანქანის რადიოები. რადიოს ახალმა შესაძლებლობებით გამოყენებამ ისევე სწრაფად შეცვალა ინფორმაციის მიმღების ტრადიციული შაბლონები, განსაკუთრებით ინტერნეტ რადიოს აუდიტორიის სწრაფი ზრდით, სამაუწყებლო და ინტერნეტ რადიო მიმღებების განვითარებით და მობილური ტელეფონის, როგორც ყველაზე სწრაფ ინფორმაციის მიღების საშუალებად ჩამოყალიბებით (Albadri, 2023).

ციფრულმა ტრანსფორმაციამ გავლენა მოახდინა ტრადიციული მედიის ინტერაქტიულ გარემოზე. ტრანსფორმაციის ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინება იყო ციფრულ არქივში, მედიასაშუალების აპლიკაციაში, ვებსაიტზე და გვერდებზე ციფრულ პლატფორმებზე, განსაკუთრებით (Facebook, Twitter, Instagram...). ამ ტრანსფორმაციების შედეგად განვითარდა ციფრული კონტენტი, გააქტიურდა პირდაპირი მაუწყებლობის სერვისი, გამოქვეყნდა ახალი ამბები და მოკლე რეპორტაჟები, ასევე განვითარდა რადიომაუწყებლობის სტუდია სოციალური მედიის პირდაპირი მაუწყებლობის სერვისებისთვის. ამ ტრანსფორმაციის უკან სხვადასხვა მოტივი დგას, რომელთაგან ყველაზე თვალსაჩინოა: საინჟინრო საწყისი წერტილი აუდიტორიასთან უსწრაფესად დასაუკეთესო ხარისხით მისასვლელად, ცოცხალი ძალის უზრუნველყოფა, მოწყობილობების უფრო სწრაფად კონტროლი, ციფრული არქივის გადაუდებელი აუცილებლობა და ციფრულ საკომუნიკაციო პლატფორმებზე აუდიტორიის რაოდენობის გაზრდა, ასევე მის პუბლიკაციებში რეკლამისა და მარკეტინგის ეფექტურობა (Albadri, 2023).

ციფრული მედიის ინდუსტრიაზე გავლენა იქონია, შეკუმშული ფიზიკურმა სივრცემ ონლაინ ახალი ამბების გაშუქებაზე, ამ სხვადასხვა კომპონენტების თავიანთი თვისებების შენარჩუნებით გაერთიანებამ და შერწყმამ გლობალური მასშტაბით და შესაბამისად, დრეისათვის ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო კავშირების გავლენა უფრო დიდია, ვიდრე ადრე. ამის კიდევ ერთი ასპექტია გლობალიზაციისა და ინდივიდუალიზაციის ორმაგი პროცესი; გლობალური და ლოკალური. შინაარსის განთავსების სიჩქარის დამუშავების ტექნოლოგია არის ინფრასტრუქტურა, რომელიც მხარს უჭერს სწრაფ რეაგირების დროს ახალი ამბების მიღებასა და განთავსებას ინტერნეტში, ამან თავის მხრივ, შეცვალა ახალი ამბების წარმოების პროცესი მთელს მსოფლიოში. შეკუმშული დროის განზომილება ლოკალური და გლობალური შედეგებით (Amy Schmitz Weiss, Vanessa de Macedo Higgins Joyce, 2009).

ბევრი სატელევიზიო პროგრამა და ქსელი იყენებს ინტერნეტ ტექნოლოგიას, რომელიც შექმნილია პროგრამის მწარმოებლების სასურველ აუდიტორიასთან დაახლოების მიზნით. „სოციალური მედიის ნამდვილი ძალა მდგომარეობს მის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში. მილიონობით მომხმარებელი, რომლებიც ყოველ წუთში ათასობით შეტყობინებას ქმნიან, აზიარებენ თავიანთ ღირებულ შეხედულებებს საჯარო ფორუმებზე რაც ხელს უწყობს აპლიკაციის პოპულარიზაციას. სოციალური მედიის საშუალებით რადიო პროგრამისტები ასევე ეძებენ გზებს, რათა წაახალისონ აუდიტორიის ჩართულობა (Albadri, 2023).

როდესაც ციფრული გამოცემა გამოჩნდა ინტერნეტში, გაზეთების მფლობელებმა და თანამშრომლებმა დაინახეს, რომ მათი მედია საშუალებები შესუსტებისა, ფინანსური კრიზისისა და აუდიტორიის კლებისაკენ მიემართებოდნენ. წარსულში გაზეთების გამოცემა მოითხოვდა გვერდების მომზადებას, გიგანტურ საბეჭდო მანქანას, მანქანებისა და თვითმფრინავების ფლოტს, რომლებიც გამოიყენებოდა ქაღალდის გაზეთების გავრცელებაში, მაგრამ დღეს ახალი ამბების გვერდის დაყენება და მისი გამოქვეყნება უფრო ადვილი ღილაკის დაჭერით გახდა შესაძლებელი, რადგან ამისათვის კომპიუტერის ეკრანი ან სმარტფონი სავსებით საკმარისია. ამ რეალობის გათვალისწინებით, ნიუსრუმის მფლობელებმა მოიფიქრეს რამდენიმე ფორმულა, რათა შეემცირებინათ ამ საინფორმაციო რევოლუციის, დიგიტალიზაციის შედეგად მიღებული ზარალი და მათ დააწესეს გამოწერა მათთვის, ვისაც სურს სრულად წაიკითხოს ის, რასაც აქვეყნებს საკუთარ საიტებზე. სხვებმა გარკვეული ხარჯების დასაფარად კომერციულ რეკლამას მიმართა. მესამე ჯგუფმა მიმართა სპეციალიზაციას სიღრმისეული სტატიების მომზადებაში, რომლებიც მკითხველს აწვდიან დეტალებს და ანალიზებს, რომლებსაც სოციალური მედიის მფლობელები ვერ აწვდიან (Albadri, 2023).

ყველა ამ ტრანსფორმაციამ განაპირობა ახალი მედია სცენის გაჩენა, რომელიც შეიძლება შეფასდეს, როგორც ინვერსიული მედია პირამიდა, ჟურნალისტურის სცენის შიგნით როლების ახალი განაწილების გამო. ვინ იფიქრებდა, რომ ტელევიზორი, როგორც ინფორმაციის მიღების უმთავრესი მოწყობილობა, ერთ დღეს გახდება სალონების დეკორატიული ყუთი, არც მეტი არც ნაკლები დიან, ეს ასე მოხდა ტელევიზია უმეტეს დასავლურ ქვეყანაში და

ჩრდილოეთ ამერიკაში გახდა დეკორატიული ყუთი. ტელევიზია, რომელშიც პირდაპირი ტრანსლაცია შერწყმულია ხმასთან, გამოსახულებასთან და ფერთან, ხოლო მისი ყურება ყველგან შეიძლება ძალიან პატარა და კომფორტული მოწყობილობით რასაც სმარტფონი ქვია. საზოგადოების მიერ მედიის გამოყენების შესახებ ამერიკულ კვლევაში აჩვენა, რომ ამერიკული საზოგადოება ათწლეულების განმავლობაში ახორციელებდა ინტენსიურ მიგრაციას ინტერნეტისკენ (Albadri, 2023).

ციფრულმა ეპოქამ დაამყარა ახალი ურთიერთობა, მედიას მის ტრადიციულ ფორმასა და ტელევიზიას შორის, რადგან ის გადადის სოციალურ ქსელებთან. ტრადიციული მედია უნდა მოერგოს სოციალური მედიის უპირატესობებს. ტელევიზიის კონტენტის დონეზე სტრატეგიული კავშირი სოციალურ ქსელებთან, როგორც კომუნიკაციის საშუალებებთან, და არა მხოლოდ ჩვეულებრივ მედიასთან, ასევე შეუდარებელი გახდა. სატელევიზიო გადაცემების დიზაინი განხორციელდა ამ ქსელების მომხმარებლების ურთიერთქმედების დამატებით კომენტარების საფუძველზე, იქნება ეს Twitter-ზე, Facebook-ზე თუ სხვა სოციალური ქსელები. პროგრამის ღირებულება და პოპულარობა აშკარა გახდა სოციალური ქსელების ინტერაქციის დონეზე პროგრამის ბმულების ან „ჰეშთაგების“ მეშვეობით. ტელეფონი გახდა ტექნოლოგია, რომელმაც გვერდი აუარა გამოკითხვების საჭიროებას და სატელევიზიო პროგრამებთან პირდაპირი ურთიერთქმედება გახდა პროგრამის წარმატების მაჩვენებელი ადრესატი, რომლითაც ჩვენ ვზომავთ მაყურებელთა მაჩვენებელს, რომელიც ბოლო დროს ფართოდ გამოჩნდა სმარტ მობილურ ტელეფონების სახით (Albadri, 2023).

კვლევის დიზაინი

ამ კვლევის მიზანია საქართველოში ტრადიციული მედიის ციფრულ ეპოქაზე მორგების პროცესზე დაკვირვება, ამ საკითხში არსებული მდგომარეობის გამოკვლევა და საერთო სურათის გამოკვეთა, ტრადიციული მედიის ციფრულ ეპოქაზე მორგებისას რა გამოწვევების წინაშე შეიძლება დადგეს მედია საშუალება და რა პერსპექტივები აქვს საქართველოში ამ მხრივ. შესაბამისად, ჩვენი კვლევის მთავარი ამოცანაა ყოველივე ამის გაანალიზება და გარკვეული დასკვნების გამოტანა ჩვენს ქვეყანაში ამ საკითხთან დაკავშირებული არსებული რეალობის შესაბამისად.

საკვლევი საკითხები კითხვები და ჰიპოთეზები

საკვლევი თემა საქართველოში ტრადიციული მედიის ორგანიზაციების შესწავლა ციფრულ ეპოქაზე მორგების პროცესის ჭრილში, რამდენად სწრაფად განხორციელდა ეს პროცესი და რომელმა ორგანომ, როგორ და რა ვადებში მოახერხა ეს პროცესი ან კიდევ საერთოდ თუ მოახერხა ეს, ასევე საკვლევ თემას წარმოადგენს ციფრულ სივრცეზე მორგების შედეგებისა და ვერ მორგების ან კიდევ, არ მორგების შედეგების ანალიზი, რა როლი ითამაშა ციფრულ ეპოქაში ტრანსფორმაციამ ამა თუ იმ ტრადიციული მედია ორგანოების რეიტინგზე.

და ბოლოს, რა მდგომარეობა არის ამ თვალსაზრისით საქართველოში დღევანდელი მოცემულობით.

საკვლევი კითხვები:

1. რომელმა ტრადიციული მედიის ორგანოებმა შეძლო/ვერ შეძლო ციფრულ ეპოქაზე მორგება?
2. რა არის ტრადიციული მედია ორგანოების ციფრულ ეპოქაში ადაპტირების სირთულეები?
3. რამდენად იმოქმედა ტრადიციული მედიის დროულად ტრანსფორმაციამ ციფრულ ეპოქაში მის რეიტინგზე?
4. ტრადიციული მედიის ტრანსფორმაცია, როგორ აისახა ჟურნალისტებზე და ჟურნალისტურ საქმიანობაზე?

ჰიპოთეზა1: ტრადიციული მედიის ორგანოებმა, რომლებმაც ვერ მოახერხეს ან დააგვიანეს ციფრულ ეპოქაში ტრანსფორმირება აისახა მათ რეიტინგზე ან საერთოდ გააქრო ისინი მედიის სივრცეიდან.

ჰიპოთეზა2: ჟურნალისტი/ები მედია ორგანო/ები, რომლებმაც ვერ მოახერხეს ახალი ციფრული ტექნოლოგიების ათვისება აისახა მათ საქმიანობასა და ხარისხზე, რამაც გამოიწვია მათი ჩამორჩენა, რაც აისახა მათ, როგორც ეკონომიკურ ასევე სოციალურ სტატუსზე.

კვლევის მეთოდოლოგია

გამომდინარე იქიდან რომ კვლევა კომპლექსურია და სხვადასხვა ტიპის მონაცემების ანალიზს მოითხოვს, შერჩეული იქნა კვლევის ორი მეთოდოლოგია, თვისებრივი კვლევა - ნახევრად-სტრუქტურული სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზი და რაოდენობრივი კვლევა- მასობრივი გამოკითხვის ერთ-ერთი სახე - ინტერნეტ გამოკითხვა.

თვისებრივი კვლევა

თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხული იქნა 9 წინასწარ შერჩეული რესპონდენტი.

ესენი არიან: ჟურნალ „Beaumonde“-ს საიტის ადმინისტრატორი და ონლაინ მედია „პალიტრას“ ჟურნალისტი თამარ იაკობაშვილი, „TV პირველი“-ს პროდიუსერი ლევან კირვალიძე, „ნეტგაზეთი“ - ს რედაქტორი თაზო კუპრეიშვილი, „რეზონანსი“- ს რედაქტორი მალხაზ გაგუა, „TV პირველი“-ს აჭარის კორესპონდენტი მერაბ წულუკიძე, „რადიო თავისუფლება“-ის ჟურნალისტი, აჭარის კორესპონდენტი ეკა ლორთქიფანიძე, „ფორმულას“ ჟურნალისტი თინა ცისკარიძე, „Forbes Georgia“-ს ვებ დირექტორი დავით ცირამუა, „პუბლიკა“ ის თანადამფუძნებელი და ჟურნალისტი ალექსანდრე ქეშელაშვილი.

ზემოთ ჩამოთვლილ რესპონდენტებთან ინტერვიუები განხორციელდა, როგორც პირისპირ

და ონლაინპლატფორმა „ზუმის“ საშუალებით, ასევე სატელეფონო და წერილობითი კომუნიკაციებით. ინტერვიუები რესპონდენტებთან განხორციელდა 2024 წლის 4 ივნისიდან 2024 წლის 18 ივნისამდე შუალედში.

რაოდენობრივი კვლევა

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, შერჩეული იქნა ტრადიციული და სოციალური მედიის მომხმარებლები 16 წლიდან ზემოთ ასაკობრივი კატეგორიის საზოგადოება, გამოკითხული იქნა 302 ადამიანი, ინტერნეტ გამოკითხვა ჩატარდა 2024 წლის 15 მაისიდან, 2024 წლის 16 ივნისამდე შუალედში, გამოყენებული იქნა თითქმის ყველა კომუნიკაციის საშუალება და შევსების თხოვნა გაგზავნილი იქნა დაახლოებით 1500 ადამიანთან, თუმცა 302 ადამიანზე მეტმა კვლევაში მონაწილეობა არ მიიღო.

კვლევის შედეგები და ანალიზი

კვლევის მიზნიდან გამომდინარე - საქართველოში ტრადიციული მედიის ციფრულ ეპოქაში ტრანსფორმაციის პროცესზე დასაკვირვებლად, ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული საერთო სურათის ჩვენება შევძელით ტრადიციული მედიის წარმომადგენლებთან ინტერვიუებისა და ასევე მათი აუდიტორიის გამოკითხვის მეშვეობით.

ტრადიციული მედიის წარმომადგენლები

კვლევის შედეგად როგორც იკვეთება, ციფრული მედია უფრო პოპულარულია, ვიდრე ტრადიციული მედია. ჩვენს კითხვაზე თუ, რომელი უფრო წინა პლანზეა დღეისათვის აუდიტორიის თვალსაზრისით, ტრადიციული მედია თუ სოციალური, ტრადიციული მედიის წარმომადგენლები თითქმის ერთმანეთის ანალოგიურად ფიქრობენ. მხოლოდ მცირე განსხვავებებია შეხედულებებში.

როგორც ისინი აღნიშნავენ ნახევრად-სტრუქტურული ინტერვიუების დროს, თანამედროვე სამყაროში, სადაც ციფრული ტექნოლოგიები განსაკუთრებით განვითარდა, ინტერნეტის მიწოდება გაუმჯობესდა და ციფრული მოწყობილობებიც უფრო ხელმისაწვდომი გახდა, სოციალური მედია გაცილებით პოპულარულია, ვიდრე ტრადიციული. დღეს თუ გაქვს მობილური ან სხვა ციფრული მოწყობილობა და ინტერნეტი, ფაქტობრივად, მთელ მსოფლიოში არსებული ინფორმაცია „ხელში გიჭირავს.“ გაცილებით სწრაფად და მარტივად შეიძლება მიაგნო მრავალმხრივ და მრავალფეროვან ინფორმაციას, ვიდრე ეს ტრადიციული მედიის შემთხვევაში ხდება. მაგალითად, თუ ჟურნალსა და გაზეთში მინიმუმ ერთი დღე უნდა დაელოდო კონკრეტული ინფორმაციის გამოქვეყნებას, იმ საკითხზე შესაძლოა ონლაინ მედიის დახმარებით წამებში მიიღო ინფორმაცია. ან კიდევ, მაგალითად, ვიდრე შემთხვევის ადგილზე ჟურნალისტი და გადამღები ჯგუფი მივა, შესაძლოა, იმავე ადგილიდან ლაივი ჩართოს თვითმხილველმა და სოციალურ ქსელებში ასევე ძალიან მალე გამოაქვეყნოს. სწორედ ამიტომ, რომ სოციალური მედიის

გააქტიურების პარალელურად, სამოქალაქო ჟურნალისტიკაც გააქტიურდა და ამბის გაგება გაცილებით სწრაფი და მარტივი გახდა. თუმცა, რა თქმა უნდა, მეორე მხარეც არსებობს, რაც ხარისხსა და სანდოობას უკავშირდება. უზარმაზარ ინფორმაციაში, რომელიც სოციალური მედიით ვრცელდება, ტრადიციული მედიისაგან განსხვავდებით, ძნელია, გაარჩიო, რა არის მართალი და რა - ტყუილი. კარგი ცოდნითა და შესაბამისი უნარებით უნდა იყო „მომარაგებული“, რომ მანიპულაციის მსხვერპლი არ გავხდეთ და არასწორი ინფორმაცია არც დაიჯერო და არც სხვას გაუზიარო. (იაკობაშვილი, 2024)

ჯერჯერობით ქვეყნის მასშტაბით ისევ ტრადიციული მედია რჩება ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროდ, თუმცა სოციალური მედია უფრო მზარდია. (ქეშელაშვილი, 2024)

საქართველოში ჯერ კიდევ ტელევიზიები არის ინფორმაციის მიღების მთავარი წყარო და უფრო მეტი აუდიტორია შეიძლება ითქვას ისევ როგორც ტრადიციულ მედიას ანუ ტელემაუწყებლობას აქვს, თუმცა არატრადიციული მედიის მიერ ტრადიციული მედიის ჩანაცვლებას ბევრი აღარ აკლია და დაზუსტებით ვერავინ იტყვის, ეს როდის მოხდება, მაგრამ ეს რეალობა აუცილებლად დადგება, როდესაც სოციალური მედია ჩანაცვლებს ტრადიციულ მედიას (წულუკიძე, 2024).

დღევანდელი აუდიტორიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სოციალური მედია წინა პლანზეა, უფრო მობილური გახდა ასე რომ ვთქვათ, უფრო პრაქტიკული ადამიანების გარკვეული ჯგუფისთვის, იმიტომ რომ ძირითადად სამსახურში, ან ისეთ გარემოში უწევთ ყოფნა სადაც ტელევიზია არ არის, ტრადიციულ მედიასთან განსხვავებით სოციალურ მედიას აქვს ის პლიუსი რომ ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ დროს შეგიძლია მიიღო ინფორმაცია თუ გაქვს ელემენტარული კავშირი ინტერნეტთან და ამ შესაძლებლობას იძლევა 21-ე საუკუნე თავისი სოციალური მედიით, ვთვლი, რომ ძალიან პრაქტიკულია, ჩვენც ტრადიციულ მედიაში მომუშავე ადამიანები ხშირად ვიყენებთ სოციალურ მედიას და შეიძლება ითქვას ჩვენი მუშაობის განუყოფელი ნაწილია (კირვალიძე, 2024).

ბოლო კვლევები ადასტურებს, რომ ჯერჯერობით ტრადიციული მედია და კერძოდ ტელევიზიები არის უპირატეს მდგომარეობაში, იმიტომ რომ დაფარვა/გავრცელების არეალი უფრო დიდია, თუმცა ინტერნეტზე ხელმისაწვდომობასთან ერთად ონლაინ მედიის მნიშვნელობაც იზრდება და ეს ტენდენცია ჩანს, თუმცა ჯერჯერობით დომინანტური პოზიცია კვლავ ტელე მედიებს აქვთ ამ ეტაპზე. ტრადიციულ მედიად უკვე აღარც კი შეიძლება ჩაითვალოს ბეჭდური მედია რადგან ვინც ონლაინ სივრცეში არ გადაერთო შეწყვიტა არსებობა და ვინც ისევ არსებობს ტირაჟებით ძალიან უკან არის წასული (კუპრეიშვილი, 2024).

დღეისათვის უფრო აქტუალური სოციალური მედიაა, თუმცა ტრადიციული მედია უფრო სანდო და რეპუტაციულია (ცირამუა, 2024).

ტრადიციული და სოციალური მედიის ცალცალკე გამოყოფა არ შეიძლება, იმიტომ რომ ყველა ტრადიციული მედია არსებობს და ფეთქავს სოციალურ სივრცეში, ეს არ არის მარტო

ქართული ფენომენი, ეს არის გლობალური ფენომენი, ტრადიციულ მედიებს კითხულობს, უყურებს, უსმენს ბევრად ნაკლები და შემცირებადი აუდიტორია ვიდრე ამავე მედიების სოციალურ ქსელებს, ჩვენთან არის გავრცელებული ერთად ერთი სოციალური ქსელი ეს არის „Facebook“-ი, სხვა სოციალური ქსელები რაც ბევრს სხვა ქვეყანაში პოლიტიკური მობილიზების ძირითადი საშუალებებია, მაგალითად „twitter“-ი ამჟამინდელი „X“-ი ჩვენს ქვეყანაში საერთოდ არ მუშაობს, ბევრმა მედიამ სცადა, რომ ამ სფეროში გადასულიყო, მაგრამ არაფერი არ გამოუვიდა, ძირითადად ჩვენ ვარსებობთ „Facebook“-ში. წარმატება დამოკიდებულია მათ შორის გვერდების, კლიკების, აუდიტორიის მოცვა ე.წ. „აუთრიჩი“ აქტიურობაზე სოციალურ ქსელებში კონკრეტულად კი „Facebook“-ში (გაგუა, 2024).

აუდიტორიის და მომხმარებლის თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ სოციალური მედია უფრო აქტუალურია და კიდევ უფრო დიდ აქტუალობას იძენს, თუმცა ის ტრადიციული მედია, რომლებიც შეძლებისდაგვარად უფრო აქტიურად ავითარებს თავის სოციალურ მიმართულებებსაც, არ კარგავს აქტუალობას და ცდილობს დაეწიოს სოციალურ მედიას და სოციალური მედიის ყველა პლატფორმაზე თავისი შინაარსი/კონტენტი გაავრცელოს (ლორთქიფანიძე, 2024).

სოციალური და ტრადიციული მედიის აქტუალობისა და იმის დადგენა თუ რომელი უფრო წინა პლანზეა ცოტა რთული ამბავია, ვინაიდან აუდიტორია ასაკობრივი თვალსაზრისით ორ ნაწილად იყოფა და მაშინ როდესაც ახალი თაობა თითქმის აღარ იყენებს ტრადიციულ მედიას, ხოლო შედარებით დიდი ასაკის ადამიანები ისევ აქტიურად იყენებენ ტრადიციულ მედიას, თუმცა ეს რეალობა ცვალებადია და დღითიდღე დიდი სისწრაფით მატულობს სოციალური მედიის აუდიტორია, შესაბამისად მცირდება ტრადიციული მედიის აუდიტორია (ცისკარიძე, 2024).

რაც შეეხება კითხვას, თუ ტრადიციულ მედიაში რეიტინგს რა ფაქტორები განაპირობებს, რესპონდენტთა აზრები ასეთნაირად გამოისახა:

ტრადიციული მედიის რეიტინგს სანდოობა და მრავალფეროვნება განსაზღვრავს. ტელევიზიები, რომლებიც მაყურებელს არა მხოლოდ საინფორმაციო გამოშვებას, არამედ გასართობ და შემეცნებით კონტენტს სთავაზობენ, პოპულარულია. სხვადასხვა შოუს, მუსიკალურ პროექტებს დღემდე ბევრი ადამიანი უყურებს. ამიტომ, მრავალფეროვანი კონტენტი მნიშვნელოვანია. ასევე, ბეჭდური მედიის შემთხვევაში, შესაძლოა, ანალიტიკური მასალები, რომლებსაც დამუშავება, ინფორმაციის შეკრება, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა სჭირდება და ინტერნეტში ასე პირდაპირ არ არის ხელმისაწვდომი, საინტერესო იყოს. თუმცა, სამწუხაროდ, ვრცელი, ანალიტიკური სტატიების მკითხველთა რაოდენობაც სულ უფრო მეტად მცირდება. ისევე, როგორც დიდი ინტერვიუების მკითხველთა აუდიტორიაც იკლებს (იაკობაშვილი, 2024).

ტრადიციული მედიასაშუალებების რეიტინგს განაპირობებს ერთი მხრივ, მათი ფინანსური შესაძლებლობები, რისი მეშვეობითაც მაყურებელს სთავაზობენ უფრო ეფექტურ, თუნდაც მდარე ხარისხის შოუ-პროგრამებს, ეძლევათ ქვეყნის უკეთ დაფარვის შესაძლებლობა,

ასევე არსებული რეალობის გათვალისწინებით პოლიტიკური პრეფერენციები. მედიაორგანიზაციები, რომელთა პოპულარობის გაზრდასაც ხელისუფლება ცდილობს, მარტივად აღწევს უკეთეს რეიტინგს (ქეშელაშვილი, 2024).

საქართველოში დღეისათვის საბედნიეროდ არის ძალიან ბევრი მედია საშუალება, ის მეთოდები, რომელიც საზღვრავს ამა თუ იმ მედია საშუალების რეიტინგს, სამწუხაროდ ბოლომდე სანდო არ არის და ჩემი აზრით პოპულარობას და რეიტინგს წყვეტს სანდოობა, საზოგადოების მხრიდან ნდობის ფაქტორი განაპირობებს ამ ყველაფერს, ძალიან რთულია ამ ქაოტურ სივრცეში სრულყოფილი სურათის დადება და იმის განსაზღვრა, თუ რომელია ყველაზე რეიტინგული მედია საშუალება (წულუკიძე, 2024).

ტრადიციულ მედიაში რეიტინგის განმსაზღვრელი ძალიან ბევრი ფაქტორია, ვინაიდან არ არის მარტივი ტრადიციულ მედიაში მოიპოვო რეიტინგი, ყველა ნიუანსი არის მნიშვნელოვანი, დაწყებული სტუმრიდან დამთავრებული თემატიკით რასაც აკეთებ, რაც გადის ტელევიზიაში, ეს თოქშოუ იქნება, სერიალი, გასართობი გადაცემა, კონტენტი, რომელსაც ასევე თავისი მაყურებელი ყავს. მე ვფიქრობ, რომ ალბათ უფრო სანდოობა მთავრი, რაც მერე განაპირობებს რეიტინგს და ადამიანები ვინც ამ ტრადიციულ მედია საშუალებას წარმოადგენენ, სახეები რომლებიც ქმნიან პროდუქტს, ადამიანი რომელიც ეკრანზე ჩანს ეს ასევე დიდი ფაქტორია, იმიტომ რომ შეიძლება მაყურებელს რომელიმე კონკრეტული ადამიანის სტილი მოწონს, უყვარს ან კიდე პირიქით, ასევე ის თემები, რაც არის აქტუალური, თუ შუქდება აუცილებლად აქვს რეიტინგი, მთავარია მოვლენების ეპიცენტრში იყო, რომ ის რაც არის აქტუალური ის გააშუქო და შესაბამისად ეს განაპირობებს ამა თუ იმ მედია საშუალების რეიტინგს, ასევე მნიშვნელოვანია ფინანსური მდგომარეობაც, მოკლედ ფინანსური ზურგი როცა მყარი აქვს მედია საშუალებას ეს მის რეიტინგსაც განსაზღვრავს (კირვალიძე, 2024).

ტრადიციულ მედიაში რეიტინგს ბევრი ფაქტორი განაპირობებს, პირველ რიგში არის დაფინანსება, იმიტომ რომ ეს დაფინანსება ნიშნავს უფრო მრავალფეროვან კონტენტს, მეგაშოუებს, რაც იზიდავს მაყურებელს და შემდეგ ინერციით გრძელდება სხვა გადაცემების და ასევე გავრცელების არეალიც მნიშვნელოვანია, რადგანაც ტელევიზიაზე უფრო მეტ ადამიანს მიუწვდება ხელი ვიდრე ინტერნეტზე და ამასთანავე საზოგადოების ჩვევა, საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი მიჩვეულია ტელევიზორის ყურებას და ესეც განაპირობებს გარკვეულწილად ამ ყველაფერს (კუპრეიშვილი, 2024).

ტრადიციულ მედიაში რეიტინგს განაპირობებს სანდოობა, შინაარსი და ხარისხი (ცირამუა, 2024).

პოსტ მოდერნ ეპოქაში სხვადასხვა მოცემულობებში საზღვრები ირევა, საჯარო საზომი ჩვენს ქვეყანაში ყველაზე გავრცელებული საქართველოში არის TOP.GE, მე ამ განხრით პროფესიონალი არ ვარ, მაგრამ ჩემი ინფორმაციით შედარებით ადვილია მანიპულაციები და ბევრი მედია საშუალება რომლებიც ხელოვნურად ზრდიან თავიანთ სტატისტიკას TOP.GE-ზე, მეტსაც გეტყვით, დიდი უმრავლესობა ასე იქცევა, ნუ ახლა ყველას არ ვიტყვი,

მაგრამ ბევრი ასე აკეთებს, ამის გარდა, ისინიც კი ვინც არ ზრდიან მანიპულაციით ისინი იძულებულნი არიან სხვადასხვა ტექნიკებს მიმართონ რომ რეიტინგი გაზარდონ, აი რა ტექნიკები მაგალითად სხვადასხვა დიდ Facebook ჯგუფებს ან ყიდულობენ ან კიდევ უთანხმდებიან რომ გაზიარდეს მატ დიდ აუდიტორიასთან მისი კონტენტი, ასევე არის სუსტი კონტენტის მქონე მედია საშუალება და მათი რეიტინგის უმეტესი პროცენტი მოდიოდეს მხოლოდ გასართობი ტიპის გადაცემებზე რასაც მეტი აუდიტორია ჰყავს ხოლმე და იმის განსაზღვრა და შესაბამისად იმის განსაზღვრა ძალიან რთულია ეს რეიტინგი ჩამოთვლილი გადაცემებიდან მოიპოვე თუ ახალი ამბების გადაცემებიდან, მაშასადამე ამ კითხვაზე კონკრეტული პასუხი არ არსებობს (გაგუა, 2024).

ტრადიციულ მედიას სოციალურ მედიას თუ შევადარებთ, ისმის კითხვა რატომ არ კარგავს აქტუალობას ტრადიციული მედია, იმიტომ რომ ტრადიციულ მედიას მაინც აქვს ის ნდობა და რეპუტაცია, რაც სოციალურმა ჯერ ვერ მოიპოვა და სოციალურ მედიაშიც კი მეტწილად ტრადიციული მედიის გავრცელებულ კონტენტს ადევნებს თვალყურს (ლორთქიფანიძე, 2024).

ტრადიციულ მედიაში რეიტინგს საინფორმაციო პოლიტიკა განაპირობებს, ასევე შეიძლება ითქვას ფინანსური სტაბილურობაც რადგან ფინანსებთან არის დაკავშირებული კონტენტის მრავალფეროვნება და მრავალფეროვანი კონტენტის მქონე მედიასაშუალებას შესაბამისად რეიტინგი დიდი აქვს (ცისკარიძე, 2024).

ასევე საინტერესოა რესპონდენტების აზრი ტრადიციული მედიის ციფრულ ეპოქაში ტრანსფორმაციის საჭიროებასა და მნიშვნელობაზე:

ტრადიციული მედიის ციფრულ სივრცესთან დაპირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და ამას უკვე არაერთი მედია საშუალება წარმატებით ახერხებს. სხვანაირად, ისინი აუდიტორიის დიდ ნაწილს დაკარგავენ. სწორედ ამიტომ, რომ, ერთი მხრივ, მაგალითად, სატელევიზიო გადაცემა სოციალურ ქსელებში ლაივ რეჟიმში გადაიცემა. ასევე, ის, რომ აუდიტორიას ხანგრძლივი ვიდეოებისა და გადაცემების ყურება აღარ მოსწონს, გამოიხატება გადაცემების „დაჭრით“ და ციფრულ მედიაში კონკრეტული ქვესათაურებით განთავსებით. მაგალითად, თუ სრული გადაცემის ჩანაწერს ან ლაივს რამდენიმე რეაქცია აქვს, ამ გადაცემიდან რამდენიმე წუთიან, მოკლე ვიდეოების ცალ-ცალკე ატვირთვა ბევრად უფრო მომგებიანია ხოლმე. ტელევიზიები აქტიურად იყენებენ ვებგვერდებს. აქვეყნებენ მოკლე ნიუსებს, საინფორმაციო ქარდებს, ვიზუალურ კონტენტს, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მათ აუდიტორია შეინარჩუნონ. რადიოგადაცემები ლაივში გადის, ასევე რადიოებს თავიანთი ვებგვერდები აქვთ და ისინიც ცდილობენ, მოკლე ვიზუალური მასალა გამოაქვეყნონ და თავიანთ გვერდზე აქტიურობა შეინარჩუნონ. იგივე შეიძლება ითქვას ბეჭდურ მედიაზეც. ხშირად დიდი ინტერვიუებიდან სოციალურ ქსელში გამოტანილია ერთი ან რამდენიმე საკვანძო ციტატა, ფოტოსთან ერთად და მკითხველს სთავაზობენ, რომ ბმულზე გადასვლის შემთხვევაში სრულად ნახონ ან წაიკითხონ მასალა. ასევე, იმის გამო, რომ დღეს ცხოვრება აჩქარებულია და ადამიანებს ბევრი თავისუფალი

დრო აღარ აქვთ, სტატიას ხშირად აწერია, პირობითად, რამდენ წუთს დახარჯავთ მისი წაკითხვისას. ვფიქრობ, ეს ფაქტორები ძალიან მნიშვნელოვანია. ტრადიციულმა მედიამ იცის, რომ სხვაგვარად მუშაობას ვერ შეძლებს, მისი აუდიტორიის დიდი ნაწილი ონლაინაა, ციფრულ სამყაროში. ამიტომაცაა, რომ ფეისბუქის, ინსტაგრამის, ზოგ შემთხვევაში ტიკ-ტოკ გვერდების განვითარებას დიდ დროს უთმობენ და მგონია, რომ დღეს ბევრი ტრადიციული მედიასაშუალება საკმაოდ წარმატებით ახერხებს ციფრულ სამყაროსთან ადაპტირებას. მაგალითად, ვფიქრობ, „ფორმულას“ ძალიან კარგი Facebook და Instagram გვერდები აქვს, საკმაოდ დიდი ჩართულობითა და აუდიტორიით. „ფორმულა“ შესაძლოა, ტელევიზორში მისი დაარსების დღიდან მხოლოდ რამდენჯერმე მქონდეს ჩართული. თუმცა, მისი სოციალური ქსელებიდან ინფორმაციას ძალიან ხშირად ვიგებ, მომწონს ვიზუალური კონტენტიც და მასალის სხარტად და ლაკონიურად გადმოცემის პრინციპიც. „ბომონდი“, სადაც ვმუშაობ, ბუკდური სახით გამოდის. თუმცა, საიტისა და სოციალური მედიის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. ჟურნალში გასულ მასალებს, საიტზეც ვაქვეყნებთ და დამოუკიდებელ სტატიებსაც ვქმნით, რომლებიც სპეციალურად საიტისთვისაა. სხვაგვარად, აუდიტორიის დიდ ნაწილს დავკარგავთ (იაკობაშვილი, 2024).

იმის გათვალისწინებით, რომ ციფრული მედიის პოპულარობა სწრაფად იზრდება, განსაკუთრებით, კი ახალგაზრდა აუდიტორიაში, იზრდება ტრადიციული მედიისთვისაც საჭიროება, რომ აითვისონ ციფრული მედიის პლატფორმები და ხერხები (ქეშელაშვილი, 2024).

ტრადიციული მედიის ციფრულ ეპოქაში ტრანსფორმაცია აუცილებელია. ტელევიზია, სადაც ვმუშაობ ერთერთი პირველი იყო, რომელმაც სოციალურ პლატფორმების აქტიური გამოყენება დაიწყო, ერთ ერთი პირველი იყო ვინც ტიკ-ტოკ და ტელეგრამ არხი შექმნა, ეს უბრალოდ საჭიროებაა დღეისათვის და აქედან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ როდესაც ვსაუბრობთ იმაზე, რომ სოციალური მედია ჩანაცვლებს ტრადიციულ მედიას ტრადიციულ მედიას მოუწევს აი ამ არა ტრადიციულ სოციალურ მედიაში ძალიან დიდი აქტიურობა, რომ არ დაიკარგოს შეიძლება ითქვას არ წაიშალოს. ასე რომ ვთქვათ ზღვარის გავლება ტრადიციულ და სოციალურ მედიას შორის რთულია, აუცილებლად ტრადიციული მედია გამოიყენებს სოციალურ მედიას და იქ განაგრძობს არსებობას და თუ ეს ასე არ გაკეთა, ვფიქრობ დაასრულებს თავის არსებობას (წულუკიძე, 2024).

ტრადიციული მედიის ციფრულ ეპოქაში საჭიროებას ამ ეტაპზე ვერ ვხედავ ალბათ, იმიტომ რომ ციფრულ მედიაში არასდროს მიმუშავია, ვფიქრობ ვერც დავინახავ ვერასდროს ამის საჭიროებას, რადგან ციფრულ მედიას აქვს თავისი დანიშნულება, ძალიან სერიოზული ჩვენც ძალიან ხშირად ვიყენებთ და ვეყრდნობით მუშაობის პროცესში, თუმცა ტელევიზია ჩემთვის სხვა რამეა, ჩემი აზრით ტელევიზიის მიმართ უფრო მეტი ნდობა აქვთ. ჩანაცვლება არა, მაგრამ საჭირო და აუცილებელია ტრადიციულმა მედიამ თავისი კონტენტი გაავრცელოს სოციალურ პლატფორმებზე (კირვალიძე, 2024).

ტრადიციული მედიის ციფრულ ეპოქაში ტრანსფორმაცია აუცილებელია და ამას

ტელევიზიები უკვე აკეთებენ. განსაკუთრებით აქტიურად, ასევე ზოგიერთი გაზეთი და რადიო აკეთებს ამას, თუმცა უნდა ითქვას, რომ გაზეთებს და რადიოებს ეს ძალიან გაუჭირდათ. რა თქმა უნდა, არიან გამონაკლისი მედია საშუალებები, საერთო ჯამში ტელევიზიებს აქვთ კარგი მდგომარეობა ამ კუთხით (კუპრეიშვილი, 2024).

ტრადიციული მედიის ციფრულ ეპოქაში ტრანსფორმაციის საჭიროებაზე საუბარი ჯერ კიდევ 2000 იანი წლებიდან დაიწყო, რადგან მაშინ იყო გარკვეული შიშები. თუმცა 2009 წლისკენ უკვე გამოიკვეთა, რომ ციფრული ტრანსფორმაციის გარეშე იარსებოს, მანამდე იყო შიში და არ იყო ეს შიშები უსაფუძვლო, ვინაიდან ფულის ინტერნეტიდან ამოქაჩვა ძალიან რთულია, განსაკუთრებით ბექდურ მედიაში. დღეისათვის თუ არ არსებობ ციფრულ მედიაში, ფაქტიურად არ არსებობ (გაგუა, 2024).

საჭიროა ფიზიკური მასალა გახდეს ციფრულად გადამუშავებადი, ბექდური სტატიები ონლაინ, ვრცელი სიუჟეტები მოკლე კლიპებად და ა.შ., რათა მკითხველამდე მსმენელამდე მივიდეს იმ ფორმით, რა ფორმაც მათთვის მისაღები და მოქნილია (ცირამუა, 2024).

არანაკლებ მნიშვნელოვანია რესპონდენტთა აზრი და ხედვები, თუ რა გამოწვევები შეიძლება ახლდეს ტრადიციული მედიის ციფრულ ეპოქაში ტრანსფორმაციის პროცესს:

გამოწვევებს რაც შეეხება, მთავარი გამოწვევა რესურსია. მედია ორგანიზაციებს ახლა უწევს, არა მხოლოდ, მაგალითად, ტელევიზიისათვის საჭირო ადამიანები, ჟურნალისტები, ოპერატორები, განათების სპეციალისტები... დაიჭიროს, არამედ აიყვანოს კადრები, რომლებიც იზრუნებენ ვებგვერდის გამართვაზე, ადმინისტრირებაზე, სოციალური მედიის განვითარებაზე, ფეიჯების მართვაზე, შესაბამისი კონტენტის მომზადებაზე. თუ კონტენტი ხარისხიანი არ არის, აუდიტორიაც ნაკლები ჰყავს. ამიტომაც, ალბათ, ხარჯებიც და რესურსებიც გაზრდილია, რაც ტრადიციული მედიისათვის დამატებითი ფინანსების გაღებასთან ასოცირდება. იმ მედია საშუალებებს კი, რომლებსაც კერძო დამფინანსებლები ჰყავთ, შესაძლოა, რესურსების მოძიება გაუჭირდეთ (იაკობაშვილი, 2024).

ციფრული ტრანსფორმაცია მნიშვნელოვან გამოწვევებთანაა დაკავშირებული. ციფრულ პლატფორმებზე მუშაობა მოითხოვს განსხვავებულ უნარებს, სჭირდება განსხვავებული ტექნიკური აღჭურვილობა და ვფიქრობ, ნიუსრუმის მუშაობის სტილის შეცვლაც. რაც განსაკუთრებით დიდი, ტრადიციული მედიის საშუალებებისთვის მარტივი არ იქნება (ქეშელაშვილი, 2024).

ტრადიციული მედიის ციფრულ ეპოქაში ტრანსფორმაციას შეიძლება ახლდეს ის, რომ დიდი რესურსი სჭირდება, გრძელვადიანი ხედვა და ამასთან, ტრადიციული მედია ფორმები ხშირად პირდაპირ არ გადადის ციფრულ ფორმატებში (ცირამუა, 2024).

ტრადიციული მედიის ციფრულ ეპოქაზე ტრანსფორმაციის პროცესის განვითარების შესახებ ყველა რესპონდენტი თითქმის ერთ აზრზეა და ამბობენ, რომ ეს პროცესი ძალიან სწრაფად განვითარდება და სამომავლოდ ტრადიციული მედია მთელი არსებით იარსებებს ციფრულ სივრცეში.


აუდიტორიის კვლევის შედეგები:

რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა 2024 წლის 15 მაისიდან, 2024 წლის 16 ივნისამდე შუალედში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო სულ 302 ადამიანი, აქედან 196 ანუ 64,9% იყო მდებარეობით, ხოლო 106 ანუ 35.1% მამრობითი სქესის წარმომადგენელი.

კვლევისთვის გამიზნული აუდიტორიის ასაკობრივი ზღვარი განისაზღვრა 16 წლიდან ზემოთ ასაკობრივი კატეგორიის ადამიანები ვინც მოიხმარენ სოციალურ მედიას და არიან ტრადიციული მედიის მომხმარებელი. ასაკობრივი შუალედების გაყოფა შემდეგნაირად განხორციელდა: 16-26 წლის 123 ადამიანი, რაც გამოკითხულთა 40,7% შეადგენს, 26-39 წლის 115 ადამიანი, რაც გამოკითხულთა 38.1% შეადგენს, 40-49 წლის 35 ადამიანი, რაც 11,6% შეადგენს და ბოლოს 50 წელს ზემოთ მონაწილეობა მიიღო 29 ადამიანმა, რაც შესაბამისად გამოკითხულთა 9.6% შეადგენს.

1. თქვენი ასაკი?


302 პასუხი



ინფორმაციის მიღების კომფორტულ საშუალებად კი აბსოლუტური უმრავლესობა 82.5% სოციალურ მედიას ანუ ციფრულ სივრცეს ასახელებს.

7. თქვენთვის ინფორმაციის მიღების, რომელი საშუალებაა უფრო კომფორტული?

302 პასუხი




ჩვენი კვლევის ერთ-ერთი ჰიპოთეზა გაამართლა კითხვამ იმის თაობაზე თუ რამდენად მნიშვნელოვანი და აუცილებელია ტრადიციული მედიის ციფრულ ეპოქაში ტრანსფორმაცია და გამოკითხულთა უმრავლესობა 88.4% ფიქრობს, რომ აუცილებელი და საჭიროა, რადგანაც აუდიტორია სოციალურ მედიას უფრო მეტი ჰყავს. თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ თვისებრივმა კვლევამაც ანალოგიურად დააფიქსირა და

უმრავლესობით აზრით, ეს ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელია.

11. თქვენი აზრით, ტრადიციულ მედიაზე უფრო მეტი მოთხოვნილებაა და დიდი აუდიტორია ჰყავს, თუ სოციალურს?

302 პასუხი




გამოკითხული აუდიტორის აზრით საქართველოში სანდო ობიექტურ და მიუკერძოებელ მედიასაშუალებებად დასახელდა; რადიო თავისუფლება, პირველი არხი, TV პირველი, პალიტრა News და ბოლოს მთავარი არხი.

სოციალურ ქსელებში გამოკითხულთა უმრავლესობა როგორც მოსალოდნელი იყო და ამას სტატისტიკებიც გვიჩვენებს, Facebook-ის მომხმარებელია, შემდეგ მოდის ინსტაგრამი, ტიკ ტოკ-ი, ხოლო Telegram-სა და Twitters/X-ის მომხმარებლები ძალიან ცოტაა გამოკითხულთა შორის.

13. რომელი სოციალურ ქსელს იყენებთ ინფორმაციის მისაღებად?

302 პასუხი




ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენი კვლევისთვის და მთავარ კითხვას წარმოადგენდა ფაქტიურად მოსაზრება, რომ ტრადიციული მედია საშუალებებმა, რომლებმაც არ ან ვერ განახორციელეს ციფრულ ეპოქაზე ტრანსფორმაცია (მორგება), დაკარგეს აუდიტორია და შესუსტდნენ ან საერთოდ გაქრნენ მედია სივრციდან? ასევე ეს კითხვა ჩემს ჰიპოთეზას წარმოადგენს, რომელზეც ჩემი გამოკითხული აუდიტორიის უმრავლესობა 48.7% ნაწილობრივ მაინც ეთანხმება ამ თეორიას, ხოლო 45.7% ეთანხმება ამ მოსაზრებას, რაც ამართლებს ჩვენს ძირითად და მთავარ ჰიპოთეზას, ამ მოსაზრებას არ ეთანხმება, მხოლოდ გამოკითხულთა 5.6% ანუ 302 კაციდან 17 გამოკითხული ადამიანი და ჩვენ შეგვიძლია

ვივარაუდოთ, ეს ადამიანები რომელ ასაკობრივ კატეგორიას მიეკუთვნებიან. ასევე აღსანიშნავია, რომ თვისებრივ კვლევაშიც, რესპონდენტთა უმრავლესობა ეთანხმება ამ ჰიპოთეზას, რაც კიდევ უფრო ამართლებს და ამყარებს ჩვენს ჰიპოთეზას.

16. ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ ტრადიციული მედია საშუალებებმა, რომლებმაც არ ან ვერ განახორციელეს ციფრულ ეპოქაზე ტრანსფორმ...დნენ ან საერთოდ გაქრნენ მედია სივრციდან?

302 პასუხი



ასევე მნიშვნელოვანი იყო გამოკითხვის ბოლო ღია კითხვა, ტრადიციული მედიის ციფრულ ეპოქაში ტრანსფორმაციის საჭიროებასა და მნიშვნელობაზე, რომელიც უშუალო კავშირში იყო ჩვენს ჰიპოთეზებთან და გიზიარებთ გამოკითხულთაგან გაცემულ ზოგიერთ პასუხებს:

უცილებელი და გარდაუვალი პროცესია ტრადიციული მედიის ციფრულ ეპოქაში ტრანსფორმაცია, რადგან სოციალური მედია ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ვერცერთი მედია ვერ გადარჩება სოციალური მედიის გამოყენების გარეშე, რადგან ვერ შეძლებენ აუდიტორიამდე მიწვდომას. თუმცა, მხოლოდ Facebook-ის გამოყენება არ არის საკმარისი, თუ სურთ ახალგაზრდული აუდიტორიის მოზიდვა, ვფიქრობ, ტრადიციულმა მედია საშუალებებმა ასევე აქტიურად უნდა დაიწყონ ინსტაგრამისა თუ ტიკტოკის გამოყენება, რადგან მოკლე ვიდეოების მეშვეობით, რაც ამ პლატფორმებისთვისაა დამახასიათებელი, უფრო ეფექტურად შეძლებენ მათთვის ინფორმაციის მიწოდებას.

ოცდამეერთე საუკუნეში, აუცილებელია ციფრული კუთხით განვითარდეს ნებისმიერი სფერო. არამარტო მედია საშუალებები ხელოვნების კუთხითაც თუ არ არის აქტიური ციფრულად, ნაკლებად ჰყავს აუდიტორია. მით უფრო, ახალგაზრდები, რომლებიც ძირითადად ინტერნეტით იღებენ ნებისმიერ ინფორმაციას. მართალია, საინფორმაციო კუთხით რთულია დამკვიდრება მედიისთვის როცა დეზინფორმაცია ისევე მარტივად გავრცელებადია, როგორც სიმართლე მაგრამ ტექნოლოგიების ხანაში არც ისე რთულია წყაროს მოძიება და როგორც გამავრცელებლის მოძიება ასევე სხვადასხვა ნიშნებით და ელემენტარული ცოდნით გარკვევა ინფორმაციის სიზუსტეში.

იმ ეპოქაში, სადაც ახალგაზრდა თაობა და არამარტო, აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს, როგორც წყაროს ახალი ამბებისას, მნიშვნელოვანია მედია გადავიდეს ციფრულ სამყაროში და მოერგოს აუდიტორიის პრიორიტეტებს. ეს მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ

მათ არ დაკარგონ მაცურებელი და ამასთანავე, უზრუნველყონ ავტენტური ინფორმაციის გადაცემა, რადგანაც როგორც თანამედროვე სოციალურ მედიაში ვხედავთ, დეზინფორმაცია უფრო ხშირად გვხვდება სოციალურ მედიაში.

გამომდინარე იქიდან, რომ სოციალური ქსელები და ზოგადად, ინტერნეტი უფრო და უფრო ინტენსიურად გამოიყენება საზოგადოებაში, ვფიქრობ ტრადიციულ მედიის ციფრულ ეპოქაში ტრანსფორმირება საჭირო და მეტიც, აუცილებელია.

ბევრი რომ არ გაგვიგრძელდეს, გამოკითხულთა უმრავლესობა ერთ აზრზეა და ფიქრობს, რომ ტრადიციული მედიის ციფრულ ეპოქაში ტრანსფორმაცია მნიშვნელოვანი, აუცილებელი და უფრო მეტიც გარდაუვალია, რაც ამავდროულად ამართლებს ჩვენს ჰიპოთეზებს.

დასკვნა

კვლევის შედეგად დადასტურდა პირველ ჰიპოთეზაში წამოჭრილი მოსაზრება და ასევე ნაწილობრივ დადასტურდა მეორე ჰიპოთეზაში წამოჭრილი მოსაზრებები. აღსანიშნავია, რომ გამოიკვეთა მნიშვნელოვანი გამოწვევები, რაც შეიძლება თან ახლდეს ტრადიციული მედიის ციფრულ ეპოქაში ტრანსფორმაციის პროცესს. ამათგან უნდა აღინიშნოს ფინანსური არასტაბილურობის პრობლემა და აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ მედია საშუალებები, რომლებიც არაფორმალურად თუ ფორმალურად არ აქვს ამას დიდი მნიშვნელობა ამ შემთხვევაში და რომლებსაც ფინანსური პრობლემები არ აქვთ, შეუძლიათ მაცურებელს შესთავაზოს მრავალფეროვან კონტენტს, ეს იქნება სერიალები, სხვა და სხვა გასართობი ტოქშოუები თუ სხვა შინაარსის გადაცემები, რაც არის იმის წინაპირობა, რომ მიიზიდოს აუდიტორია. შესაბამისად დღევანდელი აუდიტორიის სტატისტიკის რეალობა შეიძლება არ გვაძლევდეს სრულყოფილ სურათს, რაც გვაძლევს იმის ვარაუდის საშუალებას, რომ არსებული რეიტინგი შეიძლება იყოს გარკვეული სხვადასხვა სახის მანიპულაციების შედეგი.

როგორც თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევები გვიჩვენებს სოციალური მედია არის ის ადგილი სადაც აუცილებლად უნდა არსებობდეს ტრადიციული მედია, ტრადიციული მედიიდან მართალია ტელევიზია ისევ რჩება ჯერჯერობით მთავარ ინფორმაციის მიღებს წყაროდ, თუმცა ეს რეალობა შეიცვლება და ისეთივე რეალობის წინაშე დადგება ტელე მაუწყებლებიც, რა რეალობის წინაშეც დგანან დღეისათვის რადიო მაუწყებლობა და განსაკუთრებით, ბეჭდური მედია და ეს რეალობა ის არის, რომ ის მედია საშუალებები ეს რადიო მაუწყებელი იქნება ეს თუ ბეჭდური მედია, რომლებიც არ არსებობენ ციფრულ სივრცეში, ფაქტიურად არ არსებობენ, ან თუ არსებობენ იმდენად მწირი აუდიტორია ჰყავთ, რომ თავის შენახვაც კი უკვე მათთვის დიდი გამოწვევაა, ხოლო ის ტრადიციული მედია საშუალებები, რომლებმაც მოახერხეს ციფრულ სივრცეში ტრანსფორმაცია და ინტეგრირება საკმაოდ აქტიური, რეიტინგული და დიდი აუდიტორიის მფლობელია.

მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ, ბუჭდური მედიიდან გაზეთი ბათუმელები, რადიო მაუწყებლობიდან რადიო თავისუფლება, და ტელევიზიების უმრავლესობა, ფორმულა TV და ასე შემდეგ.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ თვისებრივი კვლევის შედეგები ზოგიერთ საკითხში ემთხვეოდა რაოდენობრივი კვლევის შედეგებს, მაგრამ იყო საკითხები, სადაც სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგები იყო. მაგალითად, თვისებრივი კვლევის ყველა რესპონდენტი ფიქრობს, რომ ტრადიციული მედია, კერძოდ ტელემაუწყებლობა უფრო წინა პლანზეა ვიდრე სოციალური მედია, რაოდენობრივ კვლევაში კი ამ საკითხთან მიმართებაში სრულიად განსხვავებული და საწინააღმდეგო შედეგი მივიღეთ და მონაწილეების აზრით, სოციალური მედია უფრო კომფორტულია და წინა პლანზეა. ჩვენი კვლევის ჰიპოთეზებს რაც შეეხება, გამართლდა და დადასტურდა, როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კვლევის შედეგებითაც, ვინაიდან ყველა თანხმდება იმაზე, რომ ტრადიციული მედიის ორგანოებმა, რომლებმაც ვერ მოახერხეს ან დააკვირნენ ციფრულ ეპოქაში ტრანსფორმირება, აისახა მათ რეიტინგზე ან საერთოდ გააქრო ისინი მედიის სივრციდან. ასევე კვლევის ორივე მეთოდის შედეგებით იქნა დადასტურებული, რომ ჟურნალისტი/ები მედია ორგანო/ები, რომლებმაც ვერ მოახერხეს ახალი ციფრული ტექნოლოგიების ათვისება აისახა მათ საქმიანობასა და ხარისხზე, რამაც გამოიწვია მათი ჩამორჩენა, რაც აისახა მათ, როგორც ეკონომიკურ ასევე სოციალურ სტატუსზე და ამის მაგალითად მინდა მოვიყვანო ერთერთი ჟურნალისტი რომელიც გაზეთ აჭარაში მუშაობს, მის სახელს შეგნებულად არ დავასახელებ იმის მიუხედავად, რომ დამეთანხმებინტერვიუზე, შემდეგ თავი შეიკავა, რადგანაც კითხვებიდან გამომდინარე მიხვდა, რა თემაზე იყო საუბარი, ასევე მითხრა, რომ ონლაინ ჩაწერას ისედაც ვერ მოახერხებდა რადგანაც ვერ ერკვევა ტექნოლოგიებში და ფაქტი სახეზეა გაზეთი აჭარა რამდენად ჩამორჩება ციფრულ ეპოქაში ტრანსფორმაციის პროცესს და ამ ჟურნალისტმა მირჩია ვინმე სხვა ამ საკითხის პროფესიონალი რესპონდენტები მომეძია. ჟურნალისტმა, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი პროფესიის წარმომადგენელმა აუცილებლად უნდა განაახლოს სისტემატიურად საკუთარი თავი, ფეხი აუწყოს განვითარების ტემპს, გააუმჯობესოს საკუთარი უნარ ჩვევები და შესაძლებლობები. ეს ყოველივე ყველა სფეროს წარმომადგენელს სჭირდება, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ეს ჟურნალისტისათვის, რადგანაც ის ასრულებს ინფორმაციასა და საზოგადოებას შორის ხიდის ფუნქციას. ეს ხიდი უნდა იყოს სანდო და მყარი, სხვა შემთხვევაში ჟურნალისტი თავის მოვალეობას პირნათლად ვერ შეასრულებს.

კვლევის ორივე ჰიპოთეზა გამართლდა. როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევების შედეგებით დასტურდება, რომ ჩვენს მიერ წამოჭრილი ორივე ჰიპოთეზა გამართლებულია და ტრადიციული მედია აუცილებლად უნდა მოერგოს ციფრულ ეპოქას, სხვა ალტერნატივა უბრალოდ არ არსებობს. ასევე ტრადიციული მედიის წარმომადგენლები არიან გარკვეული გამოწვევების წინაშე, რისი გადალახვის და ციფრულ ეპოქაში მუშაობისათვის უნარ-ჩვევების განვითარება-დახვეწის აუცილებლობის წინაშე დგანან.

დღეისათვის საქართველოში საბედნიეროდ ბევრია ისეთი ტრადიციული მედია

საშუალებები, რომლებიც ძალიან კარგად ერგებიან და ტრანსფორმირდებიან ციფრულ სივრცეში, თუმცა არიან ტრადიციული მედია საშუალებები, რომლებიც კარგად ფეხს ვერ უწყობენ ამ პროცესს, ისინი დგანან იმ აუცილებლობის წინაშე, რომ მაგალითი აიღონ ამ საკითხში წარმატებული ტრადიციული მედია ორგანიზაციებისაგან, ყველა გამოწვევა დროულად გადალახონ და დროულად განახორციელონ ციფრულ სივრცეში მორგება, ინტეგრირება და ტრანსფორმაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში მათაც ემუქრებათ შესუსტება და აუდიტორიის დაკარგვა, რაც შემდეგ გამოიწვევს მათ მედია სივრციდან გაქრობას, რისი მაგალითებიც სამწუხაროდ ჩვენს ქვეყანაში არც თუ ისე ცოტა გვაქვს.

და ბოლოს, კვლევის შედეგად ხაზგასმით იკვეთება, რომ ტრადიციული მედიის ციფრულ ეპოქაში ტრანსფორმაცია უმნიშვნელოვანესია, აუცილებელია და გარდაუვალია.

რეკომენდაციები

წარმოგიდგენთ იმ რეკომენდაციებს, რომლებიც ჩვენი კვლევის შედეგად გამოიკვეთა:

- იმისათვის, რომ ტრადიციული მედია დარჩეს ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროდ და ზოგადად, შეძლოს მან არსებობა, უნდა გააქტიურდეს ციფრულ სივრცეში. ტრადიციული მედია ორგანოებიდან ტელევიზიებმა გარკვეულ წილად მოახერხეს ციფრულ სივრცეში ტრანსფორმაცია, თუ არ ჩავთვლით გამონაკლისებს, მაგრამ ბეჭდურ და რადიო მაუწყებლობაში ძალიან დიდი პრობლემებია ამ მიმართულებით ჩვენს ქვეყანაში, ძალიან ცოტა ბეჭდურმა და რადიო მაუწყებლობამ თუ მოახერხეს ციფრულ ეპოქაზე მორგება და მათი რიცხვი ძალიან მცირეა. იმ ტრადიციულმა მედია საშუალებებმა, რომლებმაც ვერ მოახერხეს ფეხი აეწყოთ ტრანსფორმაციის პროცესზე და ეს შეეხო პირველ რიგში ბეჭდურ მედიას და მერე რადიო მაუწყებლობასაც ნაწილობრივ, ძალიან შესუსტდნენ და არც თუ ისე ცოტა ასევე საერთოდ მედია სივრციდან გამქრალი ტრადიციული მედია საშუალებები. შესაბამისად, აუცილებელია ყველა ტრადიციულმა მედია საშუალებამ დროულად აუწყოს ფეხი ციფრულ სივრცეში ტრანსფორმაციის პროცესს და არ დააყოვნოს ეს თუ სურს, რომ ამ სფეროში გააგრძელოს არსებობა;
- აუცილებელია, მედია საშუალებებმა მანიპულაციებს კი არ მიმართონ, რომ რეიტინგულად გამოიყურებოდნენ, არამედ ხარისხი გააუმჯობესონ, კონტენტი გაამრავალფეროვნონ და აუდიტორიას შესთავაზონ მათ მოთხოვნებზე მორგებული მედიაპროდუქტი და ყოველთვის გაითვალისწინონ საზოგადოების ინტერესი, რაც შემდეგში ავტომატურად გამოიწვევს მათი რეიტინგის ამაღლებას და აღარ დასჭირდებათ სხვადასხვა მანიპულაციის ხერხების გამოყენება;
- თუ შეიმჩნევა ტრადიციულ მედიაში მომუშავე ჟურნალისტების ციფრულ სფეროში მუშაობისათვის არასაკმარისი ცოდნა და არაკომპეტენტურობა, სასურველია, თვით მედია საშუალებამ უზრუნველყოს თავისი ჟურნალისტების გადამზადება და ტრენინგ გაკვეთილების განხორციელებით ჟურნალისტების კომპეტენტურობისა და ქმედუნარიანობის გაზრდა, რადგანაც ტრადიციული

მედიისა და სოციალური მედიის სპეციფიკა გარკვეულწილად განსხვავებულია. აქედან გამომდინარე ტრადიციულ მედიაში მომუშავე ძალიან წარმატებული და კომპეტენტური ჟურნალისტი შეიძლება იგივენაირად ვერ იყოს ციფრულ სივრცეში და მას დაჭირდეს გარკვეული გადამზადებები, ტრენინგები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის ყველასათვის საჭირო რადგანაც არიან ჟურნალისტები, რომლებიც ამ გამოწვევას თავიანთი ძალებით უმკლავდებიან, ყოველთვის აახლებენ თავიანთ ცოდნას და ძალიან კარგად ერგებიან ციფრულ სივრცეს;

- დღეისათვის არამარტო ჟურნალისტებისთვის, არამედ თითოეული მოქალაქისთვის მნიშვნელოვანია ახალი ტექნოლოგიების ფლობა, ვინაიდან ინფორმაციის მიღებისას ყველას უნდა შეეძლოს ინფორმაციის უტყუარობის გადამოწმება და ჰქონდეს საჭირო ცოდნა იმისათვის თუ როგორ უნდა გააკეთოს ეს. ამისათვის ძალიან მნიშვნელოვანია მედიაწიგნიერება, მედიაწიგნიერების დანერგვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რაც ვფიქრობ, ძალიან დიდ წვლილს შეიტანს დეზინფორმაციების გავრცელების აღმოფხვრისა და სწორი ინფორმაციის ამოცნობის თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა

Albadri, H. A. (2023). The Convergence of Traditional Media to the Digital. digitalcommons.aaru.edu.jo.

Amy Schmitz Weiss, Vanessa de Macedo Higgins Joyce. (2009). Compressed dimensions in digital media. journals.sagepub.com.

Bayram, P. (2022). Dijital Çağda Gazetecilik: Geleneksel ve Dijital Gazetecilik. dergipark.org.tr.

PARLAK, M. O. (2018). YENİ MEDYA VE HABERCİLİĞİN DÖNÜŞÜMÜ. dergipark.org.tr.

Pavlik, J. V. (2008). Media in the Digital Age. Nev York: books.google.ge.

Zaliha İnci Karabacak, Ayşe Aslı Sezgin Büyükalaca. (2019). TÜRKİYE'DE DİJİTAL DÖNÜŞÜM VE DİJİTAL OKURYAZARLIK. researchgate.net.

აფროსიძე, მ. (2017). მულტიმედია ჟურნალისტიკის განვითარების ტენდენციები. open-science.ge.

ბაჯელიძის, მ. (2017). სოციალური და ტრადიციული მედიის ურთიერთმიმართება. open-science.ge.

გაგუა, მ. (2024, ივნისი 14). გაზეთ „რეზონანსი“-ს რედაქტორი. (გ. აბაშიძე, Interviewer)

თინიკაშვილი, ს. (2019). ახალი ამბების ჟურნალისტიკა და პიარი კიბერსივრცეში. open-science.ge, 10.

იაკობაშვილი, თ. (2024, ივნისი 11). პალიტრა ჰოლდინგის ჟურნალისტი, ჟურნალ Beau-monde-ს საიტის ადმინისტრატორი. (გ. აბაშიძე, Interviewer) თბილისი, საქართველო, შიდა ქართლი.

კირვალიძე, ლ. (2024, ივნისი 16). ჟურნალისტი, TV პირველის პროდიუსერი. (გ. აბაშიძე, Interviewer)

კუპრეიშვილი, თ. (2024, ივნისი 12). ჟურნალისტი, „ნეტგაზეთის“ რედაქტორი. (გ. აბაშიძე, Interviewer)

ლორთქიფანიძე, ე. (2024, ივნისი 16). ჟურნალისტი, „რადიო თავისუფლება“-ის კორესპონდენტი აჭარის რეგიონში. (გ. აბაშიძე, Interviewer)

ნადარაია, ნ. (2024). ციფრული მედია 2024-ში: ტრენდები, პროგნოზები და შესაძლებლობები ბიზნესისათვის. forbes.ge.

ოსევაშვილი, დ. (2019). The Print Media News in The Era of Media Convergence -The End of Traditional Media or Future Development as a Global Challenge. books.google.ge.

სამსახური, ს. ს. (2023). შინამეურნეობაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მაჩვენებლები. geostat.ge.

ქეშელაშვილი, ა. (2024, ივნისი 13). ჟურნალისტი, ონლაინ გამოცემა „პუბლიკის“ თანადამფუძნებელი. (გ. აბაშიძე, Interviewer)

შენგელია, ნ. (2022). ციფრული პლატფორმების მიერ კონტენტის მართვა და ადამიანის. openscience.ge.

ცირამუა, დ. (2024, ივნისი 17). ჟურნალ „Forbes Georgia“ ვებ დირექტორი. (გ. აბაშიძე, Interviewer)

ცისკარიძე, თ. (2024, ივნისი 16). „ფორმულა“-ს ჟურნალისტი. (გ. აბაშიძე, Interviewer)

ძიძიშვილი, ს. (2020). ახალი მედია, როგორც სოციალური გავლენის თეორიების კელი . openscience.ge.


წულუკიძე, მ. (2024, ივნისი 16). ჟურნალისტი, TV პირველის კორესპონდენტი აჭარის რეგიონში. (გ. აბაშიძე, Interviewer)

დანართი

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ინტერნეტით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების წილი დასახლების ტიპისა და რეგიონების მიხედვით.

დიაგრამა №1

ინტერნეტით უზრუნველყოფილი შინამეურნეობების წილი, 2023 (%)



ხელოვნური ინტელექტის გავლენა შრომით უფლებებზე

თამარ აქუბარდია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

როგორ აისახება ხელოვნური ინტელექტი დასაქმებულის პირადი ინფორმაციის უსაფრთხოებაზე? შეიძლება ხელოვნური ინტელექტი გახდეს შრომითი ურთიერთობების სუბიექტი? და მაინც რა გავლენას მოახდენს ხელოვნური ინტელექტი დასაქმებულთა უფლებებზე? ეს კითხვები ყველაზე აქტიუალური 2022 წლის შემდეგ გახდა, რაც ინტერნეტ სივრცეში ხელოვნური ინტელექტის პლათფორმა ChatGPT ჩაეშვა. რის შედეგადაც, მსოფლიომ გაიაზრა, რომ ხელოვნური ინტელექტი სულ უფრო და უფრო შემოდოდა ადამიანების ცხოვრებაში. ხელოვნური ინტელექტის გავლენის სწრაფი ზრდა ყველაფერზე აისახება, მათ შორის იგი ძირფესვიანად გარდაქმნის სამუშაო ბაზარს და პირდაპირპროპორციულად აისახება შრომის სამართალზე.

უშუალოდ ხელოვნური ინტელექტი, ასევე ცნობილი, როგორც Artificial Intelligence (AI), არის ტექნოლოგია, რომელიც კომპიუტერებისა და სხვა მოწყობილობების გამოყენების გზით ადამიანის ინტელექტის სიმულაციას ახდენს. ხელოვნურ ინტელექტს იმის ძალა შესწევს, რომ შეასრულოს ამოცანები, რომლებიც სტანდარტულად ადამიანის ჩარევას ან მის ინტელექტუალურ რესურს მოითხოვდა.

ხელოვნურ ინტელექტზე მოთხოვნის პარალელურად, იზრდება ნეგატიური შეფასებებიც. ბოლო პერიოდში, ხელოვნური ინტელექტის ცალკეული ფუნქციების გამოყენებადობის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს მოჰყვა აქტიური მსჯელობა ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებით ეთიკის საკითხზე. ფაქტია, რომ მიუხედავად მნიშვნელოვანი გავლენისა, ხელოვნური ინტელექტი ჯერ კიდევ ვერ მოექცა რომელიმე სამართლებრივი სისტემის სამართლებრივი რეგულირების ჩარჩოებში. ხელოვნური ინტელექტი არის საკმაოდ კარგი ინსტრუმენტი შრომითი ბაზრისთვის. მას შეუძლია სწრაფად გაანალიზოს და გადაახარისხოს მონაცემთა დიდი ნაკრები. კომპანიები, მათ შორის, ქართული, მას მარკეტინგული კამპანიების დაგეგმვისთვის, გაყიდვების სისტემის მართვისთვის და ადამიანური რესურსების ნაწილში იყენებენ. ასევე ხშირად ხელოვნური ინტელექტი ოცდაოთხსაათიან კომუნიკაციას უზრუნველყოფს მომხმარებელთან, ასევე დახმარებას უწევს IT სერვისების მიმართულებით. ფაქტია, როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მრავალი გზა არსებობს, თუმცა არსებობს სერიოზული რისკებიც. ამ ნაწილში ჩვენ უნდა ვისაუბროთ ხელოვნური ინტელექტის იმ რისკებზე, რომელიც უშუალოდ შრომით ურთიერთობაში მის გამოყენებას უკავშირდება.

ნაშრომის მიმდინარეობისას ჩვენ სწორედ ამ საკითხებზე ვისაუბრებთ, კერძოდ ხელოვნური ინტელექტის არსზე, მის გავლენაზე შრომით უფლებებზე, მათ შორის დისკრიმინაციის აკრძალვაზე და პირადი ინფორმაციის უსაფრთხოებაზე. ასევე მიმოვიხილავთ არსებულ სამართლებრივ მოწესრიგებას, როგორც ქართული, ისე მსოფლიოს სხვა სამართლებრივი სისტემების პრაქტიკიდან. განვიხილავთ და გამოვკვეთთ, როგორც არსებით პრობლემებს, ისე მათი გადაჭრის გზებს. ნაშრომის მიზანიც სწორედ ესაა, შეძლებისდაგვარად მიმოვიხილოს ეს პრობლემური საკითხი და გამოვკვეთოს პრობლემის მნიშვნელობა შრომითი ურთიერთობებისთვის.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, ტექნოლოგია, შრომითი ბაზარი, საკანონმდებლო ბაზა.

Abstract

How will artificial intelligence affect employee personal information security? Can artificial intelligence become the subject of labor relations? And yet, what impact will artificial intelligence have on employee rights? These questions became the most relevant after 2022, when the artificial intelligence platform ChatGPT entered the Internet space. As a result, the world realized that artificial intelligence was increasingly entering people's lives. The rapid growth of the impact of artificial intelligence has implications for everything, including the way it fundamentally transforms the labor market and directly affects labor law.

Direct artificial intelligence, also known as artificial intelligence (AI), is a technology that simulates human intelligence through the use of computers and other devices. Artificial intelligence will have the power to perform tasks that would normally require human intervention or intellectual resources.

Along with the demand for artificial intelligence, negative evaluations are also increasing. Recently, the hype surrounding the applicability of certain AI functions has been followed by active debate on the ethics of AI use. The fact is that, despite its significant influence, artificial intelligence has not yet been included in the framework of legal regulation in any legal system. Artificial intelligence is a pretty good tool for the job market. It can quickly analyze and sort large data sets. The fact is that there are many ways to use artificial intelligence in both the private and public sectors, but there are also serious risks. In this part, we should talk about the risks of artificial intelligence, which are directly related to its use in labor relations. In the course of the paper, we will talk about these issues, namely the essence of artificial intelligence and its impact on labor rights, including the prohibition of discrimination and the security of personal information.

Keywords: Artificial intelligence, technology, labor market, legal framework.

შესავალი

მას შემდეგ რაც 2022 წელს ცნობილი ხელოვნური ინტელექტის პლათფორმა ChatGPT ჩაეშვა ინტერნეტ სივრცეში, მსოფლიომ გაიაზრა, რომ ხელოვნური ინტელექტი სულ უფრო და უფრო შემოდის ადამიანების ცხოვრებაში. ხელოვნური ინტელექტის გავლენების სწრაფი ზრდა აისახება ყველაფერზე, მათ შორის იგი ძირფესვიანად გარდაქმნის სამუშაო ბაზარს, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება შრომით სამართალზე, თუმცა, ამის პარალელურად ჩნდება კრიტიკულად მნიშვნელოვანი კითხვები მის გავლენაზე შრომით უფლებებთან მიმართებით.

ხელოვნურმა ინტელექტმა ეს მნიშვნელობა მისი პოტენციალის გამო შეიძინა. ამ ტექნოლოგიას ნამდვილად შეუძლია, შეცვალოს ადამიანების ცხოვრება. ამ ეტაპზე ის ეფექტურად გამოიყენება შრომით ბაზარზე, მთელი რიგი ამოცანების ავტომატიზაციისთვის, მათ შორის მომხმარებელთა მომსახურების სფეროში, ასევე ხშირად თაღლითობის გამოვლენასა და ხარისხის კონტროლს აკისრებენ ხოლმე. დროთა განმავლობაში აშკარაც კი გახდა, რომ რიგ სფეროებში ხელოვნური ინტელექტი დავალებას იმაზე უკეთ ასრულებს, ვიდრე ადამიანი. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება განმეორებით, რუტინულ და დეტალებზე ორიენტირებულ დავალებებს. მათ შორის დიდი ოდენობით სამართლებრივი დოკუმენტების ანალიზი და მასში შესაბამისი ველების სწორად შევსების უზრუნველყოფა. ხელოვნური ინტელექტის შესრულებული სამუშაოები ბევრად სწრაფია და შეცდომა კი ნაკლები.

მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის კვლევის მიხედვით, 2025 წლამდე ხელოვნური ინტელექტის გამო 85 მილიონი ადამიანი სამუშაო ადგილს დაკარგავს, თუმცა ამის პარალელურად 97 მილიონი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება. თუმცა ძირითადად საინფორმაციო ტექნოლოგიებს, უსაფრთხოებას, ციფრულ მარკეტინგს და მსგავს ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ სფეროებს მოიცავს (Jha, 2023). აქვე გამოგვადგება მსოფლიო ბანკის სტატისტიკა. გამოკითხული 800 კომპანიის დაახლოებით 78%-მა განაცხადა, რომ ისინი აპირებენ ხელოვნური ინტელექტის დანერგვას თავიანთ სამუშაო გარემოში (ნატროშვილი, 2023).

ხელოვნური ინტელექტის სამუშაო ადგილზე გამოყენების პრაქტიკა ძირითადად დიდ კომპანიებს უკავშირდება, მათი უმრავლესობა კი ინფორმაციის, კომუნიკაციების, ტექნოლოგიების და სამეცნიერო ინდუსტრიებისთვისაა. კომპანიების მიერ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ძირითადი მიზეზი იმ ეფექტურობის შექმნაა, რომელსაც ხშირად ადამიანები ვერ უზრუნველყოფენ, ამასთანავე ხელოვნური ინტელექტი ამცირებს ადამიანური რესურსების დაქირავებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, პარალელურად იზრდება პრდუქტიულობა.

თუმცა, ხელოვნური ინტელექტის შრომით ბაზარზე დამკვიდრების პარალელურად ჩნდება კითხვები დასაქმებულთა პირადი ინფორმაციის კონფიდენციალურობასთან, სისტემის საიმედოობასა და თანამშრომლების ფსიქიკური ჯანმრთელობასთან დაკავშირებით.

უფრო კონკრეტულად კი იმასთან დაკავშირებით, საერთოდ შეიძლება თუ არა ხელოვნურმა სამუშაო ძალის დიდი ნაწილი უმუშევარი დატოვოს.

ამ ეტაპზე ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს რაიმე კონკრეტული კანონი რაც დაარეგულირებს სამუშაო ადგილზე ხელოვნური ინტელექტის გამოყენების საკითხს. ასეთი კანონები რთულად თუ მოიძებნება სხვა ქვეყნების შრომითსამართლებრივ პრაქტიკაშიც, უკვე არსებულ ნორმებს კი დეტალურად ქვემოთ განვიხილავთ (Laskowski, N, Tucci, L, 2022).

საკვლევი კითხვები:

ნაშრომის მიმდინარეობისას უნდა მიმოვიხილოთ შემდეგი კითხვები:

- რა საკანონმდებლო ჩარჩოები და რეგულაციები არსებობს დღესდღეობით საქართველოსა და მსოფლიოში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებადობის დასარეგულირებლად სამუშაო ადგილზე და რამდენად ეფექტურია ისინი დასაქმებულთა უფლებების დაცვის ნაწილში?
- როგორ მოქმედებს ხელოვნური ინტელექტის დანერგვა სამუშაო ადგილზე თანამშრომლების კონფიდენციალურობასა და მონაცემთა დაცვაზე?
- დასაქმებულის რომელ უფლებებზე აქვს ხელოვნურ ინტელექტს ყველაზე მეტი გავლენა?
- რა საქმიანობა ხორციელდება ამ ეტაპზე ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევის კუთხით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში?

კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომში მიმოხილული თემის გარშემო არსებული აკადემიური ლიტერატურა, ნორმატიული მასალა და ამ მასალათა კომენტარები. მიმოხილულია თემა, როგორც ქართული და გლობალური პერსპექტივიდან. შეძლებისდაგვარად შევისწავლით სამუშაო ადგილზე ხელოვნურ ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებული კანონმდებლობას და რეგულაციებს, მიმოვიხილავთ მათ ეფექტურობას დასაქმებულთა უფლებების დაცვის ნაწილში.

საკვლევი თემა განხილულია კონკრეტულად ხელოვნური ინტელექტის დანერგვის ნაწილშიც, კერძოდ მოყვანილია მაგალითები, როგორც ქართული, ისე უცხოური პრაქტიკიდან, განსაკუთრებით ისეთ სექტორებში, რომლებიც გავლენას ახდენენ შრომის უფლებებზე და კონფიდენციალურობის საკითხებზე.

ნაშრომში ასევე გამოყენებულია ინტერვიუების მეთოდი, კერძოდ ერთ-ერთი ქართული კომპანიის მაგალითზე, რომელიც ხელოვნური ინტელექტის ხელსწყოებს აწვდის ასევე ქართულ კომპანიებს, რეკრუტირების პროცესში.

ლიტერატურის მიმოხილვა

ხელოვნური ინტელექტი, ასევე ცნობილი, როგორც AI, არის ტექნოლოგია, რომელიც კომპიუტერებისა და სხვა მოწყობილობების გამოყენების გზით ადამიანის ინტელექტის სიმულაცია მოახდინოს, ამ გზით იგი პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობას იძენს. ხელოვნურმა ინტელექტმა შეიძლება იმუშაოს, როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვა, დამხმარე ტექნოლოგიებთან ერთად, როგორებიცაა, მაგალითად გეოლოკაცია, სენსორები, რობოტიკა და ა. შ. ხელოვნურ ინტელექტს იმის ძალა შესწევს, რომ შეასრულოს ამოცანები, რომლებიც სტანდარტულად ადამიანის ჩარევას ან მის ინტელექტუალურ რესურს მოითხოვდა. იგი ყოველდღიურ ცხოვრებაში გვხვდება, როგორც გაჯეტების ციფრული ასისტენტები, ავტომატური მოწყობილობები, ნავიგაციის სიტემები და გენერაციული ინსტრუმენტები, რომელთაგან ჩვენთვის ყველაზე ცნობილია ChatGPT. (Laskowski, N, Tucci, L, 2022).

ხელოვნურმა ინტელექტმა განვითარების მრავალი ფაზა გაიარა და ამასთან ერთად, აჟიოტაჟის მთელი ციკლი. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სკეპტიკურად განწყობილებისთვისაც კი ChatGPT - ის გამოშვება, გარდამტეხ წერტილად იქცა. გენერაციულმა ხელოვნურმა ინტელექტმა სულ რამდენიმე წელიწადში მოხერხა მომხმარებელთა ფართო მასაზე გასვლა და ეს მომენტი ნამდვილად შეგვიძლია გარღვევად მივიჩნიოთ ციფრულ ინდუსტრიაში. დღეს გენერაციული ხელოვნური ინტელექტი არა მხოლოდ ადამიანის ენასა და გონებრივ რესურსს აგენერირებს, არამედ მას უკვე სხვა ტიპის მონაცემების, მათ შორის ფოტოების, ვიდეოების, პროგრამული კოდების და მოლეკულური სტრუქტურების დაგენერირების ძალაც კი შესწევს (IBM, n.d.)

ხელოვნურ ინტელექტზე მოთხოვნის პარალელურად, იზრდება ნეგატიური განცხადებების ოდენობაც. ბოლო პერიოდში, ხელოვნური ინტელექტის ცალკეული ფუნქციების გამოყენებადობის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს მოჰყვა აქტიური მსჯელობა ხელოვნური ინტელექტის ეთიკაზე და პასუხისმგებლიან ხელოვნულ ინტელექტზე. ფაქტია, რომ მიუხედავად მნიშვნელოვანი გავლენისა, ხელოვნური ინტელექტი ჯერ მაინც არაა ის სფერო, რომლის კანონის ფარგლებში მოქცევაზე რომელიმე სამართლებრივმა სისტემამ სერიოზულად იმუშავა.

თუმცა, 2023 წელს, ევროკავშირის კანონმდებლები ხელოვნური ინტელექტის შესახებ აქტის მიღებაზე შეთანხმდნენ. ორმოც საათიანი მოლაპარაკებები, რომელიც რვა დეკემბერს გაიმართა, Chat GPT- ის შექმნის შემდეგ გახდა პირველი სერიოზული და ყოვლისმომცველი რეგულაცია ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებით, რომელმაც მეტ-ნაკლებად წერტილი დაუსვა პოლიტიკურ დებატებს. საკითხი რომ მეტად პრობლემურია, ამას ისიც მოწმობს, რომ G7 - ის სამიტზე განხილულ საკითხებშიც კი შედიოდა. ხელოვნური ინტელექტის შესახებ განკარგულება გამოსცა თეთრმა სახლმა, პარალელურად ბრიტანეთი მუშაობს მთელ რიგ საკანონმდებლო ცვლილებებზე და ამასთანავე, უმასპინძლა სამიტს, რომელიც სრულად მიედგნა ხელოვნურ ინტელექტს. თუმცა, ზემოთ განხილული დოკუმენტი ყველა ზემოთ

ჩამოთვლილისგან იმით განსხვავდება, რომ იგი სავალდებულო ხასიათს ატარებს და ევროკავშირზე მთლიანად ვრცელდება. ვარაუდობენ, რომ ამ აქტს არა მხოლოდ ევროპაში, არამედ მსოფლიოში ხელოვნური ინტელექტის რეგულირების კუთხით სერიოზული ზეგავლენის მოხდენა შეეძლება. აქტის მთავარი მიზნად ევროპარლამენტარებმა დაასახელეს იმ სისტემების უსაფრთხოება და ევროკავშირის ფუნდამენტურ ღირებულებებზე მორგების აუცილებლობა, რომლებიც ხელოვნურ ინტელექტს უკავშირდებიან (IDFI, 2023).

რაც შეეხება აღსრულების ნაწილს. ევროკომისიამ შექმნა რამდენიმე ახალი უწყება, ესენია:

- **AI** ოფისი - ევროკავშირის მასშტაბით, ამ ოფისს ევალება, გააკონტროლოს აქტის აღსრულების ნაწილი. რაც შეეხება ეროვნულ დონეს, ამ კომპეტენციას მთავრობის შესაბამისი უწყებები ჩაიბარებენ;
- **AI** საბჭო - შედგენილი იქნება ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადენლებისგან და ექნება ერთგვარი საკოორდინაციო პლატფორმის ფუნქცია. მისი მიზანი იქნება, დახმაროს წევრ ქვეყნებს, მოარგოს აქტი საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობას;
- დამოუკიდებელი ექსპერტების სამეცნიერო საბჭო - მისი მიზანი AI ოფისის მრჩევლად ყოფნაა;
- მრჩეველთა ფორუმი - იგი გააერთიანებს იმ ყველა დაინტერესებულ მხარეს, რომლებიც პროცესში ჩართვის სურვილის გამოთქვამენ. მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან და კერძო სექტორიდან. მთავარი მიზანია, რომ პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესი მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული.

რაც შეეხება სანქციებს, დაწესებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემოღებულია ჯარიმები, რომლებიც კომპანიის სიდიდისა და ჩადენილი დარღვევის პროპორციულია და დამრღვევის გლობალური გაყიდვების ბრუნვის 1.5 პროცენტიდან, 7 პროცენტამდე შეიძლება მერყეობდეს. მთლიანად აქტი სავალდებულო ძალას მხოლოდ 2025 წლიდან მიიღებს. ევროკავშირმა კომპანიებს მისცა შესაძლებლობა, ამ პერიოდში მოერგონ ევროკავშირის მიერ დაწესებულ ახალ სტანდარტებს (Jha, 2023).

ევროპის ხელოვნური ინტელექტის აქტში რისკების მიხედვით ხელოვნური ინტელექტის სამი ძირითადი ჯგუფი გამოყვეს:

1. ლიმიტირებული რისკის შემცველი - ისეთი ხელოვნური ინტელექტი, როგორც მაგალითად ჩეთბოტებია. მათი მისია ტექსტის და სხვა მულტიმედია პროდუქტის გენერირებაა. ისინი ლიმიტირებულ რისკს უქმნიან ადამიანებს. კანონმდებლის ერთადერთი მოთხოვნაა, რომ გენერირებულ მასალას დაერთოს თან, რომ ის ხელოვნური ინტელექტის მიერაა შექმნილი, რათა მომხმარებელი სხვადასხვა მანიპულაციის მსხვერპლი არ გახდეს;
2. მაღალი რისკის შემცველი - აქ გაცხილებით მკაცრ რეგულაციებს ვხვდებით. მიზეზი ისაა, რომ ხელოვნურმა ინტელექტმა ადამიანების უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას მაღალი რისკი შეუქმნა. გარდა იმისა, რომ ასეთ ტექნოლოგიებს გამჭირვალეობა დაევალებათ, მათ მიმართ წამოაყენეს რამდენიმე ძირითადი

მოთხოვნა:

- ადამიანის ძირითად უფლებებზე ხელოვნური ინტელექტის გავლენის შეფასება და ამ პროცესში შესაბამისობის დადგენა;
- ხელოვნური ინტელექტის სისტემის ევროკავშირის მონაცემთა ბაზაში რეგისტრაცია;
- ხარისხისა თუ შესაძლო რისკების მართვისთვის საჭირო სისტემების დანერგვა;
- მიკერძობების შემცირება (რაც, როგორც უკვე განვიხილეთ, პრობლემური საკითხია)
- გამჭვირვალობა (ასევე განსახილველ პრობლემებს შორის იყო);
- მოხდეს სისტემაზე ადამიანის ზედამხედველობა;
- სიზუსტე, მდგრადობა და კიბერუსაფრთხოება;

კანონმდებელმა ასეთ სისტემებს მიაკუთვნა:

- სამედიცინო მოწყობილობები;
- რეკრუტირებისა და HR სისტემის მართვისთვის გამოყენებული ხელოვნური ინტელექტი;
- საგანმანათლებლო თუ პროფესიული განვითარების სწავლებაში გამოყენებული ხელოვნური ინტელექტი;
- მომსახურების სფეროში გამოყენებული სისტემები (ბანკი, დაზღვევა და ა. შ.);
- კრიტიკულად მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული სისტემები, ეს შეიძლება იყოს წყალმომარაგება, ბუნებრივი აირი და ა. შ.;
- ადამიანის ემოციების ამომცნობი სისტემა;
- ბიომეტრიული სისტემები;
- ძალოვანი უწყებები, ლტოლვილებისა და მიგრანტების სისტემები და სასაზღვრო კონტროლი;
- ადმინისტრაციულ და მართმსაჯულების სისტემაში გამოყენებული ხელოვნური ინტელექტი.

3. დაუშვებელი რისკის შემცველი - ეს ის ხელოვნური ინტელექტია, რომლებიც ადამიანების ძირითად უფლებებს მკაფიო საფრთხეს უქმნიან და ევროკავშირის ახალი დირექტივებით ასეთი სისტემები იკრძალება, ესენია:

- სამუშაო ადგილებსა თუ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ემოციების ამომცნობი სისტემა;
- სოციალური ქულების სისტემა;
- ხელოვნური ინტელექტი, რომელიც ადამიანის ქცევებით მანიპულირებს;
- ადამიანების სახის გამოსახულების არამიზნობრივი შეგროვება, მათი სახის ამოცნობის მიზნით;
- ხელოვნური ინტელექტი, რომელიც დანაშაულს პროგნოზირებს;
- ძალოვანი უწყებების მიერ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით ბიომეტრიული მონაცემების შეგროვება საჯარო სივრცეში.

გამონაკლისის სახით კანონმდებელი ნებას აძლევს ძალოვან უწყებებს ზოგიერთი მძიმე

დანაშაულის შემთხვევაში გამოიყენონ დაუშვებელი რისკის შემცველი რამდენიმე საშუალება (Jha, 2023).

განსახილველ შემთხვევაში, ის რისკები, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ მაღალი რისკის კატეგორიაში ექცევა. ის, რომ შრომით სამართლებრივი კუთხით რეგულირების მექანიზმები არ გაგვაჩნია, სერიოზულ პრობლემაზე მიუთითებს. გამოდის, რომ დღევანდელ ქართულ კომპანიებში, სადაც ხელოვნურ ინტელექტს აქტიურად იყენებენ, თანამშრომელთა მთელი რიგი უფლებების დაცვა მხოლოდ დამსაქმებლის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული.

კერძო სექტორისგან განსხვავებით საქართველოს საჯარო სექტორში ხელოვნური ინტელექტის დანერგვა ჯერ მხოლოდ საწყის ეტაპზეა. რაც შეეხება კერძო სექტორს, აქ უკვე მრავლად არის სხვადასხვა ტექნოლოგიები შემოსული და ნაშრომის მიმდინარეობისას ამ თემას უკეთ განვიხილავთ. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) 2021 წლის მომაცემებით დღესდღეობით საქართველოში ხელოვნური ინტელექტის სისტემების შესახებ რაიმე საკანონმდებლო რეგულაცია, ნორმატიული აქტი არ იძებნება, თუ არ ჩავთვლით საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებას, რომელშიც ხელოვნური ინტელექტის გამოყენების რეგულირებას ემსახურება ფინანსურ სექტორში (Jha, 2023).

აღსანიშნავია, რომ ქართულ საკანონმდებლო სივრცეში არ არსებობს ხელოვნური ინტელექტის დეფინიცია, რაც საბოლოო ჯამში, სერიოზულ პრობლემას ქმნის რისკების მართვისა და რეგულირების ნაწილში, ამას ისიც ემატება, რომ ზოგადად რთულდება სამართლებრივი განვითარება, მათ შორის ჩვენი საკვლევი თემის ნაწილშიც. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ამ მიმართულებით უკვე არსებული ევროპული კანონმდებლობის გათვალისწინება. შესაბამისად, არსებული რეალობიდან გამომდინარე სწორად მიმაჩნია, ქვეყანამ უკვე სერიოზულად დაიწყოს ხელოვნური ინტელექტის შესახებ მარეგულირებელი ნორმების მიღებაზე მუშაობა.

ხელოვნური ინტელექტი და დასაქმებულის პირადი ინფორმაცია

ხელოვნური ინტელექტი არის საკმაოდ კარგი ინსტრუმენტი შრომითი ბაზრისთვის. მას შეუძლია სწრაფად გაანალიზოს და გადაახარისხოს მონაცემთა დიდი ნაკრები. კომპანიები, მათ შორის, ქართული, მას მარკეტინგული კამპანიების დაგეგმვისთვის, გაყიდვების სისტემის მართვისთვის და ადამიანური რესურსების ნაწილში იყენებენ. ასევე ხშირად ხელოვნური ინტელექტი ოცდაოთხსაათიან კომუნიკაციას უზრუნველყოფს მომხმარებელთან, ასევე უწევს დახმარებას IT სერვისების მიმართულებით. ფაქტია, როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მრავალი გზა არსებობს, თუმცა არსებობს სერიოზული რისკებიც. ამ ნაწილში ჩვენ უნდა ვისაუბროთ ხელოვნური ინტელექტის რისკებზე, რომელიც უშუალოდ შრომით ურთიერთობაში მის

გამოყენებას უკავშირდება.

ამ ეტაპზე ხელოვნური ინტერნეტის სამუშაო ადგილზე გამოყენების რამდენიმე ძირითადი მიმართულების გამოყოფა შეგვიძლია:

- თანამშრომელთა უნარების, კვალიფიკაციისა და გამოცდილების იდენტიფიცირება. (ძირითადად, კადრების აყვანის პროცესში);
- CV-ს და განაცხადის ფორმების განხილვა;
- ტესტების შედგენა თანამშრომლებისთვის;
- ჩართვა ინტერვიუების პროცესში - შესაძლოა დააკვირდეს გასაუბრებაზე კანდიდატის არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს;
- ცვლის დაგეგმვა, თანამშრომელთა პროდუქტიულობისა და შესრულების შეფასება. ასევე სამუშაო ადგილზე პოტენციური საფრთხის მონიტორინგი;
- მონიტორინგი და ზედამხედველობა. (მაგალითად, საკურიერო მომსახურების მძღოლების მონიტორინგის სისტემები) ამ ეტაპზე, ეს ყველაზე გავრცელებული მიმართულებაა (MacKenzie, 2023).

ხელოვნური ინტელექტის სისტემების უმეტესობა, რომლებიც ამ პროცესში ერთვებიან, არ არიან „შიდა“ ქსელები. ეს ნიშნავს იმას, რომ ისინი ცალკეული სისტემები არიან, რომლებზეც წვდომა ადვილად შეიძლება მესამე მხარემ მოიპოვოს, ეს კი ბადაბეს სერიოზულ რისკებს. ხელოვნური ინტელექტის პროგრამულ უზრუნველყოფაზე ბევრი ადამიანი მუშაობს, ისინი სხვადასხვა პროფესიის არიან, ეს კი ნიშნავს იმას, რომ მათ მიერ ადამიანის პერსონალური ინფორმაციის შესახებ წარმოდგენა და მოლოდინები ერთმანეთისგან განსხვავებულია. ამიტომაც, ეს აჩენს სერიოზულ რისკებს. ეს რისკები განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა ტექნოლოგიები გამოიყენება, როგორ ვითარდება და რამდენად რთულია მასში განხორციელებული ოპერაციები.

ამ ნაწილში აუცილებლად უნდა განვიხილოთ GDPR. ეს მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციაა ევროკავშირისა და ევროპის ეკონომიკურ ზონაში. ის ევროკავშირის კონფიდენციალურობის შესახებ კანონის ნიშნელოვანი ნაწილია, ერთი წლის წინ შევიდა ძალაში და შემოიღო ახალი და მკაცრი ვალდებულებები მათთვის, ვინც ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს, ასევე ახალი უფლებები მათთვის, ვისი მონაცემებიც მუშავდება. გამჭირვალობა და ანგარიშვალდებულება ამ რეგულაციის მთავარი მახასიათებელია. მონაცემთა დაცვის სუბიექტები უნდა დაეთანხმონ თავიანთი მონაცემების დამუშავებას. მონაცემთა დამუშავებლებმა უნდა განახორციელონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნას კონფიდენციალურობის მოთხოვნები, პროცესი განხორციელდეს ისეთი მეთოდებით, როგორებიცაა დაშიფრვა ან ფსევდონიმიზაცია. თანამშრომლების მონაცემების ანონიმიზაციასა და ფსევდონიმიზაციას შეუძლია კონფიდენციალურობის დაცვის დამატებითი ფენის შექმნა.

- ანონიმიზაცია - პერსონალური საიდენტიფიკაციო ინფორმაციის ამოღებას ხელოვნური ინტელექტის მიერ გამოყენებული მონაცემთა ნაკრებიდან, რაც

შეუძლებელს ხდის ცალკეული თანამშრომლების იდენტიფიცირებას.

- ფსევდონიმიზაცია - პირადი ინფორმაციის, სახელის, გვარის ფსევდონიმებით ჩანაცვლებას, იმის უზრუნველყოფას, რომ მონაცემები სასარგებლო იქნება ხელოვნური ინტელექტისთვის თანამშრომლის უშუალო იდენტიფიკაციის გარეშე.

ამავე კანონის მეხუთე მუხლი მოითხოვს, რომ მონაცემები დამუშავდეს გამჭვირვალე წესი. თუმცა, ჩნდება კითხვა, რამდენად შესაძლებელია ეს ხელოვნური ინტელექტთან მიმართებით? ამავე რეგულაციის მეექვსე მუხლი ადგენს მონაცემთა დამუშავების კანონიერ საფუძვლებს, როგორცაა მონაცემთა სუბიექტის თანხმობა, თუმცა ხელოვნური ინტელექტით მრავალი სხვადასხვა მიზნისთვის დამუშავებული მონაცემების მოცულობის გათვალისწინებით, შეუძლია თუ არა მონაცემთა სუბიექტს მართლაც ინფორმირებული, მკაფიო თანხმობა განაცხადოს?

ხელოვნური ინტელექტისა და პირადი ინფორმაციის ნაწილში, ყველაზე მეტად გამოსაყოფია წინასახელშეკრულებო ეტაპი, მასში კი ძირითადად სწორედ გასაუბრება შედის. ამ ეტაპზე მუშავდება პოტენციურ კანდიდატთან დაკავშირებით ყველაზე მეტი ინფორმაცია. რეზიუმესა და კანდიდატთან გასაუბრების შემდეგ, დასაქმებელი იღებს ინფორმაციას პოტენციური დასაქმებულის კვალიფიკაციის, პიროვნული მახასიათებლებისა და სამუშაო გამოცდილების შესახებ. სწორედ აქ ხდება ინფორმაციის მიღების უფლების რეალიზება, როგორც ერთი, ისე მეორე მხარის მიმართ. ამიტომაც, საქართველოს შრომის კოდექსის მეთერთმეტე მუხლის მეოთხე პუნქტი დამსაქმებელს უწესებს ვალდებულებას, დაიცვას კანდიდატზე მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა. კერძოდ, ინფორმაციის გასამჟღავნებლად დამსაქმებელს სჭირდება კანდიდატისგან თანხმობის მიღება. (საქართველოს შრომის კოდექსი, მეთერთმეტე მუხლი, 2024)

დღესდღეობით ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ასპარეზად სწორედ სამუშაო ადგილებისა და სამუშაო ძალის მართვა სახელდება. ადამიანური რესურსების მართვის, იგივე HR სახელით ცნობილი ფუნქციის 40%-ს მსოფლიოში დღეს სწორედ ხელოვნური ინტელექტი ასრულებს, არ აქვს მნიშვნელობა, მცირე კომპანია იქნება სახეზე, თუ დიდი. კომპანიების უმეტესობა მაინც შეერთებულ შტატებზე მოდის, თუმცა კადრების მართვის პროცესში ქართული კერძო კომპანიებიც უკვე აქტიურად იყენებენ. კვლევამ აჩვენა, რომ უფრო და უფრო მეტი ბიზნესი მსოფლიოში ხელოვნური ინტელექტის ღირებულების დანახვას იწყებს სამუშაო ადგილზე (Moore, 2020).

იმავე პრობლემას ვაწყდებით უკვე დასაქმების ეტაპზეც. პირველ რიგში, დამსაქმებელს აქვს ვალდებულება, უკვე სამუშაოს შესრულების ეტაპზე, პატივი სცემს თანამშრომელთა კონსტიტუციით გარანტირებულ მთელ რიგ უფლებებსა თუ თავისუფლებებს, მათ შორის, ადამიანის პატივის, ღირსების, ოჯახური თუ პირადი ცხოვრებისა და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებებს. აქედან გამომდინარე, დასაქმებულებს უკვე უშუალოდ სამუშაო ადგილზე უნდა ჰქონდეთ იმის საშუალება, რომ სოციალური და პირადი ურთიერთობები დაამყარონ.

აქვე უნდა განვასხვავოთ თავად ინფორმაციაც დასაქმებულის შესახებ. არსებობს კონკრეტული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებული არის საქმიანობასთან, თუმცა არსებობს მეორე მხარე, დასაქმებულის სამეგობრო წრე, ინტერესები, ჰობი, საყვარელი სპორტის სახეობა და ა.შ. რა თქმა უნდა ასეთი მონაცემები არ უნდა გახდეს ის ფაქტორი, რის გამოც პირს სამსახურში აიყვანენ, ან კარიერული თვალსაზრისით აამაღლებენ. მსგავსი ინფორმაციის დამუშავებას დასაქმებულის თანხმობა სჭირდება.

ჩვენი კანონმდებლის მოთხოვნაა, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავება მოხდეს მოთხოვნების დაცვით და ამ პერიოდში დამსაქმებელმა უნდა შეინარჩუნოს დასაქმებულის მიმართ თანაბარი და სამართლიანი მიდგომა. სამართლიან მიდგომაში იგულისხმება, რომ იდენტური თანამდებობის პირებისგან დამსაქმებელმა სხვადასხვა ინფორმაცია არ უნდა მოითხოვოს, თუ ასე მოხდება, აქ უკვე დისკრიმინაციის საკითხი შემოდის, რომელიც როგორც ქართული შრომის კოდექსის, ისე საერთაშორისო კონვენციების მიერ არის განმტკიცებული. (პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი, 2018)

როდესაც ამ ნაწილში ხელოვნური ინტერნეტი ჩაერთვება, დგება ორი მნიშვნელოვანი საკითხი.

1. დასაქმებულთა ინფორმირებულობა - დამსაქმებელმა უნდა მიაწოდოს ინფორმაცია დასაქმებულს მისი პერსონალური მონაცემების დაამუშავების შესახებ. ქართულ კანონმდებლობაში ვერ ვიპოვით ნორმას, რომელიც ამ პროცესში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ თანამშრომლების ინფორმირებულობას დაარეგულირებს. თუმცა, ინფორმირებულობის მოთხოვნა ზოგადი ხასიათისაა, ამ ეტაპზე მისი მისადაგება შეგვიძლია ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ხელოვნური ინტელექტი იქნა გამოყენებული;
2. პროპორციულობა, ადეკვატურობა - არ აქვს მნიშვნელობა, რა ტიპის მონაცემი მუშავდება. დასაქმებულის ამ ქმედებას უნდა ჰქონდეს კანონიერი, მკაფიოდ განსაზღვრული და დამოუკიდებელი მიზანი. დასაქმებულს ევალება, შრომითი ურთიერთობის პროცესში მხოლოდ ის პერსონალური მონაცემები დაამუშაოს, რომლებიც აუცილებელია მიზნის მისაღწევად (პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი, 2018).

აქვე უნდა გაეცეს კითხვას პასუხი, თუ საერთოდ რატომ არის ხელოვნური ინტელექტი საფრთხის შემცველი დასაქმებულისთვის. როგორც უკვე ვისაუბრეთ, ხელოვნური ინტელექტი მრავალი მიმართულებით მუშაობს. ისინი ხშირად ინფორმაციას ინდივიდის ყოველი ქმედებიდან. ეს ქმედებები რომ შეისწავლოს, ხელოვნურმა ინტელექტმა მონაცემები ხანგრძლივი დროით უნდა შეინახოს. მონაცემებში შეიძლება შედიოდეს, დასაქმებულის რეზიუმე, ანგარიში, კომუნიკაცია მომხმარებლებთან და სოციალური მედიის პლათფორმების პაროლებიც კი. ისინი ასევე აქტიურად ინახავენ ინფორმაციას, რომელიც მომხმარებელმა მათ ავტომატურად გაუზიარა, დასაქმებულის ბრაუზერი, IP მისამართი, ე. წ. ქუჩი ჩანაწერები და ისიც კი, რა სიხშირით და რისთვის იყენებს

დასაქმებული კონკრეტულ აპლიკაციებს.

მაგალითად, ცნობილი ხელოვნური ინტელექტი Chat GPT - ის მფლობელი სერვისი Open AI, (მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის აპლიკაციები ევროკავშირის ბოლო დირექტივების მიხედვით ნაკლებ საფრთხედ არის აღქმული, იმიტომ, რომ გენერირებაზე ორიენტირებული პლატფორმა) კონფიდენციალურობის პოლიტიკის ნაწილში სერიოზულ ხარვეზებს ავლენს. კერძოდ, მათ შეუძლიათ გაუზიარონ რომელიმე მნიშვნელოვანი პირადი ინფორმაცია მესამე მხარეს, თუ მათ ამის მოთხოვნა ექნებათ. ამ მესამე მხარეთა სია, კომპანიას დაზუსტებული არ აქვს, ისინი შეიძლება იყვნენ, როგორც კომპანიის შვილობილები, ისე ცალკეული იურიდიული პირები, რაც საფრთხის შემცველია მომხმარებლისთვის (Allen, 2024)

მართალია, არ მოგვეპოვება ქართულ შრომით კანონმდებლობაში დებულება, რომლის მიხედვითაც რეგულირდება ხელოვნური ინტელექტისა და დასაქმებულის პერსონალური ინფორმაციის მიმართება. ევროკავშირი და აშშ დღესდღეობით მოწინავენი არიან ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული სპეციფიკური კანონების მიღებაში. საინტერესოა აშშ-ს მაგალითი, სადაც მთელი რიგი ცვლილებები მოხდა კანონმდებლობაში. მაგალითად, აშშ-ს თანაბარი დასაქმების შესაძლებლობის კომისიამ, იგივე EEOC-მ რეკომენდაცია გასცა იმ დამსაქმებლებისთვის, რომლებიც ხელოვნურ ინტელექტს იყენებენ. მათ დაევალოთ, მიაწოდონ ინფორმაცია თანამშრომლებს, მინიმუმ იმის შესახებ, თუ რა მიზნით გახდა საჭირო მისი მონაცემების ხელოვნური ინტელექტის მიერ დამუშავება. ასევე, მეთოდები, რომლითაც ეს მონაცემები გაიზომება და გადაისინჯება. 2022 წელს შეერთებულმა შტატებმა ასევე წამოიწყო ხელოვნური ინტელექტისა და ალგორითმული სამართლიანობის ინიციატივა, რათა უზრუნველყო, რომ პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება, მათ შორის ხელოვნური ინტელექტზე დაფუძნებული, შეესაბამებოდეს ფედერალურ სამოქალაქო უფლებების კანონებს, როდესაც მას გამოიყენებენ თანამშრომლის დაქირავებისთვის და სხვა დასაქმებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში (Ponomarov, 2024).

ინოვაციურია ასევე ნიუ-იორკის შტატის შრომით კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებიც. ეს უკანასკნელი მოითხოვს, რომ კომპანიებმა დასაქმებულებს გადასცენ შეტყობინება, სადაც განმარტების სახით იქნება მოცემული, რომ კომპანია გამოიყენებს ხელოვნურ ინტელექტს. ეს კანონი ფარავს როგორც დასაქმებულის, ისე კანდიდატის უფლებებს. უკავშირდება კანდიდატის/ დასაქმებულის საქმიანობის შეფასებას, სამუშაო კვალიფიკაციას და ა.შ (MacKenzie, 2023)

2023 წლის დასაწყისში დიდმა ბრიტანეთმა გამოსცა სახელმძღვანელო პრინციპები, სადაც საუბარია ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით მიღებული გადაწყვეტილებების ახსნის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ იგი ცალსახად არ არის შექმნილი დასაქმების კონტექსტში, გაიდლაინები შესაძლოა ძალიან სასარგებლო იყოს ადამიანური რესურსების მართვის გუნდებისა და დამსაქმებლებისთვის, რომლებიც აქტიურად იყენებენ, ან მომავალში გამოიყენებენ ხელოვნურ ინტელექტს (ICO, 2023).

შეჯამების სახით, კითხვაზე, აქვს თუ არა დამსაქმებელს იმის უფლება, შეაგროვოს პერსონალური მონაცემების შეგროვების და შემდგომ, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით მისი დამუშავების სამართლებრივი საფუძველი, ძირითადად ოთხ ფაქტორზე იქნება დამოკიდებული:

- აქვს თუ არა დამსაქმებელს პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და გამოყენების სამართლებრივი საფუძველი;
- პერსონალური მონაცემების ტიპი, თანამშრომლის კონფიდენციალურობის ინტერესი;
- სად ხდება ინფორმაციის დამუშავება? ხომ არ არის მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომი;
- შეგროვებისა და დამუშავების მიზეზი, კონტექსტი;
- გამოყენების მიზანი.

სხვა შრომითი უფლებები, რომლებიც პრობლემურია ხელოვნურ ინტელექტთან მიმართებით

დისკრიმინაციის აკრძალვა და ხელოვნური ინტელექტი

დასაქმების კონტექსტში, გარდა პირადი ინფორმაციისა, ხელოვნურ ინტელექტს ყველაზე ხშირად სწორედ დისკრიმინაციის ნაწილში აკრიტიკებენ. ქართულ შრომის სამართალში დისკრიმინაცია შრომის კოდექსის მეოთხე მუხლით იკრძალება. საქართველოს შრომის კოდექსში შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვის ეფუძნება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მასე და ასმეთერთმეტე კონვენციებს (ავტორთა კოლექტივი, 2023) შრომის კოდექსის მეოთხე მუხლი შედგება შვიდი ქვეპუნქტისგან და ითვალისწინებს ზოგადად, დისკრიმინაციის ცნებას, მის აკრძალულ ნიშნებს, ანუ დაცულ საფუძველებს, ასევე პირდაპირი/არაპირდაპირი დისკრიმინაციისა და შევიწროების, მათ შორის სექსუალური შევიწროების განმარტებას. დისკრიმინაციის აკრძალვა, თავის მხრივ თანასწორობის იდეიდან არის წარმოშობილი. თანასწორუფლებიანობის არსი კი ადამიანების მიმართ თანაბარი მოპყრობა და ისეთ სოციალურ სიკეთეებზე თანაბარი წვდომის მიღებაა, როგორებიცაა სამუშაო ადგილი, ჯანდაცვა და განათლება. თვითონ პრინციპი საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებულ და დამკვიდრებულ ღირებულებებს უკავშირდება და სწორედ ამ ღირებულებების უფლებელყოფამ შექმნა იმის აუცილებლობა, მიეღოთ შესაბამისი კანონები, რომლებიც აკრძალავდა დისკრიმინაციას. საქართველოს კონსტიტუციის მეთერთმეტე მუხლი თანასწორობის უფლებას განამტკიცებს. მის პირველ და მეორე პუნქტებში კი დისკრიმინაციის აკრძალვაზე საუბარი (საქართველოს კონსტიტუცია, 2023). კონსტიტუცია ადგენს, რომ ყველა ადამიანი სამართლის წინაშე არის თანასწორი. აქვე განმარტავს, რომ აკრძალულია დისკრიმინაცია ადამიანის რასის, კანის ფერის, სქესის, ეთნიკური კუთვნილების, წარმოშობის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის,

საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით. კონსტიტუცია ასევე განამტკიცებს, რომ „საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, უფლება აქვთ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში ან საჯაროდ.“

დისკრიმინაციის აკრძალვა მის გავრცელებას გულისხმობს შრომითი ურთიერთობების სუბიექტებზე და შრომის კოდექსით გათვალისწინებულ ყველა ვალდებულებას, უფლებას და დებულებას გულისხმობს. აქ მოიაზრება როგორც წინასახელშეკრულებო ურთიერთობა, ისე პროფესიული საქმიანობის ნაწილი. ამ მოცემულობით კი პრობლემურია შემდეგი საკითხი - საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ ხელოვნური ინტელექტს იმის უნარიც შესწევს, იყოს მიკერძოებული. ამის მიზეზი ისიც შეიძლება იყოს, რომ ხელოვნური ინტელექტის სისტემა ინფორმაციას იღებს წყაროდან, სადაც მონაცემები ერთ კონკრეტულ ჯგუფზე უფრო მეტი მოიპოვება, ვიდრე მეორეზე. ასე გამოდის, რომ ხელოვნური ინტელექტის გადაწყვეტილება მეორე კანდიდატზე საკმარისი მონაცემების არ ქონის გამო, იყო მიკერძოებული. ქართულ პრაქტიკაში, გამომდინარე თემის სიახლიდან, მსგავსი შემთხვევა არ მოიპოვება, თუმცა გამოსადეგია 2014 წლის განმაურებული შემთხვევა აშშ-ს პრაქტიკიდან. ვებ-გვერდმა ამაზონმა 2014 წელს დაწერა ხელოვნური ინტელექტით აღჭურვილი ინსტრუმენტი, რომელიც მიზნად ისახავდა პოტენციურ თანამშრომელთა რეზიუმეების შემოქმედებას, რათა ამ გზით ყველაზე შესაფერისი კანდიდატი გამოეკლინათ. თუმცა, როგორც შემდეგ გაირკვა, ალგორითმი ქალი კანდიდატების დისკრიმინაციას ახდენდა. მსგავს შემთხვევას ჰქონდა ადგილი ტაქსის გამოძახების სერვისის „უბერის“ შემთხვევაში. ამ კომპანიამ საკვების მიტანის სერვისის დაამატა და ჩართო სახის ამოცნობის სისტემა, რათა ამ გზით დაედასტურებინა მათივე თანამშრომლების ვინაობა, როდესაც ისინი თავიანთ ცვლას დაიწყებდნენ. აღმოჩნდა, რომ სისტემა რასობრივი დისკრიმინაციის სერიოზულ ნიშნებს ავლენდა და არ მუშაობდა თანასწორუფლებიანი მიდგომით. მაგალითად, კანის ფერის გამო ვერ ამოიცნო მძღოლები.

წინა წლის აგვისტორში, აშშ-ს თანაბარი დასაქმების შესაძლებლობების კომისიამ - EEOC, განიხილა პირველი სარჩელი დასაქმებულის დისკრიმინაციის შესახებ, სადაც ხელოვნური ინტელექტი ფიგურირებდა. სარჩელში ნათქვამი იყო, რომ კომპანიამ, რომელიც უზრუნველყოფს სატრენინგო მომსახურებას, თანამშრომლების მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა გამოავლინა, კერძოდ კი ასაკობრივი ნიშნით. კომპანიამ დაწერა ხელოვნური ინტელექტი, რომელიც ავტომატურად უარყოფით პასუხს უგზავნიდა გასაუბრებაზე 60 წელზე მეტი ასაკის მამრობით და 55 წელზე მეტი ასაკის მდედრობითი სქესის კანდიდატებს. ამდაგვარი მიდგომით კომპანიამ 200-ზე მეტ კანდიდატს უთხრა უარი დასაქმებაზე, მისი ასაკის გამო. მოსარჩელე მხარე ამტკიცებდა, რომ მან კომპანიას მიმართა ნამდვილი დაბადების თარიღით და მაშინვე უარით უპასუხა სისტემამ, თუმცა მეორე დღეს მან დაბადების თარიღი მიზანმიმართულად, უფრო ახალი ჩაწერა, რის

შემდეგაც სისტემამ ის გასაბრუნებელი დაიბარა. კომისიამ კომპანიას შემდეგი საკითხები დავალდებულა:

1. კომპანიამ გადაუხადოს 365 000\$, კანდიდატებს, რომლებსაც უარი სწორედ მათი ასაკის გამო ეთქვათ.

1. კომპანიაში დაინერგოს ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა, მიმართული ყველა თანამშრომლისთვის. ასევე გადაამზადოს კომპანიის კადრები დისკრიმინაციის ნაწილში.

2. დამსაქმებელი ასევე უნდა დაუკავშირდეს ყველა განმცხადებელს, რომლებსაც სავარაუდოდ, უარი ეთქვათ ასაკის გამო, მოიწვიოს ისინი ხელახლა, რომ განაცხადონ და შემდგომ შესთავაზონ გასაუბრება ყველა განახლებულ განაცხადზე (Settles, 2024).

გამჭირვალობის ნაკლებობა

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია გამჭირვალობის ნაკლებობა. მართალია, ქართული შრომის კოდექსის მეტერთმეტე მუხლი არ ავალდებულებს დამსაქმებელს მიაწოდოს კანდიდატს იმის შესახებ ინფორმაცია, თუ რატომ ითქვა უარი მის კანდიდატურაზე (საქართველოს შრომის კოდექსი, 2024, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 17)

თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ პროცესი გამჭირვალეობის გარეშე უნდა წარიმართოს. მართალია, ნორმა აყალიბებებს დამსაქმებლის თავისუფლებას ამ ნაწილში, თუმცა ჩვენ ამავე კოდექსში გვაქვს დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ იმპერატიული ნორმა, რომელიც თავისთავად დამსაქმებლის ამ უფლებაზეც უნდა გავრცელდეს. გამოდის, რომ შრომის კოდექსი მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას აკისრებს პოტენციურ დამსაქმებელს. გამოდის, რომ დამსაქმებელი, მართალია არ არის ვალდებული, ახსნას თავისი გადაწყვეტილება, თუმცა აქვეა დამსაქმებელი, რომელიც აცხადებს საჯაროდ ვაკანსიას, კანონმდებელი კი მას ვალდებულებას უწესებს, უარი არ ეთქვას კანდიდატთან ხელშეკრულების გაფორმებაზე დისკრიმინაციული ნიშნით. ამ კონტექსტში განსაკუთრებით რთულდება ხელოვნური ინტელექტის გამოყენების საკითხი, რადგან ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ართულებს გადაწყვეტილების დასაბუთებულობას, ხოლო შემდგომ მის გასარჩევნებას. ზოგიერთ შემთხვევაში, თანამშრომელმა შეიძლება არც კი იცოდნენ, რომ გადარჩევის პროცესში ხელოვნური ინტელექტი გამოიყენეს. აქედან ის დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ, რომ შრომით და ადმინისტრაციულ კანონებში აუცილებლად დადგება ცვილებების განხორციელების საჭიროება. მკაფიო და გამჭვირვალე უნდა იყოს ის, თუ რა დროს იყენებს დამსაქმებელი ხელოვნური ინტელექტს, რა მიზნით და რა გავლენას მოახდენს მისი გამოყენება თანამშრომლის ინტერესებზე. ხელოვნური ინტელექტის ნაწილში სასურველია დაცული იყოს თანაზომიერება. კერძოდ გამოყენებას უნდა ჰქონდეს ლეგიტიმური მიზანი და უნდა იყოს მიზნის პროპორციული. მაგალითად, ბრაზილიის შრომითი კანონმდებლობის მიხედვით დასაქმებულს რჩება იმის უფლება, რომ მასთან დაკავშირებული სრულად ავტომატიზირებული გადაწყვეტილების

გადახედვა მოითხოვოს, ასევე დასაქმებულისთვის სავალდებულო შეტყობინება უნდა შეიცავდეს განცადებასაც, რომ ხელოვნური ინტელექტი გამოყენებული იქნება და აქვე მას უნდა დაერთოს დასაქმებულის უფლებების შესახებ განმატებები. ამ უფლებებში შედის: გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება და დისკრიმინაციის აკრძალვა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მერვე მუხლის მესამე პუნქტი ადგენს სამართლებრივ ურთიერთობებში მხარეთა კეთილსინდისიერების საკითხს. გარდა იმისა, რომ გამჭირვალობა არის პრობლემა, ხელოვნური ინტელექტის მართლსაწინააღმდეგოდ, გაუმჭირვალედ გამოყენება ძირს უთხრის კეთილსინდისიერების პრინციპს და მხარეთა შორის ორმხრივ ნდობას. რაც, ასევე, ცალკეული პრობლემაა. კანონის დაცვასთან ერთად, დამსაქმებელმა უნდა გაითვალისწინოს ეთიკური ნაწილიც. ეთიკურად ხელოვნური ინტელექტის გამოყენება გულისხმობს, ერთის მხრივ კანონის ნორმების ზედმიწევნით დაცვას და ამას ემატება საზოგადოებაში დამკვიდრებული მორალური პრინციპები. ეს პრინციპები პრიორიტეტს ანიჭებენ სამართლიანობას, ანგარიშვალდებულებას და გამჭირვალეობას. ეთიკური ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ნიშნავს, რომ დამსაქმებელმა მუდმივად უნდა შეაფასოს ხელოვნური ინტელექტის გავლენა თანამშრომლებზე, ამასთანავე უზრუნველყოს, რომ ხელოვნური ინტელექტის გავლენა თანამშრომლებზე დიდი არ იყოს. ორგანიზაციის შიგნით ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისათვის ეთიკური მითითებების დაწესება ხელს უწყობს ხელოვნური ინტელექტის პასუხისმგებლიან გამოყენებას და ხელს უწყობს სამუშაო ადგილის პოზიტიური კულტურის შენარჩუნებას.

ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფა და თანამშრომელთა ჯანმრთელობის საკითხი

საქართველოს შრომის კოდექსის 45 მუხლი ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო გარემოს უფლებას ადგენს. აქ კანონმდებელი დასაქმებულს ავალდებულებს უზრუნველყოს სამუშაო გარემო, სადაც დასაქმებულს ჯანმრთელობა მაქსიმალურად იქნება დაცული. აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება ადამიანების მენტალური ჯანმრთელობაც. ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლება. 1998 წლის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დეკლარაციაში ცვლილებები შევიდა, კერძოდ 2022 წელს შრომის საერთაშორისო კონფერენციაზე ფუნდამენტურად აღიარებული შრომითი უფლებებების და პრინციპების ოთხ კატეგორიას დაემატა მეხუთედ ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა. ამის შედეგად 155 კონვენცია პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის შესახებ და 187 კონვენცია ძირითად, ანუ ფუნდამენტურ კონვენციებად გამოცხადდა. ამ რეალობაში, იმ კომპანიებთან მიმართებით, სადაც ხელოვნური ინტელექტი უკვე დაინტერგა არსებობს ლეგიტიმური შეშფოთება, იმასთან დაკავშირებით, რომ ხელოვნური ინტელექტის შრომით ურთიერთობებში ინტეგრირება ნეგატიურ გავლენას მოახდენს თანამშრომელთა

მენტალურ ჯანმრთელობაზე. რა თქმა უნდა, ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირება ნამდვილად არის პოზიტიური ცვლილება და ის შეძლებისდაგვარად დაეხმარება თანამშრომლებს როლების განაწილების ნაწილში, თუმცა მას შემდეგ, რაც ეს მიდგომა პოპულარული გახდა, აქტიურად საუბრობენ რომ თუ ამ ფორმით თანამშრომელს მუდმივად აკონტროლებენ, ამან შეიძლება გაზარდოს სტრესი და ნეგატიურად იმოქმედოს თანამშრომლების ჯანმრთელობაზე. ეს განსაკუთრებით პრობლემური მაშინ გახდება, თუ ხელოვნურ ინტელექტს ისეთ მოწყობილობებში ჩააინტეგრირებენ, რომლებსაც პორტატული ფუნქცია გააჩნია. მაგალითად, ქართულ კომპანიებში ხშირად გამოყოფენ თანამშრომლებისთვის ლეპტოპებს, ტელეფონებს, პლანშეტებს ან სხვა გაჯეტებს, მათ შორის, შინ სამუშაოდ. მათში ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირებამ კი შეიძლება სეროზული გავლენა მოახდონის სამსახურისა და პირადი ცხოვრების ბალანსზე. და რაც მთავარია, დღეს ადამიანებს მუდმივი შიში აქვთ, რომ ხელოვნური ინტელექტი იქნება ის ტექნოლოგია, რომელიც მათი სამუშაოს კარგვას გამოწვევს. პენსილვანიისა და ნიუ-იორკის უნივერსიტეტების ექსპერტები მიერ ჩატარებული კვლევა მიუთითებს, რომ ახალი ტექნოლოგიები ყველაზე მეტად ტელემარკეტოლოგებს და მასწავლებლებს დაზარალებს. პედაგოგთა შორის ყველაზე მეტად ენის და ლიტერატურის სპეციალისტები, ასევე ისტორიის, სამართლის, ფილოსოფიის, რელიგიის, სოციოლოგიის, პოლიტოლოგიის და ფსიქოლოგიის ექსპერტები დაზარალებიან. აბსოლუტურად ლოგიკურია, დავუშვათ, რომ შეიძლება ამ პროფესიით დასაქმებულებმა გულწრფელად იგრძნონ იმედგაცრუება და ამან, საბოლოო ჯამში, მათსავე მენტალურ მდგომარეობაზე იმოქმედოს ნეგატიურად.

ხელოვნური ინტელექტი, როგორც შრომითი ურთიერთობის ახალი სუბიექტი?

დამკვიდრებული სტანდარტით, მუშებს დამსაქმებლები ყოველთვის ადევნებდნენ თვალს, მონიტორინგს უწევდნენ მათ მუშაობას. დასაქმებულებს სურთ ღირსეული შრომითი პირობები, ცხოვრების პირობების უზრუნველყოფა გამომუშავებული ხელფასით. დამსაქმებლებლების ძირითადი მოტივი კი ბიზნეს მოგებაა. ამ პრინციპით ვითარდებოდა შრომითი ურთიერთობები დღემდე. თუმცა, დღეს აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ შესაძლებელი ეს მიდგომა შეიცვალოს. ფაქტია, რომ დღეს შრომითი ურთიერთობები იცვლება და სამუშაო ბაზარზე ჩნდება ახალი სუბიექტი. ხელოვნური ინტელექტი თავდაპირველად მხოლოდ ადამიანებისთვის შრომის შესამსუბუქებლად გამოიყენებოდა ახლა, ხელოვნური ინტელექტის ხელსაწყოების და აპლიკაციების ინტეგრაციის მეშვეობით, ზოგიერთ ხელოვნურ ინტელექტს აქვს ახალი პასუხისმგებლობა და თვით ავტონომიაც კი, ასევე მოსალოდნელია, რომ გამოავლინოს ადამიანის ინტელექტის სხვადასხვა ფორმები და თავად მიიღოს გადაწყვეტილებები.

როგორც უკვე განვიხილეთ, ხელოვნური ინტელექტის ასეთი მასშტაბური გავრცელება მილიონობით სამუშაო ადგილის გაქრობას მოასწავებს, არც ისე შორეულ პერსპექტივაში. შრომითი ურთიერთობის და, ზოგადად, მუშაობის ცნება თანდათან უკავშირდება

ხელოვნურ ინტელექტს. ერთის მხრივ, ეს შეგვიძლია შევაფასოთ, როგორც ტრადიციული სამუშაო გარემოსთვის ძირის გამოთხრა. მეორე მხარეზე, ხელოვნური ინტელექტი, რამდენ სამუშაო ადგილსაც გააქრობს, იმდენივეს შექმნის. ერთი რამ კი ეჭვგარეშეა, ხელოვნური ინტელექტის შრომით ბაზარზე შემოსვლის ტენდენცია მზარდია. ჩნდება კითხვა, ხომ არ არის უკვე დრო, მოხდეს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა?

გარდა იმისა, რომ ქართულ შრომის კოდექსს მოუწევს ახალ რეალობას მოერგოს, ზემოთ განხილული საკითხების გამო, მიდის მსჯელობა იმის შესახებაც, რომ შრომის კანონმდებლობაში შემოვიდნენ ახალი სუბიექტები. მსგავსი მიდგომა ჯერ არცერთ სამართლებრივ სისტემაში დანერგილა, არც ვითარებაა ამ ეტაპზე იმგვარი, რომ ამის საჭიროება იდგეს, თუმცა პროგნოზებს თუ დავუჯერებთ, 2030 წლისთვის ამის საჭიროება, უდიდესი ალბათობით, დადგება. საკითხი მდგომარეობს შემდეგში, რომ გვქონდეს განსხვავება ადამიან დასაქმებულებსა და ხელოვნურ ინტელექტს შორის. რეგულაციების ცვლილება, პირველ რიგში, იმას ნიშნავს, რომ საჭირო გახდება სპეციალური ნორმების შემოღება, რომელიც, როგორც მინიმუმ, განსაზღვრავს იმას, თუ რა ურთიერთობა იქნება დამსაქმებელსა და ხელოვნურ ინტელექტს შორის, ასევე თავად დასაქმებულებს შორის. (გაბისონია, 2021)

აქ უნდა განვიხილოთ ხელოვნური ინტელექტის, როგორც სამართლის სუბიექტის საკითხი. ამ ეტაპზე სამართლის სუბიექტები მხოლოდ ფიზიკური და იურიდიული პირები არიან. ვარაუდობენ, რომ მას შემდეგ, რაც ხელოვნური ინტელექტი უკვე მიაღწევს განვითარებისა და გავრცელებადობის იმ ეტაპს, როდესაც მას შეეძლება დამოუკიდებლად შექმნას, როგორც პროდუქტი, ისე მომსახურება (რაც უკვე საკმაოდ გავრცელებულია), საჭირო გახდება სრულიად ახლებური რეგულირების დანერგვა. უპირველეს ყოვლისა, ეს შეეხება ხელოვნური ინტელექტის, როგორც სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტის აღიარებას.

როგორც ამას ანგლო-ამერიკულ სამართალში მიუთითებენ, იურიდიული ფიქციის ცნობილი თეორიის მიხედვით შეიქმნა იურიდიული პირი, ახალ სუბიექტს კი, შესაძლოა, ელექტრონული პირი ვუწოდოთ. რაც შეეხება უფლებაუნარიანობას, იგი უფრო უახლოვდება იურიდიული პირის ცნებას, იგივე ხდება ქმედუნარიანობის შემთხვევაში. 2016 წელს ევროპარლამენტში უკვე იყო შესული ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავდა ელექტრონული პირის ცნების დანერგვას სამართლებრივ წრეებში. ამ ინიციატივამ აშკარა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. დადგინდა, რომ ამ ტიპის წინასწარი ინიციატივები იმ ეტაპზე ზედმეტი იყო და უკუ ეფექტსაც გამოიწვევდა, კერძოდ, პირიქით შეაფერხებდა ხელოვნური ინტელექტის განვითარებას და ატვირთავდა მას ზედმეტი ბიუროკრატიით. ამ ეტაპზე, გვაქვს ევროპარლამენტის მიერ მიღებული რეგულაცია, რომლის მიხედვითაც ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილი სერვისი თუ პროდუქტი, არის მათი შემქმნელი კომპანიებისა თუ ინჟინერების დაქვემდებარებაში, რადგან მათ არ გააჩნიათ ცნობიერი, უნარები და ვალდებულებები (გაბისონია, 2021).

ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული პლატფორმა ქართულ შრომით ბაზარზე

ქართულ რეალობაში არსებობს კომპანია Helio. ai, ის ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული პლატფორმაა. მისი მიზანია დაეხმაროს ორგანიზაციებს, კერძოდ კადრების მართვის ნაწილში. ასევე, დაეხმაროს, რომ დამსაქმებელმა სწორი კადრი აიყვანოს სწორ სამუშაოზე. შესაბამისად, ეს კონკრეტული ხელოვნური ინტელექტი შემოდის სწორედ წინასახელშეკრულებო ეტაპზე, როგორც ადამიანური რესურსების მართვის ასისტენტი. ეს ხელოვნური ინტელექტი ბევრ საქმეს აკეთებს, თუმცა მისი მთავარი მისია ამ ეტაპზე, სწორედ კადრების მართვის ნაწილშია თავმოყრილი. როგორც ვებ გვერდის შეფასებებიდან ირკვევა კომპანიები ჰელიოს საშუალებით ანალიზებენ როგორც რეზიუმეს, ისე რეზიუმეს ავტორს, მართავენ გასაუბრების პროცესს და ანდობენ სისტემას კანდიდატის შესახებ ინფორმაციის დეტალურ ანალიზს. გამოდის, რომ ამ გზით პირადი ინფორმაცია, აუცილებლად გაივლის ხელოვნურ ინტელექტში. რა თქმა უნდა, ჩნდება კითხვა, რამდენად დაცულია კანდიდატის პირადი ინფორმაცია, მითუმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ რეზიუმეში ხშირად საკმაოდ მნიშვნელოვანი მონაცემებია თავმოყრილი.

საწყის ეტაპზე, საჭირო გახდა ვებ გვერდის საშუალებით რაიმე სახის ინფორმაციის მიღება მონაცემთა დაცვის ნაწილში. გვერდს აქვს განყოფილება მონაცემების უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებით, თუმცა, სერვისის ინფორმაციის ნაწილში გაუმართავია და საშუალო სტატისტიკური მომხმარებელი მისგან ინფორმაციას ვერ მიიღებს. ელფოსტის საშუალებით მათთან დაკავშირების შემდეგ, რამდენიმე დღეში, მცირედი განმარტებაც გააკეთეს. აღნიშნული კომპანია, თავის მხრივ, 60-მდე კომპანიას ემსახურება. რაც შეეხება უსაფრთხოებას, მთელი მათი სისტემა არის ე.წ „Cloud based“ და განთავსებულია Amazon-ის სერვერებზე გერმანიაში. კითხვაზე, ვის აქვს წვდომა ამ სერვერებზე, კომპანიაში უპასუხა, რომ მხოლოდ კომპანიის ავტორიზებულ პირებს შეუძლიათ. თუმცა, აქ ჩნდება კითხვა, ვინ შეიძლება იყოს ავტორიზებული პირი, რადგან ეს ტერმინი დაკონკრეტებული არ არის. დღესდღეობით კომპანია ისეთ ცნობილ ბრენდებთან თანამშრომლობს, როგორებიც არიან „გალფი,“ „სკა,“ „ლაზიკა კაპიტალი,“ „ტერანოვა“ და ა. შ. გამომდინარე ამ კომპანიების მასშტაბურობიდან, ჩნდება ლეგიტიმური კითხვა, რამდენად კანონიერად ხდება ხელოვნური ინტელექტის მიერ მონაცემების დამუშავება.

დასკვნა

დასკვნისთვის, განხილულ ნაშრომში საუბარი იყო ხელოვნურ ინტელექტსა და შრომით ურთიერთობაზე, კერძოდ მიმოხილულ იქნა, ხელოვნური ინტელექტის (AI) ინტეგრაციის საკითხი შრომით ურთიერთობებში. ფაქტია, ამ შემთხვევამ ნამდვილად გამოიწვია მნიშვნელოვანი დისკურსი მის გავლენასთან დაკავშირებით შრომით უფლებებზე. რამდენადაც ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები უფრო გავრცელებული ხდება სხვადასხვა ინდუსტრიებში, აუცილებლობა მოითხოვს მათი გავლენის შეფასებას

თანამშრომელთა უფლებებზე, კონფიდენციალურობაზე და საერთო კეთილდღეობაზე. ამ ნაშრომში განხილულ იქნა ხელოვნური ინტელექტის გავლენის მრავალმხრივი, სარკისებური ეფექტი შრომის უფლებებზე, არსებული საკანონმდებლო ბაზა, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, კონფიდენციალურობის საკითხები და ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი რეგულირების განვითარებადი მდგომარეობა.

როგორც აღმოჩნდა, კანონმდებელთა ძალისხმევა მთელ მსოფლიოში, მათ შორის ევროკავშირის მიერ ხელოვნური ინტელექტის აქტის ბოლოდროინდელი მიღება, მიუთითებს ხელოვნური ინტელექტის სისტემების რეგულირების აუცილებლობაზე და იმაზე, რომ მსოფლიო თუ ევროპული კანონმდებლობა სერიოზულად ფიქრობს უკვე ამ საკითხზე, განსაკუთრებით ადამიანების და მათ შორის დასაქმებულების ძირითადი უფლებებისა და ღირებულებების უზრუნველსაყოფად. აქტი განსაზღვრავს ხელოვნური ინტელექტის მომწესირგებელი ამჟამინდელი ევროპული აქტი ამ მხრივ მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია, რადგან იგი აწესებს მკაცრ რეგულაციას მაღალი რისკის შემცველ სისტემებთან მიმართებით და უწესებს მათ გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულებას. გამოდის, რომ ავალდებულებს ზუსტად იმას, რაც პრობლემურია. ასეთი მარეგულირებელი ინიციატივები ემსახურება სამუშაო ადგილებზე ხელოვნური ინტელექტის შემოტანით გამოწვეული ეთიკური და სამართლებრივი გამოწვევების გადაჭრას.

ამ ნაშრომში ხაზგასმული ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი არის თანამშრომლების კონფიდენციალურობისა და პერსონალური მონაცემების დაცვა ხელოვნური ინტელექტის მიერ ანალიტიკისური აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების ეპოქაში. მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR) ევროკავშირში ადგენს მონაცემთა კონფიდენციალურობის სტანდარტებს, რომელიც მოითხოვს გამჭვირვალობას, თანხმობას და ანგარიშვალდებულებას მონაცემთა დამუშავების პრაქტიკაში. თუმცა, ხელოვნური ინტელექტისა და პერსონალური მონაცემების გადაკვეთა იწვევს სირთულეებს თანხმობის და კონფიდენციალურობის დაცვის გარანტიების ადეკვატურობასთან დაკავშირებით, რაც მოითხოვს მუდმივ შემოწმებას და მარეგულირებელი ჩარჩოების ადაპტაციას. სამწუხაროდ, ნაშრომის მიმდინარეობისას გამოვლინდა, რომ ამ მხრივ ქართველი დასაქმებული აბსოლუტურად დაუცველია. მეტიც, როგორც მოკვლევიდან გამოჩნდა, ქართულ კერძო სექტორში და, შესაბამისად, შრომით ბაზარზე ხელოვნური ინტელექტი უკვე აქტიურად მკვიდრდება, თუმცა დასაქმებულთა უფლებებთან დაკავშირებით ჯერ არც ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი არ გადადგმულა. გამოდის, რომ საკმაოდ სერიოზული საკითხი აბსოლუტურად რეგულირების გარეშეა დარჩენილი.

ნაშრომი არ არის მიმართული ხელოვნური ინტელექტის კრიტიკისკენ, ეს უკანასკნელი საკმაოდ ეფექტური ინსტრუმენტია და შრომითი ბაზარიც ვერ გაეჭვევა ტექნოლოგიურ პროგრესს, თუმცა არსებობს მიკერძოების, დისკრიმინაციისა და გაუმჭირვალე გადაწყვეტილებების მიღების თანდაყოლილი რისკები, რომელიც ნაშრომის მიმდინარეობისას ნათლად გამოვლინდა. მკაფიო გაიდლაინები და ზედამხედველობის

მექანიზმები აუცილებელია ამ რისკების შესამცირებლად და დასაქმების პრაქტიკაში სამართლიანობისა და თანასწორობის უზრუნველსაყოფად. მნიშვნელოვანია ასევე ეროვნული კანონების ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან, როგორც განხილულ იქნა ნაშრომში, 2025 წელს ევროკავშირი მნიშვნელოვან დირექტივებს მიიღებს და ამ მხრივაც ქართული კანონმდებლობის მორგება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა

Allen, J. (2024, February 20). The Risks of Sharing Personal Information with AI. <https://tinyurl.com/4x-cyuj5>

Settles, E. (2024). EEOC Settles First AI-Discrimination Lawsuit, Sullivan & Cromwell LLP <https://tinyurl.com/yzvz7u5>

ICO. (2023). Guidance on AI and data protection, <https://tinyurl.com/z2tn9xaj>

Jha, S. (2023, March 28). Will ChatGPT take your job — and millions of others? Aljazeera <https://tinyurl.com/yy3xzmff>

Laskowski, N., & Tucci, L. (2022, July 1). What Is Artificial Intelligence (AI)? TechTarget <https://tinyurl.com/35fpz8sn>

MacKenzie, J. (2023, August 29). Artificial Intelligence and employment law. Retrieved from Global Workplace Insider <https://tinyurl.com/2k2dsjb4>

Moore, P. V. (2020). Artificial Intelligence in the Workplace: What is at Stake for Workers? OpenMind <https://tinyurl.com/umpebus8>

Ponomarov, K. (2024, February 23). Using AI in HR and Recruitment: Key Compliance Risks and How to Mitigate Them. Legalnodes <https://tinyurl.com/bdx2vu3h>

What is Artificial Intelligence (AI) ? IBM. (n.d.) <https://tinyurl.com/mppttaxz>

ავტორთა კოლექტივი, (2023) საქართველოს შრომის კოდექსის კომენტარი, თბილისი, 21-40

საქართველოს კონსტიტუცია (2023, ივლისი 11) მეთერთმეტე მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 11.

ნატროშვილი, ნ. (2023, თებერვალი 05) შრომის ბაზარზე ხელოვნური ინტელექტის დანერგვის შედეგად შესაძლოა, 26 მილიონი სამუშაო ადგილი გაქრეს, Business Insider, <https://tinyurl.com/37d5ktyz>

გაბისონია ზ, (2021) ხელოვნური ინტელექტის არსი და მისი სამართლებრივი რეგულირების საჭიროება, „შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი,“ №7, 34-43

„ევროკავშირის ხელოვნური ინტელექტის აქტი (EU AI Act) - რა უნდა იცოდეთ მსოფლიოში AI-ის გამოყენების პირველ რეგულაციაზე,“ IDFI, (2023, დეკემბერი 23) <https://tinyurl.com/yw89xp3x>

საქართველოს შრომის კოდექსი, მეთერთმეტე მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 17, 17/01/2024.

„რეკომენდაციები შრომით ურთიერთობებში პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი, 2018, <https://tinyurl.com/yc7w3mz>

მზითვის ინსტიტუტი საქართველოში

თეკლა მარჩილაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საკონფერენციო ნაშრომი ეხება მზითვის ინსტიტუტს საქართველოში. ნაშრომში მოცემულია მისი განმარტება და განვითარების ეტაპები. როგორც ჩვენთვის ცნობილია, მზითევი, ქალისათვის გათხოვებისას გასატანებელი ქონებაა. ნაშრომის ფარგლებში განვიხილავთ მზითვის შემადგენლობასა და ამ ინსტიტუტის სახესხვაობას მთასა და ბარს შორის.

საინტერესოა, მზითვის როლი ქალების მემკვიდრეობის თვალსაზრისითაც. ძირითადად, გათხოვილი ქალის სამემკვიდრეო უფლებები მზითვით შემოიფარგლებოდა. მზითევი ქალის ქონებრივი დამოუკიდებლობის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი იყო და ის დიდ გავლენას ახდენდა ქალის უფლებრივ მდგომარეობაზეც ქმრის ოჯახში. მშობლები გათხოვილ ქალს, მზითევის სახით, ოჯახიდან აძლევდნენ ქონებას. აღნიშნულის მიზანს კი ქალიშვილისთვის, გარკვეულწილად, ცხოვრების შემსუბუქება და მისთვის ქმრის ოჯახში კარგი პირობების შექმნა წარმოადგენდა. საკონფერენციო ნაშრომში განმარტებული იქნება თუ როგორ შეძლებდნენ ისინი მზითევის გატანებით შვილისთვის ქორწინების ტვირთის შემსუბუქებას.

საქართველოში ქალის ქონების აღმნიშვნელ რამდენიმე ტერმინს ვხვდებით, მართალია მათ შორის ყველაზე გავრცელებულია „მზითევი“, თუმცა საგულისხმოა ტერმინი „სათავნო“. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, თითოეული, განსხვავებული მნიშვნელობით გამოიყენებოდა. მათი გაგება და მნიშვნელობა კი დროთა განმავლობაში იცვლებოდა. მზითევი წყაროებში წარმოდგენილია, როგორც ქორწინების შემადგენელი ნაწილი, რომლის მიცემა ქალიშვილისთვის სასურველის გარდა აუცილებელიც ყოფილა. დროთა განმავლობაში, მისი როლის ზრდამ კი განაპირობა აღნიშნულის სამართლებრივი რეგულირებაც.

საკონფერენციონაშრომი მკითხველს საშუალებას მისცემს გაეცნოს საქართველოში მზითვის ინსტიტუტის რაობას, მის განვითარებასა და შემადგენლობას. ასევე შეძლებს, შეიტყოს თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობის მატარებელი ყოფილა ის ქალის უფლებაუნარიანობის განვითარებისთვის. ნაშრომში მოცემულია საგულისხმო ინფორმაცია ქალის ქონების აღმნიშვნელი სხვა ტერმინების შესახებაც. თუმცა, ყველაზე საინტერესო საზოგადოების შეხედულებათა ცვალებადობაა ამ ინსტიტუტთან მიმართებით. თანამედროვეობაში, ხშირია, მზითვის ინსტიტუტის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება, რაც ქალთა

უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებამ და თავის მხრივ, მაღალმა საზოგადოებრივმა სტატუსმა განაპირობა.

საკვანძო სიტყვები: „მზითვის ინსტიტუტი“, „სათავნო“, „ქალთა უფლებები“, „ქონებრივი დამოუკიდებლობის გარანტია“.

Abstract

The conference paper is about the dowry institute in Georgia. Here are given definition and stages of development. As we all know, dowry is a property that is given to a woman when she gets married. Within the scope of the paper, we discuss the composition of dowry and the difference between this institution in Mountain and Bar.

It is interesting to consider the role of dowry in the context of women's inheritance. Primarily, a married woman's inheritance rights were limited to her dowry. The dowry was the main determinant of a woman's financial independence and had a significant impact on her status in her husband's family. Parents gave property to a married woman in the form of a dowry. The aim of this was to somewhat ease their daughter's life and create good conditions for her in her husband's family. The conference paper will explain how they were able to alleviate the burden of marriage for their daughter by providing a dowry.

In Georgia we find several terms indicating a woman's property, although the most common among them is "dowry", but the term "satavno" is also significant. In different regions of Georgia, each term was used with different meanings. Their understanding and meaning changed over time. Dowry is presented in sources as an essential part of marriage, that was not only desirable but also necessary for the daughter. Over time, the growth of its role led to its legal regulation.

The conference paper will allow the reader to learn about the nature of the dowry institute in Georgia, its development and its components. Additionally, readers will learn how significant it has been for the development of women's legal capacities. The paper also provides important information about other terms indicating a woman's property. However, most interesting aspect is the change in public opinion towards this institution. In modern times, there is often a critical attitude towards the institution of dowry, which was caused by the improvement of the legal status of women and, in turn, the high social status.

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი შეეხება მზითვის ინსტიტუტს საქართველოში. ნაშრომის ფარგლებში მოცემული იქნება როგორც, მზითვის ცნება, მისი შემადგენლობა და მომზადების წესი, ასევე მისი განვითარების ეტაპები. საინტერესოა, დროთა განმავლობაში, ხსენებული ინსტიტუტის აღმასვლამ, როგორ განაპირობა მისი შემადგენლობის ცვლილება. მზითვის ინსტიტუტი საქართველოში დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა, თუმცა განვითარების

უმალეს საფეხურს IX საუკუნეში მიაღწია, რამაც უდიდესი გავლენა მოახდინა ქალთა უფლებრივ მდგომარეობაზე. სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით განვიხილავთ მზითევს, როგორც ქალთა ქონებრივი დამოუკიდებლობისა და მათი უფლებაუნარიანობის გაუმჯობესების მთავარ განმაპირობებელ ფაქტორს. ამასთანავე, შეძლებისდაგვარად გავმიჯნავთ მზითევს და სათავნოს. ხსენებული ინსტიტუტის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება მუდმივად იცვლებოდა. აღნიშნულ საკითხებზე და იმაზე თუ რამ განაპირობა ხალხის მოსაზრების ასეთი ცვლილება, ქვემოთ ვიმსჯელებთ.

მზითვის ცნება და მისი მომზადება

იმისათვის, რომ მზითვის ინსტიტუტის შესწავლა და გაანალიზება სიღრმისეულად შევძლოთ საჭიროა, რომ, პირველ რიგში, გავცნოთ ტერმინთა განმარტებას. მზითევი, ჩუბინაშვილის განმარტებით, არის „გასათხოვარის ქალის მისაცემი ქონება სამშობლოს სახლიდამ“. (ჩუბინაშვილი ნ., 1961) ხოლო სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით, „ზითევი“ არის „სძლის მონაყოლი საქონელი“. (სულხან-საბა ორბელიანი, 1928) მზითვის განმარტება და მისი შემადგენლობა განსხვავდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ასევე განსხვავდებოდა მისი მომზადების წესი. მზითვის, შედარებით, ამომწურავ დეფინიციად შესაძლოა მივიჩნიოთ შემდეგი: მზითევი არის ქონება, რომელიც ქალს გათხოვებისას გადაეცემოდა. მის მომზადებას ოჯახი უზრუნველყოფდა და ეს ძირითადად, სასახლო ქონების ხარჯზე ხდებოდა. მისი გადაცემის მიზანს კი ქმრის ოჯახისთვის ხარჯების შემსუბუქება წარმოადგენდა. საზოგადოების განვითარება და პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად განაპირობებდა, როგორც მზითვის დეფინიციას, ასევე მისდამი დამოკიდებულებას. ამან გამოიწვია მისი მომზადების წესისა და შემადგენლობის ცვალებადობა. სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, საქართველოში მზითევი პირველად ფეოდალური დროიდან გვხვდება. თუმცა მკვლევარები მიიჩნევენ, რომ იგი ადრეც არსებობდა, მაგრამ მის აღსანიშნავად სხვა ტერმინი გამოიყენებოდა.

მზითვის მომზადება ქალის მშობლების პასუხისმგებლობას წარმოადგენდა. მზითვის გატანების აუცილებლობიდან გამომდინარე, ოჯახი, ძირითადად, წინასწარ იწყებდა მის მომზადებას. საზოგადოება დიდ ყურადღებას აქცევდა ქალის სამზითვო ქონებას და დამცინავადაც კი უყურებდა იმ ოჯახს, რომელიც სათანადო მზითევს არ გაატანდა ქალიშვილს. რა თქმა უნდა, მათი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, გაჭირვებულ ოჯახს, რიგ შემთხვევებში, მეზობლებიც უწყობდნენ ხელს გასატანებელი ქონების მომზადებაში. მეზობლების ჩართულობას, თავის ნაშრომში, ხაზს უსვამს ნუნუ მაჩაბელიც, რომლის მიხედვითაც ოჯახი ქალიშვილისათვის სამზითვო ლოგინის შესაკრად „მოიწვევდნენ მეზობლებს, მზის ამოსვლისას მატყლს წამოყრიდნენ და გაწეწავდნენ“. (მაჩაბელი ნ., 1976) მზითვის მომზადებაში მეზობლები და პატარძლის მეგობრები აქტიურად ყოფილან ჩართულნი.

ზემოთ არაერთხელ გავუსვით ხაზი მზითვის ქონისა და გატანების აუცილებლობას,

რასაც ასევე ადასტურებს ნუნუ მაჩაბელი, „ხშირად მზითვის მოუმზადებლობა აყვავებდა ქალის გათხოვების საქმეს და ქორწილის ვადის გადაწვევისათვის საპატიო მიზეზად ითვლებოდა“. (მაჩაბელი ნ.,1976) ვაჟის ინტერესებში იყო ცოლად მოეყვანა ქალიშვილი, რომელსაც კარგი მზითევი ექნებოდა, რადგან შექმნილ ოჯახში ცოლის მიერ შეტანილი ქონება ოჯახის კეთილდღეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. ვფიქრობ, მზითვის დაუმზადებლობა ქორწილის გადაწვევის საპატიო მიზეზად ამიტომაც მიიჩნეოდა. ვაჟის ოჯახისთვის კარგი მზითევი მომავალი კეთილდღეობისა და ეკონომიკური სტაბილურობის ერთგვარი გარანტია იყო. აქედან გამომდინარე, ნათლად ჩანს ამ ინსტიტუტის უმნიშვნელოვანესი როლი წყვილთა დაოჯახების საქმეში.

მზითვის შემადგენლობა

მზითევის შემადგენლობა ქვეყანაში არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მუდმივად განიცდიდა ცვლილებას. მისი შემადგენლობა განსხვავდებოდა მთასა და ბარს შორის. მზითევი განვითარების ადრეულ საფეხურზე, შეიცავდა პირადი და საოჯახო მოხმარების ნივთებს, როგორცაა ტანსაცმელი, სამკაულები, ლოგინი, ჭურჭელი და სხვა. მზითვის შემადგენლობაში პირადი სარგებლობის ნივთები ყოველთვის შედიოდა. მისი შემადგენლობა განსხვავებული იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, თუმცა ბარში ის უფრო მეტი მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა, ვიდრე მთაში.

დროთა განმავლობაში, მზითვის ინსტიტუტის განვითარებამ განაპირობა მისი შემადგენლობის ცვლილება. მზითევი თანდათანობით უფრო სრულყოფილი ხდება. სასურველია, გამოვყოთ მზითევი შემადგენლობის მნიშვნელოვანი ელემენტები და განვიხილოთ თითოეული მათგანი. ესენია: ფული, პირუტყვი, მამული.

შედარებით შეძლებული ოჯახები, ძირითადად, ცდილობდნენ ქალიშვილისთვის ფული მიეცათ. ქართლ-კახეთში ქალს ძვირფასს ტანსაცმელს და საოჯახო მოხმარების ნივთებს ატანდნენ. ხშირი იყო მზითევის სახით ფულის გატანების შემთხვევებიც. აღნიშნულს „ქრთამს“ ან „ჯიბის ფულს“ უწოდებდნენ. ფულის გატანებას საყოველთაო ხასიათი ჰქონდა მიღებული და საქორწინო ურთიერთობაში იმდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა რომ მასზე მოლაპარაკებებსაც ჰქონდა ადგილი.

ქართლ-კახეთში, არანაკლებ, გავრცელებული იყო ქალისთვის გათხოვებისას საქონლის გატანებაც. „ქართლსა და კახეთში ქალს ხშირად გოჭებიან დედა ღორსაც ატანდნენ“. (მაჩაბელი ნ.,1976) თუმცა, მზითვის სახით საქონლის მიცემას, ყველაზე ხშირად, ადგილი მაინც მთაში ჰქონდა ხოლმე. საქონელი, რომელსაც მთაში ქალს მზითევი ატანდნენ, „სათავნოს“ სახელწოდებით იყო ცნობილი, მაგრამ მას სიღრმისეულად შემდეგ თავებში განვიხილავთ. მნიშვნელოვანია, რომ პირუტყვი ქალის საკუთრებას წარმოადგენდა და მისგან მიღებული შემოსავალიც შეეძლო სურვილისამებრ განეკარგა.

რაც შეეხება მამულს, ის მზითვის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენდა. ივანე ჯავახიშვილი

აღნიშნავს, რომ „თანდათან ზითვად მოძრავ ქონებასთან ერთად უძრავი ქონებისა და მამულების მიცემაც ჩვეულებად შემოვიდა“. (ჯავახიშვილი. ივ.,1929) მართლაც ასეა, მშობლები ქალს მზითევს უმზადებდნენ, რომლის შემადგენლობაში შესაძლოა შესულიყო ნებისმიერი ქონება, მათ შორის, მზითვის ცნებაში უძრავი ქონებაც ერთიანდებოდა. ცხადია, ყველას ვერ ექნებოდა მამულების გატანების შესაძლებლობა. მზითვის ოდენობა, ქალის ოჯახის შეძლებაზე იყო დამოკიდებული. თუმცა, შემონახული ცნობების თანახმად, ზოგჯერ მთელი საფეოდალოც გაუტანებიათ მზითვად ქალისთვის. ცხადია, ამ შემთხვევაში საქმე სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლებთან გვქონდა. მაგალითად, ცნობილია, რომ დედოფალმა დარეჯანმა თავის შუათანა შვილს მზითევში სოფელ ხეობის ახალდაბა გაატანა. ჟამთააღმწერლის ცნობით, მეფე რუსუდანსაც გაუტანებია თავისი ასულისთვის, თამარისთვის, მზითვად აწყური. იმას, რომ მზითვის შემადგენლობაში სოციალურ ფენებზე დაყრდნობით, ძალიან დიდი სხვაობაა, არაერთი წყარო ადასტურებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ მზითვის შემადგენლობა მუდმივ ცვალებადობას განიცდიდა, რაც ხსენებული ინსტიტუტის განვითარებით იყო განპირობებული. საქართველოში მისი როლის გაზრდაზე ის მეტყველებს, რომ მის შემადგენლობაში უძრავი ქონებაც შედიოდა.

მზითვის ინსტიტუტის სახესხვაობა საქართველოს კუთხეში

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მზითვის ინსტიტუტის შესწავლისას, იკვეთება მისი მნიშვნელობის, მომზადების წესისა და შემადგენლობის განსხვავებულობა. საქართველოში, ქალის ქონების აღმნიშვნელი ყველაზე გავრცელებული ტერმინია „მზითევი“, თუმცა არანაკლებ ცნობილია „სათავნო“. თითოეული მათგანი განსხვავებული მნიშვნელობით გამოიყენებოდა სხვადასხვა კუთხეში. მზითევი ქალის ქონებას აღნიშნავდა, რომელშიც ერთიანდებოდა პირადი მოხმარების ნივთები, საოჯახო საგნები, ხოლო ტერმინ „სათავნოს“ მთაში ვხვდებით და მასში პირუტყვი შედიოდა. სათავნო შეგვიძლია მივიჩნიოთ ქალის პირად კაპიტალად, რომელიც ზრდას ექვემდებარებოდა. ქალს შეეძლო საკუთარი ხელსაქმით გაეჩინა ან გაემდიდრებინა იგი. მზითევსა და სათავნოს შორის, ძირითადი, განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ ქორწინების განმავლობაში სათავნო იზრდებოდა, ხოლო მზითევი ზრდას არ ექვემდებარებოდა.

მთაში მზითევი და სათავნო სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენებოდა, ასევე განსხვავდებოდა მათი შემადგენლობაც. ამის შესახებ საგულისხმო ცნობებს ვიღებთ ვალერიან ითონიშვილის ნაშრომიდან, რომლის მიხედვით, „მზითვის შემადგენლობაში შედიოდა ერთი სკივრი, ერთი ხელი ლოგინი, ერთი კედლის ნაბადი, სამი ხელი „ტარავალი“ (ტანსაცმელი), ერთი საწყლე ტაგანა (კასრი) ან თულუხი და სკივრში ჩალაგებული წვრილმანები (ნემსები, ძაფები, სათითურები და ა.შ.). სათავნოდ კი აძლევდნენ ერთ ჭოჭყს (1 წლის საფურე ხბო) ან ერთ დედალ ცხვარს“. (ითონიშვილი ვ.,1960) აღნიშნული შემადგენლობა დამახასიათებელია XIX საუკუნის ხევსთვის. მხოლოდ

ზემოთ მოცემულიდანაც ნათლად იკვეთება, რომ ხევში მზითვისა და სათავნოს გატანება უცხო მოვლენას არ წარმოადგენდა და საქორწინო ურთიერთობის აუცილებელ ელემენტს განეკუთვნებოდა. თუმცა აღსანიშნავია, რომ ხევსურებს, თავიანთი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, არ ჰქონიათ მრავალფეროვანი მზითევის ქონის და მზითევად ფულის გატანების საჭიროება. მათ მთავარ სიმდიდრედ, ყოველთვის საქონელი ითვლებოდა, ამიტომაც ქალსაც, ძირითადად, საქონელს ატანდნენ სათავნოდ.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვან ინფორმაციას ვიღებთ სვანური საოჯახო სამართლის შესწავლით. პირველ რიგში, საჭიროა რამდენიმე სიტყვით შევხვით სვანურ დიდ ოჯახს, რომელიც მამაკაცის ხაზით უახლოეს ნათესავენს აერთიანებდა. თითოეულ ოჯახის წევრს განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები ჰქონდა დაკისრებული. ოჯახში ქალებს შორის საოჯახო საქმეები და შრომა ნაწილდებოდა არა მხოლოდ სვანეთში, არამედ მთიულეთში, ხევსა და აჭარაშიც. რა თქმა უნდა, სახეზე გვაქვს პატრიარქალური წყობილება, რაც ნათლად იკვეთება სამემკვიდრეო უფლებებთან მიმართებაშიც, თუმცა, აღსანიშნავია, რომ მთაში ქალებს თავისუფლების უფრო მაღალი ხარისხი გააჩნდათ, ბართან შედარებით. ძირითადად, ქალების კერძო საკუთრება შემდეგი იყო, რძალს ჰქონდა ოჯახიდან გამოყოფილი ქონება, ხოლო ქალიშვილის უპირობო საკუთრებას დედის ქონება წარმოადგენდა. საკითხის სიღრმისეული ანალიზისთვის, სასურველია შევხვით ტერმინ „მამულისა“ და „დედულის“ განმარტებასაც. ზემოთ ხსენებული ორივე ტერმინი შვილების მიერ მიღებული საკუთრების აღმნიშვნელია. მამული მამისგან მემკვიდრეობით მიღებულ უძრავ ქონებას ნიშნავდა. რაც შეეხება დედულს- დედის მიერ მზითევში მიღებულ ქონებას. დედული იმ ქონებას ერქვა, რომელიც შვილებს დედისგან დარჩებოდათ. თავის მხრივ, ამ ქონებას დედა გათხოვებისას მშობლების სახლიდან იღებდა, მზითევის სახით. თუმცა, აღნიშნულის გარდა, დედულს შესაძლოა მიმატებოდა ხელსაქმით მიღებული შემოსავალიც. დედის გარდაცვალების შემდეგ დედული შვილებს რჩებოდათ, ხოლო მაშინ, როდესაც ქალს შვილები არ ჰყავდა, მზითვი უკან უბრუნდებოდა მშობლების სახლს. როგორც უკვე აღინიშნა, სვანური ადათის მიხედვით, მემკვიდრეობად მხოლოდ მამაკაცები ითვლებოდნენ, ქალების სამემკვიდრეო უფლებები კი მზითევით ამოიწურებოდა, აქედან გამომდინარე, უფრო ნათელი ხდება თუ რა მნიშვნელობის მატარებელი ყოფილა იგი ქალის ეკონომიკური დამოუკიდებლობისთვის.

ხსენებული ინსტიტუტის მიმართ განსხვავებულ მიდგომას ვხვდებით სამეგრელოში. არქანჯელო ლამბერტის, „სამეგრელოს აღწერა“, მოგვითხრობს, რომ „იქ ქალს არავითარი მზითვი ქმრისთვის არ მოაქვს“. (არქანჯელო ლამბერტი, 1938) ეს გარკვეულწილად კარგიცაა, რადგან ამ შემთხვევაში ადგილი არ ექნებოდა საცოლის მდიდრული მზითევით არჩევის შემთხვევებს. მეგრელებისთვის მთავარი არა ქონება, არამედ კარგი შთამომავლობა და ზრდილობა იყო. თუმცა უმზითვობა განაპირობებდა ქალების შეზღუდულ უფლებებსაც ოჯახში. სასიძომ „მშობლებს უნდა მოუტანოს იმდენი საჩუქარი, თითქოს სარძლო მონა არისო და მის ფასს იხდისო“. (არქანჯელო ლამბერტი, 1938) ცხადია, ქალი აღიქმებოდა, როგორც ნივთი და მზითვის არქონა მისდამი მსგავს დამოკიდებულებას ხელს უწყობდა.

მართალია, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მის გაგებასა და შემადგენლობაში მცირე განსხვავებები იკვეთება თუმცა, ამა თუ იმ, ფორმითა და სახელით ის მაინც არსებობდა და ქორწინების განუყოფელი ნაწილი იყო.

მზითვის როლი ქორწინებაში

ქორწინება საკმაოდ რთული და მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც საშუალებას გვაძლევს ყოფა-ცხოვრების, ეკონომიკისა და ტრადიციების შესწავლის. სწორედ ქორწინება წარმოადგენდა მზითვის ინსტიტუტის წარმოშობისა და განვითარების მთავარ მიზეზს. მზითვის საკითხი ადათობრივი სამართლით რეგულირდებოდა და როგორც ჩვენთვის ცნობილია, მისი გატანება სასურველის გარდა, აუცილებელიც ყოფილა. მოცემულ თავში განხილული იქნება მზითვის როლი ქორწინებაში.

მზითვის ინსტიტუტის ადრეულ ფორმაზე მსჯელობისას ხშირად განიხილავენ იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებას“. თუმცა მეხუთე საუკუნის ეს ჰაგიოგრაფიული ძეგლი ამ თვალსაზრისით ბევრ ინფორმაციას არ გვაწვდის და რომც გვაწვდიდეს, შუშანიკის წარმომავლობიდან გამომდინარე, ჩვენთვის ნაკლებად საინტერესო იქნებოდა. სამაგიეროდ, აღნიშნული ნაწარმოების მიხედვით, შეგვიძლია მეუღლეთა შორის ქონებრივ ურთიერთობაზე ვიმსჯელოთ. „ჩემი სამკაული მას არა დაუტეო, **ოდეს** იგი არა ჩემი ცოლი არს, - **იპოოს ვინმე, რომელმან განკაფოს** იგი.“ (იაკობ ხუცესი, 1979) რა თქმა უნდა, მოცემული ნაწარმოები თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ისტორიის მხოლოდ არაპირდაპირ წყაროს წარმოადგენს და მასზე დაყრდნობით ზუსტი დასკვნების გამოტანა არ შეგვიძლია, მაგრამ ვარსკენის ეს სიტყვები გვაძლევს იმის ვარაუდის საშუალებას, რომ ქმარი ვალდებული იყო ცოლისათვის ქორწინებისას საჩუქრები მიერთმია, ხოლო განქორწინებისას კი შეეძლო მისი დაბრუნება მოეთხოვა. ქორწინებისას მირთმეული საჩუქარი, ისევე როგორც მზითევი ქალის საკუთრებას წარმოადგენდა და გამოყოფილი იყო სასახლო ქონებიდან. მზითვის განვითარების შემდგომ ეტაპზე, მისი როლის გაზრდამ, განაპირობა მოლაპარაკებები მის შემადგენლობასა და რაოდენობაზე. სწორედ ამ პერიოდში გაჩნდა „მზითვის წიგნი“. კარგი მზითვის გატანება სავალდებულო გახდა და გავლენას ახდენდა ოჯახის სახელზეც.

ქორწინებისთვის აუცილებელი პირობაა ნიშნობა. როგორ წარიმართებოდა ის და რა წარმოადგენდა ნიშნობამდელ მოქმედებებს ცდება ჩვენს მიერ განსახილველი თემის ფარგლებს. ამჟამად, ჩვენთვის ბევრად საინტერესოა ნიშნობის დროს მხარეთათვის დაკისრებული უფლება-მოვალეობანი, კერძოდ კი ქონებრივი ვალდებულებები და მათი შესრულების აუცილებლობა. ნიშნობის დღეს ქალის ოჯახში ძღვენით მიდიოდა ვაჟი. სასიძოს ოჯახში უნდა მიეტანა არა მხოლოდ საჩუქრები, არამედ სურსათიც. ოჯახში შესული პატარძალიც ვალდებული იყო, საჩუქრებითვე ეცა პატივი. ამავე დროს, ქალს გათხოვებისას, თავისი ოჯახი ატანდა საოჯახო მოხმარების ნივთებს და აძლევდა „სათავნოს“, ანუ პირუტყვს, რომელსაც ქალი ქმრის ოჯახში გადასვლისას თან წაიყვანდა.

სათავნო გათხოვილ ქალს გარკვეულწილად დამოუკიდებლობას ანიჭებდა. პარალელურად მნიშვნელოვან საყრდენს წარმოადგენდა ახალი ოჯახის საერთო მეურნეობისთვის. ზოგიერთ შემთხვევაში, სათავნო გამოიყენებოდა, როგორც ქალის ქონების აღმნიშვნელი ტერმინი, რაც იმას მოწმობდა, რომ ის არ ერთიანდებოდა სასახლო ქონებაში. ქალის სათავნო, მამის ოჯახში ცალკე არ ყოფილა გამოყოფილი, მაგრამ გათხოვებისას, მისი შენახვის წესი იცვლებოდა. „საქონელს, რომელიც სათავნოს წარმოადგენდა, რაკი არ შედიოდა საერთო საოჯახო საკუთრებაში, ვერ შეინახავდნენ ოჯახის ხარჯებით, ამიტომ ქალი სათავნოს სხვას აძლევდა და იქიდან მიღებული შემოსავალი მის ხელშეუხებელ საკუთრებას წარმოადგენდა“. (მაჩაბელი ნ., 1976) აღნიშნული სათავნოს გამოყენების ადრინდელ ფორმაა. შემდგომში საქონელი შესაძლოა ქმრის საოჯახო თემში შენახულიყო, თუმცა ამის სანაცვლოდ, მიღებული შემოსავალიც იყოფოდა.

მზითევი შექმნილ ოჯახში წარმოადგენდა მეურნეობის წყაროს და მომავალში სტაბილურობის მნიშვნელოვან საფუძველს. თუმცა, მზითვის ინსტიტუტის როლი ამით არ ამოიწურებოდა. ქალის კარგი მზითვით გათხოვება, მისი მომავალი კეთილდღეობის საწინდარი იყო. ქალის უუფლებობა ქონებრივი ურთიერთობების თვალსაზრისით იწვევდა მის უუფლებობას პირადი ურთიერთობების საკითხებშიც. IX საუკუნეში მზითვის ინსტიტუტის განვითარებული სახით არსებობამ, მნიშვნელოვნად განაპირობა ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაც. ქალი ქმრის სახლში შედის და გარანტირებული აქვს დამოუკიდებლობა და თავისუფლების მაღალი ხარისხი. ცოლის მზითეზე ქმარს ხელი არ მიუწვდებოდა, მას არ შეეძლო სურვილისამებრ გამოეყენებინა იგი. გამომდინარე იქიდან, რომ მზითევი რძლის უპირობო საკუთრება იყო ქმრის ოჯახში, მნიშვნელოვნად იზრდებოდა მის მიმართ პატივისცემის დონეც. ამ ფაქტორებმა განაპირობა მისი როლის გაზრდა და მისთვის სავალდებულო ხასიათის მიცემა.

შესაბამისად, ქორწინების განმავლობაში მზითევი ორ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა. 1. ახლად შექმნილ ოჯახსა და მეურნეობას აძლევდა ქონებრივ წყაროს; 2. რძლის ფართო უფლებებისა და თავისუფლების მაღალი ხარისხის განმაპირობებელი ფაქტორი იყო.

მზითვის ბედი განქორწინებისას

ოჯახის გაყრის შემთხვევაში, ქალისათვის მზითვად გატანებული უძრავი და მოძრავი ქონების განკარგვა სამართლებრივი რეგულირების საგანს წარმოადგენდა. აღნიშნული საკითხის უკეთ განსახილველად, უპირველესად, საჭიროა განქორწინებაზე, მის დასაშვებობასა და განმაპირობებელ მიზეზებზე ვისაუბროთ.

საქართველოში საზოგადოებრივი მორალის, ცხოვრებისა და საკანონმდებლო ნორმების ძირითადი განმსაზღვრელი იყო ეკლესია. იგი ფართო უფლებებით სარგებლობდა და დამოუკიდებელი სამართალწარმოება გააჩნდა. საეკლესიო სასამართლოების განხილვის

საგანს უამრავი საკითხი წარმოადგენდა, მათ შორის, საოჯახო სამართალიც.

ქორწინება ოჯახის საფუძველს წარმოადგენს, ოჯახი კი უმაღლეს ღირებულებად მიიჩნეოდა. ის საზოგადოების სოციალური უჯრედია, ხოლო განქორწინება არღვევს არსებულ წესრიგსა და წონასწორობას, რაც სახელმწიფოს ინტერესებზეც ახდენს ზეგავლენას. ქორწინების შეწყვეტა არა მხოლოდ მეუღლეების ცხოვრებასა და მომავალზე, არამედ მათი შვილებისა და მშობლების ცხოვრების ცვლილებასაც განაპირობებდა. ამ და სხვა უამრავი ფაქტორიდან გამომდინარე, სახელმწიფოსთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ოჯახის სიმყარეს. სახელმწიფო და ეკლესია კანონმდებლობით იცავდა ქორწინების სტაბილურობასა და ურღვევობას. საეკლესიო მოძღვრების მიხედვით, ქორწინება წყდება, მხოლოდ და მხოლოდ, სიკვდილის შედეგად, თუმცა მთლიანად მაშინაც არა. ამის გამო, განქორწინებაზე ეკლესიის წინააღმდეგობა საკმაოდ დიდი იყო. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 66 მუხლი, რომლის მიხედვით, „ცოლი და ქმარი რაგინდსძულობნდენ ერთმანეთსა, უბრალოდ გაყრას იქნების, კათალიკოზმა წვრთნით უნდა შეარიგოს“. (ვახტანგ VI., 1955) ამავე საკანონმდებლო ძეგლში, კერძოდ 64 მუხლში, მოცემულია შემდეგი: „კაცი რომ ცოლს სტანჯვიდეს და უპატიურად ეპყრობოდეს და ურიგოს უშვრებოდეს, მეფემ ის კაცი დააბას, დატუქსოს, ავად მიეპყრას, და კათალიკოზმაც ასრე უყოს.“ (ვახტანგ VI., 1955) მოცემული მუხლის მიხედვით, ჩანს, რომ ოჯახში ქალის დაცულობა გარანტირებულია, რაც ოჯახის სტაბილურობის დაცვისკენაა მიმართული. მსგავსი შინაარსის წყაროებსა და საკანონმდებლო ძეგლებს ხშირად ვხვდებით, ეს კი კიდევ ერთხელ ადასტურებს თუ როდენ დიდ ღირებულებად მიიჩნეოდა ოჯახი. მისი სიმყარის შესანარჩუნებლად სახელმწიფო, ეკლესია და ხალხი ერთიანდებოდა.

საქართველოში განქორწინება დიდი ხნის განმავლობაში მიუღებლად მიიჩნეოდა, თუმცა დროთა განმავლობაში, მიუხედავად ეკლესიის მიერ აღნიშნულის აკრძალვისა, კანონმდებელი უშვებს ქორწინების შეწყვეტას და ადგენს სათანადო საკანონმდებლო მოტივებს. სახარების მიხედვით, განქორწინება დასაშვებია მხოლოდ ცოლის მრუშობის შემთხვევაში, მაგრამ დროთა განმავლობაში აღიარებულ იქნა სხვა მიზეზებიც.

საქართველოში არსებული საკანონმდებლო ძეგლებიდან ჩანს, რომ ქორწინების შეწყვეტის მიზეზი, მრუშობის გარდა შესაძლოა ყოფილიყო ცოლის დასნეულება, კაცის მიერ ცოლის „უბრალოდ დაგდება“, ცოლის სიგიჟე და ბნედიანობა და სხვა. ამ საკითხის განხილვა იმდენად გვჭირდება, რამდენადაც ის გავლენას ახდენდა განქორწინებისას მზითვის ბედზე.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი ეხება ცოლის სნეულებას, როგორც განქორწინების საფუძველს. კერძოდ, 140-ე მუხლის მიხედვით, „თუ ცოლი დასნეულდეს, ქმარი ცოლისა გუარსა არას ემართლების, მისთვის რომე მისსა ხელსა შიგან დამართებია. თუ გაეყაროს, შეფიცოს ნაბნითა, რომე სიძულვილითა არა გაყროდეს, და ნახევარი სისხლი დაუურვოს. და დედაკაცი ზითევს ნუ ითხოვს, თუ შვილი დარჩეს“. (დოლიძე ი., 1963) დედის მზითვეი შვილებს გადაეცემოდათ და ხშირად ის გამოიყენებოდა კიდევ ქალიშვილების

გათხოვებისას, მათი მზითვის გასამდიდრებლად, ამიტომაც, შვილების ყოლის შემთხვევაში ქალს მზითვეს არ ატანდნენ. რაც შეეხება მზითვის საკითხის რეგულირებას მრუშობის მიზეზით განქორწინების შემთხვევაში, ამაზე ცნობებს გვაწვდის ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის 67-ე მუხლი. მოცემული მუხლის მიხედვით, კანონმდებელი მრუშობას განქორწინების სათანადო საფუძვლად მიიჩნევს, თუმცა ქმარი ვალდებული არაა გაეყაროს ცოლს. მას აქვს არჩევანის საშუალება. თუ ქმარი განქორწინებას გადაწყვეტს ცოლთან, რომელთანაც შვილები ჰყავს, ამ შემთხვევაში „ზითვე სრულ არ მიეცემის, ამიტომ რომ შვილსაც წილი აქვს, - ნახევარი ანუ უმცროსი; ან არა, რამდენიც შვილი ყვანდეს, შვილებსა და დედას თვითო-თვითო წილად მისცენ ყველას სწორედ“. (ვახტანგ VI., 1955) ზემოთ მოყვანილ ორივე მუხლში მსგავსს მიდგომას ვხვდებით მზითვთან მიმართებით. ქალს მზითვეი შეეძლო სრულად წაეღო, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მას შვილები ჰყავდა. რაც შეეხება ქორწინების შეწყვეტის მიზეზს, რომელიცაა ცოლის „დაგდება“, ამ საკითხს, ბექას სამართლის 29-ე მუხლი არეგულირებს, რომელშიც ნათქვამია: „თუ კაცმან უბრალოდ ცოლი დააგდოს, სისხლის ნახევარი მისცეს და მისი ზითვეი სრულად“. (დოლიძე ი., 1963) ამ შემთხვევაში საკანონმდებლო დაცვის საგანია ქალის ქონებრივი უფლებები. საინტერესოა ამავე მუხლის მეორე ნაწილიც, „თუ ბოზობისათვის დააგდოს, მისი ზითვეი მაშინაცა მისცეს სრულად- თუ დიაცი ბოზი არის, ზითვეიცა ბოზი იქნების“.

არაერთი წყაროსა და საკანონმდებლო ძეგლის ანალიზიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ განქორწინების შემთხვევაში მზითვეზე ქმარს უფლება არ გააჩნდა და ის უკლებლივ უბრუნდებოდა ქალს, გარდა განხილული გამონაკლისისა.

მზითვის მნიშვნელობა თანამედროვეობაში

მზითვის ინსტიტუტმა განვითარების დიდი გზა განვლო. დროთა განმავლობაში იზრდებოდა ხსენებული ინსტიტუტის მნიშვნელობა, შემადგენლობა და მის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება.

მზითვის ინსტიტუტის უდიდესი მნიშვნელობა გამოწვეული იყო ქალის უფლებებით სამემკვიდრეო ურთიერთობის თვალსაზრისით. „თუ ვაჟიშვილთა მემკვიდრეობა ეჭვს არ იწვევდა, რთული ევოლუციური გზა განვლო ჩვენში ქალიშვილთა სამემკვიდრეო უფლებებმა“. (ზოიძე ბ., 2000) ქალის უფლებრივ მდგომარეობასა და სოციალურ სტატუსს მნიშვნელოვნად განაპირობებდა მისი ოჯახური მდგომარეობა, კერძოდ, გასათხოვარი იყო ის თუ გათხოვილი. როგორც ირკვევა, გათხოვილი ქალბატონის სამემკვიდრეო უფლებები, ძირითად შემთხვევებში, მზითვით შემოიფარგლებოდა. ყველასთვის კარგად ცნობილია, რომ დიდი ხნის განმავლობაში ერთადერთ მემკვიდრედ ვაჟიშვილს თვლიდნენ, ბევრი უვაჟო ოჯახსამოწყვეტილო ოჯახად მოიხსენიებდა. შვილებად მხოლოდ კაცებს აღიარებდნენ, რადგან ისინი მიიჩნეოდნენ გვარის გამგრძელებლად. ნებისმიერი ქონება მათ რჩებოდათ. ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, მშობლების გარდაცვალების შემდეგ თუ სახეზე არ იყვნენ შემდეგი მემკვიდრეები: ვაჟი, ბიძა ან სხვა მამაკაცი, მხოლოდ მაშინ

იმკვიდრებდნენ ქონებას ქალიშვილები. სხვა შემთხვევაში, ქალები ვერ დაეუფლებოდნენ მშობლების საკუთრებას. ვაჟს აღიქვამდნენ და დღემდე აღიქვამენ, როგორც მთავარ მემკვიდრეს და გვარის გამგრძელებელს. ეს იმიტომ, რომ ქალი მამის სახლიდან მიდიოდა და სხვა ოჯახის ნაწილი ხდებოდა. შესაბამისად, უზრუნველყოფდა სხვა გვარის გაგრძელებას. მსგავსი შეხედულებები მნიშვნელოვნად განაპირობებდა მის შეზღუდულ სამემკვიდრეო უფლებებს, რის გამოც ქალი წარმოგვიდგება, როგორც მეორეხარისხოვანი არსება.

ქალებისთვის დიდი ხნის განმავლობაში ერთადერთ ალტერნატივას გათხოვება წარმოადგენდა, თუმცა მზითევმა თანამედროვე ყოფაში დიდი ცვლილება განიცადა. მან სავალდებულო ხასიათი დაკარგა და არც ქორწილის განუყოფელი ნაწილია, როგორც ადრე. დღეს ქალები საზოგადოების აქტიური წევრები არიან, მოპოვებული აქვთ ეკონომიკური დამოუკიდებლობა და კანონმდებლობით გარანტირებული უფლებები, რაც მზითევს თავის ისტორიულ დანიშნულებას უკარგავს.

თანამედროვეობაში, ამ ინსტიტუტის მიმართ, ხშირად, ვხვდებით უარყოფით დამოკიდებულებასაც. ქალების უფლებრივი მდგომარეობის განვითარებამ მზითვის ინსტიტუტის უკუსვლა განაპირობა. ადრეთუ ქალების სამემკვიდრეო უფლებები მზითევით ამოიწურებოდა, დღეს ასე აღარაა. ქალი სამემკვიდრეო ურთიერთობის სრულუფლებიანი სუბიექტია. ის ფართო უფლებებით სარგებლობს, ამის გათვალისწინებით მზითევი შემორჩენილია, როგორც ძველი ტრადიციის ნაწილი, გადმონაშთი წარსულიდან, რომელიც ნელ-ნელა გაქრობისკენ მიდის.

დასკვნა

მოცემული ნაშრომის ფარგლებში გავცანით მზითვის ინსტიტუტს საქართველოში. ჩვენთვის ცნობილი გახდა მისი განმარტება და მომზადების წესი, ასევე შევისწავლეთ მისი შემადგენლობა და განვითარების ეტაპები. თავდაპირველად მზითევი მხოლოდ პირადი და საოჯახო მოხმარების ნივთებისგან შედგებოდა, თუმცა მოგვიანებით მასში შემავალი ელემენტები ფართოვდება და ვხვდებით როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონების გატანების შემთხვევებსაც. საკონფერენციო ნაშრომში ქალის ქონების აღმნიშვნელ, არანაკლებ ცნობილ ტერმინს „სათავნოსაც“ შევხეთ, რომელიც, ძირითადად, მთაში იყო გავრცელებული და რომლის შემადგენლობაც საქონლით შემოიფარგლებოდა. ქორწინების გარეშე, მზითვის არსებობა წარმოუდგენელი იქნებოდა. სწორედ ის წარმოადგენს აღნიშნული ინსტიტუტის ჩამოყალიბების მთავარ მიზეზს. ის მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ახლად შექმნილი ოჯახის ეკონომიკური სტაბილურობის შექმნაში. ყველაზე მნიშვნელოვანი კი მისი გავლენა იყო ქალის უფლებებზე. მზითევი წარმოადგენდა ქალის ქონებრივი დამოუკიდებლობის გარანტიას და რადგან ის რძლის უპირობო საკუთრება იყო, იზრდებოდა მის მიმართ პატივისცემის დონე და მისი თავისუფლების ხარისხიც. მზითვის ინსტიტუტის განვითარების გზა საკმაოდ მრავალფეროვანია. თანამედროვეობაში

მისდამი კრიტიკულ დამოკიდებულებას ხშირად ვხვდებით, რაც განპირობებულია ქალების სამემკვიდრეო ურთიერთობის სრულუფლებიან სუბიექტად გახდომითა და საზოგადოების აქტიური წევრობით.

გამოყენებული ლიტერატურა

- დოლიძე ი., ქართული სამართლის ძეგლები, (ტ.1) თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1963, გვ. 468; 435
- ვანტანგ VI., სამართლის წიგნი, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1955, გვ. 69
- ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი(შედარებით-სამართლებრივი გამოკვლევა), თბილისი: გამომცემლობა „უფლება“, 2000, გვ.172
- ითონიშვილი ვ., ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობების ისტორიიდან, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960, გვ.232
- არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, (მეორე გამოცემა) თბილისი, 1938, გვ. 82
- მაჩაბელი ნ., ქართველი ხალხის საოჯახო ყოფის ისტორიიდან, თბილისი: „მეცნიერება“, 1976, გვ. 33; 53; 13
- სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფილისი: „ქართული წიგნი“, 1928, გვ. 9
- ჩუბინაშვილი ნ., ქართული ლექსიკონი, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1961, გვ. 222
- იაკობ ხუცესი, შუშანიკის წამება, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1979
- ჯავახიშვილი. ივ., ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, ტფილისი: ტფილისის უნივერსიტეტის გამომცემა, 1929, გვ. 374

საქორწინო ხელშეკრულების რეგულირების თავისებურებები კერძო სამართალში

მაგდა იაშვილი, ანა ივანელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საკონფერენციო ნაშრომში განხილული იქნება საქორწინო ხელშეკრულების რეგულირების სამართლებრივი თავისებურებები კერძო სამართალში. საქორწინო კონტრაქტი საკანონმდებლო დონეზე, საქართველოში 1997 წლიდან მოწესრიგდა, თუმცა ეს დრო არ აღმოჩნდა საკმარისი ამ ინსტიტუტის განვითარებისათვის, რასაც განაპირობებს საქართველოში დამკვიდრებული ტრადიციები და წარმოდგენები ქორწინების ინსტიტუტთან დაკავშირებით. საზოგადოებაში არ არსებობს ერთიანი შეხედულება, ერთნი მიიჩნევენ, რომ საქორწინო კონტრაქტი არის მეუღლეთა პირადი უფლებების დაცვის საუკეთესო საშუალება, ხოლო საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, რომ მეუღლეთა შორის ურთიერთობის ამ ფორმით მოწესრიგება ეწინააღმდეგება მორალურ-ეთიკურ შეხედულებებსა და ოჯახის არსს. სწორედ დუალისტური შეხედულება ჩვენს რეალობაში პრობლემა, რაც კიდევ უფრო აქტუალურსა და მნიშვნელოვანს ხდის ამ საკითხის განხილვას.

კვლევა ეფუძნება: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საერთაშორისო კანონმდებლობის, მეცნიერ-იურისტთა შეხედულებათა შესწავლას ამ ინსტიტუტის ზოგადი არსის ჩამოსაყალიბებლად. ასევე, გაანალიზდება სტატისტიკური მონაცემები, უცხო ქვეყნის კანონმდებლობა და პრაქტიკა.

კვლევის მიზანია, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება აღნიშნული საკითხისადმი.

საკვანძო სიტყვები: საქორწინო ხელშეკრულების სამართლებრივი თავისებურებანი, ინსტიტუტისადმი დუალისტური შეხედულება, განვითარების ტენდენციები, უცხო ქვეყნის პრაქტიკა.

Peculiarities of regulation of marriage contract in private law

Abstract

The conference paper addresses the legal aspects of regulation of the marriage contract in private law. The marriage contract has been regulated at the legislative level in Georgia since 1997, however, this time was not enough for the development of this institution, which is shaped by long-standing traditions

and beliefs regarding the institution of marriage in Georgia. There is no consensus in the society, some believe that the marriage contract is the best way to protect the personal rights of spouses, while others contend that regulating the relationship between spouses in this way goes against moral and ethical principles and the fundamentals of the family. Since the dualistic view is the source of the problem in our reality, this issue is all the more relevant and crucial to discuss

The research is based on: the study of the Civil Code of Georgia, international legislation, the opinions of scientists and lawyers to establish the general essence of this institution. Also, statistical data, legislation and practice of foreign countries will be analysed.

The purpose of the research is to raise public awareness of the mentioned issue.

Keywords: legal aspects of the marriage contract, dualistic view of the institution, development trends, practice of foreign countries.

შესავალი

ოჯახი თურქული წარმომავლობის სიტყვაა და სახლს, კერას ნიშნავს. სამართლებრივი გაგებით, ოჯახი არის იურიდიული კავშირი, რომლის საფუძველსაც ერთობა და სიყვარული წარმოადგენს, ხოლო სიყვარულის ლოგიკური გაგრძელებაა ქორწინება. ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში. ასევე, საქართველოს კონსტიტუციის ადამიანის ძირითად უფლებათა თავში განმტკიცებულია ქორწინების უფლება. ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ცნებები ზოგადი ხასიათისაა, იგი გვიქმნის გარკვეულ წარმოდგენას ქორწინებასთან დაკავშირებით. „ოჯახის შექმნის მიზანი“ - მექორწინეთა ერთადერთი მიზანი უნდა იყოს ოჯახის შექმნა და მის ქვეშ არ უნდა იმალებოდეს სხვა მოტივი. „ქალისა და მამაკაცის კავშირი“- ამ დათქმით, გამოკვეთილია, რომ საქართველოში ქორწინება დასაშვებია მხოლოდ სხვადასხვა სქესის წარმომადგენლებს შორის, ამაზე მეტყველებს ისიც, რომ ერთნაირსქესიანთა ქორწინებაზე კანონმდებლობა დუმს. აგრეთვე, სიტყვების „ქალისა და მამაკაცის“ გრამატიკული განმარტება, გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ საქართველოში აღიარებულია მონოგამიის პრინციპი. „ნებაყოფლობითი კავშირი“- ქორწინება არ უნდა იყოს ძალდატანებითი აქტი, არამედ უნდა ემყარებოდეს პირთა თავისუფალი ნების გამოვლენას. „ქორწინების რეგისტრაცია“- მიზნად ისახავს, ქორწინების სამართლებრივ სივრცეში მოქცევას, რაც უზრუნველყოფს მექორწინეთა უფლებების დაცვას, ასევე, სახელმწიფო ადგენს ინფორმაციას დემოგრაფიული ვითარების შესახებ. „სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით, ასო „ქ“ ნიშნავს ქრისტეს, ღმერთს; სიტყვა „ორი“ ნიშნავს ორს,

ერთსა და ერთს; სიტყვა „წილი“ ნიშნავს ნაწილს, მონაწილეს“, ხოლო სიტყვა „ნება“ ნიშნავს არჩევანს ანუ ადამიანის თავისუფალ არჩევანს, აქედან გამომდინარე სიტყვა „ქორწინება“ ნიშნავს ღმერთის ორი დამოუკიდებელი ნაწილის მიერ გაკეთებულ თავისუფალ არჩევანს (თუმანიშვილი, 2010). ორწინება არის როგორც ერთ-ერთი რელიგიური საიდუმლოება, ასევე სამოქალაქო ხელშეკრულება, თუმცა მხოლოდ ამ ბოლოს ხსენებულს გააჩნია სამართლებრივი ძალა. რეგისტრირებულ ქორწინებაზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის ნორმები, ხოლო თუ მექორწინეთ სურთ განსხვავებულად მოაწესრიგონ თავიანთი ურთიერთობა, მათ უნდა გააფორმონ საქორწინო ხელშეკრულება.

საქორწინო ხელშეკრულების წარმოშობა და განვითარება

მეუღლეებს შეუძლიათ დადონ საქორწინო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მათი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას. საქორწინო კონტრაქტი არ არის ახალი ინსტიტუტი ცივილიზაციისათვის. მის უძველეს ნიმუშად კეთუბახსი (Ketubahs) არის მიჩნეული, რომელიც არსებობის ორი ათას წელზე მეტს ითვლის. ეს ჩვენამდე მოღწეული პირველი ხელშეკრულებაა, რომელიც შეიცავს დებულებებს მეუღლეების განქორწინების შემთხვევაში მათი ქონების გაყოფის პირობების შესახებ. ძველიებრაელების სამართლის თანახმად, წერილობით შესრულებული („კეთუბა“ წერილს ნიშნავს) საქორწინო ხელშეკრულება დაქორწინების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა (ჩიკაშვილი, 2000). „უკეთუ კაცი ცოლს შეერთავს და არ დადებს წერილობით ხელშეკრულებას, მაშინ ეს ქალი ცოლი არაა“ ვკითხულობთ ხამურაბის კანონებში, რაც გულისხმობს, რომ ჯერ კიდევ ახალ წელთაღრიცხვამდე საკანონმდებლო დონეზე იყო განმტკიცებული საქორწინო ხელშეკრულების ინსტიტუტი. ასევე, უძველესი კონტრაქტის ნიმუშებს ვხვდებით ძველ საბერძნეთში, ეგვიპტესა და რომში. საქორწინო ხელშეკრულების თემატიკა მეტად აქტუალური გახდა ხელოვნებათმცოდნეთათვის, მან ასახვა ჰპოვა არაერთი მხატვრის შემოქმედებაში მაგალითად, მიშელ გარნიეს მე-18 საუკუნეში შექმნილი ხელოვნების ნიმუში, სახელად „შეწყვეტილი საქორწინო კონტრაქტი“; უილიამ ჰოგარტი, რომელიც სხვადასხვა პოლიტიკური და სოციალური საკითხების მიმართ სატირული დამოკიდებულებით გამოირჩევა, ამ საკითხითაც დაინტერესდა და თავის ნახატში „საქორწინო კონტრაქტი“ ახალ გამდიდრებულ მეწარმეთა კლასის და გაღარიბებულ არისტოკრატ შთამომავლებს შორის ანგარებიანი ქორწინების ამბავს აღწერს. ასევე, მე-19 საუკუნეში მოღვაწე ფრანგი მწერლის ონორე დე ბალზაკის რომანში „საქორწინო კონტრაქტი“. აგრეთვე აღსანიშნავია, ნაპოლეონ ბონაპარტესა და მის მეუღლეს შორის გაფორმებული საქორწინო ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა, რომ მეუღლეებს შორის არ იქნებოდა საერთო საკუთრება და ისინი არ იღებდნენ პასუხისმგებლობას ერთმანეთის ვალებსა და იპოთეკაზე 1905 წლის ჰააგაში იქნა მიღებული კონვენცია, რომელიც საქორწინო კონტრაქტს შეეხებოდა. საბჭოთა პერიოდში საქორწინო კონტრაქტები არ იღებოდა, რაც განპირობებული იყო

საოჯახო ურთიერთობების გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევით, ასევე კერძო საკუთრების „არ არსებობით“, თუმცა ჩანასახი მაინც არსებობდა. საქართველოში 1997 წლიდან განმტკიცდა საქორწინო ხელშეკრულების ინსტიტუტი საკანონმდებლო დონეზე. თუმცა ეს პერიოდი არ აღმოჩნდა საკმარისი რათა მყარად მოეკიდა ფეხი, ამის მთავარი მიზეზი არის საზოგადოებაში გაბატონებული დუალისტური შეხედულება. საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, რომ საქორწინო ხელშეკრულება არის მათი პირადი უფლებების დაცვის საშუალება, ხოლო მეორე ნაწილი უარყოფითად არის განწყობილი ამ ინსტიტუტისადმი და მიაჩნიათ, რომ იგი ეწინააღმდეგება ტრადიციებს, ეთიკურ-მორალურ და კულტურულ-რელიგიურ ღირებულებებს. საზოგადოების ნეგატიურ დამოკიდებულებას განაპირობებს მათი შეხედულებები ქორწინებასთან დაკავშირებით, ისინი მიიჩნევენ, რომ ქორწინება ეს არის ჭეშმარიტ სიყვარულზე დაფუძნებული ურთიერთობა და ოჯახი არის შეუხებელი სიწმინდე, ხოლო საქორწინო კონტრაქტი ამ ურთიერთობაში ჩადებული ერთგვარი ნაღმია, რაც ოჯახის სიმყარეს საფრთხის ქვეშ აყენებს, ასევე მიიჩნევენ, რომ როდესაც მეუღლენი ქორწინების დასაწყისშივე ითვალისწინებენ განშორების ალბათობას, ეს ერთგვარ ნიადაგს უმზადებს რეალურ განქორწინებას. საქართველოში საქორწინო ხელშეკრულების გაფორმების ფაქტები არცთუ ხშირია, თუმცა, ხელშეკრულების დადების მსურველთა რაოდენობა ყოველ წელს იზრდება. 2010 წელს სანოტარო წესით 7 საქორწინო ხელშეკრულება დამოწმდა, 2011 წელს - 13, 2012 წელს - 21 (საქართველოს ნოტარიუსთა პალატა, 2012). საქორწინო კონტრაქტები 2017-2019 წლებში საქართველოში 151-ჯერ დაიდო. აქედან 3 ხელშეკრულება გაუქმდა. საყურადღებოა ის ფაქტი რომ ამ ხელშეკრულებათა ერთი მხარე ძირითად შემთხვევაში უცხოელია. სტატისტიკური მონაცემთა ანალიზი ცხადყოფს, თუ როდენ განვითარებადი ხასიათი აქვს საქორწინო ხელშეკრულების ინსტიტუტს. ხელშეკრულებათა რიცხვი მცირედით და ნელი სვლით, თუმცა მაინც იზრდება. ხოლო ზემოთ მოყვანილი არგუმენტის საპირწონედ, განქორწინებასთან დაკავშირებით, შეგვიძლია განვიხილოთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ წარმოებული მონაცემები, რომელშიც ასახულია, რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში განქორწინების მაჩვენებელი აჭარბებს 14 000 (საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური, 2023-2024). განხილული სტატისტიკური მონაცემთა საფუძველზე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ საქორწინო ხელშეკრულება და განქორწინება არ არის ერთმანეთთან მიზეზობრივ კავშირში. რაც შეეხება ტრადიციებთან წინააღმდეგობას, შეგვიძლია მოვიყვანოთ ხალხური ანდაზა „ძმამ ძმას ანგარიში უყო, ისევ ძმები იყვნენო“, მართალია ამ ურთიერთობის სუბიექტები არიან მეუღლეები და არა ძმები, მაგრამ ისინი ქმნიან ერთ ოჯახს და თუ ძმებს შორის ქონების განაწილება არ წყვეტს მათ შორის ძმურ კავშირს, მაშინ რატომ უნდა ჰქონდეს ამ ყოველივეს გადამწყვეტი მნიშვნელობა მეუღლეთა ურთიერთობისათვის?! მეტიც, სიყვარულით გადანაწილებული ქონება სჯობს, განქორწინების შემდგომ სასამართლოს გზით გაყოფილ ქონებას, რაც უფრო მეტ სირთულესთანაა დაკავშირებული. საქორწინო ხელშეკრულებით მხარეებს შეუძლიათ მოაწესრიგონ ქონებრივი უფლებათა საკითხი, ეს ყოველივე მათ ეხმარებათ სამომავლოდ თავიდან აიცილონ უამრავი გაუგებრობა, მართალია სასამართლო არის

უფლებების დაცვის ყველაზე მყარი გარანტი, თუმცა ის ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს პირთა ინტერესების სრულყოფილად დაკმაყოფილებას, სასამართლოს გზით პრობლების აღმოფხვრა დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული, ამასთან ერთად იგი დროში არის გაწელილი, რაც შესაძლოა მხარეებზე ნეგატიურად აისახოს. მხარეებს შეუძლიათ, რომ ეს ყოველივე თავიდან აიცილონ ხელშეკრულების გაფორმების მარტივი გზით. მაგალითად, იტალიელ ტენორ, ლუჩიანო პავაროტსა და მის მეუღლეს შორის გაფორმებული იყო საქორწინო კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც, მათ ქონებაზე განცალკევებული საკუთრების რეჟიმი იყო დადგენილი, მათ 36 წლიანი თანაცხოვრების პერიოდში მოპოვებულ ქონებაზე სასამართლოს ჩარევის გარეშე განსაზღვრეს თავიანთი ინდივიდუალური საკუთრება (ჯახველაძე, 2012). საქორწინო ხელშეკრულება არის უფლებების დაცვის მყარი მექანიზმი, რომელიც მხარეებს აძლევს საშუალებას, ხელშეკრულებით განსაზღვრონ ქონებრივი უფლება-მოვალეობები ისე, რომ არცერთ მხარეს არ მიადგეს რაიმე სახის ზიანი. საქორწინო კონტრაქტი არის საშუალება, რომ მხარეებმა აიცილონ კონფლიქტები და რაც შეიძლება მარტივად გადაჭრან წარმოშობილი უსიამოვნებები, ეს ყოველივე მეუღლეთა ურთიერთობის სტაბილურობას უზრუნველყოფს და ბავშვთა საუკეთესო ინტერესების დაცვას ემსახურება. მსჯელობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საზოგადოების მსგავსი პასიური დამოკიდებულება ძირითადად განპირობებულია იმ ფაქტით რომ სოციუმს უჭირს კომფორტის ზონიდან გამოსვლა და ასევე სამართლებრივი ცოდნა არ გააჩნიათ, ისინი მხოლოდ ზედაპირულად აღიქვამენ ხელშეკრულებას და მის არსსა და მიზანს არ უღრმავებიათ.

საქორწინო ხელშეკრულების ფორმა და შინაარსი

სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს, როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე, ისე რეგისტრაციის შემდეგ ნებისმიერ დროს. ევროპისა და აშშ-ს პრაქტიკის მიხედვით, საქორწინო ხელშეკრულებათა 78% სწორედ ქორწინების რეგისტრაციამდე იდება, ხოლო 22% ქორწინების რეგისტრაციის შემდგომ (თუმანიშვილი, 2010). თუ საქორწინო ხელშეკრულება დაიდება ქორწინების რეგისტრაციამდე, იგი ძალას შეიძენს მხოლოდ ქორწინების რეგისტრაციის შემდგომ. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები დადებენ ქორწინებამდე კონტრაქტს, თუმცა არ დაქორწინდებიან, ხელშეკრულება ვერ შეიძენს იურიდიულ ძალას. საქორწინო ხელშეკრულება იდება წერილობით და დასტურდება სანოტარო წესით (სსკ). საქართველოს კანონმდებლობა საქორწინო ხელშეკრულებას არ საზღვრავს დროის გარკვეული სივრცით, იგი შეიძლება დაიდოს როგორც უვადოდ, ასევე გარკვეული ვადით. „გარიგების ფორმა, ნების გამოვლენის არსებობის გარეგნული გამოხატვაა, რომელსაც კანონი სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს.“ დაუშვებელია ხელშეკრულების მარტივი, ზეპირი ფორმით დადება, კანონმდებელი იმპერატიულად განსაზღვრავს კონტრაქტის წერილობითი ფორმით დადებას, რაც მხარეთა ხელმოწერით უნდა დადასტურდეს და დამოწმდეს სანოტარო წესით, აღსანიშნავია, რომ მხარეთა მიერ ხელშეკრულების შედგენა არ არის

სავალდებულო ნოტარიუსის თანდასწრებით, არამედ მხოლოდ ხელმოწერები უნდა დადასტურდეს სანოტარო წესით. ხელშეკრულების შედგენისას არ არის სავალდებულო მესამე პირთა დასწრება, რამდენადაც საქორწინო ხელშეკრულება არის ორმხრივი და კონსენსუალური ხელშეკრულება, რომელიც მხოლოდ ცოლ-ქმარს შორის არეგულირებს ურთიერთობას. არსებობს ორგვარი შეხედულება წარმომადგენლის მეშვეობით საქორწინო ხელშეკრულების გაფორმების შესახებ, უმრავლესობის მოსაზრებით, ისევე როგორც ქორწინების რეგისტრაცია ვერ მოხდება წარმომადგენლის მეშვეობით, ასევე შეუძლებელია საქორწინო ხელშეკრულების გაფორმება წარმომადგენლის მონაწილეობით. საქორწინო ხელშეკრულების ინსტიტუტმა, სამოქალაქო რეესტრის გარდა ნოტარიუსსაც მიანიჭა უფლებამოსილება, რომ გასცეს ქორწინება/განქორწინების მოწმობა. აღნიშნული პრაქტიკა არაერთ ევროპის ქვეყანაშია დანერგილი, როგორცაა მაგალითად, საფრანგეთი და ბელგია. საქორწინო ხელშეკრულების ნოტარიუსთან გაფორმების შემთხვევაში, მხარეებს აღარ მოუწევთ საჯარო რეესტრისთვის მიმართვა ქორწინების დასარეგისტრირებლად. მექორწინეებს შეუძლიათ სანოტარო ბიუროშიც მიიღონ სასურველი საქორწინო სარიტუალო მომსახურება. ნოტარიუსს ეკისრება სამსახურეობრივი ვალდებულება საიდუმლოდ შეინახოს გარიგებათა პირობები, რადგან საქორწინო ხელშეკრულებასთან დაკავშირებულმა კონფიდენციალური ინფორმაციის გასაჯაროებამ შესაძლოა გამოიწვიოს სამართლებრივი კონფლიქტი-ეს ყოველივე უმნიშვნელოვანესია იმდენადაც რამდენადაც, მექორწინენი შესაძლოა თავს არიდებდნენ საქორწინო ხელშეკრულების გაფორმებად საზოგადოების წინების ქვეშ მოქცევის ასაცილებლად, ეს მექანიზმი კი მათ უხსნით გზას თავისუფლად მიიღონ გადაწყვეტილება და არ იყვნენ შებოჭილნი. კანონი შესაძლოა თავად ადგენდეს საქორწინო კონტრაქტის ერთგვარ ფორმას, რასაც საზოგადოების გარკვეული ნაწილი ემხრობა, მაგალითად, ფემინისტები მიიჩნევენ რომ მსგავსი მექანიზმი უზრუნველყოფს, რომ ქალები გათავისუფლდნენ ტრადიციული ცოლის მოვალეობისაგან, თუმცა ადამიანთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს პირად ურთიერთობებში და მხარეებმა თავად უნდა დაარეგულირონ საკუთარი ცხოვრების ნიუანსები (Herring, 2009). საქორწინო ხელშეკრულება შესაძლოა რამდენიმე ნაწილისგან შედგებოდეს და თითოეულ მათგანს განსხვავებული ფუნქციონალური დატვირთვა ჰქონდეს, მისი შინაარსი განსაზღვრავს ხელშეკრულების მონაწილეთა ქონებრივი ურთიერთობის საკითხს. კერძო საკუთრებითი ურთიერთობათა და ეკონომიკის პრინციპებიდან გამომდინარე, დღის წერტილში დგება ქონებრივი ურთიერთობათა ახლებურად გააზრების საჭიროება. საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც უკვე არსებულ, ისე მომავალში შექმნილ ქონებაზე. საქორწინო ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს როგორც ინდივიდუალური, ასევე თანაზიარი საკუთრება, შეუძლიათ ქონების გაერთიანება მთლიანად, ან ნაწილობრივ. მხარეებმა შესაძლოა დათქვან გარკვეული პირობა, რომელიც დაკავშირებულია რაიმე ფაქტის დადგომასთან, ასეთი პირობითი გარიგების მაგალითი შესაძლოა იყოს შემდეგი: ბავშვის დაბადებამდე მიღებული ქონება ჩაითვალოს ინდივიდუალურ საკუთრებად, ხოლო დაბადების შემდგომ შექმნილი ქონება მეუღლეთა საერთო საკუთრებაში ჩაირიცხოს. ზოგიერთი მეცნიერი

ფიქრობს, რომ საქორწინო კონტრაქტი არ არის გათვლილი მასებზე, არამედ მას ფართო გამოყენება აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც მხარეები ფლობენ გარკვეულ სიმდიდრეს. მაგალითად, გერმანიაში წყვილების უმრავლესობა ქორწინების რეგისტრაციამდე დებს საქორწინო ხელშეკრულებას, რაც მათი ცხოვრების დონითა და სოციალური მდგომარეობითაა განპირობებული, რამეთუ ყოველი მოქალაქის უკან ღირებული მოძრავი თუ უძრავი ქონება იყრის თავს. სტატისტიკურად ახალგაზრდები არ აფორმებენ საქორწინო ხელშეკრულებას, რადგან მათ არ გააჩნიათ სერიოზული კაპიტალი (გადელია, 2009). გ. თუმანიშვილი თავის მონოგრაფიაში აშშსა და ევროპის სახელმწიფოში გავრცელებული პრაქტიკის შესახებ გვამცნობს, რაც ერთგვარ დათქმას ეხება ცოლ-ქმრული ღალატის შესახებ და მას კონტრაქტის ერთ-ერთ გავრცელებულ პირობად მიიჩნევს,- ეს ყოველივე გულისხმობს, რომ განქორწინების ერთ-ერთი საფუძველია მხარის უღირსი საქციელი, რაც შეიძლება გამოვლინდეს ღალატში, ნარკომანიაში, ქრონიკულ ალკოჰოლიზმში და სხვადასხვა დანაშაულებრივი ქმედებებისკენ მიდრეკილებაში. ასეთი დათქმები ასევე გვხვდება დსთ-ს ქვეყნებში, მაგალითად, რუსეთში დადებულ კონტრაქტების 96%-ში, ესტონეთის-98%-ში, უკრაინის-89%-ში, საქართველოს-70 პროცენტში. მსგავსი დათქმის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მაგალითია ამერიკელი მომღერლის ჯენიფერ ლოპესსა და მის მეუღლეს, ბენ აფლექს, შორის დადებული საქორწინო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ღალატის შემთხვევაში მხარეებს ერთმანეთისთვის 5 მილიონის გადახდა ეკისრებათ. საქართველოს კოდექსი განსაზღვრავს იმ მოვალეობებს, რომლის შეცვლაც დაუშვებელია საქორწინო კონტრაქტის მეშვეობით, ესენია:

1. მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა;
2. საალიმენტო მოვალეობა;
3. მშობლის უფლება-მოვალეობები შვილების მიმართ;
4. სასამართლოსთვის მიმართვის უფლება (დავის შემთხვევაში);
5. ისეთი პირობა, რომელიც მძიმე მდგომარეობაში აყენებს ერთ-ერთ მეუღლეს.

მიუხედავად იმისა, რომ საქორწინო კონტრაქტებიდან წარმოშობილი დავები საქართველოს სასამართლოებისათვის არც თუ ისე ხშირია, მაინც ვხვდებით პრაქტიკაში. გვინდა მოკლედ მიმოვიხილოთ ერთ-ერთი გადაწყვეტილება, რომლის დავის საგანსაც წარმოადგენს ალიმენტის დაკისრება. მოსარჩელე თ.ლ-სა და მოპასუხე ი.ც-ს შორის არსებობდა რეგისტრირებული ქორწინება 2002 წლიდან, ამ პერიოდში მათ შეეძინათ ორი ბავშვი, განქორწინების პერიოდში მხოლოდ ერთი მათგანი იყო არასრულწლოვანი. მეუღლეებს შორის გააფორმებული იყო საქორწინო ხელშეკრულება, რომლითაც გათვალისწინებული იყო ქონებრივი უფლება-მოვალეობები, როგორც ქორწინების, ასევე განქორწინების შემდგომ. აღნიშნული ხელშეკრულების მესამე პუნქტით მხარეებმა განსაზღვრეს მამის ვალდებულება არასრულწლოვანი შვილების მიმართ და შეთანხმდნენ რომ არასრულწლოვანი შვილების რჩენისა და უზრუნველყოფის

მიზნით, მამას, ყოველთვიურად, უნდა გადაეხადა თითოეულისთვის ალიმენტი 1500-1500 ლარი, ჯამში 3000 ლარი. მოსარჩელემ მიმართა სასამართლოს 2017 წელს და მოითხოვა ალიმენტის დაკისრება მისი არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ 1500 ლარის ოდენობით საქორწინო ხელშეკრულების საფუძველზე. მოპასუხემ სარჩელში მითითებული თანხა მხოლოდ 400 ლარის ნაწილში ცნო და განმარტა, რომ მისი ყოფილი მეუღლის მიერ მოთხოვნილი თანხა სცილდებოდა სამართლიანობისა და გონივრულობის ფარგლებს. პირველი ინსტანციის სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოთხოვნა და მოპასუხეს დააკისრა ალიმენტის გადახდა 700 ლარის ოდენობით. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა და საქმე გადაეცა სააპელაციო სასამართლოს პალატას, რომელმაც იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის მუხლებით, ასევე საქორწინო კონტრაქტით განსაზღვრული საალიმენტო ვალდებულების პირობით და განმარტა, რომ, მართალია, მშობლის უფლება-მოვალეობები შვილების მიმართ საქორწინო კონტრაქტით არ განისაზღვრება, თუმცა მასში განსაზღვრული პირობა გვეხმარება დავადგინოთ, თუ რა მიიჩნია მამამ ხელშეკრულების დადებისას შვილის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე ალიმენტის საჭირო ოდენობად. ამრიგად, სასამართლომ დაასკვნა, რომ ალიმენტის ოდენობა ბავშვის საუკეთესო ინტერესთა გათვალისწინებით უნდა განსაზღვრულიყო და გონივრულად მიიჩნია მოპასუხისთვის ყოველთვიურად 1000 ლარის დაკისრება (საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2021). მართალია, ზემოთ ჩამოთვლილი ურთიერთობათა საქორწინო ხელშეკრულებით შეცვლა დაუშვებელია, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული საკითხის მოწესრიგება პირთა ინტერესების დასაცავად გამორიცხებულია, განხილული სასამართლო გადაწყვეტილება, ცხადყოფს, რომ საქორწინო ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ განსაზღვრონ ალიმენტის რაოდენობა, მართალია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მსგავსი პირობები სასამართლოსთვის არაა სავალდებულო ხასიათის, თუმცა საქმის სწორად და სამართლიანად გადაწყვეტის მიზნით შესაძლოა იხელმძღვანელოს კიდევ ამ პირობებით.

მხარდამჭერის მიმღების/ შეზღუდული ქმედუნარიანოს მქონე პირის მიერ საქორწინო ხელშეკრულების დადების ვალდებულება

მხარდამჭერის მიმღები არის პირი, რომელსაც აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში. არ აქვს მნიშვნელობა მხარდამჭერის მიმღებია ორივე მხარე თუ მხოლოდ ერთი, მხარდამჭერის მიმღებ პირებს არ შეუძლიათ ქორწინება საქორწინო ხელშეკრულების დადების გარეშე, მათ უნდა დაენიშნოთ მხარდამჭერები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ ინფორმირებულობას შესაბამისი საკომუნიკაციო საშუალებებით და მათთვის გასაგები ენით,-ეს ყოველივე გამომდინარეობს იქიდან, რომ მხარდამჭერის მიმღებ პირებს არ შეუძლიათ თავისუფალი ნებისგამოვლენა, ინფორმაციისგააზრება, არჩევნისგაკეთება და მოუკიდებლად საქორწინო

კონტრაქტის გაფორმების პროცესში ჩართული უნდა იყოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, ასევე მხარდამჭერი სასამართლო გადაწყვეტილება თუ არსებობს აღნიშნულთან დაკავშირებით. დასაშვებია ქორწინება მხარდამჭერის მიმღებსა და მხარდამჭერს შორის, თუმცა ამ შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო დროებით მხარდამჭერის მიმღებს უნიშნავს სხვა უფლებამოსილ პირს მხარდამჭერად. მხარდამჭერი ვალდებულია პირნათლად შეასრულოს მხარდამჭერის მიმღების მიერ საქორწინო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მის მოქმედებებს მოიტორინგს უწევს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. არ შეიძლება საქორწინო ხელშეკრულებით გაუარესდეს მხარდამჭერის მიმღების ქონებრივი მდგომარეობა იმაზე მეტად, ვიდრე ეს სასამართლოს გადაწყვეტილებითაა დაშვებული. ქმედუნარიანობა არის ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევისთანავე (18 წლიდან). კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, პირს შეიძლება შეზღუდოს ქმედუნარიანობა. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა სრულწლოვანი, რომელსაც მზრუნველი ყავს დანიშნული სასამართლოს მიერ, ასევე პირი, რომელიც ჭარბად მოიხმარს ალკოჰოლს, ასევე ნარკოტიკს და ამით მძიმე მდგომარეობაში აყენებს ოჯახს. იმისათვის, რომ შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირმა იქორწინოს, საჭიროა დადოს საქორწინო ხელშეკრულება, თუმცა იგი ვერ გააფორმებს მას წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, პირი თუ მანაც დადებს ხელშეკრულებას და უფლებამოსილი წარმომადგენელი არ იქნება თანხმა, მას შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გაუქმება. როგორც მხარდამჭერის მიმღებს, ასევე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიერ დადებული საქორწინო ხელშეკრულება წინ უნდა უძღოდეს ქორწინების რეგისტრაციის ფაქტს.

საქორწინო ხელშეკრულების პირობების შეცვლა, ბათილობა და შეწყვეტა

საქორწინო ხელშეკრულების დასადებად საჭიროა მეუღლეთა ორმხრივი ნების გამოვლენის თანხვედრა. მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ მასში ორივე მხარისათვის მისაღები პირობები, ნების ავტონომიის გამოვლენა არ შეიძლება მხოლოდ ერთ-ერთი მეუღლის მხრიდან მოხდეს, ხოლო მეორე მეუღლის სურვილები უგულებელყოფილ იქნას. საქორწინო კონტრაქტი სხვა სამოქალაქო ხელშეკრულებებთან ერთად ერთი რეგულირების სიბრტყეშია მოქცეული, როგორც სხვა გარიგებათა პირობების შეცვლაა შესაძლებელი, ასევე შეიძლება შეიცვალოს საქორწინო ხელშეკრულების პირობები, მხარეთა ნება-სურვილით, აგრეთვე სასამართლოს გზით. მხარეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ შეცვალონ საქორწინო ხელშეკრულების პირობები. საქორწინო გარიგების პირობების შეცვლა საჭიროებს ორივე მეუღლის თანხმობას, ერთი მეუღლის ინიციატივა არაა საკმარისი ცვლილებების შესატანად, თუმცა კანონმდებლობა შესაძლებლობას აძლევს ერთ-ერთ მეუღლეს პატივსადები მიზეზები არსებობის შემთხვევაში, სასამართლოს მეშვეობით შეცვალოს ხელშეკრულების პირობები, მაგალითად, თუ ეს მეუღლე აღმოჩნდება უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში. პირობათა შეცვლის საფუძველი შესაძლოა

იყოს სხვადასხვა, მაგალითად ფაქტობრივი გარემოებათა მოდიფიკაცია, მეუღლის არასახარბიელო მდგომარეობაში ჩაყენება და სხვა. კონსტიტუციის თანახმად, ადამიანის ძირითადი უფლებების განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები, საოქრწინო ხელშეკრულება მეუღლეთა ურთიერთობას არეგულირებს და იგი მესამე პირებზე არ უნდა ახდენდეს ნეგატიურ გავლენას. როდესაც მეუღლეები ცვლიან პირობებს ხელშეკრულების, მათ წარმოუშობათ ვალდებულება აცნობონ თავიანთ კრედიტორებს აღნიშნულის შესახებ, ვინაიდან პირობების ცვლილებამ შესაძლოა მხარეთა მატერიალური მდგომარეობა გააუარესოს, კრედიტორი არ უნდა ექცეოდეს „ინფორმაციულ ვაკუუმში“ (თუმანიშვილი, 2010), არამედ მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი ზომების მიღებისა და საკუთარი უფლებათა დაცვის შესაძლებლობა. თუ მეუღლეები მაინც შეცვლიან პირობებს, კრედიტორის ნების საწინააღმდეგოდ და ეს ცვლილებები გამოიწვევს არსებით ზიანს, კრედიტორს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს, პირობების შეცვლის ან ბათილად ცნობის თაობაზე. ნებისმიერი პირობა, რომელიც ერთ-ერთ მეუღლეს თანაზიარ საკუთრებაზე უპირატესობას ანიჭებს, ხოლო მეუღლეს რაიმე ფორმით ზღუდავს, უნდა მივიჩნიოთ ბათილად, რამდენადაც მეუღლეების უფლებათა თანაბრობის პრინციპთან მოდის წინააღმდეგობაში (რ. შენგელია & შენგელია, 2015). ასევე, ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე შესაძლოა არც იყოს ქმედუუნარო, თუმცა ხელშეკრულების დადების მომენტში ვერ აცნობიერებდეს ხელშეკრულების არსსა და პირობებს, მაგალითად თუ იგი იმყოფება სიმთვრალის ან სამედიცინო მედიკამენტის ზემოქმედების ქვეშ, რის გამოც ამ პირის მიერ დადებული გარიგება ბათილობის საფუძველი შეიძლება გახდეს. როგორც უკვე ვთქვით, ერთი რეგულირების სივრცეშია თავმოყრილი ნებისმიერი სახის გარიგება, საქორწინო ხელშეკრულების ბათილობის საფუძვლების ამოსავალი სწორედ სამოქალაქო კოდექსის მეორე კარშია თავმოყრილი, ზოგადი წესებისდა მიხედვით, საქორწინო ხელშეკრულების ბათილობის საფუძვლებია:

1. თუ დადებულია ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით;
2. თუ დადებულია მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი სამართლებრივი შედეგები მოყვას;
3. თუ დადებულია მცირეწლოვნის, ან სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული პირის მიერ;
4. თუ დადებულია მხარდამჭერის მიმღების მიერ, თუნდაც ის არ იყოს სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული;
5. თუ დადებულია ფორმა დაუცველად;
6. თუ მოტყუებით არის დადებული;
7. თუ დადებულია იძულებით.

თუ ხელშეკრულების რომელიმე პირობა ბათილად იქნება ცნობილი, ეს არ გამოიწვევს

მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას თუ საქორწინო ხელშეკრულების გაბათილება სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს, მისი შეწყვეტა მხოლოდ მხარეთა ინიციატივით არის შესაძლებელი. სამოქალაქო კოდექსის 1180-ე მუხლი განსაზღვრავს საქორწინო კონტრაქტის შეწყვეტის საფუძვლების, ესენია:

1. მეუღლეთა ურთიერთშეთანხმება;
2. მეუღლეთა განქორწინება;
3. ხელშეკრულების ვადის ამოწურვა.

მეუღლეთა განქორწინებით ხელშეკრულების შეწყვეტა საკამათო საკითხია, რამდენადაც განქორწინება ა პრიორი არ გულისხმობს ხელშეკრულების შეწყვეტას, რადგან შესაძლოა ხელშეკრულება ითვალისწინებდეს ისეთ პირობებს, რომელთა რეალიზებაც განქორწინების შემდგომ, მეტიც მხოლოდ განქორწინების შემდეგ არის შესაძლებელი. კანონმდებელი კი საქორწინო კონტრაქტს პირდაპირ უკავშირებს ქორწინება-განქორწინების რეგისტრაციას, თუმცა იგი არ ითვალისწინებს, რომ როგორც ქორწინებამდე არსებობს პირებს შორის გარკვეული ტიპის ურთიერთობა, მაგ: ნიშნობა, განქორწინების შემდგომაც შესაძლოა დარჩეს რაიმე სახის ურთიერთობის ადგილი განქორწინებულთა შორის. მეუღლეებს ურთიერთშეთანხმებით ნებისმიერ დროს შეუძლიათ შეწყვიტონ საქორწინო ხელშეკრულება და ამისთვის არ არის საჭირო განქორწინება. ცალმხრივი უარი საქორწინო კონტრაქტზე დაუშვებელია, მხარეებს არ შეუძლიათ ხელშეკრულების მოშლა ცალმხრივად ან ხელშეკრულებიდან გასვლა, ვინაიდან მათ ხელშეკრულებით იკისრეს გარკვეული ვალდებულებები და ამ ვალდებულებებზე უარის თქმა მეორე მეუღლის უფლებებსა და ინტერესებს გარკვეული რისკის ქვეშ დააყენებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს, როგორც უვადოდ, ასევე გარკვეული ვადით, თუ დადებულია ვადიანი ხელშეკრულება, ამ ვადის გასვლა ავტომატურად გამოიწვევს ხელშეკრულების შეწყვეტას. ასევე შესაძლოა რომელიმე პირობა იყოს ვადიანი, მისი გასვლის შემდგომ მხოლოდ ეს პირობა შეწყვეტს ფუნქციონირებას, დანარჩენი პირობები კი კვლავ ძალაში დარჩებიან. თუ სახეზე გვაქვს პირობითი გარიგების მუხლი, ხელშეკრულება ამ ნაწილში შეწყდება ამ პირობის დადგომის მომენტიდან.

საქორწინო ხელშეკრულების გამიჯვნა სხვა სამოქალაქო ხელშეკრულებებისგან სამოქალაქო და საოჯახო სამართალი სხვადასხვა სოციალურ ურთერთობებს აწესრიგებს. რისგამოც ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ დარგს ქმნიან. საოჯახო სამართალი სამოქალაქო სამართლის რეგულირების ქვეშ ექვევა, მაშასადამე იგი წარმოადგენს მის ქვედარგს. ზოგიერთ ქვეყანაში კანონმდებლობა ცალკე არეგულირებს საოჯახო და მემკვიდრეობით სამართალს, საქართველოს კანონმდებელმა სამოქალაქო კოდექსში „კერძოდ, კოდექსის მეხუთე წიგნში განათავსა საოჯახო სამართალი, რომელსაც განეკუთვნება საქორწინო ხელშეკრულების ინსტიტუტი (თუმანიშვილი, 2010) საქართველოს კანონმდებლობა გონივრულობას იჩენს ზემოთ ხსენებულ შემთხვევაში, რადგან ცალკე საოჯახო სამართლის გამოყოფა სამოქალაქო სამართლისგან გამოიწვევდა

ნორმების დუბლირებას, რასაც შესაძლოა ნორმათა კონკურენციამდე მივყავანეთ, რაც თავის მხრივ გაართულებდა სამართალშეფარდების პროცესს. ესა თუ ის გარიგება საოჯახო-სამართლებრივია თუ ვალდებულებით-სამართლებრივი უნდა განსაზღვროთ სუბიექტთა წრის მიხედვით (თუმანიშვილი, 2010). საქორწინო ხელშეკრულების სუბიექტთა წრე მკაცრად არის განსაზღვრული და მისი დადება შესაძლებელია მხოლოდ დასაქორწინებულ ან ქორწინებაში მყოფი პირების მიერ. სუბიექტთა განსაზღვრის პრინციპზე დაყრდნობით, საქორწინო კონტრაქტი საოჯახო-სამართლებრივ ხელშეკრულებას წარმოადგენს, ვინაიდან ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულების მხარეები არც რიცხობრივად და არც სტატუსით არ არიან შეზღუდულნი, ნებისმიერ პირს შეუძლია ნებისმიერ სხვა პირთან დადოს ხელშეკრულება, თუ, რა თქმა უნდა, აკმაყოფილებს ხელშეკრულების დადებისთვის განსაზღვრულ წესებსა და პირობებს. სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს არასრულწლოვანის ემანსიპაციას რაც გამოიხატება შემდეგში: თექვსმეტ წელს მიღწეულ არასრულწლოვანს შეუძლია საწარმოს დამოუკიდებლად გაძლოა, თუ კანონიერი წარმომადგენელი ანიჭებს ამ უფლებას, შესაბამისად იგი გამოდის, როგორც ქმედუნარიანი პირი ამ სფეროსთვის დამახასიათებელ ნებისმიერ ურთიერთობაში, მას შეუძლია დადოს ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგებები, თუმცა საოჯახო სამართალი, ახალი კანონის თანახმად, კრძალავს 18 წლამდე პირების ქორწინებას, მაშასადამე საოჯახო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადება არ შეუძლია 16 წელს მიღწეულ პირს. ასევე, არსებობს ისეთი სახელშეკრულებო ურთიერთობები, სადაც ხელშეკრულების გაფორმება წინ უნდა უძღოდეს ამ ურთიერთობის რეალიზებას, მაშასადამე ხელშეკრულების დადება სავალდებულოა რაიმე ქმედების განხორციელების უზრუნველსაყოფად, ხოლო საქორწინო ხელშეკრულების დადება არ არის სავალდებულო ხასიათის და მეტიც, მისი დადება არ არის აუცილებელი წინ უძღოდეს ქორწინების ფაქტს. საქორწინო ხელშეკრულება კაუზალური ხასიათისაა და მისი ნამდვილობა დამოკიდებულია საფუძვლის არსებობაზე (ნაჭყებია, 2008). უნდა აღინიშნოს, რომ საპროცესო მოქედებათა განხორციელებისას, დისპოზიციურობისა და შეჯიბრობითობის პრინციპების გარდა, საოჯახო სამართალში გამოიყენება ინკვიზიციურობის პრინციპიც, ხოლო საქორწინო ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავების გადაწყვეტისას სასამართლო არ ხელმძღვანელობს აღნიშნული პრინციპით, არამედ მხოლოდ საქორწინო ხელშეკრულებაზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებას.

საქორწინო კონტრაქტთან დაკავშირებული კოლიზიური საკითხები

საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობებში წარმოიშვება სხვადასხვა კოლიზიური საკითხი, უმეტესად კი ეს დაკავშირებულია ისეთ საქორწინო ხელშეკრულებასთან, რომელიც დადებულია სხვადასხვა მოქალაქეობის მქონე პირებს შორის ან დადებულია ისეთ ქვეყანაში, რომლის მოქალაქეც ხელშეკრულების არცერთი მხარე არ არის. 1905 და 1978 წლის ჰააგის კონვენციაში, „Convention relating to conflicts of laws with regard to the effects of marriage on the rights and duties of the spouses in their personal relationship and with regard to their estates“, მოწესრიგებულია საქორწინო ხელშეკრულებიდან გამომდინარე გარკვეული

ტიპის კოლიზიური საკითხები. ამ კონვენციის მიხედვით, საქორწინო ურთიერთობის რეგულირება უნდა ჯდებოდეს იმ ქვეყნის კანონმდებლობის ჩარჩოში, სადაც ფორმდება აღნიშნული ხელშეკრულება. იმ შემთხვევაში, თუ საქორწინო ხელშეკრულების მხარეები არ არიან ერთი ქვეყნის მოქალაქეები, მათი შეთანხმებით შეიძლება გაფორმებულ იქნას რომელიმე მათგანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მეუღლეებს ქორწინების დროს შეუძლიათ აირჩიონ და მოაწესრიგონ თავიანთი შეძენილი ქონების საკითხი იმ ქვეყნის სამართლით, რომელსაც ეროვნებით განეკუთვნებიან ან რომელიც არის ერთ-ერთი მეუღლის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ან ერთ-ერთი მეუღლის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი. იმ შემთხვევაში თუ მეუღლეებმა არ აირჩიეს სამართალი, რომელიც დაარეგულირებს მათ ურთიერთობას, გამოიყენება იმ ქვეყნის კანონმდებლობა, სადაც მუდმივად ცხოვრობენ, ქორწინების შემდგომ მინიმუმ უკანსკნელი ათი წლის განმავლობაში, ხოლო სხვა შემთხვევებში უპირატესობით სარგებლობს იმ ქვეყნის სამართალი, რომელსაც მეუღლეები განეკუთვნებიან ეროვნებით (თუმანიშვილი, 2003). მაგალითად, სომხეთში იმისათვის რომ საქორწინო ხელშეკრულება ფორმალურად ჩაითვალოს უნდა შეესაბამებოდეს იმ ქვეყნის საკანონმდებლო მოთხოვნებს, სადაც იდება და არ შეიძლება ჩაითვალოს ბათილად იმ მიზეზით რომ იგი დაიდო სხვა სახელმწიფოში, თუკი ამ გარიგების პირობები სომხეთის რესპუბლიკის სამართლის მოთხოვნის ფარგლებს არ სცილდება (თუმანიშვილი, 2010).

დასკვნა

საქორწინო ხელშეკრულების ინსტიტუტი, როგორც სხვა ქვეყნებშია განვითარებული, მსგავსი პოპულარობით ვერ სარგებლობს საქართველოში. როგორც უკვე ვთქვით, ამას განაპირობებს სოციალურში დამკვიდრებული წეს-ჩვეულებები, რელიგიური მრწამსი, არასწორად გაგებული მორალური შეხედულებები. ხშირ შემთხვევაში ადამიანთა უმრავლესობამ არც კი იცის ამ ინსტიტუტის არსებობის შესახებ, ეს ყოველივე გამომდინარეობს პირთა ინფორმირებულობის სიმწირიდან. ჩვენი, როგორც იურისტების, ვალია ავამაღლოთ ამ ინსტიტუტისადმი ცნობიერება და გავალკივოთ ინტერესი საზოგადოებაში, სწორედ ამ მიზანს ემსახურება ჩვენი საკონფერენციო ნაშრომი. საქორწინო ხელშეკრულების ინსტიტუტს აქვს უამრავი დადებითი მხარე, რომელზე აქცენტებიც, შეგვიძლია მივალწიოთ დასახულ მიზანს. ქორწინება არის უმნიშვნელოვანესი მოვლენა ადამიანთა ცხოვრებაში, ადამიანები, რომლებიც "კუპიდოსნის ისრისგან არიან დაჭრილნი" შესაძლოა ვერ ითავისებდნენ რამხელა პასუხისმგებლობაა ოჯახის შექმნა, წინდახედულობის გამოჩენა ქორწინებიდან წარმოშობილი ურთიერთობების მოგვარების წინასწარ განსაზღვრით არ აკნინებს სიყვარულის არსსა და მნიშვნელობას. ქორწინება შესაძლოა დიდი სიყვარულითა და ურთიერთპატივისცემით დაიწყოს თუმცა დასრულდეს შეურაცხყოფითა და ნეგატიური დამოკიდებულებით ერთმანეთის მიმართ, სწორედ საქორწინო ხელშეკრულება არის პრევენციის ერთგვარი საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს პირთა უფლებების დაცვას. მაშასადამე, საქორწინო ხელშეკრულებას

უმნიშვნელოვანესი სიკეთის მოტანა შეუძლია ადამიანებისათვის. საკანონმდებლო ნორმა უნდა ჩამოყალიბდეს ისე, რომ საზოგადოებისათვის იყოს მარტივი აღსაქმელი და აგრეთვე სწორად აღქმადი. უცხო ქვეყნის კანონმდებლობის გათვალისწინებით, უნდა ჩამოყალიბდეს ქართველ ხალხზე მორგებული ნორმები, ჩვენი, თითოეული მოქალაქის, ვალაია საქორწინო ხელშეკრულების ინსტიტუტის განვითარებას შევუწყოთ ხელი და შეძლებისდაგვარად სრულყოფილი სახით დავამკვიდროთ ქართულ საზოგადოებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

ნორმატიული აქტები:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, (1997წ) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=132>

საქართველოს კონსტიტუცია, (1921წ) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>

სამეცნიერო ლიტერატურა:

გადელია. ნ, (2009წ), „საქორწინო ხელშეკრულების (კონტრაქტის) აქტუალური საკითხები, ჟურნ: „მართმსაჯულება და კანონი“;

თუმანიშვილი.გ, (2010წ) თბილისი, „საქორწინო კონტრაქტი“ (მონოგრაფია) <https://eprints.iliauni.edu.ge/371/1/Marriage%20contract.pdf>;

თუმანიშვილი. გ, (2003წ), საქორწინო კონტრაქტის ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით, ჟურნალი სამართალი N8;

ნაჭყებია.ნ, (2008წ), მეუღლეთა სახელშეკრულებო ქონებრივი ურთიერთობა: უძრავ ქონებაზე უფლებათა რეგისტრაციის წესი და პირობები საქორწინო კონტრაქტის მიხედვით, ჟურნალი მართმსაჯულება, N3;

შენგელია. რ & შენგელია.ე, (2015 წ) „საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი“ (გამომცემლობა მერიდიანი);

ჩიკვაშვილი. შ, (2000წ) „საოჯახო სამართალი“ გამომცემლობა მერიდიანი;

ჯახველაძე.ო, სტატია, (2012 წ), საქორწინო კონტრაქტი (რატომ არ სარგებლობს საზოგადოება ამ ინსტიტუტით) <https://elawjournal.wordpress.com/2012/02/14/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D/> Jonathan Herring, Family Law, Oxford University 2009;

სასამართლო გადაწყვეტილებები:

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება: საქმე № ას-767-2021 18 ნოემბერი, 2021 წელი

ინტერნეტ-წყაროები:

ნოტარიუსთა პალატა, (2012წ) კონფერენცია თემაზე: „საქორწინო ხელშეკრულება“, <https://www.notary.ge/geo-1212-konferencia-temaze-%EF%BF%BDsaqorcino-xelshkruleba%EF%BF%BD->

საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური, 2023-2024 წლის განქორწინების მაჩვენებელი: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia>

უსაფრთხოებასა და კონფიდენციალურობას შორის თანაფარდობა ვიდეომონიტორინგი სამუშაო სივრცეში

მარიამ გორგასლიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

სამუშაო ადგილზე ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა, ინფრასტრუქტურის, აპლიკაციებისა და ჰაკიანი მოწყობილობების თვალსაზრისით, საშუალებას აძლევს დამსაქმებელს განახორციელოს მონაცემთა სისტემატური და პოტენციურად უფლებების შემზღვეველი დამუშავება. სწორედ ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ტექნოლოგიების გამოყენება შეიძლება მიმართული იყოს თანამშრომლების პროდუქტიულობის გაუმჯობესების, ინტელექტუალური თუ მატერიალური საკუთრების დაკარგვის, აღმოჩენისა ან თავიდან აცილებისკენ და სხვა, აღნიშნული ასევე ქმნის მნიშვნელოვან გამოწვევებს კონფიდენციალურობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიმართულებით. შესაბამისად, დამსაქმებლებმა უნდა შეაფასონ დაცულია თუ არა, სამართლიანი ბალანსი მათ ლეგიტიმურ ინტერესებსა და დასაქმებულის კონფიდენციალურობის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებებს შორის.

ინფორმაციული ტექნოლოგიების მნიშვნელოვანი ნაწილია ვიდეომონიტორინგის სისტემა, რომელიც, მზარდი ტექნოლოგიური განვითარების პირობებში, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ფორმად ჩამოყალიბდა. ვიდეომონიტორინგის ტექნოლოგიების უმეტესობას, თანამედროვე ეპოქაში, გააჩნია პირდაპირ რეჟიმში დაკვირვების, ღამის ხედვის, მანევრირების, შორი მანძილიდან დაკვირვების, დეტალების (მათ შორის, ადამიანის თვალისთვის შეუმჩნეველი) აღმოჩენის, აუდიოჩაწერის, ადამიანის უნიკალური მახასიათებლების (მაგალითად, სახის) ამოცნობის, მისი ქცევის შესწავლისა და გაანალიზების ტექნიკური შესაძლებლობები. ასეთი საშუალებით ადამიანის რეგულარული და სისტემური მონიტორინგი, პერსონალური მონაცემების არაკანონიერი დამუშავებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის საფრთხეებს წარმოშობს, განსაკუთრებით ისეთ სივრცეში, სადაც მას პირადი სივრცის დაცულობის მოლოდინი აქვს.

წინამდებარე ნაშრომში ვისაუბრებ დასაქმებულის სამუშაო სივრცის/პროცესის ვიდეომონიტორინგის დასაშვებობაზე. ჩემი ინტერესი ამ თემის მიმართ გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ აღნიშნული წარმოადგენს დასაქმებულის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში საკმაოდ ინტენსიურ ჩარევას, რის გამოც, იგი დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. ამას ცხადყოფს, როგორც საქართველოს

კანონმდებლობა, ისე 29-ე მუხლის მონაცემთა დაცვის სამუშაო ჯგუფის მოსაზრება (2/2017) და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. ამ მხრივ, უნდა გამოვყოთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ანტონოვიჩი და მირკოვიჩი მონტენეგროს წინააღმდეგ“ (2017), რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დამსაქმებლებს ევალებათ დასაქმებულთა პირადი ცხოვრების პატივისცემა, ამ უფლების დაცვა და მისი მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეზღუდვა.

ამ ნაშრომის მიზანია, სამუშაო სივრცეში ვიდეომონიტორინგის განხორციელების თანმდევი მომეტებული საფრთხეების წარმოჩენა და ამ პროცესის დაწყებამდე დასაქმებულის მიერ პროპორციულობის ტესტის ჩატარების აუცილებლობის ხაზგასმა. ჩემთვის, როგორც დასაქმებულისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სამუშაო ადგილზე პერსონალურ მონაცემთა დამუშავება ხორციელდებოდეს მხოლოდ ლეგიტიმური მიზნებისთვის, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და მოთხოვნების დაცვით.

Abstract

The adoption of new information technologies in the workplace, in terms of infrastructure, applications, and smart devices, allows employers to carry out new types of systematic and potentially invasive data processing. Therefore, whilst using such technologies can help improve employees' productivity, detect or prevent the loss of intellectual or material company property, etc., they also create significant privacy and data protection challenges. Employers must assess the balance between their legitimate interests and employee's rights to privacy and personal data protection.

An important part of information technology is the CCTV security system (video surveillance), which, under conditions of technological development, has become one of the most common forms of data processing. In the modern world, most video surveillance technologies can record 24/7, detect details (including those invisible to the human eye), audio recording, recognize a person's unique characteristics, and perform behavior analysis. Regular and systematic monitoring of a person with such means creates threats to the unlawful processing of personal data and violation of the right to private life, especially in a space where they have a reasonable expectation of privacy.

Video surveillance of the employee's workplace is a rather intense interference with their right to privacy, which is why it is allowed only in exceptional cases. This is confirmed by the legislation of Georgia, the opinion (2/2017) of the Article 29 Data Protection Working Party, and judgments of the European Court of Human Rights. Particularly interesting is the case of Antović and Mirković v. Montenegro (2017).

This paper aims to present the increased risks associated with the implementation of video surveillance in the workplace and emphasize the need to conduct a proportionality test. Employers may only collect the personal data for legitimate purposes and with the legal basis for the processing.

შესავალი

ვიდეომონიტორინგის განხორციელება პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ფორმად ჩამოყალიბდა, როგორც საჯარო, ისე კერძო სივრცეში. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში, რადგან ხშირად, ვიდეომონიტორინგი გამოიყენება თანამშრომელთა მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხის, შინაგანაწესის დაცვის, შესვლა-გასვლის აღრიცხვისა და სხვა არალეგიტიმური მიზნით.

პერსონალურ მონაცემთა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებების დაცვა გარანტირებულია როგორც არასამუშაო, ისე სამუშაო დროსა და სივრცეში (პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, 2024). სამუშაო პროცესის/სივრცის ვიდეომონიტორინგი შესაძლებელს ხდის დასაქმებული პირის ქცევის განგრძობად კონტროლს, რაც მას მომეტებული საფრთხის წყაროს აქცევს, განსაკუთრებით კი მზარდი ტექნოლოგიური განვითარების პირობებში. ამას ადასტურებს, როგორც ეროვნული კანონმდებლობა, ისე საერთაშორისო რეგულაციები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა.

წინამდებარე ნაშრომში ვისაუბრებ ვიდეომონიტორინგის ცნებასა და ამისი განხორციელების კანონიერ მიზნებზე, სამუშაო პროცესის/სივრცის ვიდეომონიტორინგის სამართლებრივ საფუძვლებსა და თანმდევ მომეტებულ საფრთხეებზე, იმ სივრცეებზე, სადაც ვიდეომონიტორინგის განხორციელება დაუშვებელია და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. ამასთან, განვიხილავ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საინტერესო განმარტებებსა და საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის პრაქტიკას.

ამ ნაშრომის მიზანია ხაზი გაუსვას სამუშაო სივრცეში პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას სამართლიანი ბალანსის დაცვის აუცილებლობას დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის კანონიერ ინტერესებს და მონაცემთა სუბიექტის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებებს შორის.

ვიდეომონიტორინგის ცნება

ვიდეომონიტორინგი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განიმარტება, როგორც საჯარო ან კერძო სივრცეში განთავსებული/დამონტაჟებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ვიზუალური გამოსახულების მონაცემთა დამუშავება, კერძოდ, ვიდეოკონტროლი ან/და ვიდეოჩაწერა (გარდა ფარული საგამოძიებო მოქმედებისა).

ვიდეომონიტორინგის სისტემის მეშვეობით განხორციელებული ჩანაწერი პერსონალურ მონაცემად განიხილება, როდესაც შესაძლებელია მასზე აღბეჭდილი ადამიანის სახის გამოსახულების გარჩევა (პირდაპირი იდენტიფიკაცია), ან ადამიანის სახის ნაკვთების

გარჩევა შეუძლებელია, მაგრამ სისტემის მიერ დაფიქსირებული ნივთების ან/და ადამიანის ქცევის მახასიათებლებით, მათი სხვა მონაცემებთან შედარებით შესაძლებელია პირის იდენტიფიცირება (არაპირდაპირი იდენტიფიკაცია). ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ავტოსატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ სხვა სატრანსპორტო საშუალების დაზიანების შემთხვევაში ვიდეოჩანაწერში დაფიქსირებული სანომრე ნიშნის გამოყენება, იმ მანქანის მფლობელის ვინაობის დასადგენად, რომლის მიზეზითაც მოხდა დაზიანება.

თანამედროვე ეპოქაში, ვიდეომონიტორინგის ტექნოლოგიების უმეტესობას გააჩნია პირდაპირ რეჟიმში დაკვირვების, ღამის ხედვის, მანევრირების, შორი მანძილიდან დაკვირვების, დეტალების აღმოჩენის (მათ შორის, ადამიანის თვალისთვის შეუმჩნეველი), აუდიოჩაწერის, ადამიანის უნიკალური მახასიათებლების (მაგალითად, სახის) ამოცნობის, მისი ქცევის შესწავლისა და გაანალიზების ტექნიკური შესაძლებლობები (პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, 2021). ასეთი საშუალებით ადამიანის რეგულარული და სისტემური მონიტორინგი, პერსონალური მონაცემების არაკანონიერი დამუშავებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის საფრთხეებს წარმოშობს, განსაკუთრებით ისეთ სივრცეში, სადაც მას კონფიდენციალურობის დაცულობის მოლოდინი აქვს. აღსანიშნავია ისიც, რომ ტექნოლოგიურმა განვითარებამ შესაძლებელი გახადა სტანდარტული ვიდეოკამერების აღჭურვა შესაბამისი სისტემური უზრუნველყოფით და მათი ე.წ. „ჭკვიან კამერებად“ ქცევა, რაც დამუშავებული მონაცემების მასშტაბისა და ტექნოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწინებით, ზრდის მათი შემდგომი არამიზნობრივი დამუშავების საფრთხეს (European Data Protection Board, 2020).

შესაბამისად, მიუხედავად ვიდეომონიტორინგის განხორციელების საშუალებით უსაფრთხოების უზრუნველყოფისა თუ სხვა ლეგიტიმური მიზნების მიღწევის ინტერესისა, აუცილებელია პერსონალურ მონაცემთა არამიზნობრივი და ამდენად, უკანონო დამუშავების თავიდან აცილება. სწორედ ამიტომ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს, რა მიზანს შეიძლება ემსახუროდეს ვიდეომონიტორინგი.

ვიდეომონიტორინგის განხორციელების მიზნები

ზოგადად, პერსონალურ მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ არსებობს კანონით გათვალისწინებული საფუძველი, ამ პროცესში კი დაცულია მონაცემთა დამუშავების პრინციპები. არც ვიდეომონიტორინგის განხორციელებაა გამონაკლისი.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ვიდეომონიტორინგის განხორციელება დასაშვებია, თუ იგი მიზნად ისახავს:

- დანაშაულის თავიდან აცილებას ან მისი გამოვლენას;

- საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვას;
- პირის უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვას;
- არასრულწლოვანის დაცვას (მათ შორის, მავნე ზეგავლენისგან);
- საიდუმლო ინფორმაციის დაცვას;
- გამოცდის/ტესტირების მიზნების მიღწევას.

ამასთან, მოცემული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და გათვალისწინებულია სხვა საჯარო ან/და სხვაა ლეგიტიმური ინტერესის არსებობა, თუ ვიდეომონიტორინგის განხორციელება მონაცემთა დამუშავების მიზნის ადეკვატური და პროპორციული საშუალებაა.

აღსანიშნავია, რომ უსაფრთხოების, საკუთრების თუ ინფორმაციის დაცვის საჭიროების დროს, სახეზე უნდა იყოს რეალურად მოსალოდნელი საფრთხე.

სამუშაო პროცესის/სივრცის ვიდეომონიტორინგი

სამუშაო პროცესის/სივრცის ვიდეომონიტორინგი შეიძლება ჩაითვალოს მომეტებული საფრთხის წყაროდ დასაქმებული პირის მიმართ, ვინაიდან აღნიშნული პროცესი შესაძლებელს ხდის მისი ქცევის განგრძობად კონტროლს, რამაც კანონით გათვალისწინებული პირობების დაუცველობის შემთხვევაში, სუბიექტის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს (Article 29 Data Protection Working Party, 2017). აქედან გამომდინარე, დამსაქმებელმა უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებული სიფრთხილე, როგორც ვიდეომონიტორინგის საფუძვლებისა და მიზნების სწორად იდენტიფიცირების, ისე მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების კუთხით.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ შრომითი ურთიერთობის ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების დროს, დამსაქმებელი (ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან საჯარო დაწესებულება) წარმოადგენს დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს, რომელიც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის მიხედვით, ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას. დასაქმებული პირი კი არის მონაცემთა სუბიექტი, ე.ი. ნებისმიერი პირი, რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება (ამავე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი).

სამუშაო სივრცის ცნება

სამუშაო სივრცე წარმოადგენს ძირითადი სამსახურებრივი ფუნქციების შესასრულებლად განკუთვნილ სივრცეს, სადაც დასაქმებული პირები უშუალოდ ახორციელებენ სამსახურებრივ უფლებამოსილებას (პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, 2024).

ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ საპროცედურო თუ საკლასო ოთახი, სალარო და სხვა. ამასთან, დასაქმებული პირი სამუშაო სივრცეში შეიძლება ახორციელებდეს არასამსახურებრივ აქტივობებსაც, როგორცაა შესვენებით სარგებლობა, პირადი სატელეფონო ზარების განხორციელება, თანამშრომლებთან თუ მესამე პირებთან კომუნიკაცია.

ასეთ სივრცეში ვიდეომონიტორინგის განხორციელებას შესაძლოა ჰქონდეს ე.წ. „მსუსხავი ეფექტი“ დასაქმებული პირის ფუნდამენტურ უფლებებზე, მათ შორის, ორგანიზების, თანამშრომელთა შეკრებისა და კონფიდენციალური კომუნიკაციის შესაძლებლობაზე (Article 29 Data Protection Working Party, 2017). ამასთან, გადამეტებული მოცულობით განხორციელებული მონიტორინგი შეიძლება ახდენდეს ირიბ ზეწოლას დასაქმებულ პირებზე და იწვევდეს მათი ქცევის კორექტირებას.

სამუშაო პროცესის/სივრცის ვიდეომონიტორინგის მიზნები

როგორც წესი, ვიდეომონიტორინგი გამოიყენება თანამშრომელთა მიერ სამუშაოს შესრულების (მომსახურების) ხარისხის, დასაქმებული პირების კომუნიკაციის, შინაგანაწესის დაცვის, მათ შორის, შესვლა-გასვლის აღრიცხვის, გარეგნობის/ჩაცმის სტილის კონტროლის თუ სხვა მიზნებით, რაც არ შეესაბამება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებსა და საერთაშორისო რეგულაციებს.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, დასაქმებული პირის სამუშაო პროცესის/სივრცის ვიდეომონიტორინგი დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნების მიღწევა სხვა საშუალებით შეუძლებელია ან დაკავშირებულია არაპროპორციულად დიდ ძალისხმევასთან.

ამდენად, ვიდეომონიტორინგის განხორციელება დასაშვებია ბანკებსა თუ აფთიაქებში განთავსებულ სალაროებთან, საავადმყოფოების რეგისტრატურებთან. ვალუტის გადამცვლელ პუნქტებში და სხვა. მართალია, აღნიშნული ადგილები წარმოადგენს სამუშაო სივრცეს, მაგრამ იქ მიმდინარე პროცესების ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლოა სახეზე იყოს ვიდეომონიტორინგის განხორციელების ლეგიტიმური მიზანი. მაგალითად, დასაქმებული პირის (მოლარის) უსაფრთხოება, ყიდვა-გაყიდვის დამადასტურებელი ქვითრის გადაცემის ფაქტის დაფიქსირება და სხვა.

შესაბამისად, დამსაქმებლებმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეაფასონ დაცული იქნება თუ არა სამართლიანი ბალანსი მათ კანონიერ ინტერესებსა და დასაქმებული პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებას შორის. ამასთან, დაადგინონ, არსებობს თუ არა სამუშაო პროცესის/სივრცის ვიდეომონიტორინგის განხორციელების საგამონაკლისო შემთხვევა.

სივრცეები, სადაც ვიდეომონიტორინგის განხორციელება დაუშვებელია

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, დასაქმებული პირების სამუშაო პროცესის/სივრცის ვიდეომონიტორინგის თვალსაზრისით, აუცილებელია განვასხვავოთ მონიტორინგის განხორციელების სხვადასხვა ადგილები, კონფიდენციალურობის დაცულობის იმ მოლოდინის გათვალისწინებით, რომელიც თანამშრომელს კონკრეტული სივრცის მიმართ შეიძლება გააჩნდეს (ECtHR, 2022). აღნიშნულს განამტკიცებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონიც, რომლის მიხედვით დაუშვებელია ვიდეომონიტორინგის განხორციელება გამოსაცვლელ ოთახებში, ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებში ან ისეთ სივრცეში, სადაც სუბიექტს პირადი ცხოვრების დაცულობის გონივრული მოლოდინი აქვს ან/და ვიდეომონიტორინგის განხორციელება საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს ეწინააღმდეგება. მაგალითად, როგორც წესი, დასაქმებული პირი თავის სამუშაო ადგილზე არ ელოდება დამსაქმებლის მიერ მეთვალყურეობას. გარდა ამისა, მონიტორინგი არ არის მოსალოდნელი საცხოვრებელ სივრცეში, პირად ეზოში ან გამოკვლევის თუ საპროცედურო ოთახში. მეორე მხრივ, ბანკის მომხმარებელს შეიძლება ჰქონდეს მოლოდინი, რომ საერთო სივრცეში თუ ბანკომატის მიმდებარედ შესაძლოა მიმდინარეობდეს ვიდეომონიტორინგი (European Data Protection Board, 2020).

დასაქმებულ პირთა ინფორმირებულობა

ვიდეომონიტორინგის განხორციელების დროს, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების სხვა სახეების მსგავსად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია დამუშავების პროცესისა მიმდინარეობის შესახებ. კერძოდ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, იგი ვალდებულია თვალსაჩინოდ განათავსოს ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშანი, რომელიც შეიცავს შესაბამის წარწერას, მარტივად აღქმად გამოსახულებას ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის თაობაზე და დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის სახელწოდებასა და მის საკონტაქტო მონაცემებს. რაც შეეხება დასაქმებულ პირის სამუშაო პროცესის/სივრცის ვიდეომონიტორინგს, ამ შემთხვევაში, დამსაქმებელმა დამატებით წერილობით უნდა გააფრთხილოს ვიდეომონიტორინგის კონკრეტული მიზნის (მიზნების) შესახებ. ზემოაღნიშნული მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტი მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე ინფორმირებულად მიიჩნევა.

დამსაქმებლის ვალდებულებები ვიდეომონიტორინგის განხორციელების დროს

სამუშაო პროცესის/სივრცის ვიდეომონიტორინგი დასაქმებული პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში საკმაოდ ინტენსიურ ჩარევას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, კანონიერი მიზნით ვიდეომონიტორინგის განხორციელების დროსაც დამსაქმებელმა უნდა

გაითვალისწინოს რიგი საკითხები. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირს, მონაცემთა სუბიექტის სათანადო ინფორმირების გარდა, გააჩნია რიგი კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირმა, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით დადგენილი პრინციპების შესაბამისად, წერილობით უნდა განსაზღვროს ვიდეომონიტორინგის მიზანი და მოცულობა, ვიდეომონიტორინგის ხანგრძლივობა და ვიდეოჩანაწერის შენახვის ვადა, ვიდეოჩანაწერზე წვდომის, მისი შენახვისა და განადგურების წესი და პირობები, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმები.

არანაკლებ მნიშვნელოვანია პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების მიღება, რომელთა განსაზღვრისას დამუშავებისთვის პასუხისმგებელი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირები ვალდებული არიან გაითვალისწინონ მონაცემთა კატეგორიები, მოცულობა, მონაცემთა დამუშავების მიზანი, ფორმა, საშუალებები და მონაცემთა სუბიექტის უფლებების დარღვევის შესაძლო საფრთხეები, აგრეთვე პერიოდულად შეაფასონ მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიღებული ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების ეფექტიანობა და, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყონ მონაცემთა უსაფრთხოების დასაცავად ადეკვატური ზომების მიღება ან/და არსებულის განახლება. მონაცემთა უსაფრთხოების ზომები უნდა იყოს იმ რისკების პროპორციული, რომელიც ფიზიკურ პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს ექმნება (European Data Protection Board, 2020).

ვიდეომონიტორინგის განხორციელებისას, უსაფრთხოების ტექნიკური და ორგანიზაციული ზომებში იგულისხმება ვიდეოჩანაწერებზე წვდომის აღრიცხვა (ე.წ. „ლოგირების“ სისტემის დანერგვა), შესაბამისი ინფორმაციული უსაფრთხოების ზომების მიღება და სხვა. პროგრამული მხარდაჭერის დანერგვასთან ერთად, აუცილებელია შესაბამისი ორგანიზაციული წესების დადგენა და რიგი საკითხების გათვალისწინება. ამასთან, ხშირ შემთხვევაში, ოფისებსა თუ დაწესებულებებში სამუშაო სივრცეები გამოყოფილია მინის (გამჭვირვალე) კედლებით, რის გამოც ისინი ხვდება კამერების ხედვის არეალში. აგრეთვე, სამუშაო მაგიდები, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მდებარეობს საერთო სივრცეში, სადაც მიმდინარეობს ვიდეომონიტორინგი (პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, 2021). დამსაქმებელმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გამორიცხოს დასაქმებულ პირთა სამუშაო პროცესის/სივრცის არამიზნობრივი მონიტორინგი, რის უზრუნველსაყოფადაც, მაგალითად, უნდა შეცვალოს კამერების ხედვის არეალი, სამუშაო მაგიდები გამოყოს საერთო სივრცისგან, დაფაროს (გაუმჭვირვალე გახადოს) ოთახის კედლები და სხვა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

სამუშაო პროცესის/სივრცის ვიდეომონიტორინგზე ვრცელი პრაქტიკა აქვს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, რომლის ფარგლებში იგი აფასებს როგორც დასაქმებული პირის მიმართ ფარულად, ისე ღიად განხორციელებული ვიდეომონიტორინგის ლეგიტიმურობას. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები შესასრულებლად სავალდებულოა მხოლოდ მოცემული ქვეყნებისთვის, მათში განვითარებული მსჯელობა მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ხელმომწერი ქვეყნებისთვის. აუცილებელია სასამართლოს მიდგომების გათვალისწინება და შესაბამისი ზომების მიღება კონვენციის დარღვევის თავიდან ასაცილებლად.

წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის განვიხილავ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს უმნიშვნელოვანესი განმარტებების შემცველ 3 გადაწყვეტილებას: „ლოპეზ რიბალდა და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ“ (López Ribalda and Others v. Spain), „კოპკე გერმანიის წინააღმდეგ“ (Köpke v. Germany), „ანტონოვიჩი და მირკოვიჩი მონტენეგროს წინააღმდეგ“ (Antović and Mirković v. Montenegro).

„ლოპეზ რიბალდა და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ“ (2019)

საქმეზე „ლოპეზ რიბალდა და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ“ (López Ribalda and Others v. Spain) განმცხადებლები უთითებდნენ, რომ დამსაქმებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მათი გათავისუფლების შესახებ ეფუძნებოდა ვიდეომონიტორინგს, რომელიც მიმდინარეობდა მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევით. განმცხადებლები მუშაობდნენ სუპერმარკეტში, სადაც მარაგის რაოდენობასა და გაყიდვების მაჩვენებლებს შორის გარკვეული შეუსაბამოების აღმოჩენის შემდეგ, მენეჯერმა დაამონტაჟა ვიდეომონიტორინგის კამერები, ნაწილი ხილული, ნაწილი კი ფარული. ხილული კამერები მიმართული იყო სუპერმარკეტის შესასვლელ-გასასვლელებისკენ, ფარულები კი სალაროებისკენ. დასაქმებული პირები ინფორმირებულები იყვნენ მხოლოდ ხილული კამერების შესახებ. ფარული კამერების მიერ გადაღებული ჩანაწერებიდან გამოვლინდა რამდენიმე თანამშრომლის მიერ საქონლის ქურდობა, რის საფუძველზეც მოხდა მათი გათავისუფლება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ვიდეომონიტორინგის ღონისძიების პროპორციულობაზე მსჯელობისას აუცილებელია განვასხვავოთ სხვადასხვა სივრცე, სადაც ვიდეომონიტორინგი განხორციელდა, თანამშრომლის კონფიდენციალურობის დაცვის გონივრული მოლოდინის გათვალისწინებით. ასეთი მოლოდინი ძალიან მაღალია ბუნებით პირადი ხასიათის სივრცეებში, როგორცაა ჰიგიენისთვის განკუთვნილი ადგილები ან გამოსაცვლელი ოთახები, სადაც პირადი სივრცის გაძლიერებული დაცვა ან ვიდეომონიტორინგის სრული აკრძალვა გამართლებულია. აღნიშნული მოლოდინი მაღალია ე.წ. დახურულ სამუშაო სივრცეებში, როგორცაა ოფისი. ამასთან, ის აშკარად დაბალია იმ ადგილებში, რომლებიც თვალსაჩინო

და ხელმისაწვდომია თანამშრომლებისთვის ან, როგორც მოცემულ შემთხვევაში, ფართო საზოგადოებისთვის (ECtHR, 2019).

საინტერესოა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა სუპერმარკეტში მოლარეებისა და გაყიდვების თანაშემწეების ნაწილობრივ აშკარა და ნაწილობრივ ფარული ვიდეომონიტორინგის შემთხვევაში, მათ შორის, ესპანეთის კანონმდებლობით დადგენილი არსებითი გარანტიებისა და იმ დამცავი საშუალებების გათვალისწინებით, რომლებიც განმცხადებლებს გააჩნდათ, მაგრამ არ გამოიყენეს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დამსაქმებლის მიერ დაყენებული ფარული კამერები მიიჩნია მისი მიზნის მიღწევის ადეკვატურ საშუალებად.

„კოპკე გერმანიის წინააღმდეგ“ (2010)

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო განმცხადებლის, სუპერმარკეტის მოლარის მიერ წამოყენებული საჩივარი მისი დამსაქმებლის მიერ კერძო საგამოძიებო სააგენტოს დახმარებით განხორციელებული ფარული ვიდეომონიტორინგის ღონისძიების შესახებ. მან განმარტა, რომ საქმეში „კოპკე გერმანიის წინააღმდეგ“ (Köpke v. Germany) სადავო ღონისძიება იყო დროში შეზღუდული (2 კვირა) და მოიცავდა მხოლოდ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ ადგილს სალაროს ირგვლივ. ამასთან, მიღებული მონაცემები (ვიდეოჩანაწერი) დამუშავებული იყო შეზღუდული რაოდენობის პირების მიერ (დამსაქმებლის და საგამოძიებო სააგენტოს თანამშრომლები), აგრეთვე, გამოყენებულ იქნა მხოლოდ განმცხადებლის სამსახურიდან გათავისუფლების პროცედურისა და შრომის სამართლებრივი წარმოების ფარგლებში (ECtHR, 2020).

„ანტონოვიჩი და მირკოვიჩი მონტენეგროს წინააღმდეგ“ (2017)

ზემოთ განხილული გადაწყვეტილებებისგან განსხვავებით, რომლებიც ეხებოდა დასაქმებული პირების მიმართ ფარულ ვიდეომონიტორინგს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „ანტონოვიჩი და მირკოვიჩი მონტენეგროს წინააღმდეგ“ (Antović and Mirković v. Montenegro) იმსჯელა სამუშაო სივრცეში ღიად მიმდინარე ვიდეომონიტორინგის ლეგიტიმურობაზე. მონტენეგროს უნივერსიტეტის რამდენიმე აუდიტორიაში მიმდინარეობდა ვიდეომონიტორინგი, მიზნად კი უნივერსიტეტის ქონებისა და ადამიანის უსაფრთხოების დაცვა, აგრეთვე, სასწავლო პროცესის მეთვალყურეობა იყო დასახელებული. პროფესორებმა, ანტონოვიჩმა და მირკოვიჩმა მიიჩნიეს, რომ აუდიტორიაში სათვალთვალ კამერის დაყენება ლახავდა მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, რის გამოც მიმართეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის უწყებას. აღნიშნულმა უწყებამ დაადგინა, რომ ვიდეომონიტორინგი არ შეესაბამებოდა კანონმდებლობას, განსხვავებით ადგილობრივი სასამართლოსგან, რომლის მიხედვითაც, უნივერსიტეტის აუდიტორია საჯარო სივრცეა, რის გამოც ვიდეომონიტორინგის განხორციელება კი ვერ ლახავდა მათ უფლებებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ „პირადი ცხოვრება“ არის ფართო ტერმინი, რომელიც არ ექვემდებარება ამომწურავ განმარტებას, ხოლო მისი შეზღუდვა „შიდა წრით“, რომელშიც ინდივიდმა შეიძლება იცხოვროს საკუთარი პირადი ცხოვრებით, და გარე სამყაროს მთლიანად გამორიცხვა, გამოიწვევდა მის ზედმეტად შეზღუდვას. კონვენციის მე-8 მუხლი უზრუნველყოფს „პირადი ცხოვრების“ უფლებას ფართო გაგებით, მათ შორის, „პირადი სოციალური ცხოვრების“ უფლების ჩათვლით, ანუ ინდივიდის შესაძლებლობას განავითაროს თავისი სოციალური იდენტობა (ECtHR, 2017). ამასთან, იგი მოიაზრებს პირის უფლებას, დაამყაროს ურთიერთობები სხვა ადამიანებთან მაშინაც კი, თუ ეს ურთიერთობა სამუშაო პროცესის დროს ხდება. სამუშაო გარემოს სპეციფიკის მიუხედავად, დამსაქმებლის ინსტრუქციები სამუშაო ადგილას პირად სოციალურ ცხოვრებას მთლიანად ვერ აღკვეთს. ამ შემთხვევაშიც სასამართლო განმარტავს, რომ უნივერსიტეტის აუდიტორია პროფესორების სამუშაო სივრცეა. ეს ადგილია, სადაც ისინი არა მხოლოდ ასწავლიან სტუდენტებს, არამედ ურთიერთობა აქვთ მათთან, რითაც ავითარებენ ორმხრივ ურთიერთობებს და აყალიბებენ საკუთარ სოციალურ იდენტობას (ECtHR, 2017).

ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა წარსულში მიღებული არაერთი გადაწყვეტილება და განმარტა, რომ „პირადი ცხოვრების“ ცნება შეიძლება მოიცავდეს პროფესიულ საქმიანობასაც, გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანების უმეტესობას გარე სამყაროსთან კომუნიკაციის საშუალება სწორედ სამსახურებრივი ურთიერთობის ფარგლებში ეძლევა.

შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პროფესორების მიმართ უნივერსიტეტის აუდიტორიებში განხორციელებული ფარული თუ აშკარა ვიდეომონიტორინგი მიიჩნია მათ პირად ცხოვრებაში მნიშვნელოვან ჩარევად და დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის პრაქტიკა

დასაქმებული პირის სამუშაო პროცესის/სივრცის ვიდეომონიტორინგის მიმართულებით ვრცელი პრაქტიკა აქვს საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს: 2023 წლის საქმიანობის ანგარიშის თანახმად, საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა ვიდეომონიტორინგის ფარგლებში თანამშრომელთა მონაცემების პერსონალურ მონაცემთა დაცვის 49 კანონმდებლობის დარღვევით დამუშავების ფაქტი. კერძოდ, სამუშაო სივრცის ვიდეომონიტორინგისას მონაცემთა დამუშავებლის მიზანი სამსახურმა არ მიიჩნია კანონით მოთხოვნილ საგამონაკლისო შემთხვევად (პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, 2023).

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ დადგენილი პრაქტიკიდან გამომდინარე, სამუშაო ადგილზე ვიდეომონიტორინგის განხორციელებისათვის კანონით

დადგენილი საგამონაკლისო შემთხვევა სახეზეა, როდესაც დაცულია სამართლიანი ბალანსი დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის კანონიერ ინტერესებსა და მონაცემთა სუბიექტის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებას შორის, ვიდეომონიტორინგის მიზნების მიღწევა კი სხვა საშუალებით შეუძლებელია ან დაკავშირებულია არაპროპორციულად დიდ ძალისხმევასთან. ასეთი მიდგომა სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო რეგულაციებთან და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან.

დასკვნა

ეროვნული თუ საერთაშორისო რეგულაციების მიხედვით, დამსაქმებლებს შეუძლიათ შეაგროვონ პერსონალური მონაცემები მხოლოდ ლეგიტიმური მიზნების არსებობის დროს, თუ დამუშავება მიმდინარეობს სათანადო პირობებში. ამასთან, მიუხედავად დამუშავების სამართლებრივი საფუძვლისა, მნიშვნელოვანია პროპორციულობის ტესტის ჩატარება, რათა დადგინდეს, აუცილებელია თუ არა დამუშავება ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, გადაწონის თუ არა არჩეული საშუალება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას და რა ზომები უნდა იქნას მიღებული დამსაქმებლის მიერ, რათა უზრუნველყოს უფლებების შელახვის რისკების მინიმუმამდე დაყვანა.

სამუშაო სივრცეში ვიდეომონიტორინგის კანონიერებასთან მიმართებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დადგენილი პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სამუშაო ადგილზე დასაქმებულთა მიმართ განხორციელებული ვიდეომონიტორინგი, მიუხედავად იმისა ფარულია იგი თუ არა, აღქმულ უნდა იქნას, როგორც მნიშვნელოვანი ჩარევა დასაქმებულის პირადი ცხოვრების უფლებით დაცულ სფეროში (ECtHR, 2017), რის გამოც აუცილებელია დასაქმებულ პირთა სათანადო ინფორმირება, მონაცემთა უსაფრთხოების სათანადო ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღება, დამუშავების პოლიტიკის დოკუმენტების შედგენა, მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სხვა ზომების მიღება. პერსონალურ მონაცემთა დამუშავება სამუშაო სივრცეში უნდა იყოს პროპორციული პასუხი იმ რისკებზე, რომელთა წინაშეც დგას დამსაქმებელი (Article 29 Data Protection Working Party, 2017).

გამოყენებული ლიტერატურა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური. (2021). „ვიდეოთვალთვალის განხორციელების წესი - რეკომენდაცია“. <https://personaldata.ge/cdn/2021/12/recommendation-video-surveillance.pdf>

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური. (2024). „რეკომენდაციები ვიდეომონიტორინგის და აუდიომონიტორინგის განხორციელების თაობაზე“. <https://pdps.ge/ka/content/984/rekomendaciebi>

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5827307?publication=2>

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური. 2023 წლის საქმიანობის ანგარიში. <https://pdps.ge/ka/content/988/angariSebi?date=&q=2023>

Article 29 Data Protection Working Party. (2017). Opinion 2/2017 on Data Processing at Work. Adopted on 8 June 2017. Retrieved from <https://ec.europa.eu/newsroom/article29/items/610169>

ECtHR. (2017). Antović and Mirković v. Montenegro. (Application No. 70838/13). Retrieved from <http://hudoc.ECtHR.coe.int/fre?i=001-178904>

ECtHR. (2020). Guide to the Case-Law of the European Court of Human Rights – Data Protection. First Edition – 31 December 2020. Retrieved from <https://rm.coe.int/guide-data-protection-eng-1-2789-7576-0899-v-1/1680a20af0>

ECtHR. (2022). Guide to the Case-Law of the of the European Court of Human Rights - Data protection. Updated on 31 August 2022. Retrieved from https://www.ECtHR.coe.int/Documents/Guide_Data_protection_ENG.pdf

European Data Protection Board (2020). Guidelines 3/2019 on Processing of Personal Data Through Video Devices. Version 2.0. Adopted on 29 January 2020. Retrieved from https://www.edpb.europa.eu/sites/default/files/files/file1/edpb_guidelines_201903_video_devices_en_0.pdf

ECtHR. (2010). Köpke v. Germany. (Application No. 420/07). Retrieved from <https://hudoc.ECtHR.coe.int/eng?i=001-101536>

ECtHR. (2019). López Ribalda and Others v. Spain. (Application No. 1874/13 and No. 8567/13). Retrieved from <https://hudoc.ECtHR.coe.int/fre#%7B%22itemid%22:%5B%22001-197098%22%5D%7>

ოპტიმალური ტერიტორიული მოწყობის ფორმა საქართველოსთვის

მარიამ ბერაძე, მარიამი დაუთაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით: „საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა გადაისინჯება საქართველოს კონსტიტუციური კანონით, უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ“.

მონტევიდეოს 1933 წლის კონვენციის მიხედვით სახელმწიფო ოთხი თვისებით უნდა ხასიათდებოდეს, რომელთაგან ერთ-ერთი განსაზღვრული ტერიტორია და მისი მოწყობის ფორმაა. აღნიშნული გულისხმობს სახელმწიფო ტერიტორიის ვერტიკალურ მოწყობას, რაც ნიშნავს იმ სივრცის ერთობლიობას, რომელზეც ვრცელდება მისი სუვერენიტეტი.

თითოეულ სახელმწიფოში ტერიტორიული მოწყობის ფორმა ინდივიდუალურად განისაზღვრება და ის მოწესრიგებულია ამავე სახელმწიფოთა კონსტიტუციებში. აღნიშნულით წარმოჩენილია სახელმწიფოებრივი საზღვრები, ქვეყნის შემადგენელი ნაწილები, სადაც ვრცელდება ხელისუფლების მოქმედების გეოგრაფიული არეალი.

საზოგადოდ ტერიტორიული მოწყობის რამდენიმე ფორმაა აღიარებული: ფედერალური, უნიტარული, რეგიონული. თითოეულს კი თავისი დამახასიათებელი დეფინიცია აქვს.

ფედერალური ტერიტორიული მოწყობის ფორმა გულისხმობს სახელმწიფოს შემადგენლობაში სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს და ერთიან სახელმწიფოში გაერთიანებას.

უნიტარული ტერიტორიული მოწყობის ფორმა შედარებით მარტივია. ასეთი მოწყობისას სახელმწიფოს ტერიტორია იყოფა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობა.

რაც შეეხება რეგიონულს, ამ შემთხვევაში სახელმწიფოს ყველა რეგიონს ტერიტორიული ავტონომიის სტატუსი აქვს მინიჭებული. ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშნით რეგიონული ტერიტორიის მოწყობის ფორმა უნიტარიზმსა და ფედერალიზმს ჰგავს, თუმცა მისი არსებობა სრულიად დამოუკიდებელია.

საქართველოს ტერიტორიული მოწყობის ფორმა ყოველთვის განხილვის საგანი იყო, თუმცა გარკვეულ მიზეზთა გამო დღემდე დაუდგენელია, ვინაიდან კანონმდებელი მის განსაზღვრავს უკავშირებს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. ისტორიიდან

გამომდინარე ყველასათვის თვალნათელი ხდება, რომ საქართველოს გარკვეული ტერიტორია ოკუპირებულია, შესაბამისად სწორედ ამ ერთეულებზე საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება. უამრავი მოსაზრება არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი ფორმა იქნება საქართველოსთვის ყველაზე ხელსაყრელი და გამოყენებაუნარიანი. გარკვეული ნაწილი თვლის, რომ ფედერაცია მცირე ტერიტორიიდან გამომდინარე სახიფათოა, ნაწილი კი უნიტარიზმის წინააღმდეგია, ზოგი კი რეგიონულს აკრიტიკებს. ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედაც, რომ ამ პრობლემური ხასიათის წარმოჩენაა.

გარდახსენებულისა, ნაშრომში განხილული იქნება თითოეული ტერიტორიული მოწყობის ფორმა, მათი არსი და მახასიათებლები, დადებითი თუ უარყოფითი მხარეები, რომლებიც მორგებული იქნება საქართველოს რეალობასთან და წარმოჩენილი ავტორისეული ხედვით, თვალნათელი გახდება თუ რომელი არის საქართველოსთვის ოპტიმალური საშუალება.

საკვანძო სიტყვები: ტერიტორიული მოწყობის ფორმა, კერტიკალური მოწყობა, ფედერალიზმი, უნიტარიზმი, რეგიონალიზმი, ტერიტორიული ერთეულები.

Abstract

According to Article 7, Part 4 of the Constitution of Georgia: "The territorial state arrangement of Georgia will be revised by the constitutional law of Georgia, based on the principle of separation of powers, after the full restoration of Georgian jurisdiction over the entire territory of the country."

According to the Montevideo Convention of 1933, the state should be characterized by four features, one of which is the territory and the form of its organization. It refers to the vertical arrangement of the state territory, which means the totality of the space over which its sovereignty extends.

The form of territorial organization in each state is determined individually, and it is regulated in the constitutions of the same states. This shows the state borders, constituent parts of the country, where the geographical area of the government's activity extends.

In general, several forms of territorial organization are recognized: federal, unitary, and regional. Each one has its own characteristic definition.

The form of federal territorial arrangement implies state formations within the state and unification in one state.

The form of unitary territorial arrangement is relatively simple. In such an arrangement, the territory of the state is divided into administrative-territorial units, within which local self-government is carried out.

As for regional, in this case, all regions of the state have been granted the status of territorial autonomy. The form of organization of the regional territory is similar to unitarism and federalism in certain features, although its existence is completely independent.

The form of territorial organization in Georgia has always been a subject of discussion. However, due to certain reasons, it has not been determined until now, since the legislator determines it and connects it with the restoration of the country's territorial integrity. Based on history, it becomes clear to everyone that certain territories of Georgia is occupied; Therefore, Georgia's jurisdiction does not extend to these units. There are many opinions regarding which form will be the most convenient and usable for Georgia. Some believe that the federation is dangerous due to its small territory, some are against unitarism, and others criticize regionalism. One of the main goals of the work is to present this problematic nature.

In addition to the above mentioned, the paper will discuss the form of each territorial arrangement, their essence and characteristics, advantages and disadvantages, which will be adapted to the reality of Georgia and presented by the author's vision, it will become clear which is the optimal way for Georgia.

Key words: form of territorial arrangement, vertical arrangement, federalism, unitarism, regionalism, territorial units.

შესავალი

სახელმწიფო ხელისუფლების დაბალანსებისა და სწორი ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია სწორი ტერიტორიული მოწყობის ფორმის განსაზღვრა, რომელიც რეგულირებულია კონსტიტუციებით. ხსენებული ხელისუფლების ვერტიკალურ სტრუქტურას გადმოსცემს (გონაშვილი ვასილი და სხვანი., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, 2016, გვ.149.).

ტერიტორიული მოწყობის ფორმის განსაზღვრა სახელმწიფოთა ფუნქციონირებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმაპირობებელია, ვინაიდან სწორედ აღნიშნულზეა დამოკიდებული სახელმწიფოს მართვის სადავეები. მაშინ, როდესაც სახელმწიფოში ტერიტორიული მოწყობის ფორმა არ არის განსაზღვრული, წარმოშობილია უამრავი პრობლემა, რომელთა გადაწყვეტაც საკმაოდ რთულ პირობებთანაა დაკავშირებული.

ტერიტორიული მოწყობის ფორმა მმართველობის ფორმასთან ერთად განსაზღვრავს ძალაუფლების დეცენტრალიზაციის ხარისხს, რომელიც გულისხმობს ცალკეული ტერიტორიული ერთეულებისთვის მინიჭებულ უფლებას, თავად განსაზღვრონ საკუთარი საქმიანობა. მათი უფლებამოსილება დამოკიდებულია სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ფორმაზე, რომელიც არსებობს სამი ფორმის: ფედერაციული, უნიტარული, რეგიონული.

ფედერაციული მოწყობა, რომელიც ყველაზე დემოკრატიულ ფორმადაა მიჩნეული, გულისხმობს სახელმწიფოს ტერიტორიაზე სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს (გეგენავა გ., და სხვანი., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი., (მეოთხე გამოცემა), 2016, გვ.122.). ფედერაციულად მოწყობილი სახელმწიფო - ეს ისეთი სახელმწიფოს მოწყობაა, როდესაც მმართველობითი ფუნქციები განაწილებულია ცენტრალურ, ფედერალურ ხელისუფლებასა და ფედერაციის რეგიონალურ სუბიექტებს შორის (ლორთქიფანიძე ვ.,

ქვეყნის ფედერაციული მოწყობა, 1999, გვ.9.). ამ დროს ტერიტორიულ ერთეულებს გააჩნიათ ავტონომია, აქვთ საკუთარი კონსტიტუცია, კანონმდებლობა, მართლმსაჯულება და სხვ.

უნიტარული ტერიტორიული მოწყობა, საკმაოდ მარტივ ფორმადაა მიჩნეული, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო ტერიტორიული ერთეულებზე ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმირებას. ქვეყნის შემადგენელი ნაწილები წარმოადგენენ ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების რეგიონალურ ქვეგანაყოფებს.

რეგიონული მოწყობა თავისი არსით და ძალის განსაღვრის მიხედვით წააგავს უნიტარულსა და ფედერაციულ ფორმებს, თუმცა მათგან მაინც განსხვავებულია. ამ დროს მოქმედებს დეცენტრალიზაციის მაღალი ხარისხი და ქვეყნის ყველა რეგიონს ტერიტორიული ავტონომიის სტატუსი აქვს მინიჭებული.

კანონმდებელი საქართველოს ტერიტორიული მოწყობის ფორმის განსაზღვრას უკავშირებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. საინტერესოა თუ რომელი მათგანი იქნება საქართველოსთვის ყველაზე ხელსაყრელი. შესამისად, ნაშრომის შემდეგ ეტაპზე დეტალურად იქნება განხილული თითოეული ტერიტორიული მოწყობის ფორმის რეგულირება საქართველოში, თითოეულ საკითხთან დაკავშირებით კი წარმოდგენილი იქნება ავტორისეული ხედვები და დამოკიდებულებები. ლოგიკურია, რომ თითოეულ ტერიტორიული მოწყობის ფორმას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს, შესაბამისად საქართველოს ჭრილში აღნიშნულიც განხილული იქნება.

ტერიტორიული მოწყობის ფორმის განსაზღვრის საწყისები საქართველოში

საქართველოში ტერიტორიული მოწყობის ფორმის დადგენის საკითხი ყოველთვის სადავო იყო. საკითხი კი განსაკუთრებით გამწვავდა 1991 წელს, როდესაც საქართველო საბჭოური ოკუპაციისგან გათავისუფლდა. მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორიული მოწყობის ფორმის განსაზღვრის საკითხი ძველთაგანვე კონსტიტუციით იყო რეგულირებული, იურისპრუდენციაში აზრთა სხვადასხვაობა ისევ აქტუალურია. ეს კი ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია იურისდიქციის მოქმედების არეალის გაურკვევლობით.

1995 წლის კონსტიტუციის მიხედვითაც კი ტერიტორიული მოწყობის საკითხი ღიად იყო დატოვებული. თუმცა სახელმწიფოს ტერიტორია განისაზღვრა 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. პირველ რედაქციაში გადმოცემული იყო, რომ სახელმწიფოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდგომ განისაზღვრებოდა. საინტერესოა, რატომ იქნა ტერიტორიული მოწყობის საკითხი ღიად დატოვებული კანონმდებლის მიერ. იმდროინდელი საქართველოს მდგომარეობის გათვალისწინებით, ხელისუფლებაც უფრო თავისუფალი იქნებოდა, სოხუმისა და ცხინვალის სეპარატისტულ რეჟიმთან მოლაპარაკების გზით შემდგომში განესაზღვრა ამ რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (ზეგარდელი ბ., საქართველოს კონსტიტუციური ცვლილებები ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსის,

უფლებამოსილებათა გამიჯვნისა და ტერიტორიული მოწყობის საკითხების განსაზღვრა-გადაწყვეტილების მცდელობის თვალსაზრისით. „სამართლის ჟურნალი“, N2, 2021, გვ.40.). სიტყვები „საქართველოს შემადგენლობაში“ გულისხმობს, რომ ამ ტერიტორიულ ერთეულებზეც უნდა გავრცელებულიყო სახელმწიფოს იურისდიქცია.

თუმცა საკითხის გადაწყვეტა მეტად რთული იყო ომიანობისა და საქართველოს დამარცხების გამო. მას შემდეგ, რაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი დაიშალა, საქართველომ მიიღო სუვერენიტეტი. სწორედ აქედან იწყება კონფლიქტი აფხაზეთსა და საქართველოს შორის, ვინაიდან სეპარატისტების აზრით თუ საქართველოს სრული უფლება ჰქონდა საბჭოური იმპერიისგან გამოყოფის, აფხაზეთს, „მცირე იმპერიას“, რატომ არ შეიძლება ჰქონოდა იგივე უფლება? თუმცა საქართველო 20-იან წლებში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში თავის ავტონომიური რესპუბლიკებიანად და ოლქიანად შევიდა, რაც ასახულ იქნა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაშიც. აქედან გამომდინარე ამავე კონსტიტუციით საქართველოს იმპერიიდან გასვლის უფლება ჰქონდა, როგორც სუვერენულ რესპუბლიკას და აფხაზეთს ან სხვა ავტონომიურ რესპუბლიკებს გასვლის უფლება არასდროს ჰქონიათ. მაგრამ იმავე პერიოდში ბევრმა ავტონომიურმა წარმონაქმნმა გამოაცხადა თავი ავტონომიურ რესპუბლიკად და განაცხადა უარი ფედერალურ ბიუჯეტში გადასახედების შეტანაზე, ამავდროულად გამოაცხადა საკუთარი კანონების უზენაესობა რუსეთის ფედერაციის კანონებზე და გააკეთა დეკლარირება ფედერაციიდან ნებისმიერ დროს გასვლის უფლების შესახებ, რაც მაგალითი გახდა აფხაზეთისთვისაც (ლორთქიფანიძე ვ., ქვეყნის ფედერაციული მოწყობა, 1999, გვ.67.). აფხაზეთსაც მსგავსი ქმედება, რომ განეხორციელებინა, თავიანთ კანონმდებლობაში ჩაეწერათ მათ ტერიტორიაზე სუვერენიტეტის არსებობის შესახებ და დაეყენებინათ საქართველოს კანონმდებლობაზე ზემდგომად, სიტუაცია მეტად გაუარესდებოდა.

ავტორისეული ხედვით, სწორედ ამ ვითარებამ გამოიწვია საკითხის ღიად დატოვება, ვინაიდან ერთი მხრივ, კანონმდებელი კონსტიტუციაში ვერ გაწერდა, რომ აფხაზეთში იურისდიქცია ვრცელდებოდა, რადგან საქართველოს ეს ტერიტორია დაკარგული ჰქონდა, და მეორე მხრივ, ვერ გაწერდა, რომ იურისდიქცია არ ვრცელდებოდა, ვინაიდან ამით გამოჩნდებოდა, რომ თითქოსდა კანონმდებელი უშვებდა აფხაზეთის ტერიტორიის სრულად დაკარგვას.

გარდა ამისა, სახელმწიფოში სიტუაცია პოლიტიკურად თუ ეკონომიკურად არეული იყო, ვინაიდან ომის პარალელურად მიმდინარეობდა სამოქალაქო ომი. გაურკვეველი გახლდათ ქვეყნის მართვის საკითხი, რის გამოც მოლაპარაკებების წარმოება და საკითხის გადაწყვეტა ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით გაჭირდებოდა. სწორედ ამითაა შესაძლებელი ავხსნათ ტერიტორიული მოწყობის ფორმის განუსაზღვრელობის საკითხი.

რაც შეეხება თანამედროვეობაში არსებულ პრობლემას, საკითხი ისევ ბუნდოვანია. მიუხედავად იმისა, რომ დიდი დროა გასული ხსენებულიდან, საქართველომ სრულიად მოიპოვა სუვერენიტეტი და მკაფიოდ განისაზღვრა საზღვრები, ტერიტორიული მოწყობის

ფორმა კონსტიტუციით მაინც არ გვაქვს დადგენილი. მე-20 საუკუნის პრობლემა გახლდათ თავად აფხაზების დამოკიდებულება დამოუკიდებელ ავტონომიურ რესპუბლიკად ჩამოყალიბებისა, ხოლო თანამედროვე - მათი ტერიტორიის ოკუპაცია.

2017-18 წლის საკონსტიტუციო ცვლილება ტერიტორიულ მოწყობასთან დაკავშირებით

2017-18 წლების საკონსტიტუციო ცვლილებებით კონსტიტუციაში ტერიტორიული მოწყობის საკითხი ცალკე, მე-7 მუხლით გამოიყო, რომელშიც ტერიტორიული მოწყობის საკითხზე საუბრობს მესამე პუნქტი. აქვე საყურადღებოა, ხსენებული საკითხის შინაარსობრივი ცვლილება. თუ წინანდელ რედაქციებში ტერიტორიული მოწყობის საკითხი განისაზღვრებოდა კონსტიტუციური კანონით ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ, დღევანდელი რედაქციით განსაზღვრის მაგივრად, სახელმწიფოებრივი მოწყობა გადაისინჯება კონსტიტუციური კანონით ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ საკითხი თითქოსდა გადაისინჯა და ჩამოყალიბდა კონსტიტუციით, თემის პრობლემატიკა აქტუალური რჩება და იურისპრუდენციაში ერთიანი მოსაზრება ოპტიმალურ ტერიტორიულ მოწყობის ფორმასთან დაკავშირებით არ არსებობს.

ამავდროულად, ახლად ჩამოყალიბებული მე-7 მუხლი განიხილავს საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს, აჭარისა და ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებებისა და მათი განხორციელების წესს, ადგილობრივი თვითმმართველობის სტატუსს, რომელთა უფლებამოსილებების გამიჯვნა ეფუძნება სუბსიდიარობის პრინციპს, და ანაკლიაში შექმნილი განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სამართლებრივი რეჟიმი.

თანამედროვე პრობლემატიკა

დეცენტრალიზაცია

ტერიტორიული მოწყობის ფორმის სწორად განსაზღვრისთვის პირველ რიგში უნდა განვიხილოთ რა პრობლემები არსებობს თანამედროვე საქართველოში უფლებამოსილებებთან დაკავშირებით, ვინაიდან ტერიტორიული მოწყობა გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლების ვერტიკალურ დონეზე დანაწილებას.

პირველ რიგში, საყურადღებოა დეცენტრალიზაციის პრობლემა. სტატისტიკების დასკვნებისა და ექსპერტების მოსაზრებათა მიხედვით, საქართველოში დეცენტრალიზაციის ხარისხი საკმაოდ დაბალია. 2010 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, საქართველო ევროპაში იმ ქვეყნების ჯგუფში აღმოჩნდა, სადაც ადგილობრივი ავტონომიის ხარისხი ყველაზე დაბალი იყო. კერძოდ, 39 ქვეყანაში 36-ე ადგილი დაიკავა. ამდენად

დეცენტრალიზაციის პოტენციური სიკეთეები მკვეთრად შესანიშნავი არ იყო (კახიძე ი., დეცენტრალიზაციის დილემა (ძირითადი კონცეფციები, პრაქტიკა და საქართველოს რეალობა), „სამართლის ჟურნალი“, N2., 2018, გვ.134.). აღნიშნულს კი მივყავართ სრულიად ცენტრალიზებულ უნიტარულ ტერიტორიულ მოწყობამდე, რომელიც ნაკლებად დემოკრატიული ფორმაა. თუმცა კონსტიტუციაში და საქართველოს ორგანულ კანონ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებების შემდეგ ხელახლა განისაზღვრა უფლებამოსილებების დელეგირების საკითხი და გააფართოვა ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციები.

დეცენტრალიზაციად ითვლება პროცესი, რა დროსაც პოლიტიკური, ადმინისტრაციული და ფისკალური უფლებამოსილებები დანაწილებულია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების კომპეტენციებში. მმართველობის ფორმა კი განსაზღვრავს დეცენტრალიზაციის ხარისხს. პოლიტიკური დეცენტრალიზაცია გულისხმობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების განსაზღვრას, ფორმირების წესის დადგენას და მათ სათანადო პოლიტიკური უფლებამოსილებებით აღჭურვას. ადმინისტრაციული დეცენტრალიზაცია მოიაზრებს ხელისუფლების დონეებს შორის კომპეტენციების გამიჯვნას, რაც გამოიხატება ცენტრალური ხელისუფლების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობისთვის უფლებამოსილებების გადაცემას. ეს გულისხმობს ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ რეგიონული მნიშვნელობის მქონე საკითხების ინდივიდუალურად და დამოუკიდებლად გადაწყვეტის შესაძლებლობას. ფისკალური დეცენტრალიზაცია გულისხმობს თვითმმართველი ერთეულების ხარჯების დაგეგმვაში დამოუკიდებლობას და შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფას, ასევე შემოსავლების აკუმულირებას (პოლიტიკური ძალაუფლების დეცენტრალიზაცია: <https://gnomonwise.org/ge/publications/policy-papers/124>).

საქართველოში, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, დეცენტრალიზაციის პროცესი განხორციელებული ცვლილებებით პრაქტიკაში აისახა, მაგრამ ტერიტორიული მოწყობის ფორმისლიადდატოვებისსაკითხიმაინცბუნდოვნადტოვებსცენტრალურხელისუფლებასა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის სამართლებრივ ურთიერთობას.

კონსტიტუციური კანონი

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებები და მათი განხორციელების წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონებით, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია.“ (საქართველოს კონსტიტუცია, მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს პარლამენტის უწყებები, N786, 24/08/1995, 31-33.).

ერთი შეხედვით, ხსენებული საკითხი პრობლემას არ წარმოადგენს, თუმცა კანონმდებლობაში მკაფიოდ ვხვდებით საკითხს, რომლის გადაჭრაც გართულებულია. საქართველოს კონსტიტუციასთან ერთად კანონმდებელს განხილული აქვს საქართველოს

კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“, რომელშიც მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციის დანაწესები. თუმცა სახელმწიფოში არ არსებობს კონსტიტუციური კანონი, რომელიც დაარეგულირებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსს. ავტონომიური რესპუბლიკის მამოძრავებელი ძალა კი აფხაზეთის კონსტიტუციისა და საქართველოს კონსტიტუციის თანხვედრაა. ხსენებული გამოწვეულია აფხაზეთის ტერიტორიის ოკუპაციით, რომელიც აქტიური პრობლემაა 2008 წლიდან.

მნიშვნელოვანია საკითხი განხილულ და დაკავშირებული იყოს ტერიტორიული მოწყობის ფორმებთან. სახელმწიფოში ნათლად რომ იყოს საკითხი გადაწყვეტილი და ღიად არ იყოს დატოვებული, კონსტიტუციურ კანონებთან დაკავშირებით მსგავსი პრობლემა არ შეიქმნებოდა, ვინაიდან კონსტიტუციით უშუალოდ გაწერილი იქნებოდა იურისდიქციის ფარგლები და საზღვრები.

ორპალატიანობა

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი. რესპუბლიკის საბჭო შედგება პროპორციული წესით არჩეული წევრებისგან. სენატი შედგება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული წევრებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისაგან (იქვე, 37-ე მუხლის 1-ელი ნაწილი.).

ორპალატიანი პარლამენტის საკითხი ყოველთვის განხილვის საგანი იყო საქართველოს ისტორიაში. თითოეული საკონსტიტუციო ცვლილების დროს დღის წესრიგში იდგა ბიკამერალიზმის ჩამოყალიბება, თუმცა ეს საკითხი ყოველთვის ღიად იყო დატოვებული, ისევე როგორც ტერიტორიული მოწყობის ფორმა. მიუხედავად იმისა, რომ ბიკამერალიზმს ჰყავს უამრავი მომხრე და მოწინააღმდეგე, ავტორისეული ხედვით ის ერთ-ერთი დადებითი ნაწილი შეიძლება იყოს საქართველოსთვის. თუმცა, ამისთვის აუცილებელია მისი ფუნქციონირების საკითხი სწორად და ზუსტად იყოს ჩამოყალიბებული.

ერთ-ერთი დადებითი მხარე ორპალატიანი პარლამენტისა, კონტროლის უფრო მაღალი ხარისხია, რომლითაც შესაძლებელი გახდება პარლამენტის უფლებამოსილებების უკეთ შესრულებისა და თუნდაც საკანონმდებლო სისტემის მყარად ჩამოყალიბებისა.

თუმცა ბიკამერალიზმის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მთავარი ხელშემშლელი ტერიტორიული მოწყობის ფორმის განუსაზღვრელობაა. მარტივ, საქართველოს მსგავს პატარა სახელმწიფოში, რომელშიც ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა გადასაწყვეტია, ორპალატიანობის დატვირთვა შემცირებულია (გონაშვილი ვ. და სხვანი., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი., 2020, გვ.205.). ასეთი მოსაზრება აქვთ ერთპალატიანობის მომხრეებს და შესაბამისად ნათლადაცაა ნაჩვენები, რომ სწორედ ესაა

დამაბრკოლებელი ბიკამერალიზმისა.

ბიკამერალიზმის მოქმედება, ისეთ პატარა სახელმწიფოში, როგორცაა საქართველო, რთული იქნება, თუმცა მისი დადებითი ფაქტორებიდან გამომდინარე, ხსენებული პრობლემაც დაძლეული იქნება. მთავარი რაც მისი ჩამოყალიბებისთვისაა საჭირო, ტერიტორიული მოწყობის ფორმის განსაზღვრაა.

აქედან გამომდინარე, ძლიერი და დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთვის ორპალატიანი პარლამენტი საუკეთესო გზაა, რისთვის უნდა გადაწყდეს ის მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ნაშრომში დეტალურადაა განხილული.

ოპტიმალური გადაწყვეტილება

ფედერალიზმი

საზოგადოდ, ფედერალიზმი ერთ-ერთ ყველაზე დემოკრატიულ ფორმადაა განხილული, რის გამოც შესაძლებელია მსჯელობა იმის თაობაზე, იქნება თუ არა ის საუკეთესო ვარიანტი საქართველოს განვითარებისთვის. ერთი შეხედვით დემოკრატიულ ფორმას უამრავი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს, რომელთა გათვალისწინებაც პრიორიტეტულია.

ფედერაციული მოწყობა გულისხმობს სახელმწიფოს ტერიტორიაზე სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს, რომელიც შედეგიანად ფუნქციონირებს ისეთ ძლიერ სახელმწიფოებში, როგორცაა მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები. ერთი მხრივ, ფედერალიზმის სახელმწიფოს შიგნით განხორციელებული ქმედებების კონტროლი უფრო მეტად იოლი ხდება, რაც ხელს უწყობს სახელმწიფოს მართვის უკეთ წარმართვას. ლოგიკურია, 333.3 მილიონიან მოსახლეობის კონტროლი ფედერალიზმით უფრო მარტივი იქნება, ვიდრე უნიტარიზმით. თავისთავად შესაძლებელია უნიტარიზმი ისეთ ფართობითა და მოსახლეობით დიდ სახელმწიფოებში გამოიყენებოდეს, როგორც ამერიკის შეერთებული შტატებია, მაგრამ სახელმწიფოს სწორი ფუნქციონირებისათვის ფედერაცია ერთ-ერთი საუკეთესო გზაა.

ფედერალიზმი - ესაა საშუალება, რომლითაც შესაძლებელია განსხვავებული ინტერესის, რელიგიის, შეხედულებების ადამიანთა ერთად თანაცხოვრება. საზოგადოდ ეთნიკური უმცირესობების გამო დავა ყოველთვის აქტუალური საკითხია და ყოველთვის დიდ პრობლემას წარმოადგენდა. ფედერალური სახელმწიფოები კი განსაზღვრული ტერიტორიული მოწყობის ფორმით ცდილობენ წარმოშობილი საფრთხე მაქსიმალურად აღმოფხვრან, რაც სოციალური სახელმწიფოს პრინციპსაც მიეწერება.

ფედერალური მოდელი გამორიცხავს უფლებამოსილებათა თავმოყრას ერთ რომელიმე ცენტრში. იგი ფედერაციის სუბიექტებს უტოვებს დამოუკიდებელი მოქმედების ფართო შესაძლებლობებს, მათი ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებით კონფლიქტურ სიტუაციას რამდენადმე ანეიტრალებს, ამასთან, აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ეს გზა

გამორიცხავს კონფლიქტების ძალადობით ჩახშობის შესაძლებლობას და იმავდროულად იცავს სახელმწიფოს ერთიანობას (ხუბუა გ., ფედერალიზმი, როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი, 2000, გვ.156.).

გარდა დაკვებისა, მნიშვნელოვანია განხილულ იქნეს ეთნიკურ უმცირესობათა კულტურა, წეს-ჩვეულებები, რელიგია და სხვ. როგორც ცნობილია, საქართველოში მრავლადაა ეთნიკური უმცირესობა, შესაბამისად მართებული იქნებოდა მათი ინტერესების გათვალისწინებაც და ამის გამო ფედერალიზმის ჩამოყალიბება, რათა ქვეყნის შიგნით დაცული ყოფილიყო, როგორც საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დაცვა და ინტერესების გათვალისწინება, ისე ეთნიკურ უმცირესობათა.

მსგავსი პრობლემების გადაჭრის მიზნით უამრავმა სახელმწიფომ არჩია ტერიტორიული მოწყობის ფორმად ფედერალიზმი და მათ შორის ერთ-ერთი ბოსნია და ჰერცეგოვინა იყო. 1991-1992 წლებში იუგოსლავიის დაშლას მოჰყვა 5 ახალი სახელმწიფოს შექმნა: სლოვენია, ხორვატია, მაკედონია, ბოსნია და ჰერცეგოვინა და იუგოსლავიის ფედერაციული სახელმწიფო. სახელმწიფოში წარმოშობილი კონფლიქტების აღმოსაფხვრელად ის ჩამოყალიბდა, როგორც ფედერაციული სახელმწიფო. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერთა ნაწილი მას სახელმწიფოთა კავშირად ან კონფედერაციად აღიქვამს, ის მაინც ფედერალურ სახელმწიფოდაა მიჩნეული (მარგიშვილი ლ., სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაცია - კონფლიქტების დაძლევის გზა თუ ეროვნული თვითგარმოკვევის ფორმა, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2016, 216-218.).

უნიტარიზმიდან ფედერალიზმზე გადასვლის თვალნათელი მაგალითია ბელგია, რაც ასევე გამოწვეულია სახელმწიფოს ტერიტორიაზე წარმოშობილი დაპირისპირების აღმოსაფხვრელად. დაპირისპირება კი გამოწვეული იყო ქვეყანაში მცხოვრებ ორ უძველეს ერს - ვალონებსა და ფლამინდებს - შორის გამწვავებული ეროვნული საკითხები (იქვე, გვ.221.). ასეთი გადაწყვეტილებით კი ბელგიამ შეძლო სახელმწიფოს მულტიეთნიკური და მულტიკულტურული ხასიათიდან გამომდინარე წარმოშობილი პრობლემების განეიტრალება და უკეთესი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება.

ერთი შეხედვით, თითქოს ფედერალიზმის ჩამოყალიბება გავრცელებულ პრობლემებს აღმოფხვრის, თუმცა აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას ხელისუფლებაში დავის წარმოშობა. შესაძლებელია ამ ტერიტორიული მოწყობის ფორმით დავა შეწყდეს საზოგადოებაში, მაგრამ გაუარესდეს ხელისუფლებაში. განსხვავებულ ფედერაციის სუბიექტთა და უამრავი ცენტრის არსებობა აუცილებლად დანერგავს „ბზარს“ სახელმწიფოს განვითარებაში. მსგავსი დავა წარმოიშვა საქართველოში ჯერ კიდევ 1992 წელს, როცა აფხაზეთმა მოითხოვა რუსეთის შემადგენლობაში შესვლა. ზემოთ ხსენებული პრაქტიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია ეს კონფლიქტი ფედერალური სახელმწიფოს ჩასახვის საწინდარი ყოფილიყო. გამოვიდოდა ისე, რომ აფხაზეთის ტერიტორია შენარჩუნდებოდა, თუმცა დაპირისპირება ჩახშობილ იქნებოდა. საზოგადოდ, ხელისუფლებაში დავა გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე საზოგადოებაში, რადგან

აღნიშნული უფრო მეტად უთხრის ძირს საქართველოს მომავალს. საკითხის გადაწყვეტა და არსებული პრობლემის გადაჭრა ცხადია გართულებული იქნება. ამას ემატება ისტორიული წარსულიც, რომლის მიხედვითაც, საქართველოში ფედერალური ტერიტორიული მოწყობის ფორმის განსაზღვრა დაკავშირებულია სეპარატიზმის გაღვივების რისკებთან. გარდა ამისა, ამ ეტაპისთვის აფხაზეთში იურისდიქციის აღდგენის შემთხვევაში, ფედერალიზმად ჩამოყალიბება მაინც გაჭირდება, ვინაიდან აღნიშნული უამრავ რესურსსა და ძალისხმევასთანაა დაკავშირებული. შესაბამისად გამოდის, რომ ფედერალიზმი საქართველოს განვითარებისთვის და წინსვლისთვის ხელსაყრელი არ იქნება.

უნიტარიზმი

„უნიტარიზმი“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ერთობას. ამ ტიპის ტერიტორიული მოწყობისას სახელმწიფოს მართავს ცენტრალური ხელისუფლება, ხოლო ტერიტორია დაყოფილია ადმინისტრაციულ ერთეულებად. უნიტარიზმისთვის დამახასიათებელია ერთიანი კანონმდებლობისა და კონსტიტუციის მოქმედება, ერთიანი მოქალაქეობა, ერთიანი სახელმწიფო სისტემა, ერთიანი მართმსაჯულება. იმის მიხედვით, თუ რა მოცულობის უფლებამოსილებები აქვთ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებს გამოყოფენ სამი სახის უნიტარულ სახელმწიფოს: სრულიად ცენტრალიზებული, შედარებით დეცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული.

სრულიად ცენტრალიზებული ტერიტორიული მოწყობის შემთხვევაში ტერიტორიულ ერთეულს მართავს ცენტრიდან დანიშნული მოხელე, ხოლო არჩევითი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო არ არსებობს.

შედარებითი დეცენტრალიზებულის დროს ტერიტორიულ ერთეულს, როგორც ცენტრალური ადმინისტრაციული ერთეულისგან დანიშნული მოხელე, ისე ხალხის მიერ არჩეული მუნიციპალური ორგანოები მართავენ. აღნიშნული მოდელი დემოკრატიულად მაინც არ განიხილება, ვინაიდან ხალხის მიერ არჩეულ და ცენტრალური ხელისუფლების მიერ დანიშნული მოხელეების უფლებამოსილებებს შორის დისბალანსი ფიგურირებს. მაგალითისთვის განვიხილოთ საფრანგეთი, სადაც არსებობს უშუალოდ მოსახლეობის მიერ არჩეული მუნიციპალური ორგანოები - დეპარტამენტის საბჭოები. თუმცა მათი კომპეტენცია საგრძნობლად შეზღუდულია და სამთავრობო ემისრები სარგებლობენ როგორც ადმინისტრაციული უფლებამოსილებებით, ისე მუნიციპალური საქმიანობით.

ამ პრაქტიკას უკავშირდება საქართველოში არსებული რწმუნებულის ინსტიტუტი. სახელმწიფო რწმუნებული არის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საქართველოსადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ტერიტორიაზე მთავრობის წარმომადგენელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მთავრობა (საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, 271, მე-2 ნაწილი, სსმ, 3, 13/02/2004.). რწმუნებულები მთავრობის

დავალების შემთხვევაში კოორდინაციას უწევს სამინისტროების ტერიტორიულ ორგანოთა საქმიანობას და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმების განხორციელებას. ანუ ცენტრალური ხელისუფლების ნებართვით მათ აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში.

მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური ხელისუფლების მიერ დანიშნული მოხელეების არსებობისას განიხილება სახელმწიფოში შედარებით დეცენტრალიზებული ფორმის არსებობა, სხვანაირი პრაქტიკა ვრცელდება საქართველოში. როგორც უკვე ითქვა, შედარებით დეცენტრალიზებული ფორმისას სახელმწიფოს მოხელეებს აქვთ უფლება ჩაერიონ ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობაში. ხოლო საქართველოში რწმუნებულები მხოლოდ ორგანიზებას უწვენ თვითმმართველობის მიერ მიღებული რეფორმების განხორციელებას. შესაბამისად, თვითმმართველობასა და მთავრობას შორის დაჭერილია ოქროს შუალედი და ერთმანეთის კომპეტენციებში უხეშად არ ერევიან.

რაც შეეხება დეცენტრალიზებულს, ამ დროს ცენტრის როლი ტერიტორიული ერთეულის მართვის პროცესში მინიმალურია და შემოიფარდგლება თითქმის მხოლოდ ფინანსების განსაზღვრით, ხოლო მართვა ადგილობრივი ხელისუფლების არჩევითი ორგანოს ხელშია. დღესდღეობით საქართველოს ტერიტორია დაყოფილია მუნიციპალიტეტებად, სადაც ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობა.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში ჭარბობს ეთნიკური უმცირესობათა საზოგადოებრივი ჯგუფები, ტერიტორიულ ერთეულებში წარმოიქმნება მეტი პრობლემა მათი ცხოვრების პირობებსა და უფლებებთან დაკავშირებით. კონკრეტულ ტერიტორიულ ერთეულში ხსენებული საკითხი მათი წარმომადგენლობითი ორგანოს გადასაწყვეტია, ვინაიდან წარმომადგენელს უფრო მეტი ინფორმაცია აქვს იმასთან დაკავშირებით თუ როგორი სახის პრობლემებია იმ ტერიტორიულ ერთეულში.

ავტორისეული ხედვით, საქართველოს კულტურული სიჭრელიდან და ტრადიციებიდან გამომდინარე ოპტიმალურია დეცენტრალიზებული უნიტარიზმი, ვინაიდან ადგილობრივი მოსახლეობის რიგებიდან არჩეული ადამიანების მიერ დაკომპლექტებული არჩევითი ორგანო მარტივად გადაჭრის მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებს.

არ არის გასაზიარებელი მოსაზრება, რომ საქართველის ტერიტორიის სიმცირის გამო, არ არსებობს საჭიროება ადგილობრივი არჩევითი ორგანოს არსებობისა, რადგან ხსენებული გამორიცხავს ხალხის ინტერესების მაქსიმალურ გათვალისწინებას. რაც უფრო დელეგირებულია უფლებამოსილებები, მით უფრო პროდუქტიული ხდება სახელმწიფო ორგანოების მუშაობა და შესაბამისად გათვალისწინებულია ხალხის ინტერესები.

უნიტარიზმის ერთ-ერთი დადებითი მხარეა გადაწყვეტილების მიღების სიმარტივე. ფედერალიზმისგან განსხვავებით, როგორც წესი, ცენტრალურ ხელისუფლებას ტერიტორიულ ერთეულებთან არ უწევთ საკითხების განხილვა და გადაწყვეტილების

მიღება.

უნიტარული სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი რისკი ძალაუფლების უზურპაციაა, რომელიც მეტად მარტივია ცენტრალიზებული უნიტარიზმის პირობებში. დეცენტრალიზებული უნიტარიზმისას ამ რისკებისგან სახელმწიფო დაზღვეულია, ვინაიდან დემოკრატიულ სახელმწიფოში არამარტო სახელმწიფოს წარმომადგენლობით ორგანოს, არამედ ადგილობრივ არჩევით ორგანოსაც ამომრჩევლები აკომპლექტებენ. გარდა ამისა, ფედერალიზმის პირობებში რაიმე კონკრეტული პირობის გადაჭრა უფრო გართულებულია, ვინაიდან განხილვაში უფრო მეტი ადამიანი იღებს მონაწილეობას. შესაბამისად გათვალისწინებულია როგორც უმრავლესობის, ისე უმცირესობის აზრი, რაც ხელს უწყობს დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპის უკეთ განვითარებასა და ჩამოყალიბებას. რაც შეეხება უნიტარიზმს, იქედან გამომდინარე, რომ სახელმწიფო ერთიანია და ხშირ შემთხვევაში არ არსებობს სხვადასხვა ავტონომიური ერთეულები, გადაწყვეტილებები მიიღება მარტივია, თუმცა ეს ეყრდნობა უმრავლესობათა ინტერესების გათვალისწინებას.

ასევე, გამოყოფენ უნიტარიზმის სამ სახეს: მარტივს, რთულსა და უმარტივესს.

მარტივია, როდესაც სახელმწიფო ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებად იყოფა. რთულია, როდესაც სახელმწიფოს შემადგენლობაში არსებობს ავტონომიური ერთეულები. ისინი, განსხვავებით ფედერალური მოწყობის სუბიექტებისგან, პოლიტიკური დამოუკიდებლობით ნაკლებად სარგებლობენ. უმარტივესის დეფინიცია კი ზემოთხსენებულ ჩამონათვალს უკავშირდება. არსებობს ორი სახე: ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული, რომელიც განისაზღვრება უფლებამოსილებათა გადანაწილების ხარისხის მიხედვით.

საქართველოში იურისდიქციის აღდგენის შემდეგ, იარსებებს ორი ავტონომიური ერთეული, აჭარისა და აფხაზეთის, რომელიც მიუთითებს ტერიტორიული მოწყობის რთულ უნიტარულ ფორმაზე. ხოლო რაც შეეხება კომპეტენციების დანაწილებას, იქნება დეცენტრალიზებული, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს რწმუნებულის ინსტიტუტი, ვინაიდან მას რეალურად არ აქვს უფლება ჩაერიოს ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმების მიღებაში.

რეგიონალიზმი

რეგიონალიზმი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს მართვას. ერთი შეხედვით თითქოს რეგიონული ტერიტორიული მოწყობის ფორმა არსითა და ნიშნებით წააგავს როგორც ფედერალიზმს, ისე უნიტარიზმს, მაგრამ საქართველოში დამოუკიდებელი ტერიტორიული მოწყობის ფორმაა, რომელიც შექმნილია უნიტარიზმისა და ფედერალიზმის დადებითი მხარეების შერწყმის საფუძველზე (ცანავა ლ., რეგიონალიზმი, როგორც სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაციის ფორმა, „სამართლის ჟურნალი“ N2., 2012, გვ.34.). ის

მხოლოდ მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფოშია განსაზღვრული, მაგალითად იტალიასა და ესპანეთში. საზოგადოდ, რეგიონალიზმი ემსახურება ქვეყნის დეცენტრალიზაციას, მიუხედავად იმისა, რომ რეგიონი შესაძლოა განმარტებულ იქნეს, როგორც პატარა სახელმწიფო, ის არაა მიმართული სეპარატიზმისაკენ.

რეგიონალური მთავრობის მეთაური აღჭურვილია ორმაგი წარმომადგენლობით, არის სახელმწიფოს წარმომადგენელი რეგიონში, და რეგიონის წარმომადგენელი საერთო-სახელმწიფო დონეზე (იქვე, გვ.36).

ვინაიდან და რადგანაც, რეგიონალიზმი ფედერალიზმისა და უნიტარიზმის შერწყმისგანაა ნაწარმოები, შესაბამისად სახელმწიფოს მართვისა და კომპეტენციების მიხედვით მასაც უამრავი დადებითი და უარყოფითი მხარე აქვს. აღსანიშნავია რეგიონალიზმისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისება: თუ სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობის ფორმად განსაზღვრავს რეგიონალიზმს, არ უნდა არსებობდეს ავტონომიური ერთეულები. რეალურად არ არსებობს პრაქტიკა იმისა, რომ რეგიონული სახელმწიფოები მოიცავდეს ავტონომიურ რესპუბლიკებს, რის გამოც საკითხი ბუნდოვანია. თუმცა თუ რეგიონული მოწყობის სახელმწიფოში ყველა ადმინისტრაციულ ერთეულს ავტონომიის სტატუსი აქვს მინიჭებული, გამოდის, რომ საქართველოში უნდა გაუქმდეს აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები და შეიქმნას ტერიტორიულ-ადმინისტრაციული სტატუსით განსაზღვრული ერთეული. ხსენებული კი თავისთავად დაკავშირებულია დიდ პრობლემასთან და სირთულეებთან. ავტორისეული ხედვით, რომ არა ასეთი დანაწესი საქართველოსთვის იდეალური გამოსავალი იქნებოდა რეგიონული ტერიტორიული მოწყობის ფორმის გამოყენება, თუმცა ვინაიდან საქართველოს ტერიტორიაზე არსებობს როგორც აფხაზეთის, ისე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები, რეგიონალიზმის გამოყენება შეუძლებელი ხდება.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორიული მოწყობის ფორმის განსაზღვრასთან დაკავშირებით არ არსებობს ერთიანი მოსაზრება, ავტორისეული ხედვით, წარმოშობილი მდგომარეობიდან გამომდინარე ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი საქართველოსთვის რთული უნიტარიზმია. როგორც უკვე იქნა ნახსენები, გარკვეულ მიზეზთა გამო შეუძლებელია რეგიონალიზმის გამოყენება. სხვა ტერიტორიული მოწყობის ფორმები კი საქართველოსთვის არც პოლიტიკური და არც ეკონომიკური თვალსაზრისით არ არის ხელსაყრელი.

დავის მიუხედავად, ტერიტორიული მოწყობის ფორმის განსაზღვრის საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია და აუცილებელია დადგეს მისი დროზე ადრე გადაწყვეტის წინადადება. ტერიტორიული მოწყობის ფორმის განუსაზღვრელობა უამრავ პრობლემასა და დავასთან არის დაკავშირებული, რასაც ვხვდებით საერთაშორისო ურთიერთობებისა და სახელმწიფოს შიგნით წარმოებულ ურთიერთობების დროს. ფორმის განსაზღვრით

შესაძლებელი იქნება უფრო მყარი სახელმწიფოს შექმნა, რომელსაც უფრო მარტივად და ძლიერად შეექმნება შესაძლებლობა თავისუფლად აწარმოოს პოლიტიკა. თუ ტერიტორიული მოწყობის ფორმა არ იქნება განსაზღვრული, საკითხი ისევ ბუნდოვანი იქნება და პრობლემები, რომლებიც დღეს არსებობს ამ საკითხთან დაკავშირებით სამარადისოდ დარჩება.

პრობლემის გადაჭრისთვის კი თავისთავად საჭიროა იურისდიქციის აღდგენა და კანონმდებლის მაქსიმალური ჩართულობა პრობლემატიკის აღმოფხვრისთვის. მისი ჩაურევლობის შემთხვევაში კი უფრო გაღვივდება შესაძლო საფრთხეები.

გამოყენებული ლიტერატურა

საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, N786, 24/08/1995, 31-33.

საქართველოს კანონი „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, 271, მე-2 ნაწილი, სსმ, 3, 13/02/2004.

გეგენავა გ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მეოთხე გამოცემა, თბ., 2016.

გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩხილაძე გ., ჭილაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბ., 2016.

გონაშვილი ვ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კახიძე ი., კვერენჩხილაძე გ., ჭილაძე ნ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, თბ., 2020.

ზეგარდელი ბ., საქართველოს კონსტიტუციური ცვლილებები ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსის, უფლებამოსილებათა გამიჯვნისა და ტერიტორიული მოწყობის საკითხების განსაზღვრა-გადაწყვეტილების მცდელობის თვალსაზრისით. „სამართლის ჟურნალი“, N2, 2021.

კახიძე ი., დეცენტრალიზაციის დილემა (ძირითადი კონცეფციები, პრაქტიკა და საქართველოს რეალობა), „სამართლის ჟურნალი“, N2., 2018.

ლორთქიფანიძე ვ., ქვეყნის ფედერაციული მოწყობა, თბ., 1999.

მარგიშვილი ლ., სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაცია - კონფლიქტების დაძლევის გზა თუ ეროვნული თვითგარმოკვევის ფორმა., „სამართლის ჟურნალი“, N1, 2016.

ცანავა ლ., რეგიონალიზმი, როგორც სახელმწიფოს ტერიტორიული ორგანიზაციის ფორმა., „სამართლის ჟურნალი“ N2., 2012.

ხუბუა გ., ფედერალიზმი, როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი, თბ., 2000.

პოლიტიკური ძალაუფლების დეცენტრალიზაცია: <https://gnomonwise.org/ge/publications/policy-papers/124>

ადგილობრივი კულტურის გავლენები და ეკოლოგიური ინოვაციები ნორმან ფოსტერის შემოქმედებაში

ნინო შველიძე, გიორგი ოთიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

აღნიშნულ ნაშრომში განვიხილავთ ცნობილი ბრიტანელი არქიტექტორის ნორმან ფოსტერის შემოქმედების გარკვეულ ნაწილებს. კონკრეტულად, მოხსენებაში შევხებით ფოსტერის ადგილობრივ კულტურასთან შერწყმულ და ეკოლოგიურად მდგრად შენობებს. ისეთ სტრუქტურებსაც, რომლებიც იქნებიან როგორც კონტექსტუალისტური თვალსაზრისით, ასევე, ეკოლოგიური პრინციპების მიხედვით აშენებული.

ნაშრომის შესავალში მიმოვიხილავთ ნორმან ფოსტერის კარიერის დასაწყისს, მისი არქიტექტურული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და გამოწრთობის პროცესს მის შემოქმედებაში. შევხებით ისეთ შენობებს როგორცაა რილაიენს კონტროლს ბილდინგი, აი-ბი-ემის საპილოტე ოფისი, უილის ფებერ დიუმას ოფისი, რენოს და სეინსბერის ცენტრები.

ძირითად ნაწილში განვიხილავთ ადგილობრივი კულტურის გავლენებს ფოსტერის არქიტექტურაში. ვგულისხმობთ გარემოში ჩაწერილ, არაამბიციურ დიზაინს, რომელიც აზრობრივად ან ვიზუალურად შეესაბამება და ერწყმის მიმდებარე ტერიტორიას. მაგალითისათვის: ნიმის მედიათეკა, კრენფილდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, საკლერის ხელოვნების გალერეა, ჯოსლინის ხელოვნების გალერეა და ა.შ.

მოხსენებაში ასევე განვიხილავთ ფოსტერის შემოქმედებაში ეკოლოგიურად მდგრადი არქიტექტურის დაწინაურებას - გარემოზე ზიანის შემცირებას, ბუნებრივი რესურსებისა და განახლებადი ენერჯის გონივრულად გამოყენების შემთხვევებს. კონკრეტულად, შევხებით ფოსტერის ეკო-არქიტექტურას, რომლის მიზანია შექმნას და შეიმუშავოს ისეთი დიზაინი რომელსაც ყველაზე ნაკლები უარყოფითი გავლენა ექნება იმ გარემოზე სადაც შენდება (გერკინის კოშკი, ეფლის პარკი, სამხრეთ სანაპიროს კომპლექსი, კოპენჰაგენ თაუერსი, კომკასტის შენობა).

შევეცდებით ფოტომასალის ანალიზისა და ლიტერატურის შესწავლის გზით დავაფიქსიროთ ნორმან ფოსტერის არქიტექტურული შემოქმედების იდეა, რომელიც არა მარტო ისტორიული კონტექსტუალისტური თვალსაზრისით, ასევე ეკოლოგიური არქიტექტურის კუთხითაც პატივს სცემს და ჰარმონიულ სინთეზშია მიმდებარე გარემოსთან.

საკვანძო სიტყვები: ფოსტერი, გარემო, შემოქმედების, არქიტექტურა.

Local Cultural Influences and Ecological Innovations in the Work of Norman Foster

Abstract

In this work, individual parts of the work of the famous British architect Norman Foster will be discussed. Specifically, buildings that are adapted to local culture and environmentally sustainable will be assessed. Structures that complement both principles will also be examined.

In the introduction of the work, the beginning of Norman Foster's career and the process of forming his architectural worldview in his work will be covered. His early works, such as the Reliance Controls Building, IBM pilot office, Willis Faber Dumas office, Renault, and Sainsbury Centers, will be briefly reviewed and discussed.

In the main section, the influences of local culture in Foster's architecture will be addressed. An unambitious design that is conceptually and visually consistent and blends with the surrounding area will be analyzed. Examples include Carré d'Art in Nimes, Cranfield University Library, Sackler art gallery, and Joslyn Art Museum.

The promotion of environmentally sustainable architecture in Foster's work will also be addressed - cases of reducing environmental impact, smart use of natural resources, and renewable energy will be examined. Foster's eco-architecture, aimed at minimizing environmental harm, will be specifically highlighted. Examples such as the Gherkin tower, Apple Park, South Beach Complex, Copenhagen Towers, and Comcast Building will be provided.

Through the analysis of photographs and the study of literature, an attempt will be made to document the idea of Norman Foster's architecture, which respects the environment not only from a historical contextualist point of view but also from the perspective of ecological architecture, and achieves a harmonious synthesis with the surrounding environment.

Key words: Foster, local culture, environmentally sustainable, architectural worldview

შესავალი

თანამედროვე არქიტექტურის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა ბრიტანელი არქიტექტორი - ნორმან ფოსტერი. მოცემული საკონფერენციო მოხსენების მიზანი არაა ნორმანფოსტერისშემოქმედებისდეტალურიანალიზიანმისინაშრომებისქრონოლოგიური განხილვა. კონკრეტულად, მიმოვიხილავთ ნორმან ფოსტერის არქიტექტურას თეხისში ჩამოყალიბებული ორი მნიშვნელოვანი საკითხის ჭრილში. თუმცა, მოკლედ შევხებით ფოსტერის კარიერის დასაწყისსაც, რაც დაგვხმარება სრული სურათის აღქმასა და სწორი დასკვნების გამოტანაში.

ფოსტერმა საწყისი არქიტექტურული განათლება მშობლიურ ინგლისში, მანჩესტერის

უნივერსიტეტში მიიღო. ახალგაზრდა არქიტექტორის ნიჭიერება ნამდვილად შესამჩნევი იყო. მან ჯერ კიდევ 24 წლის ასაკში, 1959 წელს, სამეფო არქიტექტორთა ინსტიტუტის ვერცხლის მედალი მოიპოვა წისქვილის საინტერესო დიზაინისთვის. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად უსახსრობისა, საკუთარი რესურსებითა და სხვადასხვა სამუშაოებზე მუშაობით, ფოსტერი 1961 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, იელის უნივერსიტეტში განაგრძობს სწავლას. იელში კი უმეგობრდება საკუთარ თანატოლს რიჩარდ როჯერსს. ერთნაირი მხატვრულ-ესთეტიკური და არქიტექტურული შეხედულებების გამო, ორ წელიწადში, საკუთარ შეყვარებულებთან ერთად, აფუძნებენ „ოთხთა ჯგუფს“.

მიუხედავად იმისა რომ ფოსტერისა და როჯერსის პარტნიორობას დიდხანს არ გაუძლია, „ოთხთა ჯგუფმა“ მაინც დიდი კვალი დატოვა ორივეს შემოქმედებაში. კონკრეტულად, ვგულისხმობთ რილაიენს კონტროლს ბილდინგის შენობას, რომელიც როჯერსმა და ფოსტერმა ზუსტად ჯგუფის დაშლის წინ დაასრულეს. რილაიენს კონტროლსმა, თავად ფოსტერის სიტყვებით „ტრადიციული არქიტექტურის საზღვრები მოშალა“ (Adey, 2019). ბუნებრივია, საქმიანი ოფისის ფარდულის მსგავს, ერთსართულიან შენობაში განთავსება კონტრასტში შედიოდა ამ ტიპის ნაგებობათა იმ დროისათვის ჩამოყალიბებულ სახესთან. (შავიშვილი, გუჯაბიძე 2006) თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი და ნოვატორული იდეა, რომელიც რილაიენს კონტროლს ბილდინგში გამოჩნდა, იყო არქიტექტურისა და თანამედროვე ტექნოლოგიის შერწყმა. კონკრეტულად, შენობაში ბევრი დეტალი დატვირთულია ორმაგი, თუნდაც სამმაგი ფუნქციით, რამაც ოთხთა ჯგუფს ინტერიერის „გაწმენდის“ საშუალება მისცა და შიდა გარემო მობილური ტიპის გახადა. აღსანიშნავია, რომ შიდა გარემოს კონფიგურაციული ცვლის შესაძლებლობა ძალიან მოსახერხებელი აღმოჩნდა დამკვეთი კომპანიისთვის. ხაზგასასმელია, რომ სწორედ რილაიენს კონტროლსით დაიწყო ჰაი-ტექის ჩამოყალიბება და იმ პოსტულატების გამოძერწვა რომელიც ამ არქიტექტურული ხედვისთვისაა დამახასიათებელი.

1967 წელს ოთხთა ჯგუფი დაიშლება. ნორმან ფოსტერი საკუთარ არქიტექტურულ ფირმას დააფუძნებს და იწყებს ინდივიდუალურად პროექტებზე მუშაობას. ერთ-ერთი პირველი დაკვეთა ფოსტერმა 1971 წელს მიიღო აი ბი ემის კომპანიისგან. კომპანიის სურვილი დროებითი, საპილოტე საოფისე შენობის აშენება იყო. დროის ფაქტორის გამო, ფოსტერმა შექმნა ერთსართულიანი, მარტივი დიზაინის, ლუდვიგ მის ვან დერ როესეული სტილის, მთლიანად შემინული კოლოფი. ინტერიერის სივრცითი გადაწყვეტა მოგვაგონებს კიდევ რილაიენს კონტროლს. ზუსტად ორ წელიწადში, ფოსტერი სადაზღვეო კომპანია უილის ფებერ დიუმასგან იღებს ასევე საოფისე შენობის დაკვეთას. წინა ნამუშევრის სწორი გეომეტრიზმისგან განსხვავებით ფოსტერი ქუჩის უცნაური ფორმის მიხედვით აშენებს საკმაოდ ექსპრესიულ, თავისივე სიტყვებით „ტაფაზე დადებული ბლინის“ მომაგონებელ შენობას, რომლის კედლებზე დაგრეხილად ირეკლება ისტორიული ქალაქის ცენტრის მჭიდრო განაშენიანება. ამავე შენობის სახურავზე ფოსტერი განათავსებს მწვანე სივრცეს, რაც მაშინდელ არქიტექტურაში გაბედული ნაბიჯი იყო. ოფისის სივრცის უფრო მეტი ჰუმანურობისთვის, ფოსტერი ინტერიერში მწვანე და ყვითელ ფერებს იყენებს.

საინტერესოდ რთავს ატრიუმს ოფისის საქმიან სივრცეში და იღებს დამაკმაყოფილებლად კარგ ეფექტს.

ნორმან ფოსტერის ადრეული შემოქმედების ერთ-ერთი უდიდესი მწვერვალია კომპანია რენოს ავტომობილების სადისტრიბუციო ცენტრი. შენობა აკმაყოფილებს ჰაიტექვის აბსოლუტურად ყველა პოსტულატს: გამოყენებულია ლითონი როგორც მიზიდი კონსტრუქციული მასალა, დაცულია გამჭვირვალობა - ყველაფერი რაც იმალებოდა ადრე შენობის შიგნით მოულოდნელად გამოდის გარეთ და თანაც საკმაოდ ესთეტიკურად. ყურადღებამისაქცევია მაშინდელი დროისთვის საკმაოდ ფუტურისტული დიზაინიც. ჰაეროვანი გადახურვის ქვეშ არქიტექტორმა მოაქცია ავტოსადგომები, შოურუმები, ტრენგინგისა და ვორკშოპების ცენტრები და რესტორანიც კი. რენოს ცენტრის მსგავსად, ფოსტერმა სეინსბერიშიც ერთი სახურავის ქვეშ გააერთიანა სამხატვრო გალერეა, სასწავლო და სოციალური სფეროები. შეარჩია ყუთის მსგავსი, ლითონის ფერმაზე აკინძული დიზაინი. ვგულისხმობთ, ასაწყობ მოდულურ სტრუქტურას რომელიც ჩამოყალიბებულია ფოლადის ჩარჩოს გარშემო, და გარედან მოპირკეთებულია ვერცხლისფერი ალუმინისა და მინის პანელებით.

ზემოგანხილულ შენობებში შევეცადეთ დაგვეფიქსირებინა ნორმან ფოსტერის არქიტექტურული ჩამოყალიბებისას წამოწეული იდეები. საგულისხმოა რომ ყველა ამ შენობას რამდენიმე ნიშან-თვისება აერთიანებს: ინტერიერის „გასუფთავება“, მინისა და ფოლადის გამოყენება, ტექნოლოგიისა და არქიტექტურის სინთეზი, სხვადასხვა აქტივობათა ზონების გაერთიანება და გარკვეული ასპექტით მიმდებარე გარემოს პატივისცემა. მოგვიანებით აღნიშნულ შენობებთან გავაკვლებთ პარალელს და დავინმართ სხვა უფრო მასშტაბური პროექტების უკეთ აღსაქმელად.

ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომზე მუშაობის პროცესში შესწავლილ იქნა სხვადასხვა არქიტექტურული ლიტერატურა, სამაგისტრო და სადოქტორო თეზისები, საკონფერენციო ნაშრომები. ძირითად ლიტერატურულ წყაროდ გამოყენებულ იქნა ნიკა შავიშვილისა და მარინა გუჯაბიძის „მსოფლიო არქიტექტურის ისტორია - წიგნი პირველი“. დამატებით წყაროებად ინფორმაცია მოძიებულ იქნა საერთაშორისო არქიტექტურული ჟურნალებიდან: Archdaily, Dezeen, Wikiarquitectura და ა.შ.

მეთოდოლოგია

საკონფერენციო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა ფოტომასალის ანალიზის, დაკვირვების, შედარების და არქიტექტურის მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით კრიტიკული შეფასების მეთოდები.

ნორმან ფოსტერის ჰაი ტექური მხარე

ნორმან ფოსტერი ზემოგანხილული პროექტების დასრულების შემდეგ აქტიურად იწყებს საკუთარ სტრუქტურებში ჰაი-ტექური ხედვების დანერგვას. ყოველივე ამას დეტალურად განვიხილავთ მისი კარიერული პიკის რამდენიმე პროექტში. ამ განხილვის ძირითადი აზრი ჰაი-ტექური ხედვის ფოსტერის შენობებში გამოვლინების დაფიქსირება და ამაზე დაყრდნობით შემდგომ არქიტექტურულ მოღვაწეობაში ჰაი-ტექის ელემენტების შემჩნევაა. უნდა აღინიშნოს ფოსტერის მეგაპროექტები, რომლებიც ჰაი-ტექის პრინციპებს ემყარება (გამოკვეთილი სტრუქტურა, დამახასიათებელი მასალები: მინა, ფოლადი, სავენტილაციო სისტემების გარეთ გამოტანა და ა.შ), ნაკლებად ექსპრესიული ხასიათისაა, ვიდრე მისი თანამედროვეების მძიმე, დატვირთული და მძაფრად ექსპრესიული ნაგებობები. აღნიშნული სულაც არ აკნინებს მას, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, იგი ფოკუსირდება შენობის ფუნქციურ დატვირთვაზე, მთავარი ფორმის სინატიფესა და ტრადიციულად ნაგებობაში ჩამალული სხვადასხვა სისტემების ექსტერიერში, დეკორატიულ ელემენტებად გადმოტანაზე.

ჰონგ კონგ შანჰაის ბანკის შენობა

HSBC ცათამბჯენი მისი დროისათვის რევოლუციური იყო. ფოსტერმა და მისმა კოლეგებმა გადაწყვიტეს შენობის ძირითადი სტრუქტურა ცენტრიდან ექსტერიერში გადაეტანათ. შენობის აღნიშნული სისტემების რეკონფიგურაცია მოგვიანებით ჰაი-ტექის მთავარი მახასიათებელიც კი გახდა.

მთავარი ფასადის წამყვანი თემა გახლავთ რკინა-ბეტონის შეწყვილებული, მრგვალი კოლონები, რომელიც ფასადს მთელს სიმაღლეზე აუყვება. ყოველ ექვს, შვიდ ან რვა სართულზე ფლანგურ შეწყვილებულ კოლონებს ერთმანეთში აერთიანებს რკინა-ბეტონის ფერმები, რომლებიც მთელი ფასადის სიგრძეს გასწვდებიან (ნ. შავიშვილი და მ. გუჯაბიძე, 2006, გვ 110). თავად ნორმან ფოსტერის სიტყვებით სტრუქტურა, რომელიც ჩვეულებრივ შიგნითაა დამალული, გამოტანილია ფასადზე, ყველაფერი რაც ტრადიციულად შენობის ბირთვშია მოთავსებული გადატანილია შენობის გვერდებზე. (foster, 2019). შენობის უზარმაზარ ატრიუმთან მთელ სიგრძეზე გაჭრილია ვიტრაჟი, საიდანაც შემოსული სინათლე ებრძვის ოფისებისათვის დამახასიათებელ ანონიმურობას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს ყოველივე მრავალრიცხოვან სარკეთა სისტემების განლაგებით მიიღწევა, რაც ატრიუმიდან არეკლილ სინათლეს შენობის ყველა კუთხეში ანაწილებს.

საუკუნის კოშკი

საუკუნის კოშკი დაყოფილია ორ (19 და 21 სართულიან) ნაწილებად და ერთმანეთს უკავშირდება ვიწრო ატრიუმით. შენობა ტოკიოში, აქტიურ სეისმურ ზონაში მდებარეობს. შესაბამისად, კოშკის გარეთა ნაწილი შემოსაზღვრულია უჩვეულო ფორმის ჩარჩოთი რითიც დაკმაყოფილებულია სეისმური საინჟინრო მოთხოვნილებები. ინტერიერში სართულები ერთმანეთთან ატრიუმში არსებული საკომუნიკაციო სისტემებითაა

დაკავშირებული. საუკუნის კოშკში ერთმანეთს ჰარმონიულად ერწყმის აღმოსავლეთისა და დასავლეთის სამყაროსათვის დამახასიათებელი ესთეტიკური ელემენტები. შენობაში ვხვდებით ასევე მღვიმის მსგავს მუზეუმს. აღნიშნულ მუზეუმში წყალი გამოყენებულია როგორც დეკორატიული ელემენტი, რომელიც დამამშვიდებელ ეფექტსაც კი ქმნის შავ პრიალა გრანიტზე დინებით. აქვე ვხვდებით სხვადასხვა აქტივობის ზონებსაც: ჩაის სახლს, რესტორანს და გამაჯანსაღებელ კლუბს.

ბაუ

შენობის ფორმა კანადის ერთ-ერთი ქალაქის, კალგარის კლიმატით იყო ნაკარნახევი. ბაუს უჩვეულო ფორმა გვიტოვებს შემდეგ შთაბეჭდილებას - თითქოს იგი აერთიანებს და ერთმანეთთან აკავშირებს მის გვერდით მდებარე შენობებს. მეორე სართული ღიაა და აერთიანებს კაფეებსა და მაღაზიებს. შენობის რკალი აქცენტს უკეთებს საჯარო მოედანს. შენობა მიმართულია სამხრეთისაკენ, რაც დღის სინათლის ინტერიერში ჭარბად გადანაწილების და ტემპერატურის შენარჩუნების საშუალებას იძლევა. ფასადზე არსებული სამკუთხა დანაყოფები ექვს სართულს მოიცავს და ამარტივებს შენობის ზომის აღქმას. ამავე ადგილასაა განთავსებული ატრიუმი, რომელიც შენობას მთელს სიმაღლეზე მიუყვება. ის ასევე კლიმატის ბუფერული ზონაა, რაც შენობის იზოლირების საშუალებას იძლევა და ხელს უწყობს ენერჯის მოხმარების შემცირებას.

ადგილობრივი კულტურის გავლენები ნორმან ფოსტერის შემოქმედებაში

თანამედროვე არქიტექტურაში ინტერნაციონალური სტილის დომინირების ფონზე, ნორმან ფოსტერის არქიტექტურული მოღვაწეობის მნიშვნელოვან სფეროდ ვთვლით მის შენობებში დაფიქსირებულ ადგილობრივი კულტურის გავლენებს. აღნიშნულ კონტექსტუალისტურ ფენომენს თავად ნორმან ფოსტერიც კი ეხმიანება შემდეგი სიტყვებით: „არქიტექტორი მუშაობს აწმყოში, წარსულის გააზრებითა და ცოდნით, მომავლისთვის, რომელიც არსებითად უცნობია“ (Jodidio, 2023).

ნიმის მედიათეკა


საფრანგეთის ქალაქ ნიმეში დასახლება პრეისტორიულ ხანაში, თითქმის 2100 წლის წინ დაიწყო. იგი ჩამოყალიბდა ცალკეულ ქალაქ-სახელმწიფოდ და გარკვეული პერიოდი იარსება კიდევამგვარი სტატუსით, სანამ მოგვიანებით რომის იმპერიამ საკუთარ კოლონიად აქცია. დემოგრაფიულმა განვითარებამ ქალაქში სიცოცხლე ააყვავა. შესაბამისად, რომის იმპერატორმა ავგუსტუსმა ქალაქს თავდაცვითი ფუნქციაც კი შესძინა და ააშენა ტაძრები, ქანდაკებები, ფორუმები და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები. ბუნებრივია აღნიშნული ხანგრძლივი ისტორიის გამო, ქალაქში მრავალადაა შემორჩენილი ანტიკური ძეგლები. მათ შორისაა მაისონ დე კერე, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე კარგად შემონახულ რომაულ ტაძრად ითვლება. სწორედ მის სიახლოვეს, 1984 წელს, ქალაქის ახალარჩეული მერი გამოთქვამს ამბიციას რომ ნიმეში „სამხრეთ საფრანგეთის პომპიდუს ცენტრი

აშენდეს“. იგი მოიწვევს რამდენიმე ცნობილ არქიტექტორს აღნიშნული პროექტისთვის და საბოლოოდ არჩევანს ნორმან ფოსტერის შემოთავაზებულ პროექტზე შეაჩერებს (Sikorski, 2011).

1993 წელს ნორმან ფოსტერი ასრულებს ნიმის მედიათეკის პროექტს. ანტიკურ ისტორიულ ძეგლთან მდებარე შენობისთვის შესამჩნევია არქიტექტორისთვის შესაბამისი ხელწერა - ჰაი ტეკის სახით, თუმცა ხაზგასასმელია რომ წინა პლანზე წამოწეული და გათვალისწინებული იქნა ადგილობრივი კულტურა.

კონკრეტულად, ჰაი ტეკურ ხედვას ვამჩნევთ მედიათეკაში ატრიუმის ჩართვით, რომელიც შენობის მიწისქვეშა ნაწილში განთავსებულ საჯარო ბიბლიოთეკას განათებას აწვდის. ატრიუმში განთავსებული საკომუნიკაციო სისტემა კი ძირითად შუშისაა, რაც დამატებით ხელს უწყობს ბუნებრივი განათების ქვედასართულზე გადასაწილებას. ზემოაღნიშნული, ჰაი ტეკური ხედვის კიდევ ერთი დადასტურებაა. აღსანიშნავია მედიათეკის სახურავის ფანჯრებზე დაყენებული სპეციალური „სმარტ“ სისტემა, რომელიც მზის ძლიერ განათებას ხელოვნების ნიმუშების გამოფენისათვის შესაბამის დონეზე ფილტრავს, რათა ექსპოზიციის არ დაზიანდნენ.

ადგილობრივი კულტურის კვალი კი იგრძნობა იმ ფაქტში რომ არქიტექტორმა პატივი სცა ანტიკური ტაძრის მასშტაბს და მედიათეკის პროექტირებისას გათვალისწინებულ იქნა მისი არადომინანტურობა. შენობის ძირითადი ნაწილი (5 სართული) განთავსებულ იქნა მიწის ქვეშ. ყურადღებამისაქცევია ის ფაქტიც რომ თანამედროვე მედიათეკის შენობაში ინტეგრირებულ იქნა ანტიკური ტაძრის პროპორციები.



სურ. 1 მაისონ კერეს პროპორციების ინტეგრაცია ნიმის მედიათეკის თანამედროვე შენობაში

შენობის ექსტერიერში სპეციალურად გამოყენებულია სარკისებური გამჭვირვალე შუშა, რომელზეც იდეალურად ირეკლება ქუჩის მეორე მხარეს მდებარე ტაძარი. ფოსტერმა მედიათეკის წინ, მაისონ კერესთან მდებარე ტერიტორიაზე მინიმუმამდე დაიყვანა მანქანებისთვის განკუთვნილი ზონა და შექმნა მთლიანად საფეხმავლო მოედანი. შედეგად, ორივე შენობა ერთ სივრცეში მოაქცია. ძლიერი წვიმების გამო მედიათეკის გახსნის შეფერხებამ პროექტში ბოლო ცვლილებაც გამოიწვია და გათვალისწინებულ იქნა ადგილობრივი კლიმატის რისკიც, შესაბამისად შენობა მიწიდან 1,5 მეტრის სიმაღლეზე განთავსდა (Naderi, 2018).

ნიმის მედიათეკა დღემდე ითვლება უახლესი არქიტექტურის ტრადიციულ ისტორიულ გარემოსთან შეხამების ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად. შენობაში ზუსტადაა დაბალანსებული როგორც ადგილობრივი კულტურა, ასევე თანამედროვე დიზაინი და შედეგად საკმაოდ ჰარმონიულადაა ჩაწერილი მიმდებარე გარემოში.

კრენფილდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

აღნიშნული კონტექსტუალისტური თვალსაზრისით, ყურადღებამისაქცევია ამავე პერიოდში დასრულებული ნორმან ფოსტერის კიდევ ერთი პროექტი. ბრიტანეთში, კრენფილდში მდებარე უნივერსიტეტმა ფოსტერს, გაფართოებისას, ბიბლიოთეკისთვის ცალკე მდგარი შენობის აშენება სთხოვა. მათი სურვილი თანამედროვე, ნოვატორული დიზაინი იყო. ფოსტერს ტრადიციული ბიბლიოთეკისთვის დამახასიათებელი ჩაკეტილი სივრცისგან განსხვავებული, თუმცა უნივერსიტეტის და აკადემიური სულის მატარებელი შენობასთხოვეს. შესაბამისად ფოსტერი ბიბლიოთეკაში რთავს ატრიუმს და საკომუნიკაციო სისტემის საშუალებით აერთიანებს სამივე სართულს. შედეგად ინტერიერში იღებს ჰაი ტექური ხედვისთვის დამახასიათებელ თანამედროვე დიზაინს, რომელიც ისეთ ეფექტურად წარმოსადგენ შედეგს იძლევა, როგორც წინა შენობებში. ექსტერიერში კი შემოჰყავს ანტიკური რომის ცივილიზაციის უდიდესი აღმოჩენა - თალები და ქმნის მცირე პერსტილურ პორტიკს (Foster + partners). ზემოაღნიშნული თალები მიუშაობენ როგორც ფუნქციური თვალსაზრისით შენობის გადახურვად, ასევე ესთეტიკურად ბიბლიოთეკის შენობას სულს უდგამენ და ამართლებენ. ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული დეტალების გარეშე კრენფილდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ექსტერიერის სახე დატოვებდა მის ვან დერ როესეული, ინტერნაციონალისტური სტილის შენობის შეხედულებას და ესთეტიკურად შეუსაბამო იქნებოდა უნივერსიტეტისა და აკადემიური სივრცისათვის.

საკლერის ხელოვნების გალერეა

ზემოაღნიშნული არქიტექტურული თვალსაწიერით აუცილებელია განვიხილოთ ფოსტერის საკლერის ეროვნული გალერეის რეაბილიტაცია. 1869 წელს, ბრიტანეთის სამეფო სამხატვრო აკადემია ლორდ ბურლინგტონის სახლში (ეწოდა ლორდ ბურლინგტონის საპატივცემულოდ მე-18 საუკუნეში მის მიერ ჩატარებული რეაბილიტაციის შემდეგ) გადავიდა. აკადემიამ მალევე იგრძნო სივიწროვე და სახლს გამოფენისათვის ერთი სართული დააშენა, ხოლო მისგან 4.2 მეტრში ექსპოზიციებისათვის ახალი გალერეა ააშენა. შესაბამისად დღეს იგი ორი ნაწილისგან შედგება: 1. ბურლინგტონის სახლი და 2. ვიქტორიანული გალერეა რომელიც ბურლინგტონის სახლის უკანა მხარეს მდებარეობს და მას კიბის მეშვეობით უკავშირდება. აღნიშნული დანამატების შემდეგ შეიქმნა საკომუნიკაციო პრობლემები, კონკრეტულად, მთავარ გალერეასა და დაშენებულ გალერეას შორის პირდაპირი წვდომა შეუძლებელი იყო. გაუმართავი იყო თავად ბურლინგტონის სახლიდან ასასვლელიც კი (Deutsche Bauzeitung, 1992).

ფოსტერის ჩატარებული რეაბილიტაციისას ისტორიულ შენობაში გამოიყვალა საკომუნიკაციო სისტემები. შეირჩა ხის სტრუქტურის მსგავსი კიბის დიზაინი, რომელიც

ვიქტორიანულ შენობას არ დააზიანებდა და დაყრდნობისთვის არ დასჭირდებოდა სიმძიმის კედლებზე გადანაწილება. აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ კიბე სპეციალურად დაბინდული შუშისაა, რაც გალერეასა და ბურლინგტონის სახლს შორის ბუნებრივი განათების შემოსვლის საშუალებას იძლევა და ესთეტიკურად მიესადაგება კიდევ აღნიშნულ გარემოს. აღნიშნული ბუნებრივი განათების უზრუნველყოფისთვის კი, კიბის საწყისი ფოსტერმა გადახურა ასევე შებინდული შუშით. კიბესთან ერთად გადაწყდა სრულად შემინული ლიფტის დამატებაც. საკომუნიკაციო სისტემების მსუბუქმა ჩაწერამ კი გააერთიანა გალერეის ხუთივე სართული და ორ შენობას შორის არსებული ცარიელი სივრცე ფუნქციურად გამართა. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მიუხედავად მისი ისტორიულ შენობაში „ჩამარხული“ სახისა, რეაბილიტაციისას შენარჩუნებულ იქნა ნორმან ფოსტერის თანამედროვე არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ხელწერა.

ჯოსლინის ხელოვნების მუზეუმი

ჯოსლინის ხელოვნების მუზეუმი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნებრასკას შტატში მდებარეობს. 1931 წელს დასრულებული შენობა მაშინდელი ამერიკის არქიტექტურულ რეალობას ირეკლავს და არტ დეკოს სტილშია აშენებული. შენობის შესასვლელს ამშვენებს იონური ორდერებისგან შექმნილი პორტიკი, რომელიც მიწიდან რამდენიმე მეტრზეა აწეული და მასთან დაკავშირება კიბის მეშვეობითაა შესაძლებელი. არქიტექტურული კვლევების შემდეგ დადგინდა, რომ აღნიშნულმა შესასვლელმა დაკარგა თავისი ფუნქცია. ვიზიტორთა უმრავლესობა ყურადღებას გვერდითა მხრიდან გაკეთებულ შესასვლელზე აკეთებდა და ფუნქციურად სწორედ მან იტვირთა მთავარი შესასვლელის როლი. შესაბამისად ნორმან ფოსტერის არქიტექტურული დავალება იყო შემდეგი: მუზეუმის სიმჭიდროვის გამო მიმდებარე გარემოში ახალი შენობის აშენება. ზემოაღნიშნული პრობლემა ფოსტერმა მთავარი შესასვლელისთვის თავისი ფუნქციის დაბრუნებით გადაწყვიტა. (Foster + partners).

ფოსტერი აღნიშნულ პროექტში თავისი არქიტექტურის საკმაოდ ფაქიზ და მოკრძალებულ მხარეს ავლენს. მუზეუმის ახალ ფრთას მასშტაბითა და პროპორციებით უსადაგებს ჯოსლინის მუზეუმს. იმეორებს ისტორიული შენობის სწორხაზოვნებას და არადომინანტურობისათვის სპეციალურად ქმნის აბსოლუტურად დახურულ კოლოფს. მოსაპირკეთებლად კი არჩევს მუზეუმისთვის დამახასიათებელი ფერისა და ტექსტურის მატარებელ მასალას, რაც ესთეტიკური თვალსაზრისით ზუსტად მიესადაგება ისტორიულ შენობას. თანამედროვე და ისტორიულ შენობებს კი აერთიანებს შუშის ატრიუმით, სადაც ათავსებს საზოგადოებრივი თავშეყრისა და სოციალური ურთიერთობების ადგილს. საინტერესოა ასევე შუშის ატრიუმის მისადაგება მუზეუმის წინ განთავსებულ წყლის სარკესთან, რომელიც ინტერიერის სიბრტყეზე გადმოღვრის ეფექტსაც კი ქმნის.

ლენბაქჰაუს მუზეუმი

1891 წელს ექსპრესიონისტ მხატვარ ფრანც ვონ ლენბაქისთვის მიუნხენში აშენდა სტუდიო და ვილა, რომელიც მოგვიანებით მისი სახელობის მუზეუმად გადაკეთდა.

დროის სვლასთან ერთად გაიზარდა ლენბაქჰაუსის მუზეუმში სტუმართა რაოდენობა და 21-ე საუკუნის დასაწყისისთვის არსებული ფიზიკური სივრცე ვეღარ უმკლავდებოდა წელიწადში 280,000-მდე ვიზიტორს. შესაბამისად, როდესაც 2013 წელს მუზეუმის ადმინისტრაცია ნორმან ფოსტერს სთხოვს აღნიშნულ პროექტზე მუშაობის დაწყებას, იგი თავისი პროექტით რამდენიმე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იღებს. უპირველეს ყოვლისა ფოსტერი შლის 1972 წელს აშენებული მუზეუმის დანამატ შენობას, რომელიც ფარავდა ისტორიული ვილის შესასვლელს. მუზეუმის ისტორიული ნაწილები ფრთხილად რეაბილიტირებულ იქნა მისთვის შესაბამის ოხრას ფერში და ახალი ფრთა განთავსებულ იქნა ზუსტად მის უკან (Arch Daily).

მუზეუმის ახალი ნაწილის ფასადი მოპირკეთებულია სპილენძითა და ალუმინით, რაც ზუსტად შეესაბამება ძველი ნაწილის ექსტერიერს. ინტერიერში ვხვდებით შუქით მანიპულაციასაც, რაც ექსპოზიციებისთვის შესაბამისი ბუნებრივი განათების უზრუნველყოფის საშუალებას იძლევა. ახალი ნაწილის პირველსართულზე განთავსებული რესტორანისთვის, ისტორიული ნაწილისგან მოშორებით, შეიქმნა დამოუკიდებელი შესასვლელი. აღნიშნულმა ავტომატურად შექმნა სოციალური თავშეყრისა და დასვენების სივრცე მიმდებარე ტერიტორიაზე. შეიძლება ითქვას რომ ფოსტერის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გარკვეულწილად დამთვალე იერებლების მოზიდვაშიც კი ეხმარება ადმინისტრაციას. პროექტში ასევე ინტეგრირებულია თანამედროვე ტექნოლოგიები - მუზეუმი წვიმის წყალს ინახავს და გადამუშავების შემდეგ მოიხმარს, ხელოვნური განათებისთვის კი გამოყენებულ იქნა სპეციალურად დაბალ ენერჯიაზე მომუშავე სისტემა. შეიძლება ითქვას, რომ ლენბაქჰაუსის მუზეუმი როგორც კონტექსტულისტური, ასევე ეკოლოგიური თვალსაზრისით კი პატივს სცემს გარემოს.

პენსილვანიის უნივერსიტეტის პავილიონი

პენსილვანიის უნივერსიტეტის პავილიონი აშენებულია პენსილვანიის დედაქალაქ ფილადელფიაში. ნორმან ფოსტერის საპროექტო ფირმა აღნიშნულ პროექტზე 7 წლის განმავლობაში მუშაობდა HDR არქიტექტურულ ფირმასთან ერთად. ფოსტერის საქმიანობა აღნიშნულ პროექტში ძირითადი არქიტექტურული გადაწყვეტით, ექსტერიერისა და საჯარო ზონების დიზაინით შემოიფარგლა. შენობას საავადმყოფოს ფუნქცია აქვს და აშენებულია პენსილვანიის უნივერსიტეტთან. საავადმყოფოს ექსპრესიული ფორმები ზუსტად იმეორებს შემოგარენ ტერიტორიაზე არსებული ბავშვთა საავადმყოფოს ფორმებს. ფანჯრების ჰორიზონტალური ლენტური გადაწყვეტა ესადაგება ასევე მიმდებარე გარემოში არსებული სამედიცინო კვლევების ცენტრის ლენტურ ფანჯრებს. ექსტერიერი მოპირკეთებულია თბილი ფერის მასალით რაც ზუსტად შეესაბამება მასთან ახლოს მყოფი პენსილვანიის უნივერსიტეტის ისტორიული შენობის ესთეტიკას. შენობის სახურავზე განთავსებულია მწვანე სივრცე, რაც თითქოს გვახსენებს კიდეც წლების წინ მსგავსად გადაწყვეტილ ფებერ დიუმას პროექტს. შენობის მშენებლობისას გამოყენებულ მასალათა 25% ქარხანაში იქნა დამზადებული და პირდაპირ მოტანილი სამშენებლო მოედანზე, რამაც ადგილობრივ გარემოზე ზიანი შეძლებისდაგვარად შეამცირა. (Dinardo, 2022)

ფოსტერის ეკოლოგიური არქიტექტურული ინოვაციები


ნორმან ფოსტერი მიჰყვება იმ რწმენას რომ არქიტექტურას, დიზაინს, ტექნოლოგიებს, ხელოვნებას - ყოველივე მათგანს ერთად შეუძლია საზოგადოებაზე დიდი გავლენის მოხდენა. ზემოგანხილული მაგალითების საფუძველზე კარგად დავინახეთ თუ როგორ ჰარმონიულადაა შერწყმული არქიტექტორის თანამედროვე იდეები და ჰაი-ტექის ინოვაციური მახასიათებლები ისტორიულ გარემოსთან. თუმცა აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ ფოსტერის ნამუშევრებს ასევე ახასიათებს მდგრადი განვითარების პრიორიტეტულობა.

რაინსტაგის გუმბათი

ძალიან საინტერესო გადაწყვეტას გვთავაზობს ფოსტერი გერმანიის პარლამენტის გუმბათის დაპროექტებისას. გამოწვევა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დაზარალებული გუმბათის იმგვარი გადაწყვეტა იყო რომ იგი როგორც ეკო-მეგობრული ასევე ისტორიული შენობისათვის შესაფერისი ყოფილიყო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფოსტერის ნამუშევრები მდგრადი არქიტექტურის პრინციპებს ეფუძნება და იგი ცდილობს და ახერხებს კიდევ გარემოს სასარგებლო თვისებები მაქსიმალურად გამოიყენოს ნაგებობებში. რაინსტაგის გუმბათი ლითონისა და მინის კომბინაციაა, რაც საშუალებას იძლევა დღის უმეტეს ნაწილში პარლამენტის სხდომათა დარბაზი ბუნებრივად განათდეს და ნაკლები ელექტროენერგია გამოიყენოს. მინის გამოყენებას სიმბოლური დატვირთვაც აქვს. გუმბათიდან ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ჩაიხედოს პარლამენტის სხდომათა დარბაზში, რაც იდეურად პარლამენტის დემოკრატიულობასა და მათი გადაწყვეტილებების გამჭვირვალობას გულისხმობს.


გერკინის კოშკი

ლონდონის სვის რესთვის აშენებული რაკეტის მსგავსი კოშკი, რომელიც ცნობილია მთელ მსოფლიოში, უბრალოდ, როგორც „გერკინი“, აშენებისთანავე გახდა ნორმან ფოსტერის ყველაზე ცნობილი ნამუშევარი. შენობა ენერგოეფექტურობის თვალსაზრისით საინტერესოდაა დაპროექტებული. სვის რეს სხივური დიზაინი გააჩნია (სხივური დიზაინი გულისხმობს ცენტრულ წერტილსა და მისგან გამომავალ სხივებს), რომელიც მთლიანად ფარავს და ითავსებს სახურავისა და კედლების სიბრტყეს და ანაცვლებს მათ სამკუთხა ფორმებით შემდგარი გარსით, რაც საშუალებას იძლევა რომ სართულებზე სვეტები თავისუფლად განლაგდეს. ფოსტერმა ჩაიფიქრა აეროდინამიკური ფორმა რაც საშუალებას იძლევა ქარმა თავისუფლად იქროლოს შენობის გარეთ ან თუნდაც ფასადზე, იმის ნაცვლად რომ ნაგებობის ფორმა პრობლემატურად იქცეს და ქართა ნაკადმა პირდაპირ საწყის სართულებზე მოიყაროს თავი.



სურ. 2

180 მეტრიანი შენობა პასუხობს 21-ე საუკუნის გამოწვევებს. ფორმა, რომლის დიამეტრი იზრდება სიმაღლის მატებასთან ერთად და მცირდება უკიდურეს წერტილთან მიახლოებამდე, საშუალებას იძლევა რომ ნაგებობის ყველა ნაწილმა ჭარბად მიიღოს ბუნებრივი სინათლე. ფოსტერი, ფაქტობრივად, ცდილობს შენობა ორგანული განადოს და თითქოს გამოააშკაროს ყველაფერი რაც შიგნით იმალება. ამგვარი გადაწყვეტით გერკინის კოშკს 6 ბუნებრივი სავენტილაციო მილი აქვს რომლებიც სეზონების მიხედვით გაგრძელებისა და გათბობის ფუნქციებს ინაცვლებენ. ეს, ცხადია, საშუალებაა სივრცეების უკეთ განათებისა, რაც პროპორციულად აისახება ელექტროენერჯის მოხმარების რაოდენობასა და ხარჯებზე. გერკინის კოშკი ნამდვილად კარგი მაგალითია ეკონომიური და მდგრადი, ჯანსაღი შიდა გარემოს არსებობისა.



სურ. 3

კოპენჰაგენ თაუერსი


22 სართულიანი ნაგებობის შესაქმნელად ფოსტერმა ადგილობრივი და გადამუშავებული მასალები გამოიყენა. ატრიუმი კოშკის მწვანე გულადაა ქცეული, რადგან იქაა შეტანილი ზეთისხილის ხეების თვალწარმტაცი ბალი. ხის მოხრილი პროფილები მინის ჭერის ფონზე და ამგვარადვე ტალღოვანი ხის სკამები ქმნის ისეთ განწყობილებას თითქოს შენობაში

ავტორმა ბუნება შემოიტანა და არღვევს ნაგებობის კედლებით სივრცის შეზღუდვის განცდას. ხაზი გვინდა გავუსვათ იმას, რომ კოპენჰაგენ თაუერსის ბეტონის იატაკი ადგილობრივი სამშენებლო ნარჩენებითაა შემდგარი. გაგრილებისა და გათბობის სისტემა კი სრულიად ბუნებრივ საშუალებებს - მიწისქვეშა წყლებსა და მზის ენერჯიას იყენებს. მისი ზომის შენობებთან შედარებით კოპენჰაგენ თაუერსი 45%-ით ნაკლებ ენერჯიას მოიხმარს, ვიდრე სხვები.

კომერცბანკი

„მზე სივრცეში შემოედინება, გრილი სურნელოვანი ნიავი ერთი ბალიდან მეორეში ტრიალებს. ეს საოცარი დაპირისპირებაა მოდერნისტული თავისებურების - ბალი სტრუქტურაში და არა სტრუქტურა ბალში.“ (architectural record)

ამგვარად აღწერენ მსოფლიოში პირველ ეკოლოგიურ საოფისე შენობას, რომლის ერთ-ერთი მახასიათებელი ბუნებრივ განათებისა და ვენტილაციის აქცენტრებაა. ნაგებობის გეგმაში სამკუთხედიანია, რომლის ცენტრალურ ნაწილში ატრიუმია განთავსებული. შენობის სივრცეები გონივრულადაა დაყოფილი. სამუშაო სივრცე ბალის საშუალებით უკავშირდება ცენტრში მოთავსებულ თანამშრომელთა თავშეყრის ადგილს. ფასადის ოთხ ნაწილად დანაწევრებას სხვადასხვა სარგებელი აქვს. კონკრეტულად, მათ შორის განთავსებული სივრცეებით ერთმანეთს უკავშირდება გარე სივრცე ცენტრალურ ატრიუმს და შედეგად ბუნებრივი განათება და სუფთა ჰაერი ინტერიერში ნაწილდება. 2008 წლიდან კომერცბანკი განახლებადი ენერჯიით საზრდოობს და მიჩნეულია ეკოლოგიურად მდგრად შენობად. გაზომილი ფაქტობრივი ენერჯიის მოხმარების მონაცემებმა ექსპლუატაციის პირველი 10 წლის განმავლობაში (1998-2008 წწ.) აჩვენა, რომ შენობა ერთი წლის განმავლობაში 85%-ით ბუნებრივად განიავებულია.



სურ 4. კომერცბანკის გეგმა სურ 5. შენობის ჭრილი, სადაც ჩანს გარე და შიდა სივრცეების კავშირი საოფისე ბლოკებს შორის მოთავსებული მცირე ბალების საშუალებით.

ეფლის პარკი

2017 წელს აშენებული ეფლის პარკი ფოსტერის ჰაი ტექური მისწრაფებების ყველაზე ნათელი განსახიერებაა. მისი დიზაინის შექმნისას ფოსტერმა გაითვალისწინა კომპანიის დამფუძნებლის - სტივ ჯობსის ჩანაფიქრი: ჰაი-ტექისა და ბუნების სინთეზი. შენობაში ვხვდებით უკვე თანამედროვე ჰაი ტექისთვის დამახასიათებელ ნიშნებს: მზის პანელები, გადამუშავებული წყალი, ბუნებრივი განათება, ლანდშაფტთან შერწყმა და ამავედროულად უაღრესად კეთილმოწყობილი და ჰუმანური სივრცე. შენობაში ინტეგრირებულია ბალები და აუზები, ფიტნეს ბილიკები და მედიტაციის ცენტრები. ბუჯდის ფორმის თითქმის ნახევარ კილომეტრიანი დიამეტრის ნაგებობა მთლიანად გარემოცულია 9000 ხით. რკალი გარშემო ფანჯრებითაა დაფარული. გამჭირვალე „კედელი“ ხელს არ უშლის, ადამიანმა ბუნების ნაწილად იგრძნოს თავი.

დასკვნა

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ნორმან ფოსტერის გავლენა თანამედროვე არქიტექტურაზე უზარმაზარია. მას საკუთარი პროფესიული მოღვაწეობის განმავლობაში 400-ზე მეტი ჯილდო და პრიზი აქვს მოგებული და გაუმარჯვია ათეულობით არქიტექტურულ კონკურსში.

საკონფერენციო ნაშრომში, მოკლედ მიმოვიხილეთ მისი მოღვაწეობის ჩვენთვის მნიშვნელოვანი ასპექტები. დასაწყისში შევეხეთ მის ადრეულ არქიტექტურულ მოღვაწეობას ოთხთა ჯგუფის დაშლის შემდგომ, განვიხილეთ მისი ჰაი-ტექური ხედვების გამოწრთობის პროცესი ჰონგ-კონგ შანჰაის ბანკის შენობის, კომერცბანკის და სხვა შენობათა მაგალითებზე. განხილულ მაგალითებზე ცალსახად შესამჩნევი იყო ჰაი-ტექის ძირითადი მახასიათებლები, რომელთა ინტეგრაცია მოგვიანებით ვიხილეთ მის ადგილობრივი კულტურით ნაკარნახევ შენობებში (ნიმის მედიათეკა, საკლერის გალერეა, ჯოსლინის გალერეა და ა.შ). არქიტექტორის აღნიშნული ხელწერა ასევე აღმოვაჩინეთ ეკოლოგიურად მდგრად შენობებშიც.

გამოყენებული ლიტერატურა

Dezeen. (2019, December 13). Reliance Controls “dissolved traditional boundaries” says Norman Foster - მოპოვებულ იქნა: <https://www.dezeen.com/2019/12/13/norman-foster-reliance-controls-video-interview/> (ბოლოს დამოწმებულ იქნა 01.06.2024)

ნ. შავიშვილი, მ. გუჯაბიძე. (2006). მსოფლიო არქიტექტურის ისტორია, წიგნი პირველი, თბილისი.

Archdaily. (2023, June 28). “As an Architect You Design for the Present, with an Awareness of the Past, for a Future which Is Essentially Unknown”: On Foster’s Body of Work and Evolution - მოპოვებულ იქნა: <https://www.archdaily.com/1002908/as-an-architect-you-design-for-the-present-with-an-awareness-of-the-past-for-a-future-which-is-essentially-unknown-on-fosters-body-of-work-and-evolution> (ბოლოს დამოწმებულ იქნა 01.06.2024)

Sikorski, D. (2011). A Contextual Analysis of Norman Foster’s Carré D’art - მოპოვებულ იქნა: <https://www.scribd.com/document/637543996/A-Contextual-Analysis-of-Norman-Foster-s-Carre-d-Art-David-Sikorski-2011> (ბოლოს დამოწმებულ იქნა 01.06.2024)

Naderi, S. (2018). Learning from a building Carré d’Art. Netherlands: Eindhoven University of Technology.

Foster + partners. Cranfield University Library. მოპოვებულ იქნა: <https://www.fosterandpartners.com/projects/cranfield-university-library> (ბოლოს დამოწმებულ იქნა 02.06.2024)

DBZ Deutsche Bauzeitung. (1992, November). The Sackler Galleries. For: Royal Academy of Arts - მოპოვებულ იქნა: https://www.academia.edu/3635352/Sackler_Galleries_Royal_Academy_of_Arts_Architect_Sir_Norman_Foster_and_Partners_London (ბოლოს დამოწმებულ იქნა 02.06.2024)

Foster + partners. Addition to Joslyn Art Museum. მოპოვებულ იქნა: <https://www.fosterandpartners.com/projects/addition-to-joslyn-art-museum> (ბოლოს დამოწმებულ იქნა 02.06.2024)

Dinardo, A. (2022). Penn Medicine 17-Story Pavilion Makes Impact in Philadelphia - მოპოვებულ იქნა: <https://healthcaredesignmagazine.com/projects/right-path-penn-medicine/> (ბოლოს დამოწმებულ იქნა 03.06.2024)

Ravenscroft, (2019, November 27) Foster’s HSBC building in Hong Kong is a revolutionary high-tech skyscraper. ბოლოს დამოწმებულ იქნა: <https://www.dezeen.com/2019/11/27/norman-foster-hsbc-building-hong-kong-bank/> (ბოლოს დამოწმებულ იქნა: 02.06.2024)

Foster + Partners. Century Tower. ბოლოს დამოწმებულ იქნა: <https://www.fosterandpartners.com/projects/century-tower> (ბოლოს დამოწმებულ იქნა: 03.06.2024)

Foster + Partners. The Troika. ბოლოს დამოწმებულ იქნა: <https://www.fosterandpartners.com/projects/the-troika> (ბოლოს დამოწმებულ იქნა: 05.06.2024)

Archdaily. The bow/foster + Partners. მოპოვებულია: <https://www.archdaily.com/384425/the-bow-foster-partners> (ბოლოს დამოწმებულ იქნა: 06.06.2024)

Foster + Partners. Reichstag, New German Parliament. ბოლოს დამოწმებულ იქნა: <https://www.fosterandpartners.com/projects/reichstag-new-german-parliament> (ბოლოს დამოწმებულ იქნა: 08.06.2024)

Wikiarquitectura. 30 St Mary Axe (The Gherkin). ბოლოს დამოწმებულ იქნა: <https://en.wikiarquitectura.com/building/30-st-mary-axe-the-gherkin/#swissre-nucleo> (ბოლოს დამოწმებულ იქნა: 08.06.2024)

Rethinking the Future. Norman Foster: the architect who pioneered sustainable design ბოლოს დამოწმებულ იქნა: https://www.re-thinkingthefuture.com/know-your-architects/a10182-norman-foster-the-architect-who-pioneered-sustainable-design/#google_vignette (ბოლოს დამოწმებულ იქნა: 08.06.2024)

Baumann, (2022, August 10). Norman foster's famous buildings: high-tech and sustainable. ბოლოს დამოწმებულ იქნა: <https://www.gira.com/en/en/g-pulse-magazine/architecture/norman-foster-buildings#> (ბოლოს დამოწმებულ იქნა: 08.06.2024)

Urban systems design. Commerzbank HQ Frankfurt, Germany. მოპოვებულ იქნა: <https://www.urban-systems.design/commerzbank-hq-frankfurt-germany> (ბოლოს დამოწმებულ იქნა: 02.06.2024)

Foster + partners. Commerzbank headquarters. <https://www.fosterandpartners.com/projects/commerzbank-headquarters> (ბოლოს დამოწმებულ იქნა: 02.06.2024)

